ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

ქალი ამერიკის შეერთებული შტატების XX საუკუნის პოლიტიკაში

ელენე მეძმარიაშვილი

თბილისი, 2017
გამომცემლობა „კლიო“

წინამდებარე მონოგრაფია მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის ქალის ადგილსა და როლზე XX საუკუნის შეერთებული შტატების პოლიტიკასა და, ზოგადად, საზოგადოებაში, დაეხმარება ამ მხრივ საქართველოში არსებულ ვითარებასთან პარალელების გავლებაში. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისა და სტუდენტებისთვის, ასევე, ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც შეერთებული შტატებისა და ქალთა საკითხებით არის დაინტერესებული.

რედაქტორი:

ვასილ კაჭარავა, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

რეცენზენტები:

თეიმურაზ პაპასქირი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

თამარ შიოშვილი, პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი.

© ე. მეძმარიაშვილი, 2017

ISBN 978-9941-441-67-7

გამომცემლობა „კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181,
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 9

თავი 1. ამერიკელი ქალის სტატუსი XX საუკუნის პირველ ნახევარში.....39

ქალთა მოძრაობის პირველი ტალღა აშშ-ში 39

ისტორიული კატაკლიზმების გავლენა
ამერიკელი ქალის სტატუსზე 54

თავი 2. ქალთა მოძრაობის აღმავლობა შეერთებულ შტატებში
XX საუკუნის მეორე ნახევარში 76

ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის წანამძღვრები 76

ბეტი ფრიდანი და მისი „ქალის საიდუმლო“ 82

თავი 3. ამერიკელი ქალების პოლიტიკური
აქტიურობა 1970-1990-იან წლებში 107

ქალების ბრძოლა ოფისისათვის 107

ქალი და არჩევნები 119

ქალების პოლიტიკური აქტიურობის საკითხები
შეერთებულ შტატებსა და საქართველოში:
შედარებითი ანალიზი 131

თავი 4. რესპუბლიკური და დემოკრატიული ადმინისტრაციების
პოლიტიკა ქალთა საკითხებში: ყველაზე ანტიქალური
და ყველაზე ქალური ადმინისტრაციები 139

რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში.....139

კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში 153

თავი 5. XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ქალი-პოლიტიკოსები 160

ფრანსის პერკინსი – პირველი ქალი-მინისტრი
შეერთებული შტატების ისტორიაში 160

ელეანორ რუზველტი: ფემინისტი თუ
სოციალურ საკითხებზე მზრუნველი პოლიტიკოსი 167

ქალი-სახელმწიფო მდივნების როლი
ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში 176

ქალი-პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი?.....184

თავი 6. პირველი ქალბატონების როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში 191

ყველაზე აქტიური პირველი ქალბატონები 191

თავი 7. ქართველი იმიგრანტი ქალები
ამერიკის შეერთებულ შტატებში.....200

ამერიკანიზაციის პრობლემა.....200

დასკვნა.....212

ბიბლიოგრაფია.....214

საკუთარ სახელთა საძიებელი 237

წინასიტყვაობა

მაინც როგორი აპოლიტიკურები ვიყავით წინა ათწლეულებში საქართველოში! ოფიციალურად თითქოს გვქონდა ყველა სამოქალაქო უფლება, მაგრამ, ფაქტობრივად, არავითარი უფლებებით არ ვსარგებლობდით. ჩვენ არ ვირჩევდით და არც არავინ გვირჩევდა, მხოლოდ გვნიშნავდნენ, თანაც იმ შემთხვევაში, თუკი ვაკმაყოფილებდით პარტიული ხელმძღვანელების სტერეოტიპებს. ქალებს შესაბამისი კვოტები ჰქონდათ უმაღლეს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ორგანოებში. მაგრამ, როგორც წესი, ისინი უმაღლეს თანამდებობებს არასოდეს იკავებდნენ. მხოლოდ ადგილობრივ დონეზე შეიძლებოდა მათი პარტიულ ხელმძღვანელად დანიშვნა, ისიც საკმაოდ იშვიათად.

ქალები ამას შეგუებულები იყვნენ და არც მოსვლიათ თავში, რომ ებრძოლად საკუთარი უფლებებისათვის. მაგრამ ბრძოლაც ხომ აბსურდული იყო? ტოტალიტარულ სახელმწიფოში ამას კაცებიც ვერ ახერხებდნენ, არათუ ქალები, რომლებსაც უამრავი სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა აღელვებდათ.

მაგრამ რა ხდება დღეს? რამდენად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის ქალების უფლებებისთვის, სქესებს შორის რეალური თანასწორობისათვის ბრძოლა?

როდესაც ჩემს სტუდენტებთან ამ თემაზე საუბარს ვიწყებ, უმრავლესობის, მათ შორის, გოგონების სახეზე ირონიულ ღიმილს ვამჩნევ. კაცებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს ქალებს არავინ ჩაგრავს, თანაც ისევე, როგორც ბევრ პატრიარქალურ საზოგადოებაში (მათ შორის, შეერთებულ შტატებშიც) ქალებს წინასწარ განსაზღვრული ადგილი აქვთ დათმობილი – ოჯახში ბავშვებთან და სამზარეულოში. თვით ქალები კი ფიქრობენ, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებას ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები აღელვებს, ვიდრე ეს მათი რეალური თანასწორუფლებიანობაა.

მე ხაზს ვუსვამ რეალურს, ვინაიდან ქაღალდზე, ანუ კანონმდებლობით, ჩვენ თანასწორები ვართ. თუმცა ე.წ. შუშის ანუ უხილავი ჭერი, რო-

მელიც მარტო ჩვენ არ გვაღელვებს, საქართველოში აშკარად იგრძნობა. ამ პრობლემის მოგვარებისთვის, ალბათ, ძლიერი ფემინისტური მოძრაობა უნდა არსებობდეს, თავისი ტრადიციებითა და კონკრეტული მიზნებით, ისეთი, როგორიც, მაგალითად, შეერთებულ შტატებშია. ჩვენთან კი ქალები მხოლოდ ბოლო ათწლეულში „გამოფხიზლდნენ". ამავე პერიოდში შეიქმნა არაერთი ქალთა ორგანიზაცია და ქალების პრობლემატიკამაც შედარებით წინა პლანზე წამოიწია. ბევრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სისტემური ცვლილებების, ქალის ცნობიერების ამაღლების გარეშე, რეალური თანასწორუფლებიანობის მიღწევა შეუძლებელია. თუმცა, ყველა ასე არ ფიქრობს. მაგალითად, ერთ-ერთმა ყოფილმა პოლიტიკოსმა ქალმა განაცხადა: „რეგალიების გარეშეც, თავს თანასწორად ვგრძნობ"[1],

წინამდებარე წიგნიც იმ მიზნით დაიწერა, რომ ამ სფეროში მოწინავე ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება საკუთარი პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმაროს. მაინც რა შეიძლება ვისწავლოთ ამერიკელი ქალებისაგან? გამოგვადგება კი მათი გამოცდილება? რით ვგავართ ერთმანეთს და რით განვსხვავდებით?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ამ წიგნში ვეცდები. ის ეძღვნება საკითხს, რომელიც საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი. აღნიშნული პრობლემატიკით ჩემი დაინტერესება დაიწყო 2001 წელს, როდესაც ხუთ ქართველ ქალ-პროფესორთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიმყოფებოდი, როგორც ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული, ე.წ. საერთაშორისო ვიზიტიორთა პროგრამის მონაწილე. პროგრამის ფარგლებში ამერიკელმა მასპინძლებმა ექვსი შტატის ცნობილი უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობისა და ქალთა საკითხების პროგრამები გაგვაცნეს და თითოეული უნივერსიტეტის მუშაობაში ჩაგვახედეს.

ამ მოგზაურობამ დიდი როლი ითამაშა ქართული ამერიკისმცოდნეობის განვითარების საქმეში, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებისა და განათლების ამ დარგმა ინტერდისციპლინარული ხასიათი მიიღო, ამერიკის ისტორიის შესწავლის ცენტრი ამერიკის შესწავლის ცენტრად გადაკეთდა, ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიურმა კონფერენციებმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში ამერიკისმცოდნეობის

[1] გადაცემა „ტაიმშოუ", ტელეკომპანია „იმედი", 2017 წლის 24 ივნისი.

მიმართულება დაარსდა და, რაც ჩემთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამერიკელ ქალთა საკითხების კვლევაც დაიწყო. აქ ვგულისხმობ, უპირველესად ჩემსა და ჩემი სტუდენტების საქმიანობას, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომის თემად ამერიკელი ქალების პრობლემები აირჩია. აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც მომავალში საქართველოში ქალთა საკითხების კვლევის გაფართოებისა და გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომში, ძირითადად, განხილულია შეერთებული შტატების XX საუკუნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის მონაწილეობის საკითხები. მაგრამ, ბუნებრივია, როგორც საქართველოს მოქალაქეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ქვეყანაში ქალთა საკითხებთან დაკავშირებული ვითარება მაღელვებს. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნას აღნიშნულ ვითარებაზე, კერძოდ კი, ქალის როლზე თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საჭიროდ მივიჩნიე გარკვეული პარალელების გავლება შეერთებულ შტატებში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობასთან.

ნაშრომში ვცდილობ პასუხი გავცე რამდენიმე კითხვას და გამოვკვეთო ის საერთო და განმასხვავებელი, რაც XX საუკუნეში ქართველი და ამერიკელი ქალების პოლიტიკური აქტიურობისთვის არის დამახასიათებელი.

ეს საკითხებია:

- ქალების მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში აშშ-სა და საქართველოში.
- ქალების წარმომადგენლობა არჩევით თანამდებობებზე აშშ-სა და საქართველოში.
- რა მიზეზები იწვევს ქალების აქტიურობას თუ პასიურობას ორივე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებთან შედარებით, საქართველოში გენდერული სტატისტიკა არასრულყოფილია, მაინც შესაძლებლად მივიჩნიე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

წიგნში ასევე შესულია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, შეერთებულ შტატებში, რატგერსის უნივერსიტეტში ფულბრაიტის მიწვეულ მკვლევრად მუშაობის შედეგები, განხილულია ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემებიც, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პოლიტიკაში

ისინი პრაქტიკულად მონაწილეობას არ იღებენ, თუმცა, ქალთა საკითხებში ქვეყნის სხვადასხვა ადმინისტრაციის პოლიტიკა მათზეც ვრცელდება. წინამდებარე წიგნში შესული თითქმის ყველა საკითხი 2007 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ისწავლება.

წიგნი მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის ქალის ადგილსა და როლზე XX საუკუნის შეერთებული შტატების პოლიტიკასა და, ზოგადად, საზოგადოებაში, დაეხმარება ამ მხრივ საქართველოში არსებულ ვითარებასთან პარალელების გავლებაში.

ნაშრომისთვის აუცილებელი თითქმის ყველა მასალა მოძიებულია შეერთებულ შტატებში რატგერსის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ამ უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს და, პირველ რიგში, პროფესორებს მაიკლ როკლენდს, ენ ფაბიანს და ამერიკისმცოდნეობის პროგრამის იმდროინდელ აკადემიურ პერსონალს. რომლებმაც ყველა პირობა შემიქმნეს ნაყოფიერი მუშაობისთვის. ასევე, დიდი მადლობა სტენფორდის უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ შელი ფიშერ ფიშკინს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სისტემატური მომარაგებისთვის სპეციალური ლიტერატურით, რომელსაც შემოწირულობის სახით სტენფორდელი პროფესორები გვიგზავნიან, როგორც თავიანთ დაძმობილებულ ორგანიზაციას. მადლობა ჩვენს ამერიკელ კოლეგებს, მათ შორის, პოლ კრეგოს კონგრესის ბიბლიოთეკიდან, რომლებიც პერიოდულად, საკუთარი ინიციატივით, უაღრესად საჭირო ლიტერატურას გვიგზავნიან. მათი დახმარებით, კიდევ უფრო გამდიდრდა ჩვენი ბიბლიოთეკა, რაც ნებისმიერ მკვლევარს შეერთებული შტატების სხვადასხვა, მათ შორის, ქალთა პრობლემატიკაზე სერიოზული მუშაობის შესაძლებლობას უქმნის.

მადლობა ჩემს ქართველ კოლეგებს, ვინც ხელი შემიწყო წიგნზე მუშაობისას.

ელენე მეძმარიაშვილი
7 ივნისი, 2017 წლის

შესავალი

თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანია ქალის როლის, მისი წვლილის ზრდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების პროცესებში, ქალების პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლება. ამას დიდად შეუწყო ხელი ფემინისტურმა მოძრაობამ, რომელიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაიშალა და რომელიც საზოგადოების მიერ ქალების ინტერესებისა და მოთხოვნების იგნორირებამ გამოიწვია.

ცხადია, ქალის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა და მისი როლის შეცვლა, თვითშეგნების ზრდა და თანასწორობისაკენ ლტოლვა კანონზომიერი და პროგრესული პროცესია, რომელსაც თან სდევს ყველასთვის ცნობილი ტრადიციული პატრიარქალური სტერეოტიპების მსხვრევა. ეს პროცესი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნების ნაწილში უკვე დასრულებულია, ნაწილში კი დღესაც წარმატებით მიმდინარეობს.

მსგავსი პროცესები საქართველოსთვისაც უცხო არ არის. თუმცა, სტერეოტიპების მსხვრევას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის შესწავლა და შესაბამისი პარალელების გავლება საქართველოსთან. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ქალების პოლიტიკური აქტიურობის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია საყოველთაო დემოკრატიზაციის პროცესთან, რისკენაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის. შეიძლება ზოგიერთს გაუჩნდეს კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის კვლევა მაშინ, როდესაც საზოგადოებას ბევრად უფრო რთული პრობლემები აწუხებს? ვფიქრობ, ამ საკითხის კვლევა დროულია და აუცილებელიც, ვინაიდან საზოგადოება ვერ იქნება დემოკრატიული, თუ ქალები პასიურ როლს ითამაშებენ პოლიტიკაში, არ დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს, იქნებიან დამორჩილებულნი ოჯახში. ამერიკელი ქალების მაგალითის გათვალისწინება კი დაგვეხმარება იმ პროცესების ობიექტურად შეფასებაში, რომლებიც ქალის მდგომარეობას ცვლის.

თანამედროვე მსოფლიოში არაერთი სერიოზული პრობლემა არსებობს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ქალთა საკითხებს უკავია. ქალების მდგომარეობა, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა რთულ გლობალურ პრობლემასთან, აღელვებთ არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მართალია ქალების პრობლემები აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადად განსხვავებულია (რაც გამოწვეულია უდიდესი განსხვავებით მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის, განათლების, რელიგიის, ტრადიციების თუ სხვა ფაქტორების სხვადასხვაობით), მაგრამ ძირითადად ყველა ქვეყანაში ქალების საერთო პრობლემად რჩება მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხი, ზოგადად კი, ქალების მდგომარეობა საზოგადოებაში.

საქართველოში საუბარი ქალის როლზე პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო ხანებში, ვინაიდან ეს კონკრეტული თემა (და საერთოდ გენდერული თემატიკა) მთელს მსოფლიოში აქტუალური და ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელია.

ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ქალის სტერეოტიპი საკმაოდ ძლიერია. ქალი ჩვენთან არის „სადღეგრძელოსა თუ პოეტური მეტაფორის ადრესატი, თაყვანისცემისა და განდიდების ობიექტი, მაგრამ არამც და არამც დამოუკიდებელი სუბიექტი“[2], რომელსაც არათუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების, არამედ მასში მონაწილეობის მიღების უფლებაც კი არ გააჩნია. მაგრამ საბედნიეროდ, ასეთი სტერეოტიპი დღეს უკვე ნელ-ნელა იმსხვრევა, თუმცა, ამას კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

თუ წინათ ქალებს ძირითადად ლეგენდებს, ლექსებს, პოემებს, სიმღერებს, სადღეგრძელოებს უძღვნიდნენ, უკანასკნელ ათწლეულებში მათ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს. სხვადასხვა დარგის მეცნიერები – ისტორიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, პოლიტოლოგები, იურისტები და სხვ. იკვლევენ ქალის როლსა და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში, მათ წვლილს საზოგადოებრივ განვითარებაში, სქესების ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევის გზებსა და მეთოდებს და ა.შ.

ცხადია, აღნიშნული პრობლემებისადმი ინტერესი შემთხვევითი არ არის. დღეს, როდესაც ადამიანის შესაძლებობები ვითარდება მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის პროგრესის პირობებში, როცა პიროვნება სოციალურად და სულიერად თავისუფლდება, მსოფლიოში

[2] მაისურაძე გ. საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობის პრობლემა წინასაარჩევნო რაკურსით. „გენდერული განვითარება“. საინფორმაციო ბიულეტენი/ №3,1999, გვ.18.

მიმდინარე ამ ცვლილებებში მთელი მოსახლეობის, შესაბამისად ქალების ჩაბმაც აქტუალური გახდა.

მართლაც, თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანია ქალის როლის, მისი წვლილის ზრდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების პროცესებში, ქალების პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლება. ამას დიდად შეუწყო ხელი ფემინისტურმა მოძრაობამ, რომელიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, აშშ-ში XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაიშალა. მანამდე კი მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ სახელმწიფოში გავრცელებული თვალსაზრისით, „ქალურ ქალს" არ უნდა ჰქონოდა პროფესიული თუ სოციალური ინტერესები. კარგი განათლება, პროფესიონალიზმი, სოციალური აქტიურობა მხოლოდ კაცების პრეროგატივად იყო გამოცხადებული, ვინაიდან სწორედ ისინი ითვლებოდნენ ოჯახის უფროსებად და განსაზღვრავდნენ მის შემოსავალსა და სტატუსს. „ქალურობის" ამ მითის შექმნის მიზეზი XX საუკუნის შუახანებში, კერძოდ 50-იან წლებში, საკმაოდ მრავალია. თავიდან ამას რეალურმა და ობიექტურმა პროცესებმა და ფაქტორებმა შეუწყო ხელი, კერძოდ, ომისშემდგომი ქორწინებების რიცხვის ზრდამ, 1948-1957 წწ დემოგრაფიულმა აფეთქებამ, ე.წ. „ბეიბი ბუმმა", ქალების განდევნამ შრომის ბირჟიდან ფრონტიდან დაბრუნებული კაცების მიერ. ყველაფერმა ამან ქალებს სამსახურის შოვნის შანსი შეუმცირა და ამით ხელსაყრელი ატმოსფერო შექმნა სტერეოტიპის „ქალის ადგილი ოჯახშია" განმტკიცებისთვის. ამ საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მასობრივი მოხმარების საქონლისა და მომსახურების, ე.წ. კომფორტის ბიზნესის განვითარება. ამგვარად, ეკონომიკური და იდეოლოგიური მექანიზმების დახმარებით ამერიკელი ქალები აიძულეს გამხდარიყვნენ „მხოლოდ დიასახლისები".

საერთოდ, ქალების ისტორია ამერიკული საზოგადოების ირონიულობისა და წინააღმდეგობრიობის კარგ მაგალითს წარმოადგენს. მართალია ქალები ყოველთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, მათ მაინც ხშირად უმცირესობად განიხილავდნენ, რომელსაც განკუთვნილი აქვს ცალკე „ადგილი" (თუ რა ადგილი, ამაზე ზევით აღვნიშნე) სოციალურ წესრიგში, გადაკეტილი აქვს გზა კარიერისა და, მითუმეტეს, ძალაუფლებისაკენ და განიხილება როგორც დამოკიდებული, სუსტი და თავისი ბუნებით „მორჩილი" ფენა.

მეორე მხრივ, სხვა უმცირესობების მსგავსად, ქალები არ ცხოვრობენ ერთად „გეტოებში", მათზე არის მოთხოვნა ყველა რეგიონში, კლასსა თუ სოციალურ ჯგუფში და ხშირად უფრო ახლოს არიან თავიანთ „მჩაგვრელებთან", ვიდრე ერთმანეთთან. ამიტომ, როგორც ამერიკელი

მეცნიერი უილიამ ჩეიფი წერს, „ქალების გამოცდილების გაგების ყოველი ცდა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ორივე სქესის ერთიანობასა და ამასთან ერთად განსხვავებას".[3]

მეც ამას ვითვალისწინებ და, მიუხედავად იმისა, რომ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ისტორია არ შეიძლება გავყოთ ცალკეული სქესების ისტორიად, მაინც გამოვყოფ ქალს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გავარკვიო მისი ადგილი ქვეყნის საზოგადოებრივ, კონკრეტულად კი, პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანაც საქართველოში ჯერჯერობით ეს პრაქტიკულად არავის გაუკეთებია.

დღეს თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ მესამე ათასწლეულში აშკარად მომწიფდა ქალების ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლის აზრი (ეს მარტო ჩემი მოსაზრება არ არის). მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც კი, ცხადია, მხედველობაში მაქვს ამერიკის შეერთებული შტატები, ჯერ კიდევ არსებობს შეხედულება, რომ ყოველი ქალის ადგილი ოჯახშია, ბავშვებთან და სამზარეულოში. სამწუხაროდ, ამ აზრს არა მარტო ამერიკელი კაცების უმრავლესობა, არამედ ბევრი ქალიც იზიარებს (თუ შეერთებულ შტატებში ასეა, მაშინ რა უნდა ხდებოდეს ამ თვალსაზრისით საქართველოში?). ასეთი შეხედულება კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებშიც კარგად ჩანს. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა უმნიშვნელოა, განსაკუთრებით, სკანდინავიის ქვეყნებთან შედარებით, ამერიკელი ქალების წარმომადგენლობა ხელისუფლების ყველა დონეზე, ანუ როგორც შეერთებულ შტატებში ამბობენ პარტიულ და სამთავრობო ოფისებში.

ვფიქრობ, ორი კარგი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ ქალმა პოლიტიკა განიხილოს, როგორც თავისი პროფესია. ერთი, თუ ქალებს სურთ, რომ მათი ქვეყანა საცხოვრებლად უკეთესი ადგილი გახდეს და, ასევე, როგორც მოსახლეობის ნახევარზე მეტს, ქალებს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეორე მიზეზი უნდა იყოს პიროვნული. პოლიტიკას სჭირდება ნათელი გონების, განათლებული, ახალი იდეების მქონე ადამიანები. თუ ვინმეს სურს საკუთარი გონების გამოცდა და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება, პოლიტიკა ამის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა.

ქალს კონფლიქტის არ ეშინია. მას შეუძლია ბოლომდე იბრძოლოს და გაიმარჯვოს. მას შეუძლია მოლაპარაკება. ის უფრო მოქნილია, კომპრომისების დამშვები, რაც მოლაპარაკებებისას აუცილებელია. ამომ-

[3] William H.Chafe, Women and American society. In: Making America. The Society and Culture of the United States. Ed. by Luther S. Luedtke. USIA, Washington D.C., 1988, p.258.

რჩევლებმა ეს იციან. მხოლოდ ძველი ყაიდის პოლიტიკური მოთამაშეები კვლავ ცდილობენ ქალები პოლიტიკის მიღმა დატოვონ.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობს ქვეყანა, სადაც ქალებს ისეთივე პოლიტიკური სტატუსი აქვთ, როგორც კაცებს, რომ სრული თანასწორუფლებიანობა არსად არის. ქალების პოლიტიკურ აქტიურობას (სტატუსს, სუბორდინაციას), როგორც წესი, განსაზღვრავს იმ ქვეყანაში არსებული რეჟიმი, ეკონომიკური პირობები და კულტურა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალებს არასდროს ჰქონდათ ძალაუფლება და ყოველთვის პოლიტურად არათანასწორუფლებიანები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი ქვეყანა, სადაც მათ თანასწორუფლებიანობას კანონი იცავს, ქალები პოლიტიკაში მაინც ნაკლებად აქტიურები არიან, ვიდრე კაცები. მათი ასეთი მეორეხარისხოვანი პოლიტიკური როლი იმის კარგი მაგალითია, თუ რამდენად არის პოლიტიკა გადახლართული ცხოვრების სხვა ასპექტებთან. პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, კანონმდებლობა (სამართალი) ურთიერთდაკავშირებული და, ამავე დროს, დამოუკიდებელი სფეროებია. მე ქალის როლს, ძირითადად, პოლიტიკაში განვიხილავ.

ქალის აქტიურობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში გავლენას ახდენს როგორც გლობალური ცვლილებები საერთაშორისო ასპარეზზე (იგულისხმება, უპირველესად, ეკონომიკური ურთიერთობები), რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების ბიძგი შეიძლება გახდეს, ასევე, რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღორძინება და ქალთა საერთაშორისო მოძრაობა.

ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ცვლილებებს ნაციონალიზმის ბუნებაში და, ასევე, რელიგიური ფუნდამენტალიზმის მრავალი ფორმის აღორძინებას. უპირველესად, მხედველობაში მაქვს მეორე მსოფლიო ომის შემდეგი პროცესები: დეკოლონიზაცია და ახალი სახელმწიფოების წარმოშობა, ნაციონალიზმის აღორძინება. მსოფლიოს ქალების უმრავლესობამ ამ პერიოდში ფორმალური ლეგალური თანასწორუფლებიანობა მოიპოვა. ეს თანასწორუფლებიანობა ნამდვილად ფორმალური იყო, ვინაიდან ბევრგან ტრადიციები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ახალი კანონები. ამასთან ერთად, ახალი სახელმწიფოები ხშირად იქმნებოდა არა ეროვნული თვითმყოფადობის საფეძველზე, არამედ ხელოვნურად, ყოფილი კოლონიური საზღვრების გათვალისწინებით. ამის შედეგი კი სერიოზული შიდა ეთნიკური და რეგიონალური კონფლიქტები იყო, რომელთა გადაწყვეტას მარიონეტული ერთპარტიუ-

ლი ან სამხერდო რეჟიმები ვერ ახერხებდნენ. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, ტროპიკული აფრიკის ქვეყნების უმრავლესობაში. არანაკლებ რთული ვითარება შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნგრევის შედეგად, რამაც ჩვენს საკუთარ თავზე გადაიარა და შედეგებს დღემდე ვიმკით. დღეს უკვე შეგვიძლია დასკვნების გაკეთება, თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასათვალისწინებელია ამ მოვლენების გავლენა ქალებზე. შეიძლება დავსვათ არაერთი შეკითხვა. მაგალითად, ასეთი ფემინისტური კითხვები: სადამდე მიგვიყვანა კაცების ხელისუფლებამ? რა მოხდებოდა, რომ ხელისუფლების სათავეში ქალები ყოფილიყვნენ? და ა.შ.

განსაკუთრებით, მსურს რელიგიური ფუნდამენტალიზმის ზრდის ფაქტორის ხაზგასმა. აქ ვგულისხმობ არა მარტო ისლამს, არამედ სხვა მსოფლიო რელიგიებსაც, ისეთებს, როგორიც არის იუდაიზმი, კათოლიციზმი, ევანგელისტური პროტესტანტიზმი, ჰინდუიზმი, ჩვენი მართლმადიდებლობაც. რა კავშირი აქვს ფუნდამენტალიზმს ქალის სტატუსთან სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში? ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ვსაუბრობთ ისლამურ ფუნდამენტალიზმზე.

ნაციონალიზმისა და ფუნდამენტალიზმის ზრდას დაემთხვა ქალთა ადგილობრივი და საერთაშორისო მოძრაობის აღმავლობა. იმ ქვეყანაშიც კი, სადაც ასეთი მოძრაობა არ იყო, ქალების პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი გააქტიურება მაინც შეინიშნებოდა.

ქალთა საერთაშორისო მოძრაობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა გაერომ, რომელმაც არაერთი სპეციალური ფორუმი მოაწყო. მანვე 1975 წელი ქალის წლად, ხოლო 1976-1985 წწ ქალთა ათწლეულად გამოაცხადა. გაეროს ეგიდით, ქალთა საერთაშორისო ფორუმები ჩატარდა – მეხიკოში (1975), კოპენჰაგენში (1980), ნაირობისა (1985) და პეკინში (1995). ყოველ წელს ტარდება ქალთა მსოფლიო კონგრესები. კონფერენციებმა მსოფლიოს ქალები ერთმანეთს დააკავშირა, გამოკვეთა ის პრობლემები, რომლებიც მათ აწუხებდათ და დასახა მათი გადაჭრის გზები. ამასთან ერთად, კიდევ უფრო ნათელი გახდა ის განსხვავებაც, რომელიც არსებობდა ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ქალთა მოძრაობასა და ქალების მდგომარეობას შორის.

მიუხედავად ასეთი სხვადასხვაობისა, მაინც რა საკითხები არის საერთო ყველა ქალისთვის, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის?

გამოთქმას „ქალთა საკითხები" ორგვარად ხსნიან. ერთი განსაზღვრება დაკავშირებულია განსხვავებასთან გენდერსა და სქესს შორის. გენდერი ეს არის ქალებსა და კაცებს, ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთობის სოციალური ინტერპრეტაცია, ხოლო სქე-

სი კაცებსა და ქალებს შორის ბიოლოგიური იდენტურობისა თუ განსხვავების აღმნიშვნელია. ქალთა საკითხების პირველი გაგება მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც ტრადიციულად ქალებთან ასოცირდება. ეს არის შრომის გენდერული დაყოფა: დედისა და ბავშვის ჯანდაცვა, განათლება. ქალების უპირველესი ზრუნვის საგანია ბავშვები. ითვლება, რომ კაცებისათვის საზოგადოების მოთხოვნილებები ყველა ამ მიმართულებით მეორეხარისხოვანია.

ასევე, ქალთა საკითხებთან ასოცირდება სოციალური საკითხები, რომლებიც არა მხოლოდ ქალებს, არამედ მთელ საზოგადოებას ეხება.

ქალებს, უმთავრესად, სწორედ ზემოთ მითითებული საკითხები აღელვებს და ისინი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მათი პოლიტიკური საქმიანობის მთავარ საგანს წარმოადგენს. რასაკვირველია, არის გამონაკლისიც, რაზეც ყურადღებას მომავალში გავამახვილებ. ამავე დროს, ყოველი ქვეყანა განსხვავებულია და გარკვეული თავისებურება აქვს, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ქალთა პოლიტიკურ ინტერესებშიც ვლინდება.

მაგრამ შეიძლება გამოვყო რამდენიმე საკითხი, რომელიც ერთნაირად აღელვებთ ქალებს აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, არა აქვს მნიშვნელობა, ეს მდიდარი თუ ღარიბი ქვეყანაა, დემოკრატიული თუ ტოტალიტარული. ასეთი ორი საკითხია: ძალადობა ქალებზე და მათი შესაძლებლობა სრულყოფილად მიიღონ მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში. ის, თუ რამდენად აქტიურია ქალი საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ცხოვრების რა პირობები აქვს ოჯახში და, ზოგადად, ქვეყანაში. მაგალითად, ჩინეთში დასვენების მხოლოდ ერთი დღეა – კვირა. ამ დღეს მომუშავე ქალები სახლის საქმეებით არიან დაკავებული. ამიტომ, საშუალოდ, დღეში ქალის სამუშაო საათების რაოდენობა – 8-9 საათი მეტია კაცის სამუშაო საათებზე – 6-7 საათი. როგორც ჩინელი ავტორები წერენ, ეს ნიშნავს, რომ მათთვის „გადატვირთული შაბათები, მებრძოლი კვირები და ქანცგაწყვეტილი ორშაბათებია“.

პოლიტიკური საკითხები, რომლებითაც დღეს ქალები არიან დაკავებული, ეწინააღმდეგება იმ წარმოდგენას, რომ ქალებიც და კაცებიც ყველა საკითხს ერთნაირად, როგორც „ჰუმანურს“, განიხილავენ ან რომ ქალების როლი ოჯახურ საქმეებში განაპირობებს მათ როლს პოლიტიკაშიც (ვინაიდან ამით განისაზღვრება ის დრო, რომელიც შეიძლება ქალმა პოლიტიკურ საქმიანობას დაუთმოს). ოჯახში კი ყველაზე მეტად არის შენარჩუნებული პატრიარქალური ურთიერთობები. სწორედ აქ, განსაკუთრებით, იგრძნობა ქალის არათანასწორუფლებიანობა და კაცის (მამის, ქმრის, ძმის) პრივილეგირებული მდგომარეობა.

მაინც რას ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ ქალის როლზე პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელი პოლიტიკური აქტივობები გვაქვს მხედველობაში? უპირველესად, ეს არის პოლიტიკური წარმომადგენლობა და საარჩევნო პროცესში მონაწილება, ანუ ფორმალურ პოლიტიკაში ჩართვა; მათი მინიმალური წარმომადგენლობა პარლამენტებსა და სხვა საკანონმდებლო ორგანოებში, პოლიტიკური პარტიების, კაბინეტებისა და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს სათავეში. ამ თვალსაზრისით, უკეთესი მდგომარეობაა დემოკრატიულ ქვეყნებში. რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია პოლიტიკაში ჩართული ქალების პროცენტი. ზოგადად კი, მთელ მსოფლიოში ქალები პოლიტიკური ხელმძღვანელების მხოლოდ 5-10%-ს შეადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტნი არიან! 1990-იანი წლების ბოლოს გაეროს წევრი 159 ქვეყნიდან ქალი მხოლოდ 6 ქვეყნის წარმომადგენლობას ედგა სათავეში. 1987-1988 წლებში დაახლოებით 100 ქვეყანაში ყველა მაღალი სახელმწიფო თანამდებობა მხოლოდ კაცებს ეკავათ. 1987 წელს ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებში ქალების წილი 10% იყო. პროცენტი დაწეულია იმის გამო, რომ ქალებს გამოყოფილი ჰქონდათ საკანონმდებლო ქვოტა (ჩვეულებრივ 20-30%) ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ცენტრალური ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებში და დღეს ის აღარ მოქმედებს. იმ დემოკრატიულმა რეჟიმებმა, რომლებმაც ისინი შეცვალა, დატოვა იგივე პროპორციები (თუმცა ყველგან არა). ეს არ ეხება ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს. თუ ნიმუშად ისევ გაეროს ავიღებთ, იქ ქალებს 1990-იან წლებში მაღალი ხელმძღვანელი თანამდებობების 5%-ზე ნაკლები ეკავათ.[4]

საინტერესოა ინდოეთის მაგალითი: დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ათწლეულში ანტიბრიტანული მოძრაობის აქტივისტების 10% ქალები იყვნენ, დამოუკიდებლობის პირველ 10 წელიწადში კი ისინი პარლამენტის ქვედა პალატის – ლოკ საბჰას მხოლოდ 8%-ზე ცოტა მეტს შეადგენდნენ.

რაც შეეხება ქალებს პოლიტიკურ პარტიებში, აქაც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა. გამონაკლისი გერმანიის მწვანეთა პარტიაა, რომელიც ქალების თანასწორუფლებიანობის მომხრეა. საინტერესოა, რომ ხშირად ქალების გავლენა პარტიის შიგნით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პარტიის გარეთ. შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა გარდამავალ საზოგადოებებში, განსაკუთრებით იქ, სადაც პროპორციული საარჩევნო სისტემაა შემოღებული. ასეთი სისტემის არსებობის პირობებში ქალებს

[4] Women and Politics Worldwide. Editid by Barbara J. Nelson & Najma Chowdhury. Ann Arbor, Michigan, Edwards Brothers, 1994, p.15.

მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, რომ არჩეულები იქნან საკანონმდებლო ორგანოებში. პარტიულ სიებში ისინი უფრო ადვილად ხვდებიან. ამისათვის საჭირო აღარ არის განსაკუთრებული სოციალური პირობები. მაგრამ სხვადასხვა გარდამავალ ქვეყანაში განსხვავებული ვითარება შეიქმნა. მაგალითად, ბრაზილიაში, საბერძნეთსა და უნგრეთში. საბერძნეთში სამხედრო მმართველობიდან დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი 1974-1975 წწ უფრო ხანმოკლე იყო, ვიდრე ბრაზილიაში, სადაც ის 1980-იანი წლების დასაწყისში გაჭინაურდა. მაგრამ ბრაზილიაში ქალთა ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები ფუნქციონირებდა მაშინ, როდესაც საბერძნეთში ისინი იატაკქვეშეთში იყო. ამიტომ ამ უკანასკნელში ქალთა პოლიტიკური აქტიურობა არაპარტიულ ხასიათს ატარებდა. უნგრეთში, სადაც დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი 1989 წელს დაიწყო, განსხვავებული ვითარება იყო. აქ კომუნისტური პარტიის ოფიციალური ქალთა ორგანიზაციები დისკრედიტირებული იყო. არასამთავრობო ორგანიზაციები არ არსებობდა. კომუნისტური რეჟიმი მათ კრძალავდა. საჭირო იყო დრო, რათა მდგომარეობა გამოსწორებულიყო და ქალები უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ პოლიტიკურ საქმიანობაში. ამისთვის კი საჭირო იყო პარტიების ორგანიზაციული კულტურის შეცვლა, მჭირდო ურთიერთობა პარტიებსა და სხვადასხვა ჯგუფს შორის, საარჩევნო კანონების სრულყოფა, მოკლედ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

ზოგადად კი, მომავალში ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, იქნება ეს ოფიციალური თუ ყოველდღიური, დამოკიდებულია ოჯახურ მდგომარეობაზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და ოფიციალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე. როდესაც ოფიციალური პოლიტიკური ინსტიტუტები გაუმჭირვალეა, მათი აქტიურობის მთავარი ასპარეზი, ქალთა თვითგამორკვევის მიზნით, სამოქალაქო საზოგადოება ხდება. როდესაც სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, ქალებს იმ ინსტიტუტების ტრანსფორმირების უმნიშვნელო შესაძლებლობა ეძლევათ, რომელშიც ცხოვრობენ. და, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რა ჭამოს ან აჭამოს თავის შვილებს და ახლობლებს, მას, ცხადია, პოლიტიკისთვის ნამდვილად არ სცალია.

სამაგიეროდ, განვითარებულ ქვეყნებში უკვე რეალური გახდა სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობაზე ქალის მოსვლა, თუმცა, ბოლო წლების გამოცდილება, მათ შორის, შეერთებულ შტატებშიც (დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ჰილარი კლინტონი კარგი მაგალითია) გვიჩვენებს, რომ საბოლოოდ, როგორც წესი, ისევ მამაკაცი იმარჯვებს.

გასარკვევია ისიც, თუ რას გულისხმობენ პოლიტიკის ქვეშ ამა თუ იმ ქვეყანაში.

მას შემდეგ, რაც სოციალისტური ბანაკი დაიშალა და თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლიბერალურმა ფასეულობებმა გაიმარჯვა, შეგვიძლია თუ არა ვამტკიცოთ, რომ კაცების ბატონობის ხანაც დასრულდა და ქალების თანასწორუფლებიან სტატუსს არაფერი აღარ ემუქრება? დღევანდელი ფემინისტების მთავარი საზრუნავი გახდა ქალების კუთვნილი ადგილის დამკვიდრება ისტორიაში, შესწავლის საგნად ქალის ისტორიის გადაქცევა, ანუ მათი მიზანია დაანახონ ქალი როგორც ისტორიის შემოქმედი, ისეთივე, როგორც აქამდე მხოლოდ კაცი ითვლებოდა.

მართლაც, ქალების ისტორია იგივე ფემინიზმის ისტორიაა. ზოგადად, ფემინიზმი ქალების უფლებების დაცვას ნიშნავს. მაგრამ შეხედულება ამ უფლებებზე იცვლება, შესაბამისად, ფემინიზმის შინაარსიც ყოველთვის ერთნაირი არ არის. ეს სიტყვა წარმოიშვა საფრანგეთში დაახლოებით 1910 წელს. ამერიკაში ის გავრცელდა, როგორც „ქალთა უფლებების" გამომხატველი ტერმინი. აქედან გამომდინარე, ფემინისტები არიან ადამიანები, რომლებიც ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ იბრძვიან. არიან „რადიკალი" ანუ მებრძოლი ფემინისტები, „სოციალური ფემინისტები (სოციალური რეფორმებისთვის მებრძოლნი) და „ოჯახური" ფემინისტები, რომლებიც თვლიან, რომ ქალთა პრობლემების საფუძველი ოჯახშია და მათი ძირეული გადაწყვეტა სწორედ აქ არის საჭირო.[5]

სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები უგულვებელყოფდნენ ქალების პრობლემატიკის კვლევას. თვით აშშ-ში 1960-იანი წლების შუახანებამდე ქალებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომები არ შექმნილა. მხოლოდ სოციალური ისტორიით დაინტერესებამ და ახალმა ფემინისტურმა მოძრაობამ ბიძგი მისცა ქალების შესახებ ნაშრომების შექმნას. გამოჩნდა წიგნები ქალების როლზეც ამერიკის საზოგადოებაში. ყველა ამ გამოცემას, ფაქტობრივად, სათავე ბეტი ფრიდანის წიგნმა „ქალის საიდუმლომ" დაუდო. საინტერესოა, რომ 1975-1980 წლებში გამოცემული 36 წიგნის 3/4-ის ავტორები ახალგაზრდა ქალებია, რომლებიც 1960-იანი წლების ქალთა მოძრაობაში მონაწილეობდნენ და რომელთა მასწავლებლებიც კაცები იყვნენ[6]. 1981-1987 წწ უკვე 40 წიგნი გამოიცა. უმრავლესობის ავტორი კვლავ ახალგაზრდა ქალი იყო, მაგრამ უკვე ქალი

[5] იხ. Lois W. Banner. Women in Modern America: A Brief History. Fort Worth: Harcourt Brace College Publishers, 1995.

[6] Ellen C.DuBois and Vicki L.Ruiz Gerda Lerner, Women in History. Mainstream or Minority? In: «Interpretations of American History. Patterns and Perspectives», Edited by Gerard N.Grob and George Athan Billias, vol.II:Since 1877, Sixth Edition, New York: The Free Press, 1992, pp.76.

პედაგოგების მიერ აღზრდილი, თანაც ქალთა ისტორიის სპეციალიზაციის მქონე.[7] სწორად, 1970-იანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდა მეცნიერებმა პირველად შექმნეს ქალთა საკითხების შესწავლის პროგრამები და, ფაქტობრივად, სათავე დაუდეს განათლებისა და მეცნიერების ახალ დარგს.[8] თუმცა, შეიძლება დავსვათ რიტორიკული კითხვა: შეიძლება კი ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალების ისტორიის წერა? ალბათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეგვეძლება მას შემდეგ, რაც მეცნიერების ეს დარგი საქართველოშიც განვითარდება.

ქალთა საკითხების შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში განვითარების განსხვავებულ საფეხურზეა ისევე, როგორც მათდამი ინტერესიც განსხვავებულია. თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი კურსები 1970-იანი წლებიდან შემოიღეს, ბრიტანეთში, ისრაელსა და ავსტრალიაში ისინი უფრო გვიან, 1990-იან წლებში, გამოჩნდა. იაპონიაში ქალთა საკითხებს იკვლევენ უნივერსიტეტების გარეთ, ისტორიულ საზოგადოებებში. აქ მიაჩნიათ, რომ გენდერის ცალკე კვლევა გამართლებული არ არის. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას განვითარებად ქვეყნებზე, სადაც აღნიშნული საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელი და, საერთოდ, იგნორირებულია. თვით ინგლისურენოვან ქვეყნებშიც არ არის ერთი და იგივე ვითარება. ამ თემატიკაზე შექმნილი ნაშრომების უდიდესი ნაწილი ამერიკულია. მიუხედავად ამისა, ქალთა საკითხების აკადემიური პროგრამები მსოფლიოს ქვეყნების უნივერსიტეტების უმეტესობაში უკვე შეტანილია, თუმცა, ლიტერატურა თითქმის ყველგან ინგლისურენოვანია.

რატომ არის ისე, რომ ქალები საზოგადოებრივ და, პირველ რიგში, პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი აქტიურები არ არიან, როგორც კაცები? ამისთვის პატრიარქალური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნები უნდა ვიცოდეთ. რატომ შეიქმნა ასეთი საზოგადოება? რატომ გაიმიჯნა კაცისა და ქალის ფუნქციები? ეს ბიოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფსიქოლოგიური, თუ ისტორიული მიზეზებით არის გამოწვეული? დროთა განმავლობაში, პოლიტიკური თუ ეკონომიკური რეფორმების გავლენით, ქალის სტატუსი იცვლებოდა. მაგრამ ქალს ყოველთვის ნაკლები დრო და შესაძლებლობა ჰქონდა სწავლის გაგრძელებისა და პოლიტიკაში მონაწილეობისათვის. რატომ?

[7] Ibid.

[8] იხ. ქრისტინ მარი სელი. ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები და ქალების მოძრაობა თავისუფლებისათვის: მათი წინაპირობები, განვითარება და ქალების მნიშვნელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.180-186.

კითხვები დაუსრულებელია და ისინი პასუხს მოითხოვს. ალბათ, ერთი წიგნი საკმარისი არ იქნება ყველა მათგანზე პასუხის გასაცემად და საჭირო იქნება სხვადასხვა მიმართულებით კვლევა.

ამერიკელმა მკვლევრებმა ბევრ კითხვას პასუხი უკვე გასცეს, თუმცა, გაუცემელი კითხვებიც დარჩა. ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე შეერთებულ შტატებში არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა. მათი უმრავლესობა 1960-იან წლებში ამერიკელ ქალთა მოძრაობის ე.წ. მეორე ტალღის დაწყების შემდეგ, ძირითადად, 1970-90-იან წლებში შეიქმნა. ამ დროს გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც ქალთა საკითხების კვლევით დაკავდნენ და არაერთი საინტერესო ნაშრომი შექმნეს.

უშუალოდ ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებული ყველა წიგნის თუ სტატიის განხილვა ერთი ნაშრომის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ მივუთითებ მხოლოდ იმ მასალებს, რომლებიც მოცემული კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. იმ მონოგრაფიების, კრებულების უმრავლესობა, რომლებსაც რატგერსის უნივერსიტეტის მდიდარ ბიბლიოთეკაში გავეცანი, 1980-90-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში გამოქვენდა. მათში შესწავლილია ამერიკის შეერთებული შტატების XX საუკუნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის სხვადასხვა ასპექტი. ძირითადად, კვლევები აღნიშნული საუკუნის ბოლო სამ ათწლეულში არსებულ მოვლენებსა და პრობლემებს შეეხება.

შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის შესასწავლად ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პირველწყაროების გაცნობა. ვგულისხმობ, პოლიტიკოსი ქალების ბიოგრაფიას, კონკრეტულ ისტორიას, რომელსაც ამერიკელი მკვლევრები ქრონიკის სახით აქვეყნებენ, მათ მონოგრაფიებს, ინტერვიუებს, დოკუმენტებს, ოფიციალური გამოსვლის ტექსტებს, სტატისტიკას და ა.შ. მათ შორის, აღვნიშნავ ლინდა კ. კერბერისა და ჯეინ შერონ დე ჰარტის რედაქციით გამოცემულ პირველწყაროების კრებულს „ქალების ამერიკა".[9] მასში შესულია დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას ამერიკელ ქალებზე 1600-დან 1990-იან წლებამდე. კრებული საინტერესოა იმითაც, რომ მასში ცნობილი მკვლევრები ამა თუ იმ პერიოდში ქალებისთვის აქტუალურ პრობლემებს აანალიზებენ კიდეც.

ასევე, აღსანიშნავია პუბლიკაციები, რომლებშიც შესულია პოლიტიკოსი ქალების საჯარო გამოსვლები, ანგარიშები, ავტობიოგრაფიები

[9] Linda K. Kerber, Jane Sherron De Hart. Ed. Women's America. Forth Edition. Refocusing the Past. New York: Oxford University Press, 1995.

და ა. შ.[10] ეს მასალები დამეხმარა ამერიკელი ქალების როლის შეფასებაში ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

ცნობილი ქალი-პოლიტიკოსების, პირველი ქალბატონების ავტობიოგრაფიებს განსაკუთრებული ადგილი უკავია პოლიტიკაში ქალის როლის შესწავლის საქმეში XX საუკუნის შეერთებული შტატებში. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის მნიშვნელოვანია ელეანორ რუზველტის[11], ჰილარი კლინტონის[12], მედელინ ოლბრაიტის[13], კონდოლიზა რაისის[14] და სხვა ცნობილი პოლიტიკოსი ქალების უაღრესად საინტერესო ავტობიოგრაფიული ნაშრომები, რომლებმაც საშუალება მომცა შემესწავლა მათი გზა პოლიტიკური კარიერისკენ, მოღვაწეობის თავისებურებები, შეხედულებები ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე და ა.შ. ამ მხრივ, ასევე, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი ცნობილი ამერიკელი ქალების ბიოგრაფიებიც. მაგალითად, ბ.ვ.კუკის სამტომეული ელეანორ რუზველტზე[15], კარლ ბერნსტაინის[16] ან დენა ბ. ლევისა და ნიკოლ კრასასის ჰილარი კლინტონის ბიოგრაფია[17]. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ყველაზე მეტი ნაშრომი სწორედ ჰილარი კლინტონზეა შექმნილი. ავტორების შეფასებები წინააღმდეგობრივია. ისინი ან დადებითი, ან კრიტიკული ხასიათის არის, ისეთი, მაგალითად, როგორიც ქრისტოფერ ანდერსენის გახმაურებული ბესტსელერი „ამერიკელი ევიტა. ჰილარი კლინტონის გზა ძალაუფლები-

[10] მაგალითად, Alice Lynn Booth. Careers in Politics for the New Woman. Choosing Careers and Life-Styles, Franklin Watts/New York/London, 1978) ; Outstanding Women in Public Administration. Leaders, Mentors, and Pioneers. Edited by Claire L. Felbinger and Wendy A. Haynes. M.E.Sharpe, Armonk, New York, London, 2004; Geraldine A. Ferraro with Linda Bird Fracke. Foreword by Marie C. Wilson. Ferraro: My Story. Northwestern University Press, Evanston, Illinois, 2004; Look at the World Through Women's Eyes. Plenary Speeches from the NGO Forum on Women, Beijing '95. Edited by Eva Friedlander. Foreword by Irene M. Santiago. New York, 1996; Women's Routes to Elective Office. A Comparison with men's. Report written by Susan J. Carroll and Wendy S. Strimling. Center for the Women and Politics. Eagleton Institute of Politics, Rutgers – The State University of New Jerse y, 1983 და სხვ.

[11] Eleanor Roosevelt. The Autobiography of Eleanor Roosevelt. New York: Harper&Brothers, 1961.

[12] Hillary Rodaham Clinton. Living History. New York: Simon&Schuster, 2003.

[13] Madeleine Albright. Madam Secretary. A Memoir. New York: The Easton Press, 2003.

[14] Condoleezza Rice. No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington. New York: Crown Publishers, 2011.

[15] Blanche Weisen Cook. Eleanor Roosevelt. Volum 1: 1884-1933. Penguin Books, 1993; Volum 2: The Defining Years 1933-1938, Penguin Books, 2000; Volum 3: The War Years and After, 1939-1962, Penguin Books, 2016.

[16] Carl Bernstein. A Woman in Charge: The Life of Hillary Rodham Clinton. New York: Knopf Publishing Group, 2007.

[17] Dena B. Levy, Nicole R. Krassas. Hillary Clinton: A Biography (Greenwood Biographies. Westport: Greenwood Press, 2008.

სკენ"[18] ან ბეთ გ. ჰარპეზის „მეწინავე გოგონები. უცნობი ჰილარი"[19], ასევე, რ. ემეტ ტირელისა და მარკ ვ. დეივისის „მადამ ჰილარი. ბნელი გზა თეთრი სახლისკენ"[20] და კიდევ, ედვარდ კლეინის „სიმართლე ჰილარიზე"[21].

ამავე დროს, დაიბეჭდა ჰილარი კლინტონის გამონათქვამები, რომლებიც კარგ პირველწყაროს წარმოადგენს, მისი როგორც პოლიტიკოსის, პიროვნების შესაფასებლად[22].

ჟურნალისტმა ანტონია ფელიქსმა გამოაქვეყნა კონდოლიზა რაისისა[23] და ლაურა ბუშის[24] პოლიტიკური ბიოგრაფია, რომლებიც ნიუ იორკ თაიმსის ბესტსელერებად იქცა. რაისის ბიოგრაფიის გადმოცემისას, ავტორი საქართველოში მის ვიზიტსაც არ ივიწყებს და 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით რაისის პოზიციას გადმოსცემს.

პოლიტიკოსი ქალების შესახებ ნაშრომებს შორის შემიძლია დავასახელო ქალი-კონგრესმენის მერსი კერტურის წიგნი „ქალები კონგრესში. მეოცე საუკუნის ოდისეა"[25], რომელშიც ავტორი მეოცე საუკუნეში კონგრესის წევრი თხუტმეტი ქალის ისტორიას გადმოსცემს და მკითხველისთვის ნათელს ხდის, თუ რა გზა გაიარეს ამ ქალებმა თავიანთ პოლიტიკურ კარიერამდე, ასევე, მათ საქმიანობას სხვადასხვა კომიტეტში.

სენატორი კეი ბეილი ჰათჩინსონი თავის წიგნში „ამერიკელი გმირი-ქალები. ენერგიული ქალები, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა შექმნეს"[26], ასევე, გადმოსცემს იმ ქალების ბიოგრაფიას, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს შეერთებული შტატების პოლიტიკასა და ისტორიაში. ავტორი ამ ქალებს იმ სფეროების მიხედვით აჯგუფებს, სადაც მათ დიდი წვლილი შეიტანეს და დღესაც შეაქვთ.

განსაკუთრებით ბევრი პუბლიკაცია ეძღვნება ქალთა მოძრაობის ქრონიკებს, რომელთა ავტორები მათში მონაწილეები არიან. ასეთია,

[18] Christopher Andersen. American Evita. Hillary Clinton's Path to Power. New York: Avon Books, 2004.

[19] Beth G. Harpaz. The Girls in the Van. Covering Hillary. Thomas Dunne Books, St. Martin's Press, New York, 2001.

[20] R. Emmett Tyrrell, JR with Mark W. Davis. Madame Hillary. The Dark Road to the White House. Regnery Publishing, Ink, Washington DC, 2004

[21] Edward Klein. The Truth About Hillary. *What She Knew, When She Knew It*, And How Far She'll Go To Become President. SENTINEL, Penguin Group (USA) Inc, New York, 2005.

[22] Hillary Clinton. In Her Own Words. Edites by Liza Rogak. Berkeley: Seal Press, 2014.

[23] Antonia Felix. Condi. The Condoleezza Rice Story. New York: Newmarket Press, 2002.

[24] Antonia Felix. Laura: America's First Lady, First Mother. Avon: Adams media Corporation, 2003.

[25] Rep. Marcy Kartur. Women of Congress. A Twetieth-Century Odyssey. Congressional Quarterly Inc. Washington D.C., 1996.

[26] Senator Kay Bailey Hutchinson. American heroines. The Spirited Women Who Shaped Our Country. Harper Collins Publishers Inc. New York, 2004.

მაგალითად, ცნობილი ფემინისტისა და მეცნიერის ჯო ფრიმანის წიგნი „ჩვენ გაგვიგებენ: ქალების ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის შეერთებულ შტატებში"[27]. მასში ფრიმანი ამ ბრძოლის ნაკლებად ცნობილ ქრონიკებს გადმოსცემს, რაც გვახსენებს, რომ ამერიკელი ქალის ხმა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის ისმოდა და ისმის.

მსურს ცალკე გამოვყო ცნობილი ამერიკელი ფემინისტის, თანამედროვე ამერიკული ფემინიზმის დედამთავრის ბეტი ფრიდანის წიგნები[28] და, უპირველეს ყოვლისა, მისი „ქალის საიდუმლო". ეს წიგნი, ფაქტობრივად, პირველწყაროა და ყველა ფემინისტის სამაგიდო წიგნი. მასში ნათლად არის ასახული ავტორის დროინდელი ამერიკელი ქალების მდგომარეობა, მათი პრობლემები და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება. ასევე, ფრიდანის მიერ ჩამოყალიბებული ქალთა მოძრაობის პრინციპები და მეთოდები, რომლითაც ქალებს უნდა ეხელმძღვანელათ. ფრიდანმა, ქალთა მოძრაობის აუცილებლობა პირველმა წამოაყენა. მისი ნაშრომი არაერთ ამერიკელ მეცნიერს აქვს შესწავლილი. წინამდებარე წიგნში მას ცალკე ქვეთავი მეც მივუძღვენი.

პირველწყაროებს შორის აღსანიშნავია მერი ნორტონის ნაშრომი „უმთავრესი პრობლემები ამერიკელი ქალების ისტორიაში"[29], ეს არის დოკუმენტების კრებული, რომელშიც XVII-XX საუკუნეების ქალთა პრობლემური საკითხები არის განხილული. საინტერესო მოვლენებისა და ფაქტების ამსახველია ქრისტიან ლუნარდინის წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველა ამერიკელმა ქალთა ისტორიის შესახებ"[30]. მასში 200 მოვლენაა გადმოცემული, რომელმაც ამერიკელი ქალების ბედი შეცვალა. თითოეული ფაქტი წლების მიხედვით არის დალაგებული და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

ყველა ამ ნაშრომის გაცნობამ შესაძლებლობა მომცა პასუხი გამეცა კითხვებისთვის, თუ რატომ იყვნენ ქალები ასე უმნიშვნელოდ წარმოდგენილნი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანაც, მხოლოდ თითო-ოროლა

[27] Jo Freeman. We Will Be Heard: Women's Struggles for Political Power in the United States. Lanham: Rowman&Littlefield Publishers, Inc., 2008.

[28] Batty Friedan, The Feminine Mystique. New York: W.W. Norton & Company, Inc., 1963; It Changed My Life: Writings on the Women's Movement. Cambridge: Harvard University Press, 1976; The Second Stage. Cambridge: Harvard University Press, 1981; The Fountain of Age. New York: Simon&Schuster, 1993; Beyond Gender: The New Politics of Work and family. Washington D.C.: Woodrow Wilson Center Press with Johns Hopkins University Press, 1997; Life So Far: A Memoir. New York: Simon&Schuster, 2000.

[29] M. Norton. Major Problem in American Women's History. Documents and Essays. _ Lexington: Heath & Company, 1989.

[30] Christine Lunardini, What Every Amrican Should Know About Women's History. 200 Events that Shaped Our Destiny. Holbrook: Bob Adams, Inc., 1994.

პოლიტიკური ლიდერის როლში, ვინ არიან ეს ქალები, რამ განაპირობა მათი წინსვლა, რა თვისებები აქვთ და ა.შ. მაგრამ ეს კითხვები და მათზე პასუხის გაცემის სურვილი ყოველთვის იწვევდა და დღესაც იწვევს ახალი კითხვების გაჩენას და, შესაბამისად, მათზე პასუხის გასაცემად კიდევ უფრო მეტი ნაშრომის შექმნას.

პოლიტიკაში ქალის როლზე ერთ-ერთი პირველი ნაშრომი იუნესკომ 1955 წელს გამოსცა. ეს არის ფრანგი სოციოლოგისა და პოლიტოლოგის მორის დიუვერჟეს წიგნი „ქალების პოლიტიკური როლი"[31], რომელშიც იმ დროისთვის ქალთა თანასწორუფლებიანობის ახალი საკითხებია წამოწეული, კერძოდ, ქალის მონაწილეობა არჩევნებში, ქალი კანდიდატების პრობლემა, მათი წარმომადგენლობა მაღალ არჩევით თანამდებობებსა და პოლიტიკურ პარტიებში. პრაქტიკულად, ავტორს განხილული აქვს ის საკითხები, რომლებიც მოგვიანებით აღნიშნულ სფეროში ამერიკელი მეცნიერების კვლევის მთავარი ობიექტი გახდა.

ქალთა საკითხებზე მომუშავე ამერიკელ მკვლევართა ინტერესი ქალისადმი პოლიტიკაში მათ მრავალფეროვან მონოგრაფიებში აისახა. ჩემთვის საინტერესო პრობლემებზე არაერთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მუშაობს. მათ შორის, ერთ-ერთია სიუზან ქეროლი, რომელიც რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ამერიკელი ქალისა და პოლიტიკის ცენტრის წამყვანი მკვლევარია. მისი ავტორობითა და რედაქტორობით აღნიშნულ სფეროში არაერთი წიგნი და სტატია გამოიცა. მაგალითად, ნაშრომში „ქალები როგორც კანდიდატები ამერიკის პოლიტიკაში"[32], სიუზან ქეროლი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რასაც ქალებმა 1990-იანი წლებისთვის მიაღწიეს თავიანთ ბრძოლაში თანასწორუფლებიანობისთვის, მათი, როგორც კანდიდატების, მონაწილეობა არჩევნებში და წარმომადგენლობა არჩევით თანამდებობზე ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება კაცებისას. ქეროლი იკვლევს ამის მიზეზებს და თავის მოსაზრებებს გვთავაზობს.

არჩევნებში ქალების მონაწილეობას შეეხება მისი სხვა ნაშრომებიც[33],

[31] Maurice Duverger. The Political Role of Women. UNESCO, 1955.

[32] Susan J. Carroll. Women as Candidates in American Politics. Second Edition. Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1994.

[33] Susan J. Carróll. "Reflections on Gender and Hillary Clinton's Presidential Campaign: The Good, the Bad, and the Misogynic," *Politics & Gender* 5:1 (2009): 1-20; Susan J. Carroll. Security Moms and Presidential Politics: Women Voters in the 2004 Election, in *The Gender Gap: Voting and the Sexes*, edited by Lois Duke Whitaker (Champaign, IL: University of Illinois Press, 2008); Susan J. Carroll, Sue Tolleson-Rinehart. Far from Ideal': The Gender Politics of Political Science, *American Political Science Review* 100:4 (2006): 507-513; The Impact of Women in

რომელთა გაცნობა აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს ეხმარება შეერთებულ შტატებში არსებული მდგომარეობის შესწავლაში. მაგალითად, კრებულში „ქალი და ამერიკული პოლიტიკა"[34] სიუზან ქეროლმა გააერთიანა რამდენიმე მკვლევრის სტატიები, რომლებშიც ავტორები განიხილავენ ქალების არჩევნებში მონაწილეობის ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიც არის, მაგალითად, ქალი კანდიდატებისთვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსების პრობლემა[35], ქალების გავლენა პოლიტიკურ ლიდერთა თანამდებობებზე[36], ან გენდერული სტატისტიკა ამ საკითხში[37], მედიის გავლენა ქალების პოლიტიკურ ბედზე[38] და სხვ.

ქალებს პოლიტიკაში იკვლევს ზემოთ ნახსენები ჯო ფრიმანიც. მისმა წიგნმა „ქალების განთავისუფლების პოლიტიკა"[39] მიიღო ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის ჯილდო როგორც საუკეთესო ნაშრომმა ქალზე პოლიტიკაში. მასში ფრიმანი განიხილავს ფემინიზმის ორ მიმდინარეობას 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1973 წლამდე.

ჯო ფრიმანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია „დროებითი ოთახი. როგორ შეაბიჯეს ქალებმა პარტიულ პოლიტიკაში"[40]. ამ ნაშრომში ავტორი იკვლევს როგორც ქალების პოლიტიკურ ისტორიას, ასევე, პარტიულ პოლიტიკას. ის პასუხობს კითხვას, თუ როგორ შეაბიჯა ქალმა პოლიტიკურ ცხოვრებასა და, კონკრეტულად, პარტიულ პოლიტიკაში; განიხილავს საკითხს, თუ როგორ გააქტიურდა ამერიკელი ქალის პარტიული

Public Office. Edited by Susan J. Carroll. Indianapolis: Indiana University Press, 2001; Gender and Elections: Shaping the Future of American Politics. Ed by Susan Carroll and Richard L.Fox. Third Edition, New York: Cambridge University Press, 2014 და სხვ.

[34] Women and American Politics: New Questions, New Directions. Ed. by Susan J. Carroll. New York: Oxford University Press, 2010.

[35] Barbara Burrell. Money and Women's Candidacies for Public Office, in *Women and American Politics: New Questions, New Directions.* Ed. by Susan J. Carroll. New York: Oxford University Press, 2010. pp.72-88.

[36] Sue Thomas. The Impact of women in Political Leadership Positions, in *Women and American Politics: New Questions, New Directions.* Ed. by Susan J. Carroll. New York: Oxford University Press, 2010. pp. 89-110.

[37] Pippa Norris. The Gender Gap: Old Challenges, New Approaches, in *Women and American Politics: New Questions, New Directions.* Ed. by Susan J. Carroll. New York: Oxford University Press, 2010. pp.146-172.

[38] Kim Fridkin Kahn. Assessing the Media's Impact on the Political Fortunes of Women, in *Women and American Politics: New Questions, New Directions.* Ed. by Susan J. Carroll. New York: Oxford University Press, 2010. pp.173-189.

[39] Jo Freeman. The Politics of Women's Liberation: A Case Study of an Emerging Social Movement and Its Relation to the Policy Process. Lincoln: iUniverse.com, Inc, 2000

[40] Jo Freeman. A Room at a Time. How Women Entered Party Politics. Rowman&Littlefield Publishers, INC, Lanham.Boulder. New York, Oxford, 2000.

საქმიანობა 1960-70-იან წლებში; აკავშირებს წარსულს მომავალთან იმ პოლიტიკური სტრატეგიების განხილვით, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისშიც აქტუალურია.

საინტერესოა ფრიმანის რედაქტორობით გამოცემული კრებული „ქალები: ფემინისტური პერსპექტივა", მეხუთე გამოცემა[41], რომელშიც ამერიკელი პროფესორების ანალიტიკური სტატიების გაცნობა შეიძლება.

ჩემთვის საყურადღებოა ვაშინგტონში ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორის, „ქალი და პოლიტიკა" ინსტიტუტის დირექტორისა და ჟურნალ „ქალი და პოლიტიკა" რედაქტორის კარენ ო'კონორის რედაქციით გამოქვეყნებული კრებული „ქალები და კონგრესი. არჩევნებში მონაწილეობა, გამარჯვება, მართვა"[42], რომელშიც გაერთიანებულია ცნობილი მეცნიერების სტატიები ქალის როლზე შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოში. მათში შესწავლილია ის მიზეზები, რომლებიც უბიძგებს ქალებს გახდნენ იმ „ორგანოს წევრები, სადაც კაცები ბატონობენ". ასევე, ახსნილია, თუ როგორ აღწევენ ისინი არჩევნებში გამარჯვებას და როგორ ახერხებენ წარმატების მიღწევას ოფისში მუშაობისას; რა და ვინ ეხმარება ქალ-პოლიტიკოსებს არჩევნებში გამარჯვებაში; რა განსხვავებაა დემოკრატი და რესპუბლიკელი ქალების დამოკიდებულებაში სხვადასხვა პოლიტიკური საკითხისადმი, რა გავლენას ახდენს პოლიტიური შუშის ჭერი არჩევნებში ქალების მონაწილეობაზე და მრავალი სხვა.

ამერიკელ ქალთა საკითხების ცნობილი მკვლევარია ვისკონსინის უნივერსიტეტის (მედისონი) პროფესორი ვირჯინია საპირო, რომლის სახელმძღვანელოთი „ქალები ამერიკულ საზოგადოებაში: შესავალი ქალთა საკითხებში"[43] ბევრ უნივერსიტეტში მეცნიერებისა და განათლების ეს სფერო ისწავლება. მისი ნაშრომები[44], რომლებშიც ავტორი იკვლევს ქალს პოლიტიკაში, ქალის ლიდერობის საკითხებს და სხვ., ძალიან დამეხმარა ჩემთვის საინტერესო საკითხებზე მუშაობისას.

მაგალითად, სტატიაში „როდის არის ინტერესები საინტერესო? ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის პრობლემა"[45] საპირო ხაზს უს-

[41] Women: A Feminist Perspective – Fifth Edition. Houston: Mayfield Publishing Company, 1995.

[42] Karen O'Connor. Ed. Women and Congress. Running, Winning, and Ruling. Haworth Press, Inc. New York, London, Oxford, 2001.

[43] Women in American Society: An Introduction to Women's Studies. McGraw-Hill Education, 2002.

[44] Virginia Sapiro. A Vindication of Political Virtue: The Political Theory of Mary Wollstonecraft. Chicago: University of Chicago Press, 1992; Virginia Sapiro. The Political Integration of Women: Roles, Socialization, and Politics. University of Illinois Press, 1983.

[45] When Are Interests Interesting? The Problem of Political Representation of Women. In "Feminism and Politics", ed. by Anne Phillips. Oxford University Press, 2009, pp.161-192.

ვამს ქალთა განსხვავებული ჯგუფების არსებობას, რომელთა მიდგომა ამა თუ იმ პრობლემისა და მათი გადაჭრის გზისადმი განსხვავებულია. სრულად ვეთანხმები მის მტკიცებას, რომ ქალთა ჯგუფები განსხვავდება იდეოლოგიისა და ქალთა პრობლემების ხასიათისა და მიზეზების გაგების თვალსაზრისითაც. „სხვადასხვა სახის ფემინიზმი სამ კომპონენტზე ამახვილებს ყურადღებას: 1. რწმენაზე, რომ ქალების შესაძლებლობები და მათი ცხოვრების ხარისხი შეზღუდულია, ვინაიდან ისინი ქალები არიან; 2. პატრიარქალურობითა და სექსიზმით გამოწვეული შეზღუდვებისგან განთავისუფლების სურვილზე და 3. რწმენაზე, რომ აუცილებელია არა მარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ქმედება ქალთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის."[46]

ქალთა საკითხების მკვლევრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის უილიამ ჩეიფის ნაშრომები. ამერიკელ ქალზე თავის ერთ-ერთ პირველ პუბლიკაციაში „ამერიკელი ქალი: მისი შეცვლილი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური როლი"[47] იგი, ძირითადად, იკვლევს ამერიკელი ქალის ეკონომიკურ და სოციალურ სტატუსს XX საუკუნეში. მისი დახმარებით, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ იმ პროგრესს (ან პროგრესის ნაკლებობასაც), რომელსაც თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლისას ამერიკელმა ქალებმა მეცხრამეტე შესწორების შემდეგ პერიოდში მიაღწიეს. ბელა აბზუგმა ჩეიფის ამ ნაშრომს „ისტორიული კვლევა" უწოდა და ნამდვილად შეიძლება მას დავეთანხმო. ელის კესლერ-ჰარისმა კი მისი მნიშვნელობა შეაფასა როგორც ექსტრაორდინალური XX საუკუნის ამერიკელი ქალის კვლევის საქმეში.

ნაშრომში „ბილი და ჰილარი: პერსონალური პოლიტიკა"[48] ჩეიფი ხაზს უსვამს პირადი ურთიერთობის გავლენას ბილისა და ჰილარის პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და საქმიანობაზე, ახსენებს მკითხველს მათი ბიოგრაფიის დეტალებს, რა გავლენა იქონია ბავშვობამ, ოჯახმა და, რაც მთავარია, მათმა შეხვედრამ და თანაცხოვრებამ ამ ორი ადამიანის პოლიტიკურ საქმიანობაზე. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ჰილარის საქმიანობის მისეული შეფასება, რომელიც ყოველთვის დადებითი არ არის. ჩეიფის აზრით, სენატორობისას, ის ჩამოყალიბდა როგორც რეფორმატორი პოლიტიკოსი და თავისი თვისებები სახელმწიფო მდივნად მუშაობის დროსაც შეინარჩუნა. ის ხაზს უსვამს ჰილარის გამოცდილების

[46] Ibid., p.178.

[47] William H. Chafe. The American Woman: Her Changing Social, Economic and Political Role, 1920-1970. New York: Oxford University Press, 1972.

[48] William H. Chafe. Bill and Hillary: The Politics of the Personal. Duke University Press, 2016.

მნიშვნელობას მის შემდგომ პოლიტიკურ კარიერაში. შეძენილი თვისებები მას გამოადგა პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბებისას უცხო ქვეყნების ლიდერებსა და რიგით მოქალაქეებთან, მაგრამ, ამავე დროს, ჩეიფს მიაჩნია, რომ პირადი ხელშეუხებლობის შეგრძნებამ მას ბევრი შეცდომა დააშვებინა, რამაც სახელმწიფო ვალდებულებებთან პოტენციური კონფლიქტები წარმოშვა. ყველაფერი ეს კი, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მის სკანდალებში გამოვლინდა.

ნაშრომი „ცვლილების პარადოქსი: ამერიკელი ქალები მე-20 საუკუნეში"[49] ასევე ისტორიულ კვლევად შეიძლება შევაფასოთ. მასში ჩეიფმა 1970-იანი წლების შემდეგი ის ორი ათწლეულიც დაამატა, რომლებიც უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამერიკელი ქალების ცხოვრებაში. ჩეიფის ეს წიგნი ნამდვილ კლასიკად იქცა ამერიკელ ქალთა საკითხებში შექმნილ წიგნებს შორის და ძალიან დიდი დახმარება გამიწია ნაშრომზე მუშაობისას. აღნიშნულ წიგნში ჩეიფი პარადოქსს უწოდებს იმას, რომ მიუხედავად ქალების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო ფართოდ ჩაბმისა, მათ მაინც ვერ მიაღწიეს რეალურ თანასწორუფლებიანობას. როგორც „ამერიკელ ქალში", ამ ნაშრომშიც ჩეიფი იკვლევს „ქალის ადგილს" მთელი საუკუნის განმავლობაში, გამოკვეთს პრობლემებს, რომლებსაც ის ამ ათწლეულებში აწყდებოდა, მათ შორის, ერთდროულად, ოჯახისა და კარიერის ქონის შესაძლებლობას. ამ პრობლემების დიდი ნაწილი ქართველი ქალებისთვისაც მე-20 საუკუნეში და დღესაც უცხო არ არის. ასე რომ, ჩეიფის აღნიშნული ნაშრომის გაცნობა სასარგებლოა მათთვის, ვისაც სურს გაიგოს მეტი, თუ როგორ და რა წარმატებებით მიაღწიეს მათ 21-ე საუკუნემდე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია უილიამ ჩეიფის სხვა ნაშრომებიც, კერძოდ, „ქალი და თანასწორუფლებიანობა. ცვალებადი ნიმუშები ამერიკულ კულტურაში"[50] და „გზა თანასწორუფლებიანობისკენ: ამერიკელი ქალი 1962 წლის შემდეგ"[51].

ამერიკელი ქალების პოლიტიკური აქტივობის საკითხებზე მუშაობს ქალთა ისტორიის ცნობილი მკვლევარი სარა ევანსიც. მისი ნაშრომები ქალთა საკითხების მკვლევრებისთვის კლასიკურ ნაშრომებად ითვლება და

[49] William H. Chafe. The Paradox of Change: American Women in the 20th Century. New York: Oxford University Press, 1991.

[50] William H. Chafe. Women and Equality. Changing Patterns in American Culture. New York: Oxford University Press, 1977.

[51] William H. Chafe. The Road to Equality: American Women since 1962. New York: Oxford University Press, 1998.

სამაგიდო წიგნებად იქცა. ევანსის წიგნში „პერსონალური პოლიტიკა: ქალების განთავისუფლების ფესვები სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობასა და ახალ მემარცხენეობაში"[52]. მრავალწლიანი კვლევის, ლიდერებთან ინტერვიუების, პირადი გამოცდილების საფუძველზე შესწავლილია თანამედროვე ქალთა მოძრაობის ფესვები, ქალების მონაწილეობა 1960-იან წლებში შეერთებულ შტატებში გაშლილ მოძრაობებში. წიგნში „თავისუფლებისთვის დაბადებულნი. ქალის ისტორია ამერიკაში"[53] იგი, ფაქტობრივად, ამერიკელი ქალისა და მისი თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის მოკლე ისტორიას გადმოსცემს, რაც ჩემთვის საინტერესო საკითხების შეფასებაში დამეხმარა. საინრტერესოა, ასევე, ამ მკვლევრის სხვა ნაშრომებიც, კერძოდ, „აგორებული ტალღა: როგორ შეცვალეს ქალებმა ამერიკა საუკუნის დასასრულისთვის"[54]. მასში იგი აჯამებს 1960 წლიდან ქალების ცხოვრებაში მომხდარ დადებით ცვლილებებს, თუმცა, ხაზს უსვამს ასევე იმას, რისთვისაც მათ კიდევ მოუწევთ ბრძოლა. ამ წიგნში სარა ევანსი გადმოსცემს ამერიკელ ქალთა ბოლო ორმოცი წლის ისტორიას და ხშირად არღვევს მის ტრადიციულ ინტერპრეტაციას. იგი ამტკიცებს, რომ მეორე ტალღის ქალთა მოძრაობა ერთიანი არ იყო. არც იმდროინდელი სლოგანი „პირადი პოლიტიკურია" აღმოჩნდა წარმატებული. მიუხედავად ამისა, ევანსის აზრით, მესამე ტალღა (1980-90-იანი წწ) წარმატებული აღმოჩნდა. მის შედეგად, დღეს თითქმის ყველა ქალი ფემინისტად მოიაზრება, თუ პრაქტიკაში არა, ფორმალურად (გარეგნულად) მაინც. ავტორი ოპტიმისტურად არის განწყობილი და თვლის, რომ შესაძლებელია ქალებმა ბოლოს და ბოლოს სრულ თანასწორუფლებიანობას მიაღწიონ.

წინამდებარე წიგნზე მუშაობისას დიდი სამსახური გამიწია მარგარეტ ქონუეის, გერტრუდ სტიუერნაგელისა და დეივიდ აჰერნის ნაშრომმა „ქალები და პოლიტიკური მონაწილეობა. კულტურული ცვლილება პოლიტიკურ ასპარეზზე"[55], ასევე, ჰარიეტ ვუდსის წიგნმა „წინ ძალაუფლებისკენ. ამერიკელი ქალების პოლიტიკური მოგზაურობა"[56], ბარბრა ბარელის „ქა-

[52] Sara M. Evans. Personal Politics: The Roots of Women's Liberation in the Civil Rights Movements & the New Left. Knopf Doubleday Publishing Group, 2010.

[53] Sara M. Evans. Born for Liberty. A History of Women in America. Free Press Paperbacks, Simon&Schuster, New York, 1997.

[54] Sara Evans. Tidal Wave: How Women Changed America at Century's End. Simon and Schuster, 2010.

[55] M. Margaret Conway, Gertrude A. Steuernagel, David W. Ahern. Women & Political Participation. Cultural Change in the Political Arena. CO Press, Washington D.C., 1997.

[56] Harriett Woods. Stepping Up to Power. The Political Journey of American Women. Westview Press, Oxford, 2000.

ლები და პოლიტიკური მონაწილეობა. ცნობარი"[57].

ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია ქალები კონგრესში და რომელიც 1978 წელს გამოიცა, ელიზაბეთ ველენსს ეკუთვნის[58]. იმავე 1979 წელს გამოიცა ჯინ მაქრეინოლდსის წიგნი „ქალები ხელისუფლებაში"[59]. ჯენიფერ ლოულესი და რიჩარდ ფოქსი წერენ იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ იბრძვიან ქალები არჩევითი თანამდებობებისთვის[60]. მოლი მეიჰედი თავის ნაშრომში ცდილობს გაარკვიოს, თუ რა პერსპექტივები აქვთ ქალებს XXI საუკუნეში[61]. კეთლინ გეი[62], ლინდა ვიტი, კარენ პაგეტი, გლენა მეთიუ[63], ჯოან რეჯოპი[64], თალია ზეპატოსი და ელიზაბეთ კაუფმანი[65], კლერ მ. რენზეტი და დენიელ ჯ. ქურანი[66], ქეთრინ რიმფი[67] თავიანთ ნაშრომებში იხილავენ ამერიკელი ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის სხვადასხვა საკითხს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვნი ნაშრომია კეტრინ ტიმეშის „მადამ პრეზიდენტი. პოლიტიკაში ქალების ექსტრაორდინარული, მართალი მოთხრობა"[68], რომელმაც როგორც 2004 წლის საუკეთესო წიგნმა ნიუ იორკ ტაიმსის ჯილდო დაიმსახურა. პირველწყაროების საფუძველზე, ავტორი გადმოსცემს იმ ქალების ისტორიას, რომლებმაც თანამედროვე ქალებს პოლიტიკური კარიერისკენ გზა გაუკვალეს და შესაძლებელი გახადეს,

[57] Barbara Burrell. Women and Political Participation. A Reference Handbook. ABC CLIO, Santa Barbara, California, 2004.

[58] Elizabeth Vallance. Women in the House. A Study of Women Members of Parliament. London, The Athlone Press, 1979.

[59] Ginny McReynolds. Women in Power. Raintree Publishers, Milwaukee, Toronto, Melbourne, London, 1979.

[60] Jennifer L. Lawless, Richard L. Fox. It Takes a Candidate. Why Women Don't Run for Office. New York: Cambridge University Press, 2005.

[61] Molly A. Mayhead. Women's Political Discourse: a 21st Century Perspective. Lanham& Littlefield, 2005.

[62] Kathlyn Gay. The New Power of Women in Politics. Hillside, NJ: Enslow Publishers, Inc., 1994.

[63] Linda Witt, Karen M. Paget, Glenna Matthews. Running as a Woman. New York: The Free Press, 1994.

[64] Joanne Rajoppi. Women in Office. Getting There and Staying There. Foreword by Ruth Mandel. Bergin&Garvey, Westport, Connecticut, London, 1993.

[65] Thalia Zepatos & Elizabeth Kaufman. Women for a Change. A Crassroots Guide to Activism and Politics. Facts on File, Inc. New York NY, 1995.

[66] Claire M. Renzetti, Daniel J. Curran. Women, Men, and Society. Boston, London, Toronto, Sydney, Tokyo, Singapore. Allyn and Bacon, 1999.

[67] Catherine E. Rymph. Republican Women. Feminism and Conservatism from Suffrage through the Rise of the New Right. A history of women's activism in the GOP. North Carolina, The University of North Carolina Press, 2005.

[68] Catherine Thimmesh. Madam President. The Extraordinary, True (and Evolving) Story of Women in Politics. Houghton Mifflin Company, Boston, 2004.

რომ ქალი შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი გამხდარიყო, მომავალში კი, შესაძლებელია, პრეზიდენტობასაც კი მიაღწიოს.

ამ მხრივ, საინტერესოა მემფისის უნივერსიტეტის პროფესორის, ქალთა საკითხების ერთ-ერთი ცნობილი მკვლევრის ჯენან შერმანის ნაშრომები, მათ შორის, მისი წიგნი „ქალისთვის ადგილი არ არის: სენატორ მარგარეტ ჩეიზ სმიტის ცხოვრება", რომელიც 1999 წელს გამოიცა რატგერსის სერიის „ქალი და პოლიტიკა" ფარგლებში.[69] მასში ავტორმა შეისწავლა იმ პოლიტიკოსი ქალის ბიოგრაფია, მისი გავლენა ამერიკის პოლიტიკასა და ქალებზე, რომელმაც საკუთარი თავის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კანდიდატად წამოყენება გაბედა.

სანდრა ბახტერისა და მარჯორი ლენსინგის წიგნში „ქალი და პოლიტიკა"[70], რომელიც აღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ერთ-ერთი პირველია, მოცემული არის 1976 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გენდერული სტატისტიკა, ქალის როლი ამ არჩევნებში და სხვ. აღნიშნული წიგნი საინტერესოა თანამედროვე მონაცემებთან შედარების თვალსაზრისითაც.

პატრისია სალივანისა და ლინ ტერნერის წიგნში „პერიფერიიდან ცენტრისკენ. თანამედროვე ქალები და პოლიტიკური კომუნიკაცია"[71] ავტორები პოლიტიკური კომუნიკაციის თეორიულ საკითხებს იკვლევენ და სამი პოლიტიკოსი ქალის, მათ შორის, ჰილარი კლინტონის მაგალითზე არკვევენ, თუ რა რიტორიკულ ხერხს მიმართავენ ისინი პოლიტიკური დისკუსიისას; რა მორალური ნინაღობებია ქალის გზაზე პოლიტიკური ასპარეზისკენ. ავტორების აზრით, ეს არის ზღვარი მორალსა და პოლიტიკას, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას შორის. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ამ სამ პოლიტიკოს ქალს აღნიშნული წინაღობების, გენდერული სტერეოტიპების დაძლევის განსხვავებული სტრატეგია აქვთ.

ამერიკელ ქალთა 1830-1945 წლების პრობლემებზე წერს ს.ჯ.კლინბერგი თავის ნაშრომში „ქალები შეერთებულ შტატებში, 1830-1945"[72], რომელიც რატგერსის უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1999 წელს გამოაქვეყნა. პრაქტიკულად, ავტორი გადმოსცემს აღნიშნული პერიოდის

[69] Jenann Sherman. No Place for a Woman. A Life of Senator Margaret Chase Smith. New Brunswick: Rutgers University Press, 1999.

[70] Sandra Baxter, Marjorie Lansing. Women and Politics. The Visible Majority. Revised Edition. Ann Arbor. The University of Michigan Press, 1983.

[71] Patricia A. Sullivan and Lynn H. Turner. From the Margins to the Center. Contemporary Women and Political Communication. PRAEGER, Westpost, Connecticut, London, 1996.

[72] S.J. Kleinberg. Women in the United States 1830-1945. New Brunswick, New Jersey: Rutgers University Press, 1999.

ამერიკელი ქალების ისტორიას, რომელიც თემატურად არის დალაგებული და რომელთა შორის განხილულია ქალი და პოლიტიკაც.

ჩემთვის საინტერესო საკითხებზე მნიშვნელოვანი მასალის მოძიების საშუალება მომცა სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნებულმა სტატიებმა[73]. მაგალითად, კრებულში „ქალები და არჩევითი ოფისი. წარსული, აწმყო და მომავალი"[74] გაერთიანებულია არაერთი სტატია, რომელშიც ავტორები იხილავენ ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიც არის ქალების საარჩევნო კამპანიების დაფინანსება[75], საზოგადოების დამოკიდებულება ქალი-კანდიდატებისადმი[76] და სხვა.

კონკრეტული საკითხებია შესწავლილი კრებულში „ქალები და ძალაუფლება ამერიკის ისტორიაში"[77]. მასში შესული მასალებიდან ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა სინტია ჰარისონის სტატია, რომელშიც 1960-იანი წლების ქალთა მოძრაობის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა – ქალებისთვის ეროვნული ორგანიზაციის (NOW) შექმნის დეტალებია განხილული[78].

ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს ნაშრომები, კრებულები საერთო სახელწოდებით „ფემინიზმი და პოლიტიკა"[79]. მათში ფემინიზმის პოლიტიკასთან დაკავშირებული თეორიული საკითხებია განხილული და სასარგებლოა მასთან დაკავშირებული ზოგადი დასკვნების გაკეთებისას.

---

[73] Women in Politics. Outsiders or Insiders? Ed. By Lois Lovelage Duke. Prentice-Hall, Inc. New Jersey, 1996; Women, Politics, and Change. Edited by Karen Ross. Oxford University Press, New York, 2002; Women and Elective Office: Past, Present, and Future. Ed. By Sue Tomas and Clyde Wilcox. Oxford University Press, Oxford, NY, 2005; Outstanding Women in Public Administration. Leaders, Mentors, and Pioneers. Edited by Claire L. Felbinger and Wendy A. Haynes. M.E.Sharpe, Armonk, New York, London, 2004, რომელშიც შეკრებილია სტატიები ცნობილ ამერიკელ ქალებზე; Sharing Power. Women, Parliament, Democracy. Edited by Yvonne Galligan, Manon Tremblay. ASHGATE, Aldershot, England. Burlington, USA, 2005; Power / Gender. Social Relations in Theory and Practice. Edited by H. Lorraine Radtke and Henderikus J. Stam. SAGE Publications London, Thousand Oaks, New Delhi, 1994.

[74] Sue Thomas and Clyde Wilcox, Editors. Women and Elective Office. New York: Oxford University Press, 2005.

[75] Barbara Burrell. Campaign Financing: Women's Experience in the Modern Era. In: Women and Elective Office, pp.26-40.

[76] Katheleen Dolan. How the Public Views Women Candidate. Women and Elective Office, pp.41-59.

[77] Women and Power in American History. Volume Two. From 1870. Second Edition. Edited by Katryn Kish sklar and Thomas Dublin. Upper Saddle River, New Jersey: Prentice Hill, 2002.

[78] Synthia Harrison. A New Women's Movement: The Emergence of the National Organization for Women, pp.227-239.

[79] Chris Corrin. Feminist Perspectives on Politics. LONGMAN, London and New York, 1999; Barbara Arneil. Politics & Feminism. Blackwell Publishers, Malden, Massachusetts, 1999; "Feminism & Politics", Ed. By Anne Pillips, New York: Oxford University Press, 1998.

ქალთა საკითხებზე შექმნილი ზოგადი ლიტერატურა მრავალრიცხოვანია. ისინი ჩემთვის საინტერესო იყო სხვადასხვა პერიოდში ამერიკელ ქალთა მოძრაობისა და ქალის სტატუსის შესწავლისას. მათ შორის, აღვნიშნავ, ფაქტობრივად, სახელმძღვანელოს „ქალების რეალობა, ქალების არჩევანი. შესავალი ქალთა საკითხებში"[80], რომელიც ჰანტერ კოლეჯის ქალთა საკითხების მკვლევართა კოლექტივმა შექმნა. წიგნში ერთი თავი ეძღვნება ქალს პოლიტიკაში[81].

ასევე, ქალთა საკითხების შესავალს წარმოადგენს გუინ კირკისა და მარგო ოკასავა-რეის წიგნი „ქალების ცხოვრება. მულტიკულტურული პერსპექტივები"[82], რომელშიც ქალი ყველა სფეროსთან მიმართებაშია განხილული.

ქალთა საკითხებში შექმნილი ზოგადი ლიტერატურიდან ბევრი საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორის ლუის ბენერის წიგნიდან „ქალები თანამედროვე ამერიკაში: მოკლე ისტორია"[83]. მასში ავტორი ამერიკელი ქალის ისტორიას გადმოსცემს 1890 წლიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. ეს ნაშრომი დამეხმარა თვალი გამედევნებინა, თუ როგორ იცვლებოდა ამ ხნის განმავლობაში ქალის სტატუსი, რა დიდი განსხვავებაა თვით ქალებს შორის და როგორი წინააღმდეგობრივია მათი კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური როლები.

ქალთა საკითხების ფაქტობრივ ენციკლოპედიას წარმოადგენს კონსტანს ჯონსის წიგნი „1001 რამ, რაც ყველამ უნდა იცოდეს ქალების ისტორიის შესახებ"[84]. მასში ყველა სფეროში მოღვაწე ქალის მოკლე ბიოგრაფია არის შესული.

შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ქალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკაში. თუმცა, ამ საკითხის ცოდნა აუცილებელია შეერთებულ შტატებში აღნიშნულ სფეროში არსებული ვითარების უკეთ შესაფასებლად. მსგავსი ხასიათის ზოგიერთი ნაშრომის[85] გაცნობამ შე-

[80] Women's Realities, Women's Choices. An Introduction to Women's Studies. Third edition, Hunter Colleage Women's Studies Collective. New York: Oxford University Press, 2005.

[81] Ibid., pp.413-440.

[82] Women's Lives. Multicultural Perspectives. Boston: Mc Graw Hill, Higher Education, 2003.

[83] Lois W. Banner. Women in Modern America: A Brief History. 4th Edition. Belmont: Thomson/ Wadsworth, 2005.

[84] Constance Jones. 1001 Things Everyone Should Know About Women's History. New York: Doubleday, 1998.

[85] Women and Politics in Western Europe. Edited by Sylvia Bashevkin. Frank Cass, London, 1985; Joni Lovenduski. Women and European Politics Contemporary Feminism and Public Policy.

დარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა მომცა და არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ საქართველოშიც, ქალის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შეფასებაშიც დამეხმარა.

საქართველოში ამერიკელი ქალების საკითხებით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდნენ. ქართულ გაზეთებში არაერთი სტატია დაიბეჭდა ამერიკელი ქალების შესახებ. ეს პუბლიკაციები კარგად შეისწავლა ჩემმა დოქტორანტმა მარიამ ხატიაშვილმა. სალექციო კურსის „ქალი ამერიკის XX საუკუნის პოლიტიკასა და კულტურაში" ფარგლებში, მომზადებული რეფერატი მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ ჟურნალში გამოაქვეყნა.[86] ამავე საკითხზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს რუსუდან დაუშვილის ნიგნი „ქართველები ამერიკაში"[87]. აღნიშნული ნაშრომების გაცნობამ შესაძლებლობა მომცა დამედგინა, თუ როგორი იყო ქართველი საზოგადო მოღვაწეების და, ზოგადად, ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა საკითხებისადმი, მათი თანასწორუფლებიანობისადმი ჯერ კიდევ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. ამერიკელი ქალების პოლიტიკურ თავისუფლებაზე, მათ სტატუსზე, პრობლემებსა და მიღწევებზე სტატიების გამოქვეყნებით, ამერიკელი ქალების მაგალითის მოტანით, მათ აშკარად სურდათ საქართველოში ქალთა პრობლემებზე ყურადღების გამახვილება და მომავალში მათი მოგვარებაც. იმდროინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემებში („დროება", „კვალი", „ივერია" და სხვ.) გვხვდება სტატიები ამერიკელი და, მით უმეთეს, ქართველი ქალებისათვის ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიც არის, საარჩევნო ხმის უფლება[88], ქალების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა, მათი

The University of Massachusetts Press, Amherst, 1986; Vicky Randall. Women and Politics. An International Perspective. Second Edition. Macmilan Education, Houndmills,... and London, 1987; Women and Politics Worldwide. Edited by Barbara J. Nelson & NajmaChowdhury. Yale University Press, New Haven & London, 1994; A History of Women in the West. V. Toward a Cultural Identity in the Twentieth Century. Edited by Francoise Thebaud. Cambridge: Harvard University Press, 1994; Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia. Edited by Sarah Ashwin. York: Routledge, 2000; Merry E. Wiesner-Hanks. Gender in History. Oxford: Blackwell Publishers Inc., 2001; Women and Politics of Place. Edited by Wendy Harcourt and Arturo Escobar. Kumarian Press, 2005.

[86] მ. ხატიაშვილი, „ნაცნობი" და „უცნობი" ამერიკელი ქალები 1860-1880-იანი წლების ქართული პრესა-პერიოდიკის მიხედვით. სტუდენტური წელინდეული, ჰუმანიტარული კვლევები, ნომერი 1. მისამართზე: http://asj.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=12&title=

[87] რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია ამერიკაში, გამომცემლობა „რაეო", თბილისი, 2014

[88] ამერიკის ქალების პეტიცია (თხოვნა) რომ იმათ მიენიჭოს პოლიტიკური უფლება. დროება. N5. გვ. 4. 01.04.1866. იხ. მ.ხატიაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზრი

პოლიტიკური აქტიურობა და საზოგადოებრივ ასპარეზზე დაწინაურება[89].

აღსანიშნავია, რომ ხშირად ქართულ პრესა-პერიოდიკაში ამერიკელ ქალებზე გამოქვეყნებული მასალა გაზვიადებული იყო და რეალობას არ ასახავდა.[90] მაგალითად, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში სერგეი მესხის თარგმნილი ფრანგი მწერლის ლაბულეს ინფორმაცია არის გამოქვეყნებული, სადაც წერია, რომ ევროპასთან შედარებით, სადაც ქალი ჯერ მამის მონაა, მერე კი – ქმრის, ამერიკელ ქალს მამაკაცის თანაბარი უფლებები აქვს მოპოვებული; ბავშვობიდან მისთვის ღიაა ყველა სასწავლებლის კარი; მას საზოგადოებრივი აზრი მფარველობს და ვინაიდან ნაკლებს შრომობს, ქალს განათლებისთვის მეტი დრო აქვს და, ასევე, სიყვარულით თხოვდება.[91] ასევე, ამ მხრივ, საინტერესოა „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატია, სადაც ხაზგასმულია, რომ ამერიკული კანონმდებლობა ქალის მხარეზეა, თუმცა, სხვადასხვა შტატის კანონები განსხვავებულია.[92]

მსგავსი ინფორმაცია ემსახურებოდა გენდერული თანასწორუფლებიანობის პროპაგანდას, რაც იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის პროგრესულობაზე მეტყველებს.

ფემინიზმის საკითხებით დაინტერესებული თანამედროვე ქართველი მკვლევრები კონკრეტულად ამერიკელი ქალების პრობლემებს არ ეხებიან. თუმცა, შექმნილია ნაშრომები, რომლებშიც ფემინიზმის თეორიული და ქალის საქართველოს პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხებია განხილული[93].

მე-19 და მე-20 საუკუნის ამერიკელი ქალის სტატუსის შესახებ ამავე პერიოდის ქართული პრესა-პერიოდიკის მიხედვით. რეფერატი, ხელნაწერი, 2017, გვ.4.

[89] ს. მესხი. ამერიკის შკოლები. დროება. N16. 17.04.1869. თბილისი, გვ.1-2; ქალების შესახებ ამბები: დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში დაარსებული ქალთა ასოციაციები და გამოცემული ჟურნალები. დროება. N25. 19.06.1869. თბილისი, გვ.4; ჩინოვნიკი-დედაკაცები ამერიკის შეერთებულ შტატებში. დროება. N25. 19.06.1869. თბილისი, გვ.4; დონ-იაგო (იგივე, იაკობ მანსვეტაშვილი), ფელეტონი, უცხოთა შორის. ივერია. N101. 23.05.1887. თბილისი, გვ.1-3; კავკაველი შ. უცხოთა შორის. ამერიკელი ქალების მონაწილეობა ყოველგვარ საქმეში. ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლება. ქალები პროფესორებად და რექტორებად. ივერია. N118. გვ. 1-2. 06.06.1898. თბილისი.

[90] რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია ამერიკაში, გამომცემლობა „რაეო“, თბილისი, 2014, გვ.10.

[91] ზანგებისა და ქალების უფლებები ამერიკაში. დროება. N13. 02.04. 1870, გვ.3.

[92] ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდან), გაზეთი ივერია, 1990, N229, გვ.3.

[93] თ.კიკნაძე, ნ.დონაძე. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. შოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006; თ.კიკნაზე. ქალი და პოლიტიკა (სახელმძღვანელო), თბილისი, 2003; ნადარაია ლ. ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში, კრებულში „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“, რედ. ლ.გაფრინდაშვილი, თბილისი, 2005; ლ. გაფრინდაშვილი. არიერგარდში

ქართულ ენაზე სპეციალურად ამერიკელი ქალების თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტური მასალებიდან გამოქვეყნებულია მხოლოდ სენეკა ფოლსის „გრძნობების დეკლარაცია“ კრებულში „პატრიოტთა ისტორიის მასალები“[94], ასევე, საპრეზიდენტო განკარგულება დასაქმების თანასწორი შესაძლებლობების შესახებ, 1965 წელი.[95]

1920-იანი და 1950-იანი წლების ქალებზე წერს ვასილ კაჭარავა თავის წიგნებში „ამერიკა 1920-იან წლებში: ამერიკული ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური აყვავება, ჯაზის ეპოქა, მშრალი კანონი, დეპრესია“[96] და „ამერიკა 1050-იან წლებში: ეიზენჰაუერივით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი“.[97]

ამერიკელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის პრობლემებზე ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულია ჩემი არაერთი სტატია.[98] მათში შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: ისტორიული კატაკლიზმების და რელიგიის გავლენა ამერიკელი ქალების სტატუსზე,[99] 1960-იანი წლების ქალთა მოძრაობა;[100] კენედის, რეიგანისა და კლინტონის ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებ-

თუ ავანგარდში – ქალების არჩევანი. კრებულში „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, თბილისი, 2009, გვ. 27-30. ლ. გაფრინდაშვილი. ქართული განმანათლებლობა: ევროპის კვალდაკვალ და იმპერიის მარწუხებში. კრებულში „დემოკრატიულ ღირებულებათა ნაკვალევზე“. ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის. თბილისი, 2011, გვ. 48-113.

[94] „პატრიოტთა ისტორიის მასალები“, ლერი შვაიკარტი, დეივ დოკერტი, მაიკლ ალენი, რედ., ინგლისურიდან თარგმნი, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორები ვასილ კაჭარავა, ელენე მეძმარიაშვილი, ანასტასია ზაქარიაძე, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014, გვ.222-228.

[95] იქვე, გვ. 530-546.

[96] ვ.კაჭარავა, ამერიკა 1920-იან წლებში: ამერიკული ინდივიდუაიზმი, ეკონომიკური აყვავება, ჯაზის ეპოქა, მშრალი კანონი, დეპრესია. თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008, გვ. 189-193.

[97] ვ.კაჭარავა, ამერიკა 1950-იან წლებში: ეიზენჰაუერივით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“, 2011, გვ. 162-171.

[98] იხ. ბიბლიოგრაფია.

[99] ე. მეძმარიაშვილი, ისტორიული კატაკლიზმების გავლენა ქალის სტატუსზე. სამეცნიერო სტატიების კრებული, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007, გვ. 69-77. ე. მეძმარიაშვილი, ქალი და რელიგია: აშშ-ის მაგალითი. „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი. საქართველო: რელიგია და თანამედროვეობა“ (Research for Religious Studies), № 1-2, თბილისი, ს-ს ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, 2009, გვ.185-189.

[100] E.Medzmariashvili, Causes of the "Second Wave" of Women's Movement in the US / *American Studies Periodical*, International Black See University, Tbilisi, 2008, pp117-124.

ში[101]; ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის[102], მათ შორის, ამერიკელი ქალი და არჩევნები[103], აშშ-ში ქალების პოლიტიკური აქტიურობა თანამედროვე ეტაპზე[104]; XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ქალი-პოლიტიკოსები[105]; პირველი ქალბატონების როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში[106] და სხვ. ასევე, კვლევის ცალკე ობიექტია ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემები შეერთებულ შტატებში.[107]

[101] E.Medzmariashvili, Kennedy Administration Policy in Women Issues. American Studies Periodical, 6th Edition, IBSU, 2013, pp.143-150; ე. მეძმარიაშვილი, რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში. კრებულში „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ.119-125; ე. მეძმარიაშვილი, ქალების პოლიტიკური აქტიურობის ზოგიერთი ასპექტი 1980-იანი წლების აშშ-ში. თსუ სამეცნიერო სტატიების კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 82-92.

[102] ე. მეძმარიაშვილი, ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო სტატიების კრებული, მიძღვნილი არჩილ ჩხეიძის ხსოვნისადმი, თბილისი, 2003, გვ.180-188; ე.მეძმარიაშვილი, ქალის როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებული: „ამერიკის შესწავლის საკითხები", №1, თსუ, თბილისი, 2002, გვ.192-199, თანაავტორი ტ.დენისოვა. E.Medzmariashvili, Role of Women in the US and Georgian Politics (Comparative Analyses), American Studies Periodical, 4th Edition, IBSU, Tbilisi, 2012, pp.129-137.

[103] ე. მეძმარიაშვილი, ამერიკელი ქალი და არჩევნები. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ.266-273.

[104] ე.მეძმარიაშვილი, ქალის პოლიტიკური აქტიურობის ზოგიერთი საკითხი აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში. ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, II, 2012, გვ. 96-110, http://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/12145?locg=1;expand=cnbrowse; ე.მეძმარიაშვილი, ქალის როლი შეერთებული შტატებისა და საქართველოს პოლიტიკაში (შედარებითი ანალიზი), ამერიკის შესწავლის ჟურნალი, მე-5 გამოცემა, 2012, გვ. 129-137; E.Medzmariashvili, Some Problems of Women's Political Activity in the United States, European Countries and Georgia (Comparative Analysis), American Studies Periodical, 4th Edition, IBSU, Tbilisi, 2011, pp.120-127.

[105] ე. მეძმარიაშვილი, ქალი-სახელმწიფო მდივნების როლი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში, ამერიკის შესწავლის საკითხები, VI, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, გვ.101-109; E.Medzmariashvili, Condoleezza Rice and Her Strategy against Terrorism, American Studies Periodical, 8th Edition, IBSU, Tbilisi, 2015, pp.55-59; ე. მეძმარიაშვილი, ქალი – პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი? კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", IV, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006, გვ.206-210.

[106] ე.მეძმარიაშვილი. პირველი ქალბატონის ინსტიტუტი აშშ-სა და საქართველოში: შედარებითი ანალიზი. კრებულში: მე-5 საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში, V, 2011, გვ.172-186.

[107] ე. მეძმარიაშვილი,მესამე ტალღის ქართველი იმიგრანტი ქალები აშშ-ში: ამერიკანიზაციის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი",1, 2010. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/

საინტერესოა, რომ ამერიკელი ქალების საკითხებს არცერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ისე ფართოდ არ იკვლევენ, როგორც საქართველოში. რუსეთშიც ეს საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი არ არის, მიუხადავად იმისა, რომ იქ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ფარგლებში აშშ-სა და კანადის ინსტიტუტი დაარსდა. მაგრამ, იქაც ამ მიმართულებით წლების მანძილზე, ფაქტობრივად, ერთი მკვლევარი ნადეჟდა შვედოვა მუშაობდა. ასე რომ, რუსეთში ამერიკელი ქალების პრობლემატიკა სათანადოდ შესწავლილი არ არის [108].

როგორც ზემოთ აღვინიშნე, თვით ამერიკული ლიტერატურა ქალების შესახებ უაღრესად მდიდარია. ყველა არსებული წყაროს ამ ერთ ნაშრომში გათვალისწინება რეალურად შეუძლებელია. ამიტომ მასში გამოყენებულია მხოლოდ ის მასალა, რომელიც კონკრეტული საკითხების შესასწავლად საჭიროდ ჩავთავალე და რომელზეც ხელი მიმიწვდებოდა. თვით პრობლემებიც ამოუწურავია. მაგრამ, დიდი იმედი მაქვს, რომ ამერიკელი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხების შესწავლა საქართველოში გაგრძელდება და მათი ცოდნა საქართველოს ქალებს მომავალ წარმატებაში დაეხმარება.

---

text/index/2; E.Medzmariashvili. Problems of Social and Cultural Adaptation of Georgian Immigrant Women in the U.S.A. American Studies Periodical, 3rd edition, 2010, pp.117-121; ე. მეძმარიაშვილი.ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემები აშშ-ში ამერიკის შესწავლის საკითხები, მე-5, გამომცემლობა „კლიო", 2008, გვ.198-203 და სხვ.

[108] Шведова Н. Институт Первой Леди как компонент американской политической культуры. Гендерные аспекты политических процессов. CYBERLENINKA, 2013, CC.51-58; http://cyberleninka.ru/article/n/institut-pervoy-ledi-kak-komponent-amerikanskoy-politicheskoy-kultury; Шведова Н. Статус женщин и механизмы гендерного равенства в США. В журнале «Женщина в российском обществе», cc.491-512. https://womaninrussiansociety.ru/article/shvedova-n-a-zhenshhiny-v-ssha-mexanizm-gendernogo-ravenstva-str-22-53/ Попкова Л. Социально-правовой статус жентщин США: История XX века. Портал «Женьщина и общество», http://www.owl.ru/library/036t.htm и др.

თავი 1.

ამერიკელი ქალის სტატუსი XX საუკუნის პირველ ნახევარში

ქალთა მოძრაობის პირველი ტალღა აშშ-ში

ქალისა და მამაკაცის არათანასწორუფლებიანობის საკითხი უხსოვარი დროიდან არსებობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინათ ქალებისთვის ეს უთანასწორობა პრობლემას არ წარმოადგენდა და უმრავლესობა კმაყოფილიც კი იყო თავისი მყარად განსაზღვრული სტატუსით. ორ სქესს შორის როლი მკაფიოდ იყო განაწილებული: „კაცი საქმეებს აგვარებს გარეთ, ქალი კი კარს შიგნით..." („man to manage matters in the world outside and woman is to keep within doors...")[1]. ამ აზრს იზიარებდნენ ძველ საბერძნეთში, რაც აშკარად ჩანს ბერძნულ ლეგენდებსა თუ ტრაგედიებში. ასევე ფიქრობდნენ ებრაელები, რომლებისთვისაც წარმოუდგენელი იყო ქალი-მებრძოლი ან ქვეყნის მმართველი. მათ მიაჩნდათ, რომ რელიგიური თვალსაზრისითაც, ქალი ღვთის რჩეული არ იყო. ქრისტიანულ რელიგიაში კი ქალთა უუფლებობის საკითხმა პიკს მიაღწია. სახარებაში ხომ წერია, რომ ქალი კაციდან წარმოიშვა და არა პირიქით. აქედან გამომდინარე, „ქალები უნდა იყვნენ თავშეკავებულნი, პატიოსანი, კერის დამცველნი და თავიანთი ქმრების მორჩილნი, რათა ღვთის სიტყვას მივსდიოთ"[2].

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აზრი ქალთა უუფლებობის შესახებ არ იცვლებოდა და არც ქალების მხრიდან იყო რაიმე პროტესტის გამოხატვის მცდელობა.

შუა საუკუნეებში ქალი წარმოუდგენელი იყო სამხედრო სფეროში, ეკლესიისა და სახელმწიფოს სათავეში. მას ჩამორთმეული ჰქონდა ქონების სრული მფლობელისა და ქმრის არჩევის უფლება.

რენესანსის ეპოქაში ქალის სტატუსზე განსხვავებული აზრი გამოთქვა კორნელიუს აგრიპამ (1486-1535) ნაშრომში ქალის უპირატესობის

[1] H.Carleton Marlow and Harrison M.Davis. The American Search for Woman. Santa Barbara, CA: Clio Press, Inc., 1976, p.7.

[2] Ibid., p.9.

შესახებ. მისთვის ადამი მიწის სიმბოლო იყო, ევა კი – სიცოცხლის: „ამგვარად, ევა უფლის ხელით დაგეგმილი, საგანგებოდ შექმნილი, სიცოცხლის საწყისია, ადამი კი მხოლოდ შუალედური ქმნილებების დანამატი პროდუქტი“[3]. ის ქალის ერთ-ერთ უპირატესობად სიცოცხლის შექმნის შესაძლებლობას ასახელებდა. აგრიპა ქალების დაბალ სტატუსს ხსნიდა მამაკაცის ფიზიკური ტირანიითა და განათლებაში მიღებული მონოპოლიით, რომლის დამსხვრევით ქალი ნებისმიერ სფეროში შეაღწევდა და თავს დაიმკვიდრებდა. ასე რომ, აგრიპა მთავარ მიზეზად განათლებაზე დაწესებულ შეზღუდვას თვლიდა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ პროგრესული შეხედულება იყო.

მაგრამ, მიუხედავად ინტერესის გამოცოცხლებისა, ქალთა სტატუსის საკითხი მაინც უცვლელი რჩებოდა.

ამერიკელებმა ქალის ბუნების კვლევა კოლონიური პერიოდიდან დაიწყეს. ახალი ინგლისის ტერიტორიაზე დასახლებულმა კოლონისტებმა შეიტანეს ის შეხედულებები და იდეები ქალთა სტატუსის შესახებ, რაც ინგლისსა და, ზოგადად, მთელს მსოფლიოში ბატონობდა. კოლონიურმა ამერიკამაც კითხვების გარეშე მიიღო ის მოსაზრება, რომ ქალი ფიზიკურად, გონებრივად და ხასიათით კაცზე სუსტი არსებაა, მართვის უნარი არ აქვს და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს მისი თანდაყოლილი თვისებებია. სწორედ ამით ხსნიდნენ მათთვის განათლებაზე დაწესებულ შეზღუდვებს და ქალების ერთადერთ საქმედ ოჯახზე ზრუნვას აღიქვამდნენ. ქალის ეს მყარად გამჯდარი სტერეოტიპი უცვლელი რჩებოდა მანამ, სანამ არ დაიწყო ქალთა გამოსვლები ამ აზრის შესაცვლელად, როდესაც გამოჩდნენ ე.წ. *ფემინისტები* და ქალთა უუფლებობის საკითხს დაუპირისპირდნენ. მაგრამ იმ დროს ქალების უმრავლესობა ფემინისტებს არ გაჰყვა და მათი ოპონენტიც კი გახდა. თუმცა, ეს ანტიფემინისტები არ ეთანხმებოდნენ იმ მოსაზრებას, რომ ქალი მამაკაცზე დაბლა მდგომ არსებად ითვლებოდა, თანდაყოლილი თვისებებიდან გამომდინარე, როგორც ე.წ. ინატისტები ფიქრობდნენ. ამ უკანასკნელებს სჯეროდათ, რომ ქალებს თანდაყოლილი ჰქონდათ კაცებისადმი მორჩილება და დამოკიდებულება, რასაც ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, რელიგიური და სამედიცინო არგუმენტების საფუძველზე ხსნიდნენ. მაგალითად,

- ვინაიდან სხეული და გონება ერთმანეთთან დაკავშირებულია, ამიტომ „ინატისტებისთვის“ ფიზიკური სხვაობა გონებრივ სხვაობაზე აისახებოდა. ფემინისტ ლიდერთა მცირე ჯგუფს კარგად ესმოდა,

[3] William H. Chafe, The American Women: Her Changing Social, Economic and Political Roles, 1920-1970. New York: Oxford University Press, 1972, p.22.

თუ რამდენად რთული იყო ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალური თანასწორუფლებიანობის დამტკიცება, როდესაც ქალების განვითარების იმჟამინდელ ეტაპზე, ფაქტები ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა[4]. როგორც ლუკრეცია მოტი ელისაბედ სტენტონს წერდა: „რომც ვერ მოვახერხოთ თანასწორუფლებიანობის დასაბუთება, არასრულფასოვნების აღიარება მაინც არ გვჭირდება"[5].

- სამედიცინო თვალსაზრისით, ქალს კაცზე უფრო სუსტი ნერვული სისტემა აქვს. კაცს გონებრივი სამუშაოს უფრო ხანგრძლივად შესრულება შეუძლია ნერვული დაძაბულობის გარეშე, ვიდრე ქალს. ამგვარად ქალი გონებრივად უფრო სუსტია.
- რელიგიურად, ღმერთმა ქალი შექმნა მამაკაცის გულთან ახლოს მდებარე ნეკნით. „ინატისტები" თვლიდნენ, რომ გული ადამიანის ემოციური ცენტრი იყო. ბიბლიამცოდნეები ამ ამბავს კი ასე ხსნიდნენ: გული ქალია, გონება კი კაცი.

  ითვლებოდა, რომ ქალები უფრო ემოციური, მგრძნობიარე და ინტუიციის გრძნობით დაჯილდოვებულები არიან, კაცები კი აზროვნებით, ფიქრითა და ლოგიკით ჯობიან ქალებს. მეცნიერული არგუმენტი ის იყო, რომ ქალი ინსტიქტურად მიმბაძველია. ასე რომ, ის შეიძლება ადვილად მოექცეს ქმრის აზრებისა და ქმედების გავლენის ქვეშ. ბენჯამენ ფრანკლინს ქალის ამ თვისებიდან გამომდინარე მიაჩნდა, რომ კაცი ქალის მეთაური უნდა ყოფილიყო ისე, როგორც ღმერთი ეკლესიისა.
- ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქალის ტვინი, კაცთან შედარებით, მცირე ზომისაა ფორმითაც და ფუნქციითაც. ეს მის ქმედებაზეც ახდენს გავლენას. ქალს აქვს თავისი ნაშიერისადმი განსაკუთრებული სიყვარულის თანდაყოლილი უნარი. კაცის მენტალობისათვის კი დამახასიათებელია ფიზიკური სიყვარული და ტკბობა, სიამაყე, გონიერება და შეტევის ჟინი.

[4] იხ. Elizabeth Cady Stanton and Susan Brownell Anthony, Ann Dexter Gordon. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanto and Susan B. Anthony: In the school of anti-slavery, 1840-1866. Rutgers University Press, 1997. ასევე, Elizabeth Cady Stanton, Ann Dexter Gordon. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanto and Susan B. Anthony: Against an aristocracy of sex, 1866-1973. Rutgers University Press, 2000; Elizabeth Cady Stanton. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanton and Susan B. Anthony: National protecton for national citizens, 1873-1880. Rutgers University Press, 2003; Elizabeth Cady Stanton, Ann Dexter Gordon. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanto and Susan B. Anthony: When clowns make laws for gueens, 1880-1887. Rutgers University Press, 2006;

[5] იქვე.

ამგვარად კაცი, ზოგადად, ლიდერის, მბრძანებლის თვისებების მატარებელია, ქალი კი მგრძნობიარე, მოსიყვარულე, მორჩილ და დამოკიდებულ არსებად აღიქმება. ინატისტების დასკვნით, არც ერთი მამაკაცისთვის არ იქნებოდა სასიამოვნო იმის დანახვა, რომ მისი და ან საყვარელი ქალი უფრო მამაკაცის თვისებების მატარებელია, ვიდრე ნამდვილი ქალის. ისე კი, ზოგადად, ინატისტები აქცენტს მაინც ბიოლოგიურ და რელიგიურ არგუმენტებზე აკეთებდნენ. მსგავს შეხედულებას დაუპირისპირდა მერი ვოლსტოუნკრეფტი, რომელმაც 1792 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქალის უფლებების დაცვა" („A Vindication of the Rights of Woman") სქესთა არათანასწორუფლებიანობა გარემოს, საზოგადოების გავლენით ახსნა[5]. ამ ნაშრომმა ფემინისტებს ბრძოლის სტიმული მისცა და მათ არგუმენტებს მტკიცე საფუძველი შეუქმნა. ფემინისტები ამტკიცებდნენ, რომ გონებრივი განვითარების სხვაობის მიზეზი გარემო იყო. კერძოდ, განსხვავებული გარემო, რომელიც გოგონებს ექმნებოდათ ოჯახსა თუ მის გარეთ, მათ გონებრივ შესაძლებლობებზე აისახებოდა. მათი აზრით, ბიბლია ქალის გონებრივ და ფიზიკურ სისუსტეს არ ქადაგებდა.

მაგალითად, სარა გრიმკე ერთ-ერთ თავის წერილში[7] ამტკიცებდა, რომ ბიბლია ნათლად გვიქადაგებს ადამიანებს, რომ დავემორჩილოთ მხოლოდ უფალს და არა როგორც მამაკაცები მათთვის სასარგებლო ინტერპრეტაციას ახდენდნენ: „დამემორჩილე და შენი მასწავლებელი ვიქნები"[8]. აქედან გამომდინარე, ქალი უნდა ისწრაფოდეს იყოს ღვთის მოწაფე და არა კაცის ბრმა მორჩილი. ღმერთმა ისინი თანასწორები შექმნა და თანაბარი უფლებები მიანიჭა.[9]

შესაბამისად, გონებრივი თანასწორობა მხოლოდ თანასწორუფლებიანი განათლების მიღების საფუძველზე იქნება შესაძლებელი. ფემინისტებს მიაჩნდათ, რომ ქალს არასდროს ჰქონდა შანსი დაემტკიცებინა, რამდენად უთანაბრდებოდა მისი გონებრივი შესაძლებლობები მამაკაცისას. მისი ეს უნარი ამოუცნობი რჩებოდა. ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ ერთნაირი განათლებით იქნებოდა შესაძლებელი. გონებრივი თანასწორობა ქორწინე-

[6] William H. Chafe, The American Women: Her Changing Social, Economic and Political Roles, 1920-1970. New York: Oxford University Press, 1972, p. 33.

[7] Letter III: The Pastoral Letter of the General Association of Congregational Ministers of Massachusetts Haverhill, 7th Mo. 1837. In: Sarah Grimké, 1837. Letters on the Equality of the Sexes. Addressed to Mary S. Parker, President of the Boston Female Anti-Slavery Society, p.5. მოძიებულია მისამართზე: http://www.worldculture.org/articles/12-Grimke%20Letters,%201-3.pdf 14.06.17.

[8] Ibid.

[9] Ibid.,

ბის პრობლემასაც მოაგვარებდა, ანუ ქალს აღარ გაუჩნდებოდა სურვილი ყოფილიყო კაცის მსახური და ლამაზად შეემოსა საკუთარი სხეული მხოლოდ კაცის სიამოვნების მიზნით. ერთგვარად, ამ მოსაზრების გამოძახილი იყო ფემინისტი ლიუსი სტოუნის და მისი მეუღლის ჰენრი ბლექველის მიერ ძველი ტრადიციის უარყოფა – ქალი ქმრის გვარზე გადასულიყო გათხოვების შემდეგ. გონებრივი თანასწორობის შედეგს კი წარმოადგენდა ქალების მიერ შექმნილი ნაშრომები, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაზე.

ამ მხრივ, საინტერესოა მარგარეტ ფულერის შეხედულება ქალის ბუნების შესახებ. მას საკმაოდ ადრეულ ასაკში გაუჩნდა სურვილი მამაკაცებისთვის დაემტკიცებინა, რომ ქალები გონებრივი შესაძლებლობებით კაცების თანასწორნი იყვნენ. მისი აზრით, ადამიანის ბუნება ორი საწყისის კომბინაციას წარმოადგენს: ცხოველურის (ენერგია, ძალა, ინტელექტი), ერთის მხრივ, რაც უფრო მამაკაცური საწყისია და ინტელექტუალურის (ჰარმონია, სილამაზე, სიყვარული), მეორე მხრივ, რაც ქალის საწყისისთვის არის დამახასიათებელი. რაც კაცობრიობა სამოთხიდან გაძევების შემდეგ გამრავლდა, ამ საწყისებს შორის დაპირისპირება მოხდა. ადამიანის ბუნების ამ ორი მხარიდან, ისტორიული თვალსაზრისით, პირველად მამაკაცური მხარე გამოვლინდა. ენერგიის, ძალისა და ინტელექტის განვითარებამ წარმოშვა მამაკაცი – უფროსი და მასწავლებელი. მაგრამ ხშირად ინტელექტი, ენერგია და ძალა არასწორად იყო აღქმული და გაგებული მამაკაცის მიერ. კაცი გახდა ერთპიროვნული მმართველი, მეციხოვნე, მშობლის ნაცვლად, და ტირანი – მასწავლებლის ნაცვლად და საკუთარი ბუნების მეორე მხარე არ გამოიყენა. აუცილებელია ამ ორი საწყისის თანაბრად გამოყენება. რაც უფრო განვითარდა და დაბრძენდა, ადამიანმა ქალური ბუნებისათვის დამახასიათებელი უფრო მეტი თვისება გამოავლინა, რამაც ის დეგრადაციისაგან იხსნა.

ფულერის დასკვნით, აუცილებელია როგორც მამაკაცური, ასევე ქალური თვისებების თანაბარი დოზით განვითარება და ინდივიდზე გავლენა. ერთ არსებაში შეუძლებელია თავი მოიყაროს მხოლოდ ერთმა ან მეორე თვისებამ. ფულერის ამ მოსაზრებამ დიდი გავლენა იქონია ამერიკელ ქალთა მოძრაობაზე, რასაც სიუზან ენტონი და ელიზაბეთ სტენტონიც აღიარებდნენ[10].

წლებს მერი ვოლსტოუნკრეფტის „მანიფესტიდან" (1792) სენეკა ფოლსის ყრილობამდე (1848) უწოდებენ ფემინისტური მოძრაობის ე.წ. *ფილოსოფიურ პერიოდს*, როდესაც მწერლები და თეორეტიკოსები გენდერული

[10] Susan B. Anthony and Elizabeth Cady Stanton, in: *History of Woman Suffrage. From* Margaret Fuller Biography. In Biography Online. http://www.biographyonline.net/women/margaret-fuller.html

თანასწორუფლებიანობის თეორიული საფუძვლებისა და არგუმენტების შექმნას ცდილობდნენ. 1848 წლისთვის ფემინისტებს ისინი უკვე ჰქონდა და ამერიკელ ქალთა მოძრაობაც ფილოსოფიური ფაზიდან აქტიურ ფაზაში გადაიზარდა. სენეკა ფოლსის ყრილობა ამ ფაზის დასაწყისი გახდა.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედში ფემინისტების მოთხოვნები სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი კამპანიებისა და აქციების ფორმით ვლინდებოდა. თავდაპირველად, აშშ-სა და ევროპაში პირველ ადგილზე აღმოჩნდა ქალებისთვის უმაღლესი განათლების უფლების მოპოვება. შემდეგ საკანონმდებლო რეფორმების საკითხი დადგა. ქალებმა დაიწყეს ბრძოლა სქესებისადმი დამოკიდებულების ორმაგი სტანდარტების წინააღმდეგ, რეფორმებისთვის საკუთრების, განქორწინების, შრომის უფლების საკითხებში. შემდეგ ეტაპზე, უკვე ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების, როგორც საკანონმდებლო რეფორმების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობის საკითხი დადგა.

ამერიკელი ქალების გააქტიურებას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. ერთის მხრივ, ეს იყო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები ქვეყანაში და ახალი საზოგადოებრივი ფენების გაჩენა, მეორე მხრივ კი, ცალკეული პიროვნებების ძალისხმევა. სამრეწველო რევოლუციამ ქალებს ახალი პერსპექტივა გაუჩინა, მათ შორის, დასაქმების მხრივ. გააქტიურებულმა მიგრაციულმა პროცესებმა დემოგრაფიული სურათი შეცვალა და ზოგიერთ დასახლებაში გენდერული დისბალანსი გამოიწვია. ქალების რაოდენობამ მამაკაცებისას გადააჭარბა. მამაკაცის გარეშე დარჩენილებს სამსახური სჭირდებოდათ, რასაც მათ ახლად აშენებული სამრეწველო საწარმოები აძლევდა. თავის მხრივ, ქარხნებში ქალების დასაქმება მეპატრონეებისთვის მომგებიანი იყო, რადგანაც მათ, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებს უხდიდნენ. ამავე დროს, საჯარო სკოლების სისტემის განვითარებამ გამოიწვია მასწავლებლებზე მზარდი მოთხოვნილება და ამ პოზიციაზეც მეტწილად ქალებს ასაქმებდნენ, აქაც ისევე, როგორც ქარხნებში, მათთვის, მამაკაცების ანაზღაურებასთან შედარებით, ნაკლების გადახდა იყო შესაძლებელი.

პირველი რეალური ნაბიჯი გენდერული თანასწორუფლებიანობისკენ გადაიდგა 1848 წელს სენეკა ფოლსში (ნიუ იორკი). აქ შეკრებილი ყრილობა ქალთა საარჩევნო უფლებისათვის მოძრაობის და, ზოგადად, ამერიკელ ქალთა მოძრაობის პირველი ტალღის დასაწყისად ითვლება. 1848 წლიდან გარდაცვალებამდე (1902 წ.) ფემინისტებს სათავეში ედგა მნიშვნელოვანი ფიგურა და ნამდვილი ლიდერი ელიზაბეთ სტენტონი. მან საკმაოდ კარგი

განათლება მიიღო. მამის დახმარებით, სამართალიც შეისწავლა. სწორედ მამასთან მუშაობის დროს გაგონილმა დისკრიმინაციულმა შემთხვევებმა მას გათხოვილი ქალების ქონებრივი უფლებების დასაცავად გამოსვლის სურვილი გაუღვიძა. როდესაც 1840 წელს ჰენრი სტენტონზე გათხოვდა, მან მინისტრს მოსთხოვა საქორწინო ფიციდან სიტყვა „მორჩილების" ამოღება. ამავე წელს ის დაესწრო მონობის საწინააღმდეგო ყრილობას, სადაც ლუკრეცია მოტს შეხვდა. ამავე ყრილობაზე მომხდარმა დისკრიმინაციულმა შემთხვევამ (ქალები შეხვედრაზე არ დაუშვეს) კიდევ უფრო გაუღვივა ელიზაბეთ სტენტონს ქალთა ყრილობის ცალკე მოწვევის სურვილი.

სენეკა ფოლსის ყრილობაზე შეკრებილი დაახლოებით სამასი ადამიანი (მათ შორის, ორმოცი მამაკაცი, ფრედერიკ დუგლასის ჩათვლით, რომელიც ცნობილი აფრო-ამერიკელი აბოლიციონისტი იყო) მსჯელობდა არჩევანის შესაძლებლობაზე და პოტენციურ ქმედებებზე თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის გზაზე. ყრილობაზე მიიღეს სტენტონის მიერ შედგენილი *გრძნობების დეკლარაცია*, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციის ნიმუშისამებრ შეიქმნა. მასში ჩამოთვლილი იყო საჩივრების ნუსხა, ასევე, თორმეტი რეზოლუცია, რომელიც ქალის მამაკაცთან თანასწორობას მოითხოვდა. მაგალითად, სტენტონისათვის აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტები, რომ მამაკაცები განქორწინების კანონს თავის სასარგებლოდ წერდნენ, ყველა წარმატებულ ბიზნესში მონოპოლისტები იყვნენ, ქალებს განათლების მიღების უფლებას უზღუდავდნენ, მორჩილებას აიძულებდნენ როგორც ეკლესიაში, ასევე ოჯახში და ასეთი იძულებითი მორჩილებით მიზანმიმართულად ლახავდნენ ქალის ღირსებას. დეკლარაცია სწორედ ამგვარი დისკრიმინაციული გამოვლინებებისათვის წერტილის დასმას და, შესაბამისად, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის აღიარებას ითხოვდა.

რეზოლუციებს კენჭი ეყარა. კამათი გამოიწვია მხოლოდ მეცხრე რეზოლუციამ, რომელიც ამერიკელი ქალებისთვის ხმის მიცემის უფლებას ითხოვდა. ზოგიერთმა დელეგატმა ჩათვალა, რომ ეს მოთხოვნა სხვა მიზნების შესრულებას ხელს შეუშლიდა. სტენტონისა და დუგლასის ძალისხმევით რეზოლუცია ხმათა უმნიშვნელო უმრავლესობით მაინც მიიღეს. მოგვიანებით, სტენტონმა განაცხადა, რომ ის თავიდანვე მიხვდა, რომ ხმის უფლების გარეშე, ქალები ვერასოდეს მიაღწევდნენ თავიანთ საწადელს – თანასწორუფლებიანობას მამაკაცებთან.[11] დეკლარაციას ხელი მოაწერა სამოცდასამმა ქალბატონმა და ოცდათორმეტმა მამაკაცმა.

[11] იხ. Sara M. Evans. American Women in the Twentieth Century. In Perspectives on Modern America _ Making Sense of the Twentieth Century. Oxford University Press, 2001, pp. 162-176.

„ბევრმა თავისი გვარი სიიდან ამოიღო პრესაში გაჟღებეული კრიტიკული შეტევეებისა და დაცინვის გამო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი მეგობრების, გარემოცვისა და პოლიტიკური ლიდერების გამო.“[12] დეკლარაციაში ჩამოთვლილია ის უფლებები, რომლებსაც ქალები XIX საუკუნეში მოითხოვდნენ. მალე ის ქვეყანაში ცნობილი გახდა და ხელი შეუწყო ქალთა უფლებებისათვის მოძრაობის აგორებას, რაც მეცხრამეტე შესწორებით, ანუ ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღებით დასრულდა.

სენეკა ფოლსმა კარგად დაანახა ქალებს ის უსამართლობა, რომელსაც ისინი განიცდიდნენ და შეასრულა მომავალი ცვლილებების კატალიზატორის როლი. მალე ჩატარდა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი სხვა ყრილობებიც, იმართებოდა დებატები, იწერებოდა პამფლეტები, წიგნები, სტატიები. პოლიტიკური და სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლის ასპარეზზე სხვა ქალი-ლიდერებიც გამოჩნდნენ.

ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა ქალების გააქტიურებასა და მათი სტატუსის ამაღლებას ხელი შეუწყო. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა სამოქალაქო ომი (1861-1865) იყო. სამოქალაქო ომის დროს ქალებისთვის ხელმისაწვდომი გახდა დასაქმების ახალი სფეროები. ბევრგან მათ ომში წასული მამაკაცების ადგილი დაიკავეს. ყველაზე უკეთ ქალებმა მასწავლებლობა აითვისეს, რაშიც ფემინისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს. მაგალითად, ბევრმა სუფრაჟისტმა (სიუზან ენტონიმ, ფრენსის ვილარდმა, ქეთერინ ბიჩერმა და სხვ.) თავისი კარიერა სწორედ მასწავლებლობით დაიწყო

ამავე დროს, ქალებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობაც მიეცათ, თუმცა, ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო. მამაკაცთა ცნობილ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში (იელი, ჰარვარდი, პრინსტონი და სხვ.) ქალებს არ იღებდნენ. ამიტომ, ქალთა კოლეჯები (მაგალითად, ვესარი და სმიტი) დაარსდა. ასევე, ქალთა ჯგუფების ძალისხმევით, შეიქმნა კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების ფილიალები – ბერნარდისა და რედკლიფის კოლეჯები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზრდასთან ერთად, გაჩნდა ვაკანტური ადგილები, რომელთა შევსებაც ამ ადგილებზე ქალების დაშვებით იყო შესაძლებელი. თუმცა, სახელმწიფო კოლეჯებში ერთობლივი სწავლება ქალების ხელისუფლებაზე ზეწოლით განხორციელდა. ელიტარული პროფესიებისკენ გზის გაკვლევაც ცალკეული ქალების დამსახურება წარმოადგენდა. ქალისთვის რთული იყო ჟურნალისტის, ექიმის, განსაკუთრებით კი, იურისტის ხარისხის

[12] „პატრიოტთა ისტორიის მასალები“, გვ.223.

მიღება. თუ სამედიცინო სფერო ქალის, როგორც მზრუნველის, ფუნქციის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლებოდა მიჩნეულიყო, სამართალმცოდნეობა აშკარად მამაკაცის სფეროში შეჭრად ითვლებოდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალების უფლებებისათვის ბრძოლაში მამაკაცებიც – მამები, ძმები, მეუღლეები – მონაწილეობდნენ. XIX საუკუნის მიწურულს, მათი მხარდაჭერით ან, პირიქით, წინააღმდეგობით წაქეზებული ქალთა ორგანიზაციების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ზოგიერთი მკვლევარი ამის მიზეზს ტექნიკურ პროგრესს (საკერავი და სარეცხი მანქანები, მაცივარი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა) მიაწერს, რომელმაც ქალებს მეტი დრო გამოუთავისუფლა.

განათლების ხელმისაწვდომობამ და თავისუფალი დროის გაჩენამ ქალებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის საშუალება მისცა. თუმცა, იმდროინდელ შეერთებულ შტატებში, ქალის სახლიდან გასვლას ტრადიციული ოჯახის დანგრევის საფრთხედ აღიქვამდნენ.

სამოქალაქო ომის პერიოდში კი ბევრ ქალს იმის საშუალება მიეცა, რომ ჩანაცვლებოდა კაცს და მისი საქმეების შესრულება თავის თავზე აეღო. ბევრი მათგანი მართავდა ქარხნებს, ფერმებს და ბიზნესს. ომის დასრულების შემდეგ, ფემინისტებმა აღნიშნეს ქალების უმნიშვნელოვანესი როლი ომის წლებში. მათი აზრით, მადლობის ნიშნად, ამ შრომის დასაფასებლად, ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცათ.

მართლაც, 1866 წლიდან გაშლილი ფემინისტური მოძრაობის მთავარი მიზანი კონსტიტუციის მეთხუთმეტე შესწორების[13] ქალებზე გავრცელება იყო. მაგრამ მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მარცხმა ფემინისტური მოძრაობა ორად გაყო. ლიუსი სტოუნი თავის მომხრეებთან ერთად საჭიროდ თვლიდა ხმის უფლების თანდათანობით, ეტაპობრივად მოპოვებას მაშინ, როდესაც სტენტონ-ენტონის მოხრეები ამის პირდაპირ ფედერალურ დონეზე მიღწევას ცდილობდნენ. მაგრამ ორივემ წარუმატებლობა განიცადა. 1890 წელს ისინი გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბეს „ქალთა სუფრაჟისტული ეროვნული ასოციაცია“ (National Women Suffrage Association), რომლის მიზანი ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მოპოვება იყო როგორც შტატის, ასევე ფედერალურ დონეზე. მათი ძალისხმევის შედეგად, იმავე 1890 წელს ოთხმა შტატმა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში ფემინისტური მოძრაობა ძალიან შესუსტდა და თითქმის დაიშალა. ეს, ერთის მხრივ, ლიდერების გარდაცვალებით იყო გამოწვეული და, მეორე მხრივ, ახალი უცნობი ლიდერების სისუსტითა და მოუცლელობით. მაგრამ, თანდათან,

[13] ეს შესწორება შავკანიანების არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ითვალისწინებდა.

დიდი ძალისხმევის შედეგად, ყველა შტატმა მხარი დაუჭირა მეცხრამეტე შესწორებას, რომლის საფუძველზეც ქალებმა პირველად 1920 წელს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

ეს ფემინისტების დიდი გამარჯვება იყო, რაც ვოლსტოუნკრაფტის, ლუკრეცია მოტის, ელისაბედ სტენტონის, სიუზან ენტონისა და სხვა მრავალი ამერიკელი ფემინისტის უდავო დამსახურება იყო.

ამგვარად, ქალების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით, ანუ ქალთა სუფრაჟით დასრულდა ამერიკელ ქალთა მოძრაობის პირველი ტალღა.

XX საუკუნისთვის ქალთა მოძრაობის აღნიშნული ტალღის შედეგები თითქმის ყველა სფეროში იგრძნობოდა. ამ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, შტატებმა დისკრიმინაციული ნორმების შემცველ კანონებში შესწორებების შეტანა დაიწყეს. მაგალითად, 1890 წლისთვის, ბევრმა შტატმა შეცვალა ე.წ. *femme couverte*-ს დოქტრინა, რომლის მიხედვით, ცოლი ქმრის მოძრავ ქონებად განიხილებოდა. მას არ გააჩნდა კანონიერი უფლებები პირად შემოსავალზე, შვილებსა და საკუთრებაზე. ახალი კანონების ძალით, ქალებს მემკვიდრეობით მიღებული ქონებისა და მათი პირადი შემოსავლების თავისუფლად განკარგვის უფლება მიენიჭათ. ასევე, განქორწინების შემთხვევაში, ბავშვებს დედებს აკუთვნებდნენ, რაც ემყარებოდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციულ რწმენას, რომლის მიხედვითაც, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ქალებს უკეთ შეეძლოთ ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდის ფუნქციის განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შტატის კანონმდებლობაში არსებითი ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებები მოხდა, მაინც ძალაში რჩებოდა გარკვეული ნორმები, რომლებიც ქალის უფლებებს ზღუდავდა. მათ შორის, აღსანიშნავია საარჩევნო სფეროში მიღებული კანონები. ზოგიერთ შტატში ქალებს მხოლოდ ადგილობრივი სკოლის საბჭოს ან მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. ფედერალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ოთხ შტატში (ვაიომინგი, იუტა, კოლორადო და აიდაჰო) ჰქონდათ. ასევე, შეზღუდვები იყო დაწესებული ბიზნესის სფეროში. ქალს არ შეეძლო ბიზნესის წარმოება მეუღლის თანხმობის გარეშე. ეს წესი ზოგიერთ შტატში მოქმედებდა. ასევე, შეზღუდვები არსებობდა საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებაში. შტატების უმეტესობაში, მხოლოდ ქმრებს ჰქონდათ ოჯახის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა სხვა სახის დისკრიმინაციული ხასიათის კანონებიც და მათ გაუქმებას ფემინისტური მოძრაობისა და აგიტაციის საუკუნოვანი ბრძოლა დასჭირდა. ამ კუთხით, ძირეუ-

ლი პროგრესი 1980-იან წლებში მოხდა. განათლების სფეროში ქალებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს. უკვე 1900 წლისთვის, უმაღლესი სასწავლებლების 80% ქალებს იღებდა[14]. განათლების სფეროში ამ მნიშვნელოვანმა წინსვლამ 1890-1900 წლებში ქალის როლის გაზრდა განაპირობა. ქალებს შეეძლოთ დაუფლებოდნენ ისეთ პროფესიებს, რომლებიც მანამდე მათთვის მიუღწეველი იყო. ამან მათ ამერიკის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოპოვების სურვილი გაუჩინა, რამაც, თავის მხრივ, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქალთა მოძრაობის აღმავლობა განაპირობა.

ქალებს წარმატება დასაქმების სფეროშიც ჰქონდათ. 1890 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ქალები 369 თანამდებობიდან მხოლოდ ცხრა თანამდებობაზე არ იყვნენ წარმოდგენილნი. თუმცა, ყველა ამ სფეროში ქალები ნაკლებად პრესტიჟულ და დაბალანაზრაურებად სამუშაოს ასრულებდნენ. გარკვეულ სფეროებში ქალები დომინირებდნენ. მაგალითად, 1910 წლისთვის, მასწავლებლების 77%-ს ქალები შეადგენდნენ[15]. ეს ტენდენცია იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ სოციოლოგებმა ტერმინი „ფემინიზაცია" შემოიღეს.

გააქტიურდა ქალების ბრძოლა არა მხოლოდ საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად, არამედ პროფესიული, კულტურული, რეფორმატორული და სხვა მიზნების მისაღწევად. ამ მიზნით შეიქმნა ქალთა სხვადასხვა პროფესიული ასოციაცია, სხვადასხვა გაერთიანება, ორგანიზაცია. მაგალითად, დაარსდა „მშრალი კანონის" მხარდამჭერ ქრისტიან ქალთა კავშირი (Woman's Christian Temperance Union), ქალთა ეროვნული საბჭო (National Council of Women), ქალთა კლუბების ეროვნული გენერალური ფედერაცია (the National General Federation of Women's Clubs) და მრავალი სხვა. ქალები აქტიურობდნენ პროტესტანტული ეკლესიების მისიებშიც, განსაკუთრებით სამხრეთში, სადაც ტრადიციონალიზმი და ევანგელიზმი დიდ გავლენას ინარჩუნებდა. აქ ქალთა ორგანიზაციები, ძირითადად, რელიგიური წარმომავლობის იყო. როგორც ისტორიკოსი ანა სკოტი აღნიშნავს, თითოეული სამხრეთელი ლიდერი ქალის საზოგადოებრივი ცხოვრება ამ პერიოდში საეკლესიო საზოგადოებებიდან იღებდა სათავეს[16]. ამ საზოგადოებების წევრები კი ქალთა კლუბებსა და სუფრაჟისტულ ორგანიზაციებს ეხმარებოდნენ.

[14] იხ. Lois W. Banner, Women in America, Harcourt Brace Jovanovich College Publishers, 1984,
[15] Ibid.
[16] Anne Firor Scott, The Southern Lady: From Pedestal to Politics, 1830-1930 (Chicago: University of Chicago Press, 1970, p. 141.

1893 წელს ქალებმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს ჩიკაგოს კოლუმბის მსოფლიო გამოფენაზე – „საუკუნის მსოფლიო ბაზრობა“ მონაწილეობის მიღებით. ამ შემთხვევის შემდეგ ერთ-ერთი დამკვირვებელი აღნიშნავდა, რომ ქალები საზოგადოების „მუდმივი ყურადღების“ ცენტრში მოექცნენ[17]. საზოგადოებაში გაჩნდა ტერმინი, „ახალი ქალი“. ეს ტერმინი დაამკვიდრეს ფემინისტებმა, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ ახალი ქალის სახეს, ასევე, პრესამ, რომელიც ხან აქებდა, ხან დასცინოდა მას. „ახალი ქალი“ უმეტესწილად მუშაობდა გათხოვებამდე, ან გათხოვებას კარიერას არჩევდა. მას ადვილად იცნობდით ჩაცმულობის ახალი სტილით. ის ატარებდა მსუბუქ, უბრალო კაბებს, კორსეტის გარეშე. 1890-იანი წლების „ახალი ქალის“ პროტოტიპი იყო ამერიკელი გრაფიკოსი მხატვრის ჩარლზ დანა გიბსონის (1867-1944) მიერ შექმნილი „გიბსონის ქალიშვილი“, მე-20 საუკუნის დასაწყისის ლამაზი და დამოუკიდებელი ამერიკელი ქალის იმჟამად პოპულარული გრაფიკული გამოსახულება. ეს ჯანმრთელი და სპორტული აღნაგობის მქონე, მაღალი საშუალო კლასის წარმომადგენელი, ემანსიპირებული, კოლეჯის სტუდენტი გოგონა, რომელსაც შესაძლებელია ველოსიპედზე შემჯდარსაც ესეირნა ცენტრალურ პარკში, მაგრამ არასდროს ყოფილიყო სუფრაჟისტული მოძრაობის მონაწილე, ეროვნულ ფავორიტად იქცა. მისი სურათები უამრავი ამერიკელის ოთახის კედელზე გაჩნდა.

1920-იანი წლები ფემინისტური მოძრაობის შედარებით ნაკლები აქტიურობით ხასიათდება. შემცირდა ფემინისტური ჯგუფების რაოდენობაც და შესუსტდა საქმიანობაც. თუმცა, ამ პერიოდში ფემინისტების პასიურობის მიზეზი მათი შიდა უთანხმოება და ფრაქციულობაც იყო. სუფრაჟისტული მოძრაობის დროს ქალები, თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, გაერთიანებულნი იყვნენ საერთო მიზნის ირგვლივ. მაგრამ კონსტიტუციაში მეცხრამეტე შესწორების შეტანის შემდეგ ფემინიზმმა დაკარგა გამაერთიანებელი მიზანი.

1920 წლის არჩევნებში პირველად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქალებიც მონაწილეობდნენ. ამ დრომდე ქალთა მოძრაობის ლიდერებს არასდროს განუმარტავთ მათი მოძრაობის საბოლოო მიზანი, ხოლო 1920 წლის შემდეგ თანასწორუფლებიანობის განსაზღვრის საკითხის ირგვლივ მომხდარმა განხეთქილებამ ქალთა ჯგუფები მწვავე მოწინააღმდეგე ბანაკებად დაშალა. საერთო პროგრამისა და ერთსულოვანი ლიდერის გარეშე, ქალთა მოძრაობა მნიშვნელოვნად შესუსტდა. ყველაზე დიდი დაპირისპირება გამოიწვია კონსტიტუციაში შეტანილმა შესწორებამ თანაბარ უფლებათა შესახებ (Equal Rights Amendment). აღნიშნული შესწორება წარმოადგინა

[17] Lydia Commander, The American Idea. 1907; reprint ed., New York: Arno Press, 1972, p. 31.

ქალთა ეროვნულმა პარტიამ და მის მიხედვით: „მამაკაცები და ქალები ისარგებლებენ თანაბარი უფლებებით მთელი ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადგილას". ეს შესწორება მიზნად ისახავდა სუფრაჟისტული ბრძოლის შედეგად მოპოვებული თანასწორუფლებიანობის საზღვრების გაფართოებას და ერთხელ და სამუდამოდ ქალსა და მამაკაცს შორის კანონით დაწესებული უთანასწორობის აღმოფხვრას. მათ შორის იყო კანონები განქორწინების, საკუთრების უფლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ვინაიდან სუფრაჟისტული მოძრაობის ერთი ფრთა მხარს უჭერდა ამ შესწორებას, ხოლო მეორე, პირიქით, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, ის განხეთქილების მთავარ მიზეზად იქცა. ქალთა ბიუროს ერთ-ერთმა წევრმა მერი ანდერსონმა ის „ამორალურობად", „პედანტიზმად" და „ისტერიული ფემინიზმის ნაირსახეობად" გამოაცხადა.[18] სხვა სუფრაჟისტები ამ შესწორებას ქალთა უფლებების დასაცავად მიღებული ყველა კანონმდებლობის პირდაპირ საფრთხედ აღიქვამდნენ. ათწლეულების განმავლობაში ეს შესწორება მწვავე განხეთქილებას იწვევდა ქალთა მოძრაობაში და მისი განვითარების გზაზე ყველაზე დიდი დაბრკოლება იყო. გარკვეულწილად, ეს კონფლიქტი წარმოადგენდა სუფრაჟისტული კამპანიის დროს მომხდარი განხეთქილების მიზეზს ქალთა პარტიასა და NAWSA-ს (ქალთა ეროვნული ამერიკული სუფრაჟისტული ორგანიზაცია) შორის. ქალთა პარტია წარმოადგენდა სუფრაჟისტული მოძრაობის აგრესიულ ფრთას. მისი მიმდევრები რადიკალური ტაქტიკით მოქმედებდნენ. ისინი თავს იჯაჭვავდნენ ღობეებზე, უერთდებოდნენ მოშიმშილეებს საპატიმროებში, პიკეტირებას აწყობდნენ თეთრი სახლის წინ. ამის საპირისპიროდ, NAWSA ცდილობდა ეთანამშრომლა ხელისუფლებასთან და მიზნებისთვის ამ გზით მიეღწია. ელის პაული და ქალთა პარტია ვილსონის გამოსახულებებს წვავდნენ, ხოლო ქერი ჩეპმან ქეთი მას NAWSA-ს შეკრებაზე იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ორგანიზაცია ერთი საბოლოო შედეგისთვის იბრძოდა, ისინი ხშირად ერთმანეთის საპირისპირო გზებით მოქმედებდნენ. შესაბამისად, ბევრის აზრით, საბოლოო კონფლიქტი მანამდე არსებული წინააღმდეგობის გაგრძელებას წარმოადგენდა.[19]

ამ განხეთქილებამ ასახა ქალთა მოძრაობის მონაწილეების მიზნებში არსებული განსხვავება. როგორც 1916 წელს ვ. ლ. ჯორჯმა აღნიშნა,

[18] Mary Anderson, Women at Work (Minneapolis, 1951), p. 168; and Mary Anderson to Congressman Zebulon Weaver, March 20, 1945, WBA, folder entitled "Miscellaneous Subjects and Organizations _ Equal Rights," Accession No. 55A-556, Container 10.

[19] Mrs. Frank Banderlip of the League of Women Voters, for example; see Mrs. Frank Vanderlip to Maud Wood Park, October 11, 1922, LWV Papers, Library of Congress, Series II, Box 43.

შეიძლებოდა აქტივისტი ქალების დაყოფა ორ ჯგუფად: სუფრაჟისტები, რომლებიც ცდილობდენ გარკვეული უთანასწორობის აღმოფხვრას და ფემინისტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქალების მიმართ არსებული საზოგადოებრივი აზრის შეცვლას. იმავეს იზიარებდა ისტორიკოსი უილიამ ლ. ონილი, რომელიც ასევე გამოყოფდა ორ ჯგუფს – სოციალურ ფემინისტებს, რომლებიც სუფრაჟისტულ მოძრაობას აღიქვამდნენ როგორც სოციალური კეთილდღეობის მისაღწევ საშუალებას და „რადიკალურ ფემინისტებს", რომლებიც ხმის მიცემის უფლების მიღებას მხოლოდ საწყის ნაბიჯად აღიქვამდნენ სრული გენდერული თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე.[20]

ქალთა ეროვნულმა პარტიამ ამერიკის კონსტიტუციაში ყველაზე რადიკალური ცვლილების – მამაკაცების და ქალების თანაბარი უფლებების შეტანა მოითხოვა. მსგავსი მოთხოვნა მაშინ უკიდურეს რადიკალიზმად ითვლებოდა. ქალთა კონსერვატული ორგანიზაციები მსგავს შესწორებას უარყოფითად აფასებდნენ და მას ეპიდემიასაც კი ადარებდნენ.[21]

1922 წლიდან დაწყებული ამ შესწორების გარეშემო დისკუსიები გაიმართა და პრეზიდენტსაც ამ კანონის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა უამრავი წერილი მისდიოდა. 1925 წლის 15 დეკემბერს ქალთა ეროვნულმა პარტიამ პრეზიდენტ კულიჯს ამის თაობაზე თავისი ყრილობის რეზოლუციის ამონაწერი გაუგზავნა. მას ქალთა ეროვნული პარტიის სხვადასხვა რეგიონული განყოფილებებიდანაც მრავალ წერილს წერდნენ. რესპუბლიკელ ქალთა ერთ-ერთი საგრაფოს ორგანიზაციის წევრები 1924 წლის 17 იანვრის წერილში მხურვალედ სთხოვდნენ კულიჯს მხარი დაეჭირა შესწორებისთვის. თუმცა ჯერ კიდევ 1923 წლის 21 ნოემბრის წერილში რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტიდან ენ ტეილორ აპტონი ურჩევდა პრეზიდენტს სიფრთხილე გამოეჩინა, ვინაიდან ეს შესწორება არ მოსწონდათ მრეწველობაში დასაქმებულ ქალებს, რომლებიც კარგავდნენ 30-წლიანი ბრძოლით მიღწეულ მნიშვნელოვან შეღავათებს. იგი აღნიშნავდა, რომ ამ შესწორების წინააღმდეგ გამოდიოდა აგრეთვე ქალთა კლუბების ფედერაცია, ამომრჩეველ ქალთა ლიგა, კათოლიკე ქალთა კეთილდღეობის ეროვნული საბჭო და სხვები. შესაბამისად, თხოვდა, რომ ქალთა მცირე ჯგუფის გულის მოსაგებად არ დაპირისპირებოდა ამდენ ამომრჩეველ ქალს.[22] ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერი სამუელ გომპერ-

[20] W.L. George, *The Intelligence of Women* (New York, 1916), pp. 62-63; and William L. O'Neill, *Everyone Was Brave* (Chicago, 1969), pp. 51-52.

[21] Calvin Coolidge Papers, Reel 121 Manuscript Division, Library of Congress, Washington D.C., 2009, Revised 2015 February.

[22] Ibid.

სიც ამ ინიციატივას ძალზე უარყოფითად გამოეხმაურა. 1923 წლის 19 ნოემბრის წერილში პრეზიდენტისადმი, იგი აკრიტიკებდა ამ შესწორების იდეას და აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციაში ცვლილების მომთხოვნი ორგანიზაცია არ გამოხატავდა ყველა ქალის, მით უმეტეს, მრეწველობაში დასაქმებული ქალების სურვილს. „თუ ქალები და კაცები ყველაფერში თანასწორებად გამოცხადდებიან, ეს გააუქმებს იმ კანონებს, რომლებიც მრეწველობაში დასაქმებულ ქალებს იცავს“.

ამავე აზრს იზიარებდნენ ამერიკის შრომის ფედერაციის წევრი ქალებიც და 1926 წლის 21 იანვრის წერილში სთხოვდნენ პრეზიდენტს არ დათანხმებოდა ამ შესწორებას.[23] თავის მხრივ, 1926 წლის 17 იანვრის წერილში კულიჯისადმი ქალთა ეროვნული პარტიის სამრეწველო საბჭოს წევრები სწორედ იმიტომ უჭერდნენ მხარს ამ შესწორებას, რომ, მათი აზრით, ე.წ. საშეღავათო კანონები სინამდვილეში ქალებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდნენ – „ჩვენ იმიტომ გვაგდებენ სამსახურიდან, რომ მამაკაცებისგან განსხვავებით, არსებული კანონი გვიკრძალავს დღის გარკვეული საათების შემდეგ მუშაობას, გვიკრძალავს მამაკაცებთან თანაბარი რაოდენობის საათების მუშაობას, გვიკრძალავს დამატებით საათებში მუშაობას, გვიკრძალავს ზოგიერთი სახის სამუშაოს შესრულებას, გვიკრძალავს მუშაობას გათხოვების შემდეგ.“[24] როგორც ვხედავთ, ქალები დიდ იმედებს ამყარებედნენ ფედერალურ მთავრობაზე და არჩევნებში მონაწილეობის უფლება სრულიადაც არ მიაჩნდათ საკმარისად. 1924 წელს ამერიკის ისტორიაში პირველი გუბერნატორი ქალიც აირჩიეს. ეს იყო გილემ როსი, ვაიომინგის გუბერნატორი. ალბათ, ამ ათწლეულში საუბარი სერიოზულ ბრძოლაზე ქალთა უფლებებისთვის, ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. ქალთა უდიდესი უმრავლესობა თავს, პირველ რიგში, კარგ დიასახლისად და დედად ხედავდა. თუმცა, ოციანებმა მრავალი ცვლილება შეიტანა ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამაც მათ სრულიად ახალი სოციალური სტატუსი მიანიჭა.

1920-30-იანი წლებში აშშ-ში ახალი ამერიკელი ქალის ჩანასახი გაჩნდა, თუნდაც ე.წ ფლაპერი ქალების სახით. ეს იყვნენ ქალები, რომლებმაც თავდაყირა დააყენეს პურიტანულ მორალზე აღზრდილი ამერიკელი ქალის სახე თავიანთი ჩაცმისა და ცხოვრების სტილით. ისინი ეწეოდნენ, სვამდნენ, იცვამდნენ მოკლე კაბებს და თავისუფალ სიყვარულზეც არ ამბობდნენ უარს. ეს არ იყო მხოლოდ ახირება და ამას ჰქონდა პოლიტიკურ-სოციალური მიზეზი, მათ მობეზრდათ ომში წასული ქმრების და შეყვარებულების ცდა და პასიური ქალის როლი, ეს იყო მათი ჩარჩოების მსხვრევის დრო.[25]

[23] Ibid.

[24] Ibid.

[25] ვ. კაჭარავა, ამერიკა 1920-იან წლებში, გვ. 189-193.

ისტორიული კატაკლიზმების გავლენა ამერიკელი ქალის სტატუსზე

XX საუკუნეში ქალების ცხოვრება ისეთივე საინტერესო და ხშირად ტრაგიკულია, როგორც თვით ეს საუკუნე იყო. ომები, რევოლუციები, დიქტატურები, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური კატაკლიზმები გავლენას ახდენდა გენდერულ ურთიერთობებზე, ქალების სტატუსზე. ქალთან დაკავშირებული ბევრი სტერეოტიპი ამ დროს დაირღვა და გამოაჩინა მისი ახალი შესაძლებლობები, რომლებიც ჩვეულებრივ ვითარებაში ვერ მჟღავნდებოდა. ამგვარად, XX საუკუნის კატაკლიზმებმა ერთგვარად ხელი შეუწყო ქალის იმიჯის ნაწილობრივ შეცვლას, მის დემოკრატიზაციას. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, ომების დროს) ქალებმა კაცების ფუნქციები იტვირთეს, მათი სამუშაო ადგილები დაიკავეს, ეკონომიკური კრიზისების დროს ოჯახის მარჩენალები გახდნენ და ა. შ. თუმცა ეს ცვლილება მხოლოდ კონკრეტულ კრიზისულ წლებში ვრცელდებოდა. როგორც კი ვითარება სტაბილური ხდებოდა, ქალი ისევ ჩვეულ, პატრიარქალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ – ოჯახის პროფესიული დიასახლისის იმიჯს იბრუნებდა (ეს იმიჯი მხოლოდ უკანასკნელ წლებში იცვლება. მსგავსი რამ ისტორიას ჯერ არ ახსოვს). მაგრამ ამასთან ერთად, ყოველი სერიოზული ისტორიული კატაკლიზმის შემდეგ ქალის სტატუსი მაინც, ასე თუ ისე, იცვლებოდა. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბევრ ქვეყანაში და, მათ შორის, შეერთებულ შტატებში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, განსაკუთრებით 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მათ მიაღწიეს ყველა იმ უფლებას, რომლითაც დღეს სარგებლობენ, შესაბამისად, მათი სტატუსიც მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ამის პარალელურად, სწორედ, კრიზისულ პერიოდებში მკვეთრად მცირდება ფემინისტური ჯგუფების რაოდენობა და ეცემა მათი აქტიურობა. ალბათ, ქალებს ასეთ დროს საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლისათვის აღარ სცალიათ, მით უმეტეს, რომ ომი მათ ახალი (ხშირად მამაკაცური) სამუშაო ადგილების დაკავების შესაძლებლობას აძლევს. პარალელურად, ომებისა და ეკონომიკური კატაკლიზმების დროს ოჯახის, როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების ნავსაყუდელის ფუნქციაც უფრო გამოკვეთილი ხდება. ეს კი, პირველ რიგში, ქალის დამსახურებად ითვლება და მისი სტატუსიც ოჯახში უფრო მტკიცდება.

გარდა იმისა, რომ ომების დროს ქალებმა ფრონტზე წასული კაცების სამუშაო ადგილები დაიკავეს, მათ სხვა შესაძლებლობებიც გაუჩნდათ. მაგალითად, უკვე პირველი მსოფლიო ომისა და 1920-იან წლებში ქალებს მიეცათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობის შესაძლებლობა, მათ ჩაიცვეს უფრო მოხერხებული ტანსაცმელი და ა. შ. 1930-1940-იან წლებშიც ტრადიციული შეხედულება, რომ სახლი, ქმარი, ბავშვები ქალისათვის უპირველესი იყო, დარჩა, თუმცა ამასთან ერთად, მათ სამსახურის შოვნის შესაძლებლობაც მიიღეს. გაჩნდა მუშა ქალების პროფკავშირები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაერთიანდა თანაბარი უფლებების შესახებ კონსტიტუციის შესწორების გარშემო.

დეპრესიისა და ომის წლებში ქალთა ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი ფემინისტური მიზნები არ იყო – მათმა მოთხოვნებმა აქტუალობა დაკარგა. ამ პერიოდში, პროგრესივიზმის ეპოქისგან განსხვავებით, აქტივისტი ქალები კმაყოფილდებოდნენ უკვე არსებული ორგანიზაციების საშუალებით მოქმედებას. ქალთა ახალი ორგანიზაციები არ იქმნებოდა. მხოლოდ ერთი გამონაკლისი იყო – ლინჩის წესით გასამართლების წინააღმდეგ 1930 წელს შექმნილი სამხრეთელი ქალების ასოციაცია. ამ ასოციაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა ლინჩის წესით გასამართლების აღსაკვეთად და თავისი მისიის დასრულების შემდეგ, 1942 წელს დაიშალა.

1930-იან წლებში, დიდი დეპრესიის დროს, რუზველტის ადმინისტრაციის უპირველეს ამოცანას სოციალური პრობლემების მოგვარება წარმოადგენდა. თუმცა, ამან „ქალთა საკითხები" არ გამორიცხა.[26] მაშინ ყურადღება გადატანილი იყო საზოგადოებაზე და არა ინდივიდზე. ამგვარად, წინ წამოიწია სოციალურმა ფემინიზმმა. მაგალითად, ამომრჩეველი ქალების ლიგის ერთ-ერთი ლიდერი წერდა: „ჩვენ ქალების უფლებებისათვის ვიბრძვით, მაგრამ, პირველ რიგში, მოქალაქეები ვართ და არა ფემინისტები".[27] ბევრი აქტივისტი ქალი მუშაობდა პაციფისტურ ჯგუფებში,

[26] გამოთქმას „ქალთა საკითხები" ორგვარად ხსნიან. ერთი განსაზღვრება დაკავშირებულია განსხვავებასთან გენდერსა და სქესს შორის. გენდერი ეს არის ქალებსა და კაცებს – ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფს – შორის ურთიერთობის სოციალური ინტერპრეტაცია. ხოლო სქესი კაცებსა და ქალებს შორის ბიოლოგიური იდენტურობისა თუ განსხვავების აღმნიშვნელია. ქალთა საკითხების პირველი გაგება მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც ტრადიციულად ქალებთან ასოცირდება, ეს არის შრომის გენდერული დაყოფა, დედისა და ბავშვის ჯანდაცვა, განათლება. ქალების უპირველესი ზრუნვის საგანია ბავშვები. ითვლება, რომ კაცებისათვის საზოგადოების მოთხოვნილებები ყველა ამ მიმართულებით მეორეხარისხოვანია. ასევე ქალთა საკითხებთან ასოცირდება სოციალური საკითხები, რომლებიც არა მხოლოდ ქალებს, არამედ მთელ საზოგადოებას ეხება.

[27] Luis W. Banner. Women in Modern America: A Brief History. New York, 1984, p.184.

ისეთში, როგორიც იყო ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. მათ წარმატებასაც მიაღწიეს. მაგალითად, 1931 წელს ჯეინ ადამსმა ნობელის მშვიდობის პრემია მიიღო (კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტ მიურეი ბატლერთან ერთად).

ამასთან ერთად, ქალთა ჯგუფები არც ფემინისტურ საქმეებს ივიწყებდნენ. 1936 წელს ქალთა მსხვილი ორგანიზაციები გაერთიანდნენ ქალთა უფლებების ქარტიის გარშემო, რომელიც მარგარეტ ანდერსონმა წამოაყენა და ა. შ.

ამერიკელ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის იმდროინდელ პირველ ქალბატონს ელეანორ რუზველტს, თუმცა მისი საქმიანობა დამოუკიდებელი კვლევის საგანია და მას მოგვიანებით შევეხები[28].

ამავე პერიოდზე მოდის შეერთებული შტატების ფედერალურ მთავრობაში პირველი ქალი-მინისტრის ფრანსის პერკინსის გამოჩენა, რომელსაც შრომის მინისტრის თანამდებობა ეკავა ფრანკლინ დელანო რუზველტის ადმინისტრაციაში. მასაც ცალკე თავი ეძღვნება წინამდებარე წიგნში[29].

როგორც ამერიკელი მკვლევრები წერენ, „ნიუ დილელი“ ქალების ლიდერები მაშინ ქალების დისკრიმინაციის შედეგებზე დუმდნენ. ისინი სოციალური ფემინისტები იყვნენ. მათი უმრავლესობა იმ დროისთვის 50 წელს გადაბიჯებული იყო და კარიერას ასრულებდა.

მაშინ, როდესაც მთელს ქვეყანას ერთნაირად უჭირდა, მხოლოდ ქალების პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, უადგილოც კი იყო. საინტერესოა, რომ 1930-იანი წლების ბოლომდე უმუშევარი კაცების რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე უმუშევარი ქალების, ვინაიდან ქალი ნებისმიერ სამუშაოზე თანხმდებოდა.

თვით ქალების უმუშევრობა მეტი იყო ხანში შესულებსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აფროამერიკელი ქალები იყვნენ.

ერთის მხრივ, კაცებმა შეაღწიეს ფემინიზირებულ სპეციალობებში. მათ დაიკავეს მასწავლებლების, ბიბლიოთეკარების, სოციალური მუშაკების ადგილები უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ეკავათ. მეორე მხრივ, ქალების შემოსავალი კაცების პროფესიებში გაიზარდა. 1930-იანი წლების განმავლობაში კაცი ბიბლიოთეკარების რაოდენობა გაიზარდა 9-დან 15%-მდე, მასწავლებლების – 19-დან 24%-მდე, სოციალური მუშაკების – 20-დან

[28] იხ. წინამდებარე წიგნი, გვ. 161-168.
[29] იხ. წინამდებარე წიგნი, გვ.154-160.

35%-მდე. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, კაცები ჭარბობდნენ ადმინისტრაციის მაღალი დონის ყველა საფეხურზე. ბევრგან ქალები კაცებით იცვლებოდა. ბიზნესში ორი ქალის ადგილს ერთი კაცი იკავებდა. ახალ თანამდებობებზე კი კაცებს ნიშნავდნენ. ქალების რაოდენობა უნივერსიტეტების პედაგოგებს შორისაც მცირდებოდა. პროფესიონალი ქალები შეეგუენ ასეთ დისკრიმინაციულ ვითარებას და თვითონ დაიწყეს ნაკლებად პრესტიჟული სამუშაოს ძებნა. მეცნიერმა ქალებმა, მაგალითად, უარი თქვეს აკადემიური სამუშაოსთვის კაცებთან პაექრობაზე და სამსახური იშოვეს სახელმწიფო სააგენტოებში ან მკვლევარ ასისტენტებად. მენეჯერები მდივნები გახდნენ, მდივნები – უბრალო რეგისტრატორები (ფაილ-კლერკები). პირად მდივნებს ხშირად სტენოგრაფისტებით ცვლიდნენ, რომლებმაც ბეჭდვა იცოდნენ.

როგორც წესი, ქალები არ აპროტესტებდნენ მსგავს ვითარებას. მხოლოდ სკოლის მასწავლებლები გამოვიდნენ გათხოვილი ქალების მუშაობის წინააღმდეგ. 1940 წლისთვის მხოლოდ 13%-ს მიაჩნდა დასაშვებად, რომ გათხოვილი ქალი, ერთდროულად, ცოლი და მასწავლებელი ყოფილიყო. გათხოვილი ქალების მხოლოდ 30% დარჩა სამსახურში. აქედანაც კარგად ჩანს, თუ მოსახლეობა ქალის უპირველეს როლს და მის ადგილს სად ხედავდა. დაახლოებით ყოველი მეოთხე, მეხუთე ამერიკელი თვლიდა, რომ ცოლმა არ უნდა იმუშაოს, თუ მის ქმარს სამსახური აქვს. ქალებს შორის ეს სტატისტიკა 75% იყო.[30] ქალები ამ წლებში მონაწილეობდნენ ბევრ გაფიცვაში, მჯდომარე დემონსტრაციაში. გააქტიურდნენ ამერიკელი კომუნისტებიც.

მიუხედავად საზოგადოების უმეტესობაში გავრცელებული შეხედულებისა, რომ ქალმა ოჯახი არ უნდა მიატოვოს, დეპრესიის წლებში გაიზარდა მომუშავე გათხოვილი ქალების რაოდენობა. თუ 1930 წელს ასეთი ქალები 11,7%-ს შეადგენდნენ, 1940 წელს მათი რიცხვი 15%-მდე გაიზარდა.[31] ამის მიზეზი ეკონომიკური ფაქტორი იყო.

საინტერესოა, რომ იმის შიშით, რომ მომუშავე ცოლები ოჯახს დაანგრევდნენ, მოხდა საპირისპირო რამ – იმ ათწლეულში (იგულისხმება 1930-იანი წლები) ოჯახები გაძლიერდა. ამასვე შეუწყო ხელი ეკონომიკურმა პრობლემებმა. ზოგჯერ ცოლები შოულობდნენ სამსახურს და არა ქმრები. ეს კი ზრდიდა ქალების სტატუსს ოჯახში. იქმნებოდა მატრიარქალური პირობები.

დეპრესიამ ოჯახის ინსტიტუტზე ძლიერ იმოქმედა. ბევრმა წყვილმა დაქორწინება გადადო, გახშირდა გაყრის შემთხვევები, შემცირდა შობა-

[30] Luis W. Banner, op. cit., p.204.

[31] Ibid.

დობაც. საცხოვრებელი პირობები რადიკალურად შეიცვალა იმ ოჯახებში, სადაც უსახსრობის გამო ნათესავებმა და მათმა ოჯახებმა მოიყარეს თავი და საცხოვრებლად უფრო მცირე ზომის ფართზე ან უფრო პატარა ბინაში გადავიდნენ. მუდმივი მიგრაციისა და საცხოვრებელი ადგილის ხშირი შეცვლის გამო ოჯახები იხლიჩებოდა.

1930-იანი წლებში ოჯახში არსებული ტრადიციული როლები შეიცვალა. უმუშევრად დარჩენილი მამაკაცები იმედს ცოლებსა და შვილებზე ამყარებდნენ. მათ სოციალური სტატუსი დაკარგეს, როდესაც დაინახეს თუ როგორ შრომობდნენ ცოლები და შვილები. ბევრს სცხვენოდა დახმარებისთვის მეგობრებისთვის მიემართა. ზოგიერთი სასოწარკვეთილი მამაკაცი საჭმელსა და ფულსაც კი იპარავდა ხოლმე, იმისათვის რომ როგორმე თავი გაეტანა. ზოგიერთი თავს იმდენად იმედგაცრუებულად გრძნობდა, რომ ოჯახს ტოვებდა. 1940 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქმრების მიერ მიტოვებულ ქალთა რაოდენობა 1,5 მილიონს უდრიდა. გახშირდა თვითმკვლელობის შემთხვევებიც.

მეორე მხრივ, ახალმა როლმა ქალის სტატუსი აამაღლა. მან დაარღვია ისტორიული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, გათხოვილი ქალი სახლში უნდა მჯდარიყო და არ ემუშვა. დეპრესიის დროს მამაკაცები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბავშვთა აღზრდაში, ვიდრე ქალები, რომლებიც ოჯახების გადასარჩენად სახლის გარეთ მუშაობდნენ. სამუშაოს შოვნა განსაკუთრებით ადვილი აღმოჩნდა აფროამერიკელი ქალებისთვის, რომლებიც მოსამსახურეებად ან მკერავებად მუშაობდნენ. ამ დასაქმებამ წონა შესძინა მათ სტატუსს და ოჯახში გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებაც მიანიჭა[32].

სამსახურსა და სახლზე ზრუნვამ ხალხს ახალგაზრდული ამბოხისა და ახალი მორალური სტანდარტებისაკენ სწრაფვის ინტერესი დაუკარგა. ქალებ – ასაკოვნებსა და ახალგაზრდებსაც – ბევრად უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, გაუმძაფრდა ოჯახურობისა და ქალურობის სურვილი. ამგვარად, 1930-იან წლებში შეიქმნა ის ვითარება, რომელიც 1950-იან წლებში განმეორდა უკვე ეკონომიკური აღმავლობისა და „ბეიბი ბუმის“ ორი ათწლეულის დროს.

მომუშავე თუ არა, ტრადიციებს დაბრუნებული ყველა ქალის ტანსაცმელიც მათი ახალი იმიჯის შესაბამისი გახდა.[33] მაგრამ ქალების სიმპათიები მაინც პროფესიონალი ქალების მხარეზე იხრებოდა, რომელთა მთავარი საქმე ოჯახი არ იყო. ეს განწყობილება იმდროინდელ ფილმებ-

[32] «America in the Great War» at www.eyewitnesstohistory.com (2000).
[33] Ibid., p.211.

შიც აისახა. ფილმებში აფროამერიკელი ქალები, როგორც წესი, მოსამსახურეები, დამლაგებლები, ბავშვებისა და მოხუცების მომვლელები იყვნენ. ხაზი ესმებოდა მათ დაბალ ინტელექტს, თეთრი ბატონებისადმი ლოიალურობას, სიმსუქნეს და ა. შ. მოკლედ, გავრცელებული იყო რასისტული შეხედულებები.[34] თუმცა იყო აფროამერიკელი ქალის სხვა ტიპიც – ჯაზისა და ბლიუზის მომღერალი. ბევრმა მათგანმა კარიერისკენ გზა გაიარა გეტოდან, პროსტიტუციის გავლით.

დეპრესიით გამოწვეულმა უმუშევრობამ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში ეჭვი დაბადა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქალებზე მეტად, მამაკაცები დაიჩაგრნენ. დახმარების თხოვნა ბევრისთვის დამამცირებლად ითვლებოდა.

1930-იან წლებში ქვეყნის პირველ ლედის ელეანორ რუზველტს უამრავმა ქალმა მისწერა წერილი, სადაც დახმარებას სთხოვდა. ის, რაც მამაკაცებისთვის უკადრის საქციელს წარმოადგენდა, ანუ ე.წ. „მათხოვრობა, დახმარების თხოვნა“, ქალებისათვის მისაღები აღმოჩნდა, როგორც დედებისთვის, რომლებიც დახმარებას შვილებისთვის ეძებდნენ, შესაბამისად, ამით თავის დანიშნულებას ასრულებდნენ.

უფულობამ, უმუშევრობამ და შელახულმა თავმოყვარეობამ ოჯახის სოციალურ სტატუსზე საგრძნობლად იმოქმედა. უმუშევრობამ შეცვალა მამის, დედისა და შვილების როლი ოჯახში. მანამდე მამის სტატუსი მის დასაქმებაზე და ოჯახის მარჩენალის როლზე იყო დამყარებული, სამსახურის დაკარგვამ კი გარკვეულწილად ეს სტატუსი შეარყია. სწორედ ამ სტატუსზე იყო დამოკიდებული ოჯახის დამოუკიდებლობა. მას შემდეგ კი, რაც მამაკაცს საქმე ცოტა ან სულაც არ ჰქონდა, ის დროის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდა. ძალაუნებურად, ის ცოლის საქმიანობის სფეროსაც შეეხო. იმ შემთხვევაში თუ ქმარი სამსახურის დაკარგვაში თავს იდანაშაულებდა, ცოლს ყველანაირად უნდა ეცადა გაემხნევებინა იგი. უმეტესობა ასეც იქცეოდა. მაგრამ ცხოვრება თანდათან რთულდებოდა, მამაკაცი კი კვლავ სამზარეულოს ბუხართან იჯდა, რაც მის ცოლს უკვე აღიზიანებდა. ის ყველაფერში დამნაშავედ თავის ქმარს თვლიდა. ამ უკანასკნელსაც ცოლის საქციელში ბევრი რამ აღარ მოსწონდა. საოჯახო კონფლიქტები გახშირდა.

დეპრესიის დროს იმატა ქალების დისკრიმინაციამ დასაქმების საკითხში. ზოგი იმას ამტკიცებდა, რომ როდესაც ქვეყანაში ამდენი უმუშევარი

[34] ეს კარგად ჩანს ჯერ კიდევ მიტჩელის რომანში „ქარწაღებულები“ და ჰოლივუდის იმდროინდელ ფილმში ამავე სახელწოდებით.

მამაკაცი იყო, ქალების, განსაკუთრებით კი, გათხოვილი ქალბატონების სამუშაოდ აყვანა უსამართლობას წარმოადგენდა. „დღეს აშშ-ში 10 მილიონი უმუშევარია. დაახლოებით ამდენია გათხოვილი თუ გასათხოვარი ქალების რიცხვიც, რომლებიც დასაქმებულნი არიან. უბრალოდ გაათავისუფლეთ ქალები სამსახურიდან და მათ ადგილებზე მამაკაცები აიყვანეთ. სასწრაფოდ! არავითარი უმუშევრობა! არავითარი ფულადი დახმარება! არავითარი დეპრესია!"[35] ადამიანები, რომლებიც მსგავს განცხადებებს აკეთებდნენ, ფაქტებში ნაკლებად იყვნენ გარკვეულნი, განსხვავებით იმ ქალებისაგან, ვინც დეპრესიის მანძილზე დასაქმებული იყო და ოჯახს არჩენდა. ეს ეხებოდა არა მარტო გასათხოვარ ქალებს, არამედ დაოჯახებულებსაც, ვისი ქმრებიც ან უმუშევრად იყვნენ დარჩენილნი ან ისეთი დაბალი ანაზღაურება ჰქონდათ, რომ ოჯახს არ ყოფნიდა. ამის მუხედავად, 1930-იან წლებში გათხოვილი ქალების სამსახურში აყვანის წინააღმდეგ მიმართული კამპანიები ხშირი იყო. აშშ-ის სკოლების 77 პროცენტი გათხოვილ ქალს სამსახურში არ იყვანდა. აქედან, სკოლების 50 პროცენტი გასათხოვრებს უყენებდა პირობას, რომ თუკი ის დაოჯახდებოდა, სამუშაო ადგილს თავისი ნებით დატოვებდა. 1932 წელს შტატის საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად წარადგინეს კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა მომუშავე გათხოვილ ქალბატონს უნდა დაეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. თუმცა დეპრესიის დროს მომუშავე ქალების პროცენტი დასაქმებულ მამაკაცებზე ოდნავ მაღალი მაინც იყო. 1930 წელს დასაქმებულ ქალთა რიცხვი 24,3 პროცენტს უდრიდა, ხოლო 1940 წლისთვის ეს მაჩვენებელი 25,1 პროცენტამდე გაიზარდა. შესაბამისად, 28,8 პროცენტიდან 35 პროცენტამდე გაიზარდა მომუშავე გათხოვილი ქალების რაოდენობაც. ასეთი ზრდა რამოდენიმე მიზეზით იყო განპირობებული.

1932 წელს არჩეულმა პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ამერიკელ ერს „ახალი კურსი" წარუდგინა, რომელიც მიზნად დეპრესიიდან გამოსვლას ისახავდა. ახალი კურსის პროგრამები, ძირითადად, ტრადიციულ ქალურ სამუშაო სფეროებს – პედაგოგიკასა და სოციალურ სამსახურს შეეხო. იმ შემთხვევაში, თუკი ქალი სამრეწველო სფეროში იწყებდა მუშაობას, რაც იშვიათი შემთხვევა იყო, მისი ანაზღაურება გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე მამაკაცის (WPA-ის პროექტებით დასაქმებულ მამაკაცს დღეში 5 დოლარს უხდიდნენ, ხოლო ქალს მხოლოდ 3 დოლარს).

[35] Norman Cousins, Will Women Lose Their Jobs? Current Historyana Forum, 41, September, 1939, p. 14.

თუმცა ახალი კურსით გათვალისწინებულმა პროგრამებმა მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი დააკმაყოფილა. უმუშევრობა ყველაზე მეტად აფროამერიკელებმა შეიგრძნეს. პროგრამების უმეტესობა გათვლილი იყო სამსახურის გარეშე დარჩენილ თეთრკანიან მამაკაცებზე. შავკანიანი მოსახლეობა კი დაბალ ანაზღაურებად სამსახურზე თანხმდებოდა, სხვა შემთხვევაში, ის უმუშევარი რჩებოდა. სამხრეთ-დასავლეთში არსებული სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო, 400 ათასი არალეგალი მექსიკელ-ამერიკელი დეპორტირებულ იქნა ქვეყნიდან.

1933 წლის აგვისტოში ვაშინგტონში მისისიპის შტატიდან ელენ სალივან ვუდვორდი ჩავიდა, რომელიც პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა შრომის დაცვის ფედერალურ აღმასრულებლად დანიშნა. რუზველტის ადმინისტრაციაში ეს იყო რიგით მეორე მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომელიც ქალმა დაიკავა. ვუდვორდზე მაღალ თანამდებობაზე მხოლოდ შრომის მინისტრი ფრანსის პერკინსი იყო. შემდეგი ოცი წლის მანძილზე ვუდვორდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა უფლებების დაცვაში. 1938 წელს იგი სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის წევრი გახდა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი უსაფრთხოების ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელი იყო.

ამერიკის პირველი ლედი ელეანორ რუზველტი ერთ-ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა, ვინც მხარი დაუჭირა საგანგებო დახმარების ფედერალური სამმართველოს (FERA) ქალთა განყოფილების შექმნის იდეას. 1933 წლის ნოემბერში მან დააფინანსა თეთრ სახლში ჩატარებული კონფერენცია, რომელიც ამ განყოფილების შექმნას მიეძღვნა. მაშინ ვუდვორდმა პირველად წარადგინა ის პროექტები, რომლებიც განყოფილებამ აგვისტოს შემდეგ შეიმუშავა და რომელთა წყალობითაც ბევრ შტატში ქალები დასაქმდნენ. ნიუ იორკში არსებული FERA-ის ერთ-ერთმა მკვლევარმა მოგვიანებით აღნიშნა, რომ ამ პროექტებმა ბევრი ქალი სიცოცხლისკენ მოაბრუნა. წლის ბოლოს უკვე მთელი ქვეყნის მაშტაბით 300 ათასამდე ქალი ამ პროგრამის ფარგლებში დასაქმდა. 1935 წელს კი შეიქმნაუფრო მძლავრი პროგრამა საზოგადოებრივ სამუშაოთა სამმართველო (WPA), რომლის დახმარებითაც 1936 წლისთვის ნახევარ მილიონ ქალს სამუშაო ადგილი ჰქონდა.

აღსანიშნავია ის, რომ ვუდვორდი განსაკუთრებით ცდილობდა დაესაქმებინა ქალები თავისი მშობლიური შტატიდან. თითქმის ყველა პროექტი, რომელიც ქალთა დასახმარებლად იყო გამიზნული, მისისიპის შტატშიც არსებობდა. ზოგიერთი პროექტი კი დანარჩენი შტატებისთვის „საჩვენე-

ბელს“ წარმოადგენდა. ერთ-ერთი მათგანი ბიბლიოთეკების პროექტი (Library Project) იყო. ქვეყანაში დღეს არსებული ბიბლიოთეკების უმეტესობა FERA-სა ან WPA-ის პროექტებით შეიქმნა.

ქალები სხვა სახის პროექტებითაც დასაქმდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამი ისტორიული პროექტი, რომელიც მამაკაცთა და ქალთა დასასაქმებლად იყო განხორციელებული: WPA-ის თანამშრომლები შტატის ყველა ოლქის ცალკე ისტორიას წერდნენ. ისინი დეტალურად განიხილავდნენ და ახარისხებდნენ ყველა ისტორიულ ჩანაწერს და ერთად უყრიდნენ თავს იმ ფედერალურ სააქივო მასალას, რომელიც მთელ შტატში იყო მიმოფანტული.

1936 წელს, როდესაც ვუდვორდი ქალებისა და პროფესიული პროექტების ხელმძღვანელი გახდა, იგი დანიშნეს ასევე იმ პროექტების ხელმძღვანელად, რომლებიც მსახიობებს, მწერლებს, მუსიკოსებსა და მხატვრებს ასაქმებდა. სხვათაშორის მისისიპის შტატში თეატრის პროექტის გარდა ყველა დანარჩენი პროექტი განხორციელდა. ერთადერთი პროექტი, რომელიც რასობრივ დაყოფას არ ითვალისწინებდა, მუსიკის ფედერალური პროექტი იყო, რომლის მეშვეობითაც აფროამერიკელ მუსიკის მასწვლებლებს სამუშაოზე იყვანდნენ. ჯექსონის ორკესტრში, რომელმაც 1935-დან 1937 წლამდე 312 კონცერტი ჩაატარა, ქალებიც უკრავდნენ. ამ პროექტის თანამშრომლები ბავშვებისა და მოზარდებისთვის უფასო გაკვეთილებს ატარებდნენ. ეს იყო ერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითო პროგრამა. ამავე წლის დეკემბერში ელენ ვუდვორდმა დატოვა თავისი თანამდებობა WPA-ში და სოციალური დაცვის საბჭოს სამიდან ერთ-ერთი წევრი გახდა. მის ნაცვლად კი ასოციაციას სათავეში ფლორენს კერი ჩაუდგა აიოვას შტატიდან და მის ხელში თითქმის ყველა პროექტი ფუნქციონირებას ჩვეულებრივ განაგრძობდა. მაგრამ 1940 წელს მოახლოებულ ომთან დაკავშირებით დაწყებულმა მზადებამ მისისიპის შტატში მოქმედი პროგრამები სხვა გზით წარმართა. საგანმანათლებლო პროგრამები მიმართული იყო წვევანდელების სწავლებაზე, ხელოვნების ჯგუფები ქმნიდნენ პლაკატებს ომის თემატიკაზე. მოკლედ, 1942 წლისთვის WPA ომში ჩაეფლო. 1943 წელს კი ყველა პროექტი დაიხურა, რადგან მუშები სამხედრო სამსახურში ან კერძო სექტორში გადავიდნენ.

ამგვარად, დეპრესიამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამერიკული საზოგადოების „ფემინიზაციას“. 1920-იანი წლების აგრესიული, საკუთარ თავზე კონცეტრირებული და კონკურენტუნარიანი „მამაკაცური“ ეთიკა დისკრედიტირებულ იქნა. სამსახურის გარეშე დარჩენილი მამაკაცები უკვე ქალებზე გახდნენ დამოკიდებულნი, თუმცა არსებული შეხედულე-

ბით პირიქით უნდა ყოფილიყო. მათ ნაბიჯი გადადგეს „ქალური" ფასეულობების მიმართულებით. დეპრესიის დაძლევასა და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას სამყაროს „ძლიერი" სქესის წარმომადგენლები ამ ფასეულობების ცხოვრებაში გატარებით ცდილობდნენ. ისინი გამოსავალს არა „მამაკაცური", „მკაცრი" და „უხეში" ინდივიდუალიზმის მეშვეობით ეძებდნენ, არამედ, ქალების მსგავსად, ერთობლივი მოქმედებებისა და თანადგომის პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ.

ქალთა უფლებების დამცველი როგორც ხელისუფლებაში, ასევე მის გარეთ, იყო პირველი ლედი ელეანორ რუზველტი. საგაზეთო სტატიების, წიგნების და გამოსვლების გზით, ის თანდათანობით გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. თუმცა, იგი ტრადიციული ფემინისტი არ იყო და სწამდა, რომ ქალის უპირველესი მოვალეობა ოჯახის წინაშე ვალის მოხდაში მდგომარეობდა. ის თვლიდა, რომ თანამედროვე სამყაროს სირთულეები ქალისგან მოითხოვდა, საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მიღების გზით, ოჯახის მხარდაჭერას და შენარჩუნებას. ელეანორ რუზველტის შეხედულებები მისი ვიქტორიანული აღზრდიდან და ადრეული ქორწინებიდან გამომდინარეობდა. ის ცოლად გაჰყვა თავის ბიძაშვილს, ფრანკლინ რუზველტს, რომელთანაც, ქორწინების პირველი 15 წლის განმავლობაში იყო მორცხვი და მორჩილი ცოლი, რომელიც შვილებს ზრდიდა და დედამთილის სურვილებს ემორჩილებოდა. ორმა შემთხვევამ სრულიად შეცვალა მისი ცხოვრება. პირველი იყო მეუღლის ღალატის აღმოჩენა 1917 წელს, ხოლო მეორე – 1921 წელს ფრანკლინის პოლიომილიტით დაავადება. პირველმა გამოცდილებამ იმედი გაუცრუა, მაგრამ ელეანორმა ქორწინება შეინარჩუნა, რათა ფრანკლინის პოლიტიკური კარიერა საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინა. პოლიომილიტმა მას მეუღლის ცხოვრებაში ახალი როლი შესძინა. ის მის პოლიტიკურ მრჩევლად იქცა. მან საკუთარ თავში იპოვა დედამთილთან შეწინააღმდეგების ძალა და დაარწმუნა ფრანკლინი დაბრუნებოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. თავად მიატოვა ტიპური მდიდარი ქალბატონის ყოველდღიური საქმიანობა და აქტიურად ჩაება ქალთა მოძრაობაში. მისთვის ადვილი არ იყო ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნა, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ თუ თავად არ გადაარჩენდა ქმრის პოლიტიკურ სტატუსს მისი ავადმყოფობის პერიოდში, მათ მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარება მისი მდიდარი დედის მორჩილებაში მოუწევდათ. ელეანორ რუზველტმა დაიქირავა მწვრთნელი, რომელიც მას მეტყველებასა და პოლიტიკაში ამზადებდა. საბოლოო ჯამში, ის შესანიშნავ ორატორად და ნიჭიერ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა. თავისი საზოგადოებრივი

ცხოვრების მანძილზე იდეალისტი ელეანორ რუზველტი ხაზს უსვამდა იმას, რომ ქალის მოვალეობა კაცობრიობის წინაშე მდგომარეობდა რჩევის მიცემაში. ეს ის როლი იყო, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თვითონ ასრულებდა.

როდესაც ელეანორ რუზველტმა თავისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო, მან დაამტკიცა, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვა მიზნით ირჩევენ პოლიტიკურ მოღვაწეობას: მამაკაცები ამას კარიერული მიზნით აკეთებენ, ხოლო ქალებს ამოძრავებთ საზოგადოების გარდაქმნისა და ყოველდღიური ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სურვილი. ის ლობირებდა აფროამერიკელებს, სოციალურად დაუცველ ფენას და ქალებს. მისი გავლენით, ფრანკლინ რუზველტმა რამდენიმე ქალი მნიშვნელოვან სამთავრობო თანამდებობაზე დანიშნა. სწორედ ამ პერიოდში დაინიშნენ პირველი ქალები მაღალ თანამდებობებზე უცხოეთის ქვეყნებში. გამოჩნდა პირველი ქალი მოსამართლე და, რაც მთავარია, პირველი ქალი მინისტრი ფედერალურ ადმინისტრაციაში – შრომის მინისტრი ფრანსის პერკინსი. „ახალი კურსის" სააგენტოებში ადმინისტრატორების ერთ მესამედს ქალები წარმოადგენდნენ. 1930-იან წლებში ელეანორ რუზველტი სოციალური აქტივიზმის მნიშვნელოვან სიმბოლოს წარმოადგენდა.

ელეანორ რუზველტთან ერთად, „ახალი კურსის" პროგრამებში ქალის მონაწილეობის მხარდასაჭერად სხვა ცნობილი ქალებიც იბრძოდნენ. ესენი იყვნენ მერი დიუსონი, დემოკრატიული პარტიის ქალთა განყოფილების უფროსი, შრომის მინისტრი და პრეზიდენტის კაბინეტის პირველი ქალი წევრი ფრანსის პერკინსი და ელენ ვუდვარდი, „ახალი კურსის" უმთავრესი დასაქმების პროგრამის ფარგლებში მოქმედი პროექტის უფროსი. აღსანიშნავია, რომ ამ „ქსელის" ერთ-ერთი წევრი იყო მერი მაკკლოდ ბეთიუნი, ამ ათწლეულის უმნიშვნელოვანესი აფროამერიკელი ქალი ლიდერი. მონების ქალიშვილი მერი ბეთიუნი გახდა ცნობილი პედაგოგი, ფერადკანიან ქალთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი და 1935 წელს აფროამერიკელ ქალთა ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი.

მიუხედავად ქალების ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოჩენისა, XX საუკუნის 30-იან წლებში, რომელიც დეპრესიის პერიოდად არის ცნობილი, ქალთა ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების პერსპექტივა საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა. ამ პერიოდში ქალის ტრადიციული როლის შეცვლის წინააღმდეგ რეაქციის მძაფრი ტალღა აგორდა. საკანონმდებლო ორგანოებმა გამოსცა არაერთი კანონი, რომელიც გათხოვილი ქალის დასაქმებას ზღუდავდა. პროფკავშირები, მთავრობა და მასმედია ერთხმად მოუწოდებდნენ ქალებს თავი შეეკავებინათ სამუშაოს

დაწყებისაგან. ამას ერთვოდა ის გარემოებაც, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა, ქალების ჩათვლით, ინტერესს არ იჩენდა არსებული გენდერული უთანასწორობისადმი და არც მის შეცვლაზე ფიქრობდა. მიუხედავად გარკვეული ხასიათის ცვლილებებისა, რაც სუფრაჟისტული მოძრაობის შედეგად მოხდა, ქალების ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურად უცვლელი რჩებოდა. 1940 წელს დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი თითქმის ისეთივე იყო, როგორიც 1910 წლის მაჩვენებელი და მომავალში ცვლილებების მოლოდინის საფუძველიც არ არსებობდა.

შესაძლოა, დეპრესიის წლებმა ჩვეულებრივი ქალის ცხოვრება დიდად არ შეცვალა. ქალები, უბრალოდ, იმას აკეთებდნენ, რასაც შეჩვეულნი იყვნენ.ზოგჯერ ისინი ეჭვქვეშაც არ აყენებდნენ იმ დამატებით პასუხისმგებლობას, რომელიც დეპრესიის წლებმა მათ დააკისრა. თუმცა, ქალების განსაზღვრულმა რაოდენობამ მიიღო ელეანორ რუზველტის გამოწვევა: უმრავლესობა მზრუნველი დედის და ლამაზი მეუღლის ტრადიციულ როლს ითავსებდა. ასე რომ, თავად საზოგადოება არ იყო მზად ქალისთვის სხვა როლი შეეთავაზებინა და, მიუხედავად ქალთა წინააღმდეგობისა, სოციალური ნორმები და გარკვეული წესები მაინც ზღუდავდა მის როლს საზოგადოებაში.[36]

მეორე მსოფლიო ომი აღმოჩნდა ის ისტორიული კატაკლიზმი, რომლის შედეგები ამერიკელი, მათ შორის, აფროამერიკელი ქალებისთვის სტატუსის მნიშვნელოვანი შეცვლის ბიძგი გახდა. მან ახალი სამუშაო ადგილები შექმნა და, ამის წყალობით, მომუშავე ქალების რაოდენობა 1940 წელს დასაქმებულთა 25%-დან 1945 წელს 36%-მდე გაიზარდა, რაც ბევრად მეტი იყო, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დროს. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან შეერთებული შტატები პირველ მსოფლიო ომში 19 თვის, მეორეში კი – 4 წლის განმავლობაში მონაწილეობდა. მასმედიაც ქალების მუშაობას უკვე მიესალმებოდა. ომისდროინდელი იდეალური ქალის სახე იყო – მომუშავე ქალი, ომში წასული ჯარისკაცის ცოლი ან შეყვარებული, რომელიც თავის რჩეულს ელოდება. ეს იყო ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა.

ქალები ისეთ სფეროებში გამოჩდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, სამხედრო სფერო, უფრო მეტიც, ქალები და კაცები ჯარში უკვე გათანაბრდნენ. ბევრმა ქალმა პროფესიული კარიერა სწორედ ომის დროს გაიკეთა. თუმცა, მაღალი პოზიციები ბიზნესსა თუ პოლიტიკაში მაინც კაცებს დარჩათ.

[36] ეკა ჩიხლაძე, ამერიკელი ქალები დიდი დეპრესიის დროს. კრებულში: ამერიკის შესწავლის საკითხები, III, თბილისი 2005, გვ. 522.

ქალები არ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ მუშაობას ომის დამთავრების შემდეგაც გააგრძელებდნენ ისევე, როგორც ეს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. სახლში დაბრუნება და შემცირებული ხელფასები მათ არ უნდოდათ. ომმა ქალები გააძლიერა, მაგრამ მებრძოლ ფემინისტებად ვერ გახადა.

მეორე მსოფლიო ომი ყველა ამერიკელს შეეხო და მათ ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. კერძოდ, როგორც ყველა სხვა ომის დროს, ქალებმა მამაკაცების ფუნქციები იტვირთეს და მათი სამუშაო ადგილი დაიკავეს, რაც მაშინ საზოგადოებისა და მთავრობის მხრიდან წახალისებული იყო.

მოხალისეობის გარდა, ქალები სხვადასხვა სამრეწველო საწარმოში დასაქმდნენ, სადაც ომამდე მხოლოდ მამაკაცები მუშაობდნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც კაცები ქალებთან ერთად მუშაობაზე უარს ამბობდნენ.[37] აღსანიშნავია, რომ გაუთხოვარი ქალების გარდა, უკვე გათხოვილი ქალებიც დასაქმდნენ,[38] რაც საზოგადოებისთვის დიდად მისაღები არ იყო, მით უმეტეს, როდესაც ისინი მამაკაცის საქმეებს კიდებდნენ ხელს.[39] მიუხედავად ამისა, დასაქმებული დიასახლისების რიცხვი გაორმაგდა, ხოლო საზოგადოების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი თანდათან შეიცვალა. საერთო ჯამში, ექვსმა მილიონმა ქალმა ამ პერიოდში მუშაობა დაიწყო.

ასევე, ქალებს უკვე ხელი მიუწვდებოდათ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე, რომელიც ითხოვდა შესაბამის კვალიფიკაციასა და სტატუსს. თავის მხრივ, აფროამერიკელი ქალებიც იმ სფეროებში გამოჩდნენ, რომელიც მანამდე მხოლოდ თეთრკანიან ქალებს ჰქონდათ დაკავებული.[40] ხელისუფლება და მედია ამერიკელებს არწმუნებდა, რომ ეს დროებითი იყო და, როგორც კი საგანგებო მდგომარეობა დასრულდებოდა, ქალები თავიანთ ტრადიციულ როლს დაუბრუნდებოდნენ. პროფკავშირებს ამის დიდად არ სჯეროდა.[41] თუმცა, როდესაც ომისდროინდელმა შრომის

---

[37] Ruth Milkman, *Gender at Work* . Urbana: University of Illinois Press, 1987, pp. 67-70; Hartmann, *Homefront,* 192

[38] Karen Anderson, *Wartime Women: Sex Roles, Family Relations, and the Satus of Women during World War II* (Westport, Conn.: Greenwood Press, 1981), pp. 162-164.

[39] იხ. "The Margin Now is Womanpower," *Fortune 27* (February 1943): 99, 100.

[40] Alice Kessler-Harris, *Out to Work.* New York: Oxford University Press, 1982, p. 279; Jacqueline Jones, *Labor of Love, Labor of Sorrow,* New York: Basic Books, 1985, chap. 7.

[41] Katherine Archibald, "Women in the Shipyard," *Radical America 9* (July-August 1975): pp. 139-45, p. 143.

კოლეგიამ გამოაცხადა, რომ ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისთვის, ქალებმა ისეთივე ანაზღაურება უნდა მიიღონ, რასაც მამაკაცები იღებენ, პროფკავშირებმა ქალების მხარდაჭერის სურვილი გამოხატა და თავის რიგებში მათი მიღება გადაწყვიტა. მოკლე ხანში, 1940-1944 წლებში, გაერთიანებულ პროფკავშირში ქალთა რაოდენობა რვაასი ათასიდან სამ მილიონამდე გაიზარდა, ხოლო მუშების გაერთიანებებში ქალების პროცენტული შემადგენლობა, შესაბამისად, 11-დან 23 პროცენტი გახდა.[42]

1940-1944 წლებში მომუშავე ქალების რაოდენობის 50%-ით გაზრდის მიზეზი სამთავრობო პროგრაგანდისა და სხვადასხვა ფილმის დამსახურებაც იყო. ჰოლივუდის იმდროინდელ ფილმებში ხშირად წარმოდგენილი იყო პატრიოტული ქალის სახე, რომელიც კონვეიერზე მუშაობს.[43]

მაგალითად, ომის დროს შეერთებულ შტატებში შეიქმნა მემოქლონე როუზის ხატი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქარხანაში მომუშავე ამერიკელი ქალის სიმბოლოს წარმოადგენდა. მემოქლონე როუზი ამჟამად მიჩნეულია შეერთებული შტატების ფემინიზმის ხატად და ქალების ეკონომიკური ძალაუფლების მახარობლად.

მემოქლონე როუზი ყველაზე მეტად ასოცირდება რეალურად არსებულ ქალთან, როუზ უილ მონროსთან, რომელიც დაიბადა 1920 წელს, კენტუკის შტატში. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი საცხოვრებლად გადავიდა მიჩიგანის შტატში, სადაც მუშაობა დაიწყო მემოქლონედ უილოუ რანის საავიაციო ქარხანაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის საჰაერო ძალებისთვის B-29 და B-24 ტიპის ბომბდამშენებს აწარმოებდა. ორმოცდაათი წლის ასაკში როუზ მონრომ აიხდინა თავისი ოცნება მფრინავი გამხდარიყო. ცხრამეტი წლის შემდეგ როუზის ფრენისადმი სიყვარული უბედური შემთხვევით დასრულდა, რომელმაც მისი სიცოცხლე იმსხვერპლა. მონროს შესთავაზეს გადაეღო სარეკლამო ხასიათის ფილმში ომისდროინდელი ამერიკის ძალისხმევის შესახებ. 1943 წელს გამოვიდა ქეი ქაიზერის სიმღერა „მემოქლონე როუზი" და სწორედ მონრო იყო ის ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგებოდა სიმღერაში აღწერილ გმირს. როუზი იქცა იმ პერიოდის ყველაზე პოპულარულ სიმბოლოდ. ფილმებსა და პოსტერებს, მისი მონაწილეობით, იყენებდნენ ქალების გასამხნევებლად, რათა სამხედრო საქმეებში ჩაბმულიყვნენ.[44]

[42] Ruth Milkman, *Gender at Work.* Urbana: University of Illinois Press, 1987, p. 85.

[43] Teresa L. Amott and Julie A. Matthaei. *Race, gender, and Work: A multicultural Economic History of Women in the United States.* Boston: South End Press, 1991.

[44] "Rosie The Riveter". 1941-1945. The Pop History Dig. www. pophistorydig.com/topics/rosie_

ამერიკის ეკონომიკის ისტორიის ენციკლოპედიის მიხედვით, 1944 წლისთვის, „როუზი მემოქლონეს" მოძრაობამ გაზარდა დასაქმებული ამერიკელი ქალების რაოდენობა 20 მილიონამდე, რაც 1940 წელთან შედარებით 57%-იან ზრდას გულისხმობდა. ამ ქალებს აერთიანებდათ ის, რომ თითოეულმა მათგანმა დაამტკიცა, რომ ქალებს შეუძლიათ „კაცის სამუშაოს" შესრულება და, თანაც, კარგად. თუმცა, სამუშაო პირობები მკაცრი იყო და ანაზღაურებაც არათანაბარი – ქარხანაში დასაქმებული საშუალო მამაკაცი ომის პერიოდში კვირაში 54.65 დოლარს იღებდა, ხოლო ქალი – 31.50-ს. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ქალები სწრაფად აყვნენ მემოქლონეს როუზი მოწოდებას, რომ მათ სამშობლოს წინაშე ვალი უნდა მოეხადათ[45].

„მემოქლონე როუზი" ეროვნულ გმირ ქალად იქცა. ის ამშვენებდა ჟურნალების ყდებს და სარეკლამო პოსტერებს, რომლებიც ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ქალი, რომელიც თავის პატრიოტულ მოვალეობას ასრულებდა და სამშობლოს ინდუსტრიის გადასარჩენად იღწვოდა, ამით სრულიადაც არ აკნინებდა თავის თანდაყოლილ, ტრადიციულ ქალურობას.

ამ თვალსაზრისით, ქალი-სამხედრო უფრო საკამათო იყო. თუმცა, ამერიკელი ქალებისთვის სამხედრო სამსახური სიახლეს არ წარმოადგენდა, რადგან ჯერ კიდევ რევოლუციის შემდეგ და ნებისმიერი კრიზისის დროს, ქალი სამხედრო სამსახურში მუშაობდა. მართალია, მაშინ ქალები ჯარში, ძირითადად, როგორც არაანაზღაურებადი მოხალისეები ან სამოქალაქო მოსამსახურეები მსახურობდნენ. 1940-იან წლებში ქალების სამხედრო სამსახურმა შეიძინა ორი ახალი ნიშანი: ისინი თითქმის ყველა დანაყოფში გამოჩდნენ, თანაც, ძალიან ახლოს ბრძოლის ველთან და, ამას გარდა, ჯარში მუდმივი სტატუსი შეიძინეს. ამ პროცესმა, რომელმაც შეიარაღებულ ძალებში ქალების ინტეგრაცია მოახდინა, აჩვენა, რომ ომს გენდერული როლების გადახალისების უნარი აქვს. თუმცა, მან აგრეთვე გამოამჟღავნა ტრადიციული წარმოდგენების სიმტკიცე ქალის სტატუსთან მიმართებაში.

კონფლიქტის გაღვივებასთან ერთად, კონგრესის წევრმა ქალბატონმა ედიტ ნ. როჯერსმა კონგრესში კანონპროექტი შეიტანა, რომლის მიზანიც ქალთა დამხარე საჯარისო კორპუსის შექმნა იყო, რომელიც ომში უშუალოდ ჩართული არ იქნებოდა. მართალია კანონპროექტი ჩავარდა,

the_riveter_1941-1945/

[45] Regis, Margaret. *When Our Mothers Went to War: An Illustrated History of Women in World War II.* Seattle: NavPublishing, 2008. Sara Evans, "Rosie the Riveter": Women and War Work during World War II"

კონგრესის წევრი სამხედროების წინააღმდეგობის გამო, მაგრამ პერლ ჰარბორის დაბომბვის შემდეგ, სამხედროთა სერიოზულმა დეფიციტმა სამხედრო შტატის ხელმძღვანელს ქალთა კორპუსის დაუყოვნებლივ შექმნის ბრძანებისკენ უბიძგა. კონგრესმა დაამტკიცა ქალების შენაერთები თითოეულ სამხედრო სამსახურში: ქალთა დამხმარე საჯარისო კორპუსი, საზღვაო სამსახური, სახელად, „ქალები მოხალისეთა სასწრაფო სამსახურში“, საზღვრის დაცვის სამსახური და ქალთა საზღვაო კორპუსი. ეს სამსახურები განსაკურებით მნიშვნელოვანი იყო იმ მოსაზრებით, რომ ქალ-ჯარისკაცებს შეეძლოთ კაცი-ჯარისკაცების გამოთავისუფლება საომარი მოქმედებებისთვის, ვინაიდან მთელი საომარი პერსონალის მეხუთედიდან მესამედს ქაღალდებთან უწევდა მუშაობა და არა უშუალოდ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკის სამხედრო ძალებში 350000-ზე მეტი ქალი მსახურობდა. საინტერესოა, რომ ქალებს არ აძლევდნენ მამაკაცების დაქვემდებარების უფლებას, რამაც ოპერაციების დროს სირთულეები გამოიწვია. ამის გამო მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქალებს ბრძანება მაღალჩინოსანი კაცი ოფიცრების სახელით გაეცათ. ქალები არ დაიშვებოდნენ საომარ ზონებში, იარაღის გამოცდისას და სხვ. მათი ჩინი ვერ იქნებოდა ლეიტენანტ პოლკოვნიკზე ან კომანდორზე მაღალი, ექთნების კორპუსშიც კი. ქალები მამაკაცებისგან ცალკე მსახურობდნენ. ქალების საჯარისო კორპუსი სეგრეგირებული იყო მთელი ომის განმავლობაში და მხოლოდ 6% იყო აფროამერიკელი. ფლოტი, რომელიც აფროამერიკელ კაცებს მხოლოდ განსაზღვრულ თანამდებობებზე იღებდა, უარს ამბობდა აფროამერკელი ქალების მიღებაზე, სანამ 1944 წელს პრეზიდენტმა რუზველტმა შესაბამისი ბრძანება არ გამოსცა. საზღვაო კორპუსის კარი მაშინ დაკეტილი იყო აფროამერიკელი ქალებისთვის, ხოლო საზღვრის დაცვის სამსახური მათ ძალიან ცოტა რაოდენობით იღებდა.

ფორმიანი ქალები არყევდნენ ტრადიციული მაჩოს იმიჯს, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო გამეფებული და მათ არსებობასთან შეგუება, თუნდაც ექთნების სახით, მარტივი არ იყო. ქალების მიმართ სამხედრო სამსახურში არსებულმა არაკეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ, საკმარისი რაოდენობით ქალების ჯარში აყვანის საკითხი გაართულა. დადიოდა ხმები ჯარისკაცი ქალების მიერ პარტნიორების ხშირ ცვლაზე და მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. ქალებს, რომლებიც ლესბოსურ ტენდენციებში ან ურთიერთობებში იყვნენ შემჩნეულნი, სამხედრო სასამართლო ასამართლებდა და არასათანადო საქციელისთვის სამსახურიდან ითხოვდა. ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის კავშირზე ძალიან გამახვი-

ლებული ყურადღება ნიშნავდა, რომ დათხოვნა შეიძლებოდა ფსიქიატრის დასკვნის ან ფიზიკური სიახლოვის გამოხატვის საფუძველზე (გადახვევა ან გადაკოცნა). ქალებს ასევე ითხოვდნენ ჯარიდან დაფეხმძიმების შემთხვევაში. მართალია, ომის დასაწყისში მსგავსი შემთხვევების რიცხვი ცოტა იყო, თუმცა ომის დასასრულისკენ იმატა იმ ქალების რიცხვმა, რომლებიც ფეხმძიმობის მიზეზით ჯარიდან ირიცხებოდნენ, რადგან სურდათ სამოქალაქო ცხოვრებას დაბრუნებოდნენ.

ფორმიანი ქალები ასრულებდნენ იმავე სამუშაოს, რასაც სამოქალაქო სამუშაო ძალა და მათი ფუნქციები კლერკების, მბეჭდავების, სატელეფონო ოპერატორების, დიეტოლოგების, ექთნებისა და მრეცხავების ფუნქციებს ჰგავდა. ცოტა ქალი მართავდა თვითმფრინავს ქალების საჰაერო ძალებში, მფრინავის რანგით, მაგრამ მათ სამოქალაქო და არა სამხედრო სტატუსი ჰქონდათ და გაცილებით ნაკლებად აფასებდნენ, ვიდრე კაც-მფრინავებს. კონგრესმა გამოთქვა სურვილი, შეენარჩუნებინათ ქალების შტატი ომის შემდეგაც, მაგრამ მათი რიცხვი 2%-მდე შეამცირა და უარი თქვა ქალებისთვის მაღალი სამხედრო რანგების მინიჭებაზე. ჯარისკაცი ქალები ვეტერანებისთვის კუთვნილ შეღავათებს იღებდნენ და, კაცების მსგავსად, უნივერსიტეტის გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ. ზოგადად, ომში ქალების სამსახურმა აჩვენა, თუ რამდენის მიღწევა შეეძლოთ მათ და რამდენად შეზღუდა მათი შესაძლო მიღწევები არსებულმა გენდერულმა მოსაზრებებმა.

ამგვარად, 1940-იან წლებში ქალები, რომლებიც ყველაზე მეტად განსხვავდებოდნენ ქალის ტრადიციულად მიღებული იმიჯისგან, სამხედრო ფორმიანი ქალები იყვნენ. ვინაიდან მედდობა თავიდანვე ქალის საქმიანობას წარმოადგენდა, ქალების მიერ დაჭრილების მოვლას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს საქმიანობა ქალებისგან მტრის ცეცხლქვეშ ყოფნას მოითხოვდა. ქალები დაუყოვნებლივ შეუერთეს მედდების კორპუსებს პერლ ჰარბორსა და ფილიპინებზე მომხდარი შეტაკების შემდეგ.[46]

როგორც კი შეერთებული შტატები ომში ჩაება, 100000-ზე მეტი მედდა სამხედრო სამსახურში მოხალისედ ჩაეწერა. ისინი თან დაყვებოდნენ ამერიკის საჯარისო ნაწილებს ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში;

[46] იხ. Mary M. Roberts, *American Nursing: History and Interpretation.* (New York: Macmillan, 1954, pp. 28-30, 171, 342-45; Phillip A. Kalisch and Beatrice J. Kalisch, "Nurses under Fire: The World War Experience of Nurses on Bataan and Corregidor," *Nursing Research* 25, November-December 1976., p.409-29.

თვითონ თხრიდნენ სანგრებს, ცხოვრობდნენ მკაცრ საველე პირობებში და მტრის ცეცხლქვეშ დაჭრილ მამაკაცებს უვლიდნენ. სამაგიეროდ, მათ თანაბარ ანაზღაურებასა და მომავალში მაღალ სამხედრო წოდებას მიაღწიეს.[47]

მართალია, მეორე მსოფლიო ომის დროს ქალმა ფორმალური ლეგალური თანასწორუფლებიანობა მოიპოვა, თუმცა, თანასწორუფლებიანობა ნამდვილად ფორმალური იყო, ვინაიდან ბევრგან ტრადიციები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ახალი კანონები.

მიუხედავად ამისა, 1940-იან წლებში ქალების პოლიტიკური საქმიანობა საგრძნობლად გააქტიურდა. ეს განპირობებული იყო გარკვეული ფაქტორებით, როგორიცაა მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური აღმავლობა და მამაკაცების ნაკლებობა. სწორედ ამან მისცა ქალებს საშუალება გასულიყვნენ პოლიტიკურ ასპარეზზე და დროებით მაინც გაეზარდათ თავიანთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტიურობის დონე.

ქალთა ორგანიზაციები ყველანაირად უწყობდნენ ხელს ქალების ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში. ისინი ქალების თანასწორუფლებიანობას თავანთი საზოგადოებრივი საქმიანობის მთავარ საკითხად აყენებდნენ. ქალთა პროფესიული ორგანიზაციები მუშაობდნენ როგორც ტრადიციული ზეწოლის ჯგუფები, რომელთა ფუნქციაშიც შედიოდა საზოგადოებრივი კამპანიების შემუშავება და ამ გზით საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება.[48]

ამასთანავე, ქალთა ორგანიზაციები პოლიტიკაში ქალების მოსამზადებელ ნიადაგს ქმნიდნენ. 1940-იანი წლებისთვის, ქალ ამომრჩეველთა ლიგამ (LWV) შეწყვიტა ქალის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მაგრამ, დაიწყო ქალების მომზადება თანამდებობების დასაკავებლად. ამ ორგანიზაციების მეშვეობით, ქალები გაეცნენ პოლიტიკურ საკითხებს, მათ მიეცათ ლიდერობის შესაძლებლობა და მოიპოვეს თავდაჯერებულობა ხელშემწყობ გარემოში. თუმცა, პოლიტიკური განათლება მაინც შეზღუდული იყო იმით, რომ ეს ჯგუფები ქალებს პარტიული პოლიტიკის ხელმძღვანელ პოზიციებზე არ უშვებდნენ. ქალ ამომრჩეველ-

[47] Roberts, *American Nursing*. pp. 342-52; "The Nurses' Contribution to American Victory: Facts and Figures from Pearl Harbor to V-J Day," *American Journal of Nuring* 45, September 1945, p.683.

[48] Susan M. Hartmann, "Women's Organizations during World War II: The Interaction of Class, Race and Feminism," in Mary Kelley, ed., *Woman's Being, Woman's Place: Female Identity and Vocation in American History* (Boston: G.K. Hall, 1980), pp. 313-14.

თა ლიგა განსაკუთრებით ამაყობდა თავისი დამოუკიდებლობით საარჩევნო პროცესებში, პარალელურად, ის კრძალავდა პარტიულ აქტიურობას ოფიცრებს შორის და ვერ ახერხებდა საკუთარი წევრების მობილიზებას კანდიდატი ქალების მხარდასაჭერად. მაშინ, როდესაც ქალთა სხვა ჯგუფები სამთავრობო თანამდებობებზე ქალების დანიშვნას ცდილობდნენ, ლიგის პრეზიდენტი 1946 წელს წერდა, რომ ის არ წარმოადგენდა ფემინისტურ ორგანიზაციას და ემხრობოდა პოზიციას, რომ თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო საუკეთესო კანდიდატი, სქესის მიუხედავად. კვალიფიციური ქალების შანსებზე უფრო რეალისტური შეხედულებების მქონე უნივერსიტეტელ ქალთა ამერიკის ასოციაცია (AAUW) და საქმიანი და პროფესიონალი ქალების კლუბების ეროვნული ფედერაცია (BPW) მხარს უჭერდნენ ქალ კანდიდატებს[49].

ამავე დროს, სხვადასხვა სახის შეზღუდვები ასუსტებდა ქალთა ორგანიზაციების ძალისხმევას, რომელიც ქალის სტატუსის ამაღლებას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ საერთო მიზანი ჰქონდათ – საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის გაზრდა, ისინი პრიორიტეტების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებოდნენ. თუ სქესი, უმთავრესად, გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენდა, უფრო ხშირად სოციალური და რასობრივი საკითხები ქალების გაერთიანებას ხელს უშლიდა. საშუალო ფენის წარმომადგენელი თეთრკანიანი ქალები არ ცნობდნენ რასობრივ ზეწოლას აფროამერიკელ ქალებზე, რაც განხეთქილებას ქმნიდა ქალთა ორგანიზაციებში. პრივილეგირებული თეთრკანიანი ქალები რასობრივი უთანასწორობის მიმართ ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილი. მერი მაკლოიდ ბეთიუნი, სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ლიდერი და აფროამერიკელ ქალთა ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი, თეთრკანიან ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ცდილობდა. მას ხშირად დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რომ აფროამერიკელი ქალები ქალთა ჯგუფების საერთო შეხვედრებზე მიეწვიათ. 1944 წელს, აფროამერიკელ ქალთა ეროვნული საბჭოს ინიციატივით, ქალთა ჯგუფების გაერთიანებამ ჩამოაყალიბა მაკოორდინებელი კომიტეტი უკეთესი რასობრივი ურთიერთობების განვითარებისთვის, რო-

[49] Percy Maxim Lee, "Why Not More Women in Public Office?" *National Municipal Review 43* (June 1954): 307-308; Baxter and Lansing, *Women and Politics*, pp. 119-20; Anna Lord Strauss to Mrs. LaFell Dickinson, December 23, 1946, Papers of the National League of Women Voters, Box 695, Library of Congress; M. Eunice Hilton, "If We Want Women in Public Office ... ," *Independent Woman 27* (March 1948): 83; American Association of University Women, General Director's Letter 14 (June 1947), Schlesinger Library.

მელშიც ფემინისტური ორიენტაციის მქონე საშუალო კლასის ქალების ორგანიზაციები არ შევიდა.[50] ქალთა ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი მიზანი იყო ქალების არჩევით თანამდებობებზე დანიშვნა. 1942 წელს დაარსდა მსოფლიო საქმეების ქალთა კომიტეტი (CWWA), რომელიც მიზნად ისახავდა ქალი წარმომადგენლების დანიშვნას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კონფერენციებზე მათ გაგზავნას. CWWA განსაკუთრებით წარმატებული იყო რასობრივი საზღვრების გადალახვაში, რაც გამოიხატა კომიტეტის აღმასრულებელ საბჭოში აფროამერიკელ ქალთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლის დანიშვნასა და სამთავრობო თანამდებობებზე მათი კანდიდატურების რეკომენდაციაში. 1944 წელს ჩატარდა თეთრი სახლის კონფერენცია, თემაზე „ქალები პოლიტიკაში". კონფერენციას ქალთა 75 ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ გრძელვადიანი საბჭოს საქმიანობა CWWA-ის საქმიანობის მსგავსი იყო, თუმცა, ის ქალებს მხარს უჭერდა როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო თანამდებობებზე წარსადგენად. გარდა ამისა, ვაშინგტონში მოქმედებდა ქალების ნაკლებად ფორმალური საზოგადოება, რომლის წევრების უმეტესობაც სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობდა და ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის ქალების განყოფილებასთან თანამშრომლობდა, რათა პირდაპირი გავლენა მოეხდინა თეთრ სახლზე ქალ კანდიდატებთან დაკავშირებით. ქალები თავად აღიარებდნენ, რომ მათი საქმიანობის შედეგები უმნიშვნელო იყო, თუმცა, მათ შეძლეს რუზველტის ადმინისტრაციის დროს მოპოვებული უფლებების შენარჩუნება, რომელთაც ომისშემდგომ წლებში საფრთხე დაემუქრა. ამასთანავე, მათ მოახერხეს ფედერალურ მთავრობაში ქალების დანიშვნის შესაძლებლობების ოდნავ გაზრდა.[51]

[50] Susan M. Hartmann, American Women in the 1940s. The Home Front and Beyond. Twayne Publishers, A Division of G.K. Hall & Co., Boston, Massahcusetts, 1982, p. 148.

[51] Lucy Somerville Howorth, "Women Step Forward," September 27, 1944, Howorth Papers, Box 9; Howorth, "A Program of Action," January 25, 1947, Papers of the American Association of University Women, folder 33, Schlesinger Library; Background and Facts on Roster of Qualified Women, January 22, 1945, Papers of the American Association of University Women, Status of Women Historical File, AAUW Archives, Washington, D.C.; Women's Bureau, "Progress for Women in the United States, 1947-1949," August 1949, pp. 17-23, Papers of the AAUW, Schlesinger Library; Howorth, Memo to Accompany File of Women in World Affairs, 1958, Howorth Papers, Box 7; Howorth, Memo to Accompany Three Clippings, 1958, ibid., Box 6. For an excellent study of the women's network in the New Deal, ob. Susan Ware, *Beyond Suffrage: Women in the New Deal.* Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1981.

1940-იან წლებში ქალები დაწინაურდნენ საკანონმდებლო ორგანოში, სადაც წევრებად დანიშნული ქალების რიცხვი 1941 წლის 144-იდან 1945 წელს 228-მდე გაიზარდა, რაც სუფრაჟიზმის შემდეგი წლების ყველაზე სწრაფი მატება იყო.[52] თუმცა, ქალების მიერ საკანონმდებლო ორგანოში მიღწეული ეს მცირე წარმატება არ აისახა ეროვნული მასშტაბით. 1940-იან წლებამდე ქალებს ხშირად მათი მეუღლეების ადგილას ნიშნავდნენ, ამ უკანასკნელთა ავადმყოფობის შემთხვევაში. აღნიშნულ ქალთაგან ზოგიერთმა, მაგალითად, ედით ნორს როჯერსმა საკუთარი პოლიტიკური კარიერა გაიკეთა და გარკვეული გავლენაც მოიპოვა, მაგრამ უმეტესობა კონგრესში არ ბრუნდებოდა. 1940-იანი წლების შემდეგ ვითარება შეიცვალა, ქალებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღება უკვე შეეძლოთ. 1940 წლიდან 1950 წლამდე ოცდაორი ქალი გახდა კონგრესის წევრი, ხოლო თორმეტმა მინიმუმ ორი ვადით იმსახურა.[53]

მიუხედავად იმისა, რომ კონგრესმენ ქალებს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდათ, თითქმის ყველა მათგანი ქალთა საკითხებზე ბევრს მუშაობდა. მათი ფემინისტური განწყობა გამომდინარეობდა მამაკაცების დამოკიდებულებიდან, რომელსაც ისინი თავიანთ პარტიებსა და კონგრესში გრძნობდნენ. რესპუბლიკელი მარგარეტ ჩეიზ სმიტი, კონგრესის წევრი მეინის შტატიდან, 1940-1948 წლებში, ხოლო შემდეგ სენატორი, აშკარად უარყოფდა „ფემინისტის" იარლიყს, თუმცა საუბრობდა „მამაკაცების მოძველებულ ცრურწმენაზე [პოლიტიკაში] ქალების შესახებ". როდესაც 1948 წელს სმიტმა გადაწყვიტა თავისი კანდიდატურის წარდგენა სენატის წევრობაზე, მან ბევრი პარტიული ლიდერისგან უარი მიიღო. ერთ-ერთმა კი განაცხადა: „პატარა ქალბატონი უბრალოდ თავის კლასს გასცდა".[54] სმიტმა მას საწინააღმდეგო დაუმტკიცა იმით, რომ რესპუბლიკელების წინასწარ არჩევნებში გაუსწრო რო-

[52] Emmy F. Werner, "Women in the State Legislatures," *Western Political Quarterly 21* (March 1968), p.40-50; Virginia Rishel, "More Women in Government?" *Journal of the American Association of University Women* 42 (Fall 1948, p.:21; Bernice T. Van Der Vries, "Women in Government," *State Government* 21 (June 1948), p. 127.

[53] Emmy F. Werner, "Women in Congress: 1917-1964," *Western Political Quarterly* 19 (March 1966):16-30; Rudolf Engelbarts, *Women in the United States Congress, 1917-1972* (Littleton, Colo.: Libraries Unlimited, Inc., 1974), pp. 44-45; Louise M. Young, *Understanding Politics: A Practical Guide for Women* (New York: Pellegrini and Cudahy, 1950), pp. 188, 199-200; Hope Chamberlin, *A Minority of Members: Women in the U.S. Congress* (New York: New American Library, 1974), pp. 367-75. See also Diane D. Kincaid, "Over His Dead Body: A Positive Perspective on Widows in the U.S. Congress," *Western Political Quarterly 31* (March 1978):96-104.

[54] Margaret Chase Smith, "A Challenge to Women," *Independent Woman* 28 (April 1949):102; Chamberlin, *A Minority of Members, pp. 146-49.*

გორც გუბერნატორს, ასევე ყოფილ გუბერნატორს. მსგავსი შემთხვევები სტიმულს აძლევდა ქალების ძალისხმევას სტატუსის ასამაღლებლად წარმოებულ ბრძოლაში.

ამგვარად, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დიდმა ისტორიულმა კატაკლიზმებმა და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომმა ქალების გააქტიურება გამოიწვია და მათ სრულიად ახალი სოციალური სტატუსი მიანიჭა. კარდინალურმა გარდაქმნებმა ქალების მოძრაობას ახალი ფორმები შესძინა. ქალები აღიარებულ იქნენ, როგორც განსაკუთრებული სოციალური ჯგუფი, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესები, მდიდარი გამოცდილება და, საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად შეუძლია იტვირთოს მამაკაცის როლი. მეორე მსოფლიო ომმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქალის სტატუსსა და მის მომავალზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელმა ქალებმა აქტიურად გამოიჩინეს თავი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ პერიოდში ქალმა, რომელიც ტრადიციულად სუსტ არსებად აღიქმებოდა, რომლის ფუნქციად მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა და შვილების აღზრდა ითვლებოდა, დაარღვია საზოგადოებაში საუკუნეების მანძილზე გამჯდარი ეს დისკრიმინაციული წარმოდგენები ქალზე და, მამაკაცთან გათანაბრებული თუ არა, შედარებით უფრო მაღალი სტატუსი შეიძინა.

ომისდროინდელი პოლიტიკის ერთადერთი მიზანი იყო გამარჯვება და შეუძლებელი იყო ამ გამარჯვების მოსაპოვებელ საშუალებებზე ან შედეგებზე კამათი. ომის წლებში ქალების მოვალეობას წარმოადგენდა უბრალოდ რეაგირება, საჭირო საქმის გაკეთება „გარკვეული დროით" და ამასთანავე, ოჯახის, როგორც დემოკრატიის მთავარი საძირკვლის შენარჩუნება.[55]

როგორც დავინახეთ, ყოველი კატაკლიზმის დროს ამერიკელი ქალების სტატუსი იცვლებოდა ისევე, როგორც ეს ხდება მსგავს ვითარებაში ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. ქალებთან დაკავშირებული ცვლილებები, ძირითადად, ყველგან ერთნაირია და ამერიკა გამონაკლისი არ არის.

[55] იხ. Sonya Michel, "American Women and the Discourse of the Democratic Family in the World War II", in *Behind the Lines:Gender and the Two World Wars, ed. M.R. Higonnet, etal.* New Haven, Conn.: Yale University Press, 1987, 154-67.

თავი 2

ქალთა მოძრაობის აღმავლობა შეერთებულ შტატებში XX საუკუნის მეორე ნახევარში

ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის წანამძღვრები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგი ათწლეულის განმავლობაში ქალების ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა ორი მთავარი და განსხვავებული ტენდენცია. პირველი იყო მათ მიერ შრომითი საქმიანობის შემდგომი გაგრძელება, ანუ მათი მონაწილეობა შრომით ძალებში, რასაც შეცვლილი ეკონომიკური, დემოგრაფიული და სამედიცინო ფაქტორები განაპირობებდა, მეორე კი, დიასახლისობაზე, როგორც საკუთარ როლზე და, ზოგადად, ქალურობაზე თვით ქალების შეხედულების მზარდი ზეგავლენა.

თუ ომის წლებში ქალებს მოუწოდებდნენ ეროვნულ საქმეებში მონაწილეობისაკენ და მათთვის პატრიოტიზმის გამოვლინებად სახელმწიფოს ინტერესებისათვის კაცების სამუშაო ადგილებზე შრომა ითვლებოდა, 1940-50-იან წლებში უკვე ფართოდ გავრცელდა მოწოდებები გათხოვებისა და დედობის ფუნქციის შესრულებისაკენ. ახლა ქალებს აკრიტიკებდნენ იმიტომ, რომ მუშაობდნენ და ამის გამო ოჯახების სიმტკიცე შეარყიეს. სწორედ ამით გამოიხატა 1940-იანი წლების მეორე ნახევრის ანტიფემინიზმი.

ომის შემდეგ გაძლიერდა ფროიდისტული განწყობილება. ამ განწყობილების მატარებლების აზრით, ქალებმა ემოციურ სტაბილურობას მხოლოდ ოჯახებში შეიძლება მიაღწიონ, კერძოდ, ამისათვის მათ სჭირდებათ ბავშვებზე ზრუნვა, სახლებში ჯდომა და არა გარეთ სადმე მუშაობა, ასევე, თავიანთი სხვა მოთხოვნილებების ჩახშობა.

მოკლედ, დედები უნდა იყვნენ სახლში, რათა გვერდით ჰყავდეთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სკოლიდან დაბრუნებულ უფროს შვილებს შინ დახვდნენ და ა. შ. ცნობილი ამერიკელი ექიმი დოქტორი ბენჯამინ სპოკი ამ მიზნით ფედერალურ მთავრობას, ბავშვების აღსაზრდელად, დედებისთვის შესაბამისი თანხების მიცემას ურჩევდა, რათა მათ სახლი არ დაეტოვებინათ. კოლეჯებში უნდა შექმნილიყო სპეციალური პროგრამები ქალებისთვის, სადაც მათ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სპეციალურ

კურსს ასწავლიდნენ.

ომის დამთავრების შემდეგ ბევრი ქალი მაინც ბედნიერი იყო, რომ მიატოვა სამსახური ფაბრიკა-ქარხნებში, ფერმებსა თუ ოფისებში და ოჯახებში დაბრუნდა. თუმცა, ყველა არა. ქალების ნაწილმა ისეთივე მაღალანაზღაურებად სამსახურს მიაღწია, როგორიც კაცებს ჰქონდათ. ომის შემდეგ მოსამსახურე აფროამერიკელი ქალების რაოდენობა, მართალია, 72%-დან 48%-მდე შემცირდა, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა სამსახური ფაბრიკებში დაიწყო (აქ მათი რაოდენობა დაახლოებით 19%-ით გაიზარდა). ომმა, როგორც ამერიკელი ისტორიკოსი უილიამ ჩეიფი წერს, მათი „მეორე ემანსიპაცია" გამოიწვია.

მუშა-ქალების რაოდენობა განსაკუთრებით მრეწველობაში შემცირდა. კონვერსიის პერიოდში მრეწველობა აღარ მოითხოვდა იმდენ მუშას, რამდენსაც ომიანობის წლებში. სწორედ, ამის შემდეგ შეერთებულ შტატებში 19,5 მლნ ქალი თავის ტრადიციულ „ქალურ სამუშაოს დაუბრუნდა"[56].

ქალები აცნობიერებდნენ, რომ მამაკაცებთან ერთად, მათაც შეეტანეს წვლილი ომში გამარჯვების საქმეში. ენერგიისა და პატრიოტული ემოციის მოზღვავებამ მოქალაქეობრიობის გრძნობას და საკუთარი თავის აღქმას ახალი მასშტაბები შესძინა. თუმცა, ამ პერიოდში არ არსებობდა ამგვარი ემოციების ინსტიტუციონალიზაციის გზა, რადგანაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმმართველი როლი მთლიანად სახელმწიფოს ეკავა. მართლაც, ომის ბოლოს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ომის დროს დასაქმებული ქალების, საშუალოდ, 80-90%-მა მუშაობის გაგრძელება მოინდომა. მიუხედავად ამისა, ქალი თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლეს. უმუშევრობის დონე უეცრად გაიზარდა და ზოგიერთს დეპრესიის წლებიც კი გაახსენა. თუმცა, ფაბრიკები მალე გაიხსნა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ქალების ხელახლა აყვანაზე უარი განაცხადეს[57].

მიუხედავად ამისა, 1947 წლის შემდეგ მუშა-ქალების რაოდენობა ისევ გაიზარდა. 1950-იანი წლებისთვის მათმა რაოდენობამ 31%-ს მიაღწია. ამის შემდეგაც, მათი რაოდენობა იზრდებოდა. 1973 წელს ამ ციფრმა უკვე 42%-ს მიაღწია. ასევე გაიზარდა მომუშავე გათხოვილი ქალებისა და ხანში შესული ქალების რაოდენობა.

[56] Beulab Amidon. Rosie on the Home Front. In: A Twentieth Century. American Reader. Vol. 1, 1900-1945, Ed. by Jack Lane and Maurice O'Sullivan, USIA, Washington, 1999, p. 479.

[57] Hartmann S. M., The Home Front and Beyond American Women in the 1940s. – Boston, Twayne Publishers, 1982 _ 235p.

ომის შემდეგ ქალებს მათთვის ხელმისაწვდომ სამუშაო ადგილებზე იმის ნახევარ ხელფასს სთავაზობდნენ, რაც ომის დროს ჰქონდათ. თანაც, ზოგიერთ სამსახურზე უარს ეუბნებოდნენ იმ მოტივით, რომ იმ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულება მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ.[58] ასეთი ვითარება ქალების პროტესტს იწვევდა. სამწუხარო ის იყო, რომ ხშირად თავად ქალებს ადანაშაულებდნენ სამუშაოს დაკარგვის გამო და მათ „არაპროფესიონალებად" მოიხსენიებდნენ.[59]

ქალს ოჯახში დაბრუნება მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე მოუხდა. დრამატულმა ინფლაციამ გააორმაგა ფასები, რამაც ქალთა ძლიერი პროტესტი გამოიწვია. თუმცა, ქალების საპროტესტო აქციები იშვიათი და არაორგანიზებული იყო. წინა პერიოდის ფემინისტური მოძრაობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. შემორჩა მხოლოდ რამდენიმე სფერო, სადაც ქალთა უფლებებისა და მათი თანასწორობის იდეალები შერჩა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მუშაკთა ავტოინდუსტრიის გაერთიანებული ბიურო, ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია და სხვა რელიგიური ორგანიზაციები.

მიუხედავად ამისა, არსებობდა ომისდროინდელი ქალის სტატუსის ცვლილების უფრო გრძელვადიანი შედეგებიც. ეს გამოიხატებოდა დაოჯახებული, ასაკოვანი ქალების დასაქმებასა და მათი თანაბარი ხელფასებით უზრუნველყოფაში. ომისშემდგომ პერიოდში ქალებს საკუთარ პირად ცხოვრებაზე კონცენტრირების შესაძლებლობა მიეცათ. სწორედ ამან შეუქმნა საფუძველი ბეიბი ბუმის ეპოქას. ამ თაობის დედები დამოუკიდებლობისა და კულტურული თივთდამკვიდრების პერიოდს ომის წლებში განიცდიდნენ. შესაძლოა, ამის გამო, მათ ისე აღზარდეს საკუთარი ქალიშვილები, რომ ორი ათწლეულის შემდეგ მათ ფემინისტური ტალღის გამოცოცხლება განაპირობეს.[60] თუმცა, მანამდე წინააღმდეგობებითა და ილუზიებით სავსე 1950-იანი წლები იყო.

ამ დროს განსაკუთრებით აქტუალური იყო იმის ხაზგასმა, რომ ქალის მთავარი ფუნქცია ოჯახის, როგორც დემოკრატიის მთავარი საფუძ-

[58] იხ. Will Jones, Women Workers Spurn Peace Jobs, *Minneapolis Tribune*, 15 September 1947, p. 7; Mary Smith in Ruth Young and Catherine Filene Shouse, "The Woman Worker Speaks," *Independent Woman* 24 October 1945, p. 274.

[59] Margaret Barnard Pickel, "How Come No Jobs for Women?" *New York Times Magazine*, 27 January 1946, p. 46-47.

[60] იხ. ვასილ კაჭარავა, ამერიკა 1950-იან წლებში, გვ. 162-163; ასევე, James T. Patterson, Grand Expectations. The Oxford History of the United States, V. 10. New York: Oxford University Press, 1996, p.77.

ვლის, დაცვა და შენარჩუნება იყო. ქალებისადმი განკუთვნილ სტატიებში მათ აფრთხილებდნენ, რომ ახლა მთავარი იყო მზრუნველობა გამოეჩინათ და მცდელობა არ დაეკლოთ ომგამოვლილი მამაკაცების მეობისა და ღირსების გრძნობის აღდგენისათვის. ერთ-ერთი კონსულტანტი ქორწინების სფეროში ქალებს ურჩევდა „აგრძნობინეთ მათ, რომ დაიღალეთ მარტო ცხოვრებით და, რომ ახლა, მათი ზრუნვა გჭირდებათ".[61] ქალების ომისდროინდელი ამაგი თითქმის დაივიწყეს. ქალები განსაკუთრებით შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ნებისმიერი სამუშაო მათ მხოლოდ ნახევარ ანაზღაურებას პირდებოდა, ვიდრე ომის დროს ჰქონდათ.

აღნიშნულ ფაქტს სოციოლოგები თანამედროვე ქალის „დილემას" უწოდებდნენ. როგორც ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი სოციოლოგი მირა კომოროვსკი აღნიშნავდა, ქალებიც და კაცებიც დაბნეულნი და უკმაყოფილონი იყვნენ თანამედროვე ქალების ადგილით ამერიკაში. რამდენიმე ორგანიზაცია ცდილობდა დახმარებოდა ქალებს პრობლემების დაძლევაში. ისინი აწყობდნენ სპეციალურ კონფერენციებს და აქტიურად თანამშრომლობდნენ ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციებმა ვერ შეცვალა ბევრი რამ, რადგან ქალთა პროტესტი არაორგანიზებული და დროებითი იყო, ქალთა მოძრაობა ჯერ კიდევ სუსტი იყო, მაგრამ მის არსებობას მაინც მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ ქალების უფლებებზე ვიღაცა მაინც ფიქრობდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკაში სოციალური გარემო ე.წ. ქალურობის ერთობლიობის იდეოლოგიით იყო გამსჭვალული. ქალების ნატვრა იყო „სინატიფე, ქალურობა, მამაკაცებზე დამოკიდებულება, მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება. ეს იყო ყველა მამაკაცის ცოლის იდეალი"[62]. ჟურნალი „McCalls", რომელიც შემოკლებით თავის თავს ერთობლიობის ჟურნალს უწოდებდა, თავის ანგარიშში იუწყებოდა, რომ 1954 წელს დაქორწინებული ახალგაზრდების რაოდენობა იზრდებოდა, ქორწინებისა და ბავშვის გაჩენის ასაკი კლებულობდა, ხოლო შობადობა მატულობდა.

1956 წელს ჟურნალ „Look"-ის ერთ-ერთი ნომერი მიეძღვნა „საოცარ ქმნილებას", რომელიც „თხოვდება სულ უფრო ადრეულ ასაკში, სულ უფრო მეტ ბავშვს აჩენს, ხოლო გამოიყურება და იქცევა უფრო ქალურად,

[61] ბაქრაძე თ., ამერიკელი ქალები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები" №3., თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ.469.

[62] Bea Carroll, "How to Get Along with Women," Ladies Home Journal", January 1950, p. 73.

ვიდრე 1920-30-იანი წლების ემანსპირებული გოგონები იქცეოდნენ"[63].

1956 წელს ჟურნალ „Life"-ის ერთ-ერთ ნომერში, რომელიც ეძღვნებოდა „ამერიკელ ქალებს", ისტორიკოსმა შეილი ტობიასმა შემდეგნაირად შეაჯამა თავისი სათქმელი: „იდეალური ამერიკელი ქალი უნდა იყოს თეთრკანიანი, საშუალო კლასის წარმომადგენელი, თავისუფალი, განებივრებული, გართობის მოყვარული, მატერიალისტი, ლამაზი გარეგნობის, ბიჭებზე გადარეული და საშუალო ფენის სამოთხეში გათხოვებასა და დედობაზე მეოცნებე. მთელი მსოფლიოს ქალებს უნდა შურდეთ მისი ბედნიერების"[64].

მეორე მსოფლიო ომის დროს და დამთავრებიდან პირველ ხანს, ქალები დამოუკიდებელნი და შედარებით დაფასებულნი იყვნენ, ვინაიდან მთავრობისა და მასმედიის წარმომადგენლები მათ პატივს სცემდნენ ომიანობის დროს გაწეული შრომისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გენდერული ბარიერები ძალიან ცოტა ხნით მოისპო. საზოგადოების განწყობა და პრიორიტეტები ომის შემდეგ შეიცვალა და ქალებს მძიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკური და საშინაო პრობლემები, რის გამოც დიასახლისის შრომამ ქალის ცხოვრებაში მთავარი ადგილი დაიკავა. ომის შემდეგი ეკონომიკური აღმავლობის შედეგად, ბევრმა მამაკაცმა, ოჯახის უზრუნველსაყოფად, საკმარისი ფულის შოვნა შეძლო. ოჯახის სხვა წევრების მუშაობა აღარ იყო საჭირო, ამავდროულად, შრომის ბაზარზე ქალებს ომიდან დაბრუნებული ვეტერანები ცვლიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე ომის შემდეგ მეტი ქალი აღმოჩნდა, ვიდრე ომამდე და ქალების უფრო დიდი რაოდენობა ოფიციალურად მუშაობდა, ვიდრე წინათ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ეს ქალები იძულებულები იყვნენ ემუშავათ დაბალშემოსავლიან, ქალებისათვის განკუთვნილ, ანუ ქალურ სფეროებში.

ომის შემდეგ ქალთა საკითხებზე ამერიკულ საზოგადოებაში მწვავე დისკუსია გაიმართა, რომელიც მიმდინარეობდა ქალთა ჟურნალების ფურცლებზე, ფსიქოლოგთა რჩევებში, ფილმებში, რეკლამებსა და ექსპერტების, მეცნიერების, ფსიქოლოგების გამონათქვამებსა და სტატიებში. საბოლოო ჯამში, საზოგადოება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნამდვილ ბედნიერებას ამერიკელი ქალები მხოლოდ ოჯახურ ცხოვრებაში ჰპოვებენ. ეს არგუმენტი ამერიკელებმა ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომის შემდეგ მიიღეს. „ჩვენ ყველანი დაუცველები, სახლის სითბოს მო-

[63] Sara Evans, Born for Liberty: A History of Women in America (New York: The Free Press, 1989), p. 249.

[64] Sheila Tobias, Faces of Feminism: An Activist's Reflection on the Women's Movement. Boulder, CO: Westview Press, 1997, p.61.

წყურებულები, მარტოხელა და შეშინებულები ვიყავით," – წერდა ბეტი ფრიდანი.[65] „გათხოვების გამძაფრებული სურვილი, ნადირობა კაცებზე, საკუთარი კერის შექმნისა და შვილების აღზრდის სურვილი იგრძნობოდა ერთდროულად სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებში. ეს იყო წყურვილი, რომლის დაკმაყოფილება უეცრად ყველასთვის შესაძლებელი გახდა ომის შემდეგ აყვავებულ ამერიკაში".[66]

ამასთან ერთად, არსებული ვითარებით ქალების უკმაყოფილება მწიფდებოდა. უკმაფილებისთვის და ამერიკაში ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის აგორებისთვის არსებობდა როგორც ობიექტური, ასევე, სუბიექტური მიზეზები. ობიექტური მიზეზები იყო: დისკრიმინაცია ყველა სფეროში – საზოგადოებაში (პატრიარქალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქალის ტრადიციული სტატუსის შენარჩუნება) ეკონომიკაში („უხილავი ჭერი" – ქალის და კაცის სამუშაოს არსებობა, არათანაბარი ხელფასი ერთნაირი სამუშაოსთვის), პოლიტიკაში (გადაწყვეტილების მიმღები ქალების მიზერული პროცენტი), ქალების განათლების დონის ამაღლება.

1960-იანი წლების პირველ ნახევარში, როგორც ფემინისტები აღნიშნავენ, ქალთა საკითხებში ლიბერალიზაციას მიაღწიეს. ამ დროს რამდენიმე მოვლენა ერთმანეთს დაემთხვა. 1963 წელს აშშ-ში „თანასწორუფლებიანი საგადასახადო კანონი" მიიღეს, იმავე წელს ქალთა სტატუსის განმსაზღვრელი საპრეზიდენტო კომისია შეიქმნა და 1964 წელს სამოქალაქო უფლებათა ბილი დამტკიცდა. მაგრამ კიდევ ერთი ფაქტი მოხდა, რამაც ამერიკელი ქალების ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. მხედველობაში მაქვს, იმავე 1963 წელს, ბეტი ფრიდანის წიგნის „ქალის საიდუმლო" გამოქვეყნება.

სწორედ, ფრიდანის წიგნი „ქალის საიდუმლო" გახდა ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის ბიძგი, ასევე, 1960-იანი წლების სოციალური მოძრაობები, განსაკუთრებით კი, მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის. გარკვეული როლი ქალების გააქტიურებაში ითამაშა კენედის ადმინისტრაციის პოლიტიკამ ქალთა საკითხში.[67]

[65] Friedan, The Feminine Mystique, New York: W.W. Norton & Company, Inc., 1963, p. 169.
[66] Ibid.
[67] Elene Medzmariashvili, Kennedy Administration Policy in Women Issues. American Studies Periodical, 6th Edition, IBSU, 2013, pp.143-150; Elene Medzmariashvili, JFK and American Women Issues. Journal "Americanist", Warsaw, 2014.

ბეტი ფრიდანი და მისი «ქალის საიდუმლო»

ბეტი ფრიდანი უდავოდ ითვლება თანამედროვე ფემინიზმის ფუძემდებლად. 1963 წელს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის „ქალის საიდუმლოს" გამოსვლისთანავე, მან უბიძგა ქალთა მოძრაობის ახალი, ე.წ. „მეორე ტალღის" აგორებას, რითაც განამტკიცა „პირველი ტალღის" შედეგები, კერძოდ, 1920 წელს მიღებული ქალთა საარჩევნო უფლებები. ფრიდანმა განსაზღვრა ამერიკელი ქალებისათვის იმ ეპოქაში აქტუალური პრობლემები და დაიწყო ბრძოლა მათ მოსაგვარებლად. მან განსაზღვრა ქალის ჩაგვრის იდეოლოგიური ფენომენი, მიაწერა იგი კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ პერიოდს და განმარტა, რატომ და როგორ განმტკიცდა საზოგადოებაში ქალისადმი ამგვარი დამოკიდებულება. მისმა ანალიზმა მკითხველი დაარწმუნა იმაში, რომ მათი დაუკმაყოფილებელი სურვილების და იმედგაცრუების გამომწვევი მიზეზები საზოგადოების მანკიერებაში უნდა ეძებონ და არა პირად არაკომპეტენტურობასა თუ ნაკლოვანებებში, რამაც მკითხველებს არსებული სიტუაციის გამოსწორების იმედი გაუღვივა.

ბეტი ფრიდანი იმის გამოაშკარავებას შეეცადა, რაც თანამედროვე ქალის უუფლებობის (თუ უბედურების) მიღმა იმალებოდა. პატრიარქალურ ამერიკულ საზოგადოებაში ქალს ზრდიდნენ როგორც შინამოსამსახურეს ან მაღალი საზოგადოების „ჩურჩუტ" ლამაზმანს, ერთგვარ სოციალურ მხევალს (butterfly), რომელიც მარტო რჩება მაშინვე, როგორც კი სილამაზეს, მიმზიდველობას კარგავს, ვინაიდან ამის მეტი არაფერი გააჩნია, კაცის შესანარჩუნებლად"[68]. ფრიდანის მოწოდების პასუხად შეიქმნა ეროვნული ორგანიზაცია ქალებისთვის (NOW).

ბეტი ფრიდანის აზრით, ქალების პრობლემის საფუძველთა საფუძველი იყო საზოგადოების მიერ ქორწინების ინსტიტუტის არასწორი გაგება, რაც ქალის მცდარ იმიჯს ქმნიდა (ქალის საიდუმლო!). იგი თვლიდა, რომ ქორწინება ქალის პიროვნულ განვითარებას ხელს უშლიდა[69]. ეს მოსაზრება მერი ვოლსტოუნკრაფტის მოსაზრების ერთგვარი გამოძახილი იყო, რომელსაც ასევე მიაჩნდა, რომ „საუკეთესო ქორწინებები თანასწორთა შორის ქორწინებებია, სადაც ქმარი და ცოლი როგორც მეგობრები, ასევე პარტნიორები არიან"[70]. ვოლსტოუნკრაფტი აღნიშნა-

[68] H.Carleton, M.Devis, op. cit., p.169.
[69] Betty Friedan, Woman's Destiny: Choice or Chance? 1965, p.1.
[70] Kathrin Schultheiss, Women' Rights, 1967, p.28.

ვდა, რომ ქორწინებაში თანასწორუფლებიანობის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა თანაბარი განათლების შემთხვევაში. „ქალის საიდუმლოში" ბეტი ფრიდანი ქალს შინა მოსამსახურის, მონისა და „ეკონომიკური პარაზიტის" სტატუსს ანიჭებდა.

ახლად გაღვიძებული ქალთა მოძრაობის ძირითადი მიზანი გახდა ქალის იდენტიფიკაცია, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნა, კერძოდ, „ვინ ვარ მე?" ("Who am I?") სინდრომის გარკვევა. ეს კი ადვილად მისაღწევი გახდებოდა სათანადო განათლების მიღების შემთხვევაში. შესაბამისად, ქალთა თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის ახალი ტალღის უმთავრესი მიზანი ან, უფრო ზუსტად, თემა ცოლობის ინსტიტუტის ტრადიციულ გაგებაზე შეტევა გახდა. ფემინისტებს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების ტრადიციული სტილი შეცვალეს, სურდათ ეს ცვლილება სხვა ქალებსაც გაეზიარებინათ.

მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე ფემინისტები ცდილობდნენ თავიანთი ნაშრომებითა და იდეოლოგიით იმის დამტკიცებას, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები, ოჯახი და, ზოგადად, გარემოცვა ქალის სტატუსის განსაზღვრაზე.

ერთ-ერთი მაგალითი მოაქვს ქეთრინ შულთაისს, რომელიც წერს, თუ როგორ აიძულებდნენ გოგონებს ეთამაშათ თოჯინებით და დედებისათვის მიებაძათ. მაგრამ, დაცინვისა და გაკიცხვის საგანი ხდებოდნენ, თუ იმ საქმის გაკეთებას მოისურვებდნენ, რასაც მამები აკეთებდნენ. ანუ ოჯახი აშკარად ახდენდა გავლენას ქალის ფსიქოლოგიის ფორმირებაზე, ოჯახის გავლენაზე კი საზოგადოება ზემოქმედებდა.[71] ფრიდანის მიმდევარი ფემინისტების მიზანს არ წარმოადგენდა მხოლოდ დისკუსიები და ქალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ის ქალებს გააქტიურებისა და გაბატონებული სტერეოტიპების დაძლევისკენ მოუწოდებდა. აუცილებელი იყო თითოეულ ქალს დაეჯერებინა, რომ იგი ისეთივე შესაძლებლობების მქონე არსებაა, როგორც მამაკაცი. როგორც ბეტი ფრიდანმა დაასკვნა: „თუ ადამიანის აზროვნებასა და საქციელში ტრანსცენდენტული ნიშნის დატოვების იმედი გაქვთ, უნდა აცნობოთ მსოფლიოს, რომ ქალს როგორც მკერდი, ასევე ტვინიც აქვს, ადამიანური შრომა, თანაბრად, ორივესია"[72]. ფრიდანს თავდაპირველად არ განუზრახავს რევოლუციური გადატრიალების განხორციელება, მას უბრალოდ სურდა 1942 წლის სმიტ კოლეჯის კურსდამთავრებულთა მე-15 შეკრების აღსანიშნავად თავის კურსელებზე

[71] იხ. Katherin Schultheiss, Women's Rights, Oxford University Press, 1973.
[72] Betty Friedan, Beond the Femine Mystique, Washington D.C., 1973, pp. 3-4.

სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.[73] „ეს იყო მშვენიერი შანსი, დამემტკიცებინა, რომ განათლებამ არ შესძინა ქალებს არანაირი მამაკაცური თვისებები, ვერ დათრგუნა მათი სექსუალურობა, არ გამოუწვევია შინაგანი კონფლიქტები და იმედგაცრუება. მე ხელიდან ვერ გავუშვებდი ამ შანსს", წერს ფრიდანი.[74] იგი განსაკუთრებით ცდილობდა თავისი სიტყვა ეთქვა იმ დროს მიმდინარე ცხარე დებატებში ქალების განათლებასთან დაკავშირებით. ნაშრომში ფრიდანს მოაქვს ციტატები სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებიდან, საიდანაც შესაძლებელია კარგად დავინახოთ ქვეყანაში არსებული შეხედულებები ქალთა განათლებასა და, ზოგადად, ოჯახის შესახებ. მაგალითად, "Ladies Home Journal"-მა დასვა კითხვა „ნუთუ კოლეჯში მიღებული განათლება არაფრად ადგებად ქალებს?", ხოლო „Newsweek"-მა გამოაქვეყნა „სპეციალური ანგარიში განათლებაზე ამერიკულ კოლეჯებში", რის შედეგად გაისმა კითხვა „ხომ არ ჯობია, რომ ქალებს უბრალოდ ვასწავლოთ სახლის საქმე, მაგალითად, მზარეულობა, კერვა და ბავშვის მოვლა?"[75] ბეტი იმდენად დარწმუნებული იყო თავის სისწორეში, რომ შემდეგნაირად დაასათაურა საკუთარი ნაშრომი: „ქალურობის ერთობლიობა", რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1950-იანი წლების იდეალური ოჯახის ერთგვარ კლიშედ იქცა და, ზოგადად, ქვეყანაში არსებული სოციალური გარემოს იდეოლოგიას წარმოადგენდა.

მრავლისმეტყველია 1950 წლების ლიბერალიზმის წარმომადგენლის ადლაი სტივენსონის სიტყვები ქალის ცხოვრებაში განათლების ადგილზე, რომელიც მან 1955 წელს თავის გამოსვლაში ბეტი ფრიდანის მშობლიური კოლეჯის გახსნის დღეს წარმოთქვა. იგი არწმუნებდა ახალგაზრდა კურსდამთავრებულებს, რომ ამერიკელი ქალის ჭეშმარიტი მოწოდებაა იყოს ნამდვილი ცოლი და დედა. „ქალები და, განსაკუთრებით, განათლებული ქალები ფლობენ უნიკალურ შესაძლებლობას გავლენა მოახდინონ ჩვენზე, კაცებზე და ბიჭებზე და თავისუფალი საზოგადოების დრამაში უშუალო როლი ითამაშონ". ქალს არ მოეთხოვება საზოგადოებრივ საქმეებში ჩარევა, მან უნდა თავისი ნიჭი და უნარი გამოიყენოს, რათა „დაანახოს ოჯახის წევრებს ცხოვრების დანიშნულება და დაარწმუნოს ისინი წმუნოს ნდაჯის, თავის სიტყვასიწვიასკვნამდე, თავისუფლების აუცილებლობაში. ამის შედეგად მისი ქმარი გაითავისებს იმ ფასეულობებს, რომლებიც

[73] იხ. Ruth Rosen, The World Split Open: How the Modern Women's Movement Changed America. New York: Penguin, Putnam Inc., 2000, p. 36.

[74] Betty Friedan, The Feminine Mystique. New York: W.W. Norton & Company, Inc., 1963, p. 331.

[75] იხ. Judith Hennessee, Betty Friedan: Her Life. New York: Random House, 1999, p. 72.

აზრს შესძენს მის ყოველდღიურ ჭაპანს. ...მან უნდა დაარწმუნოს შვილები თვითოეული ადამიანის უნიკალურობაში".

მან აღიარა ქალების ფლუსტრაცია, მათი შეზღუდული როლის გამო ცხოვრებაში, როდესაც აღნიშნა, რომ "სახლის საქმეში ჩაფლული ქალები განიცდიან იმედგაცრუებას და სულ უფრო შორდებიან იმ დიდ საკითხებსა და დებატებს, რომლებისთვისაც ემზადებოდნენ, როდესაც უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლობდნენ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ თავის წვლილს შეიტანდნენ ამ საუკუნის კრიზისების გადაწყვეტაში. ისინი კი მხოლოდ ბავშვის საცვლებს რეცხავენ". მაგრამ ამ ყოველდღიურმა საქმიანობამ არ უნდა დააბრკოლოს ქალები. სინამდვილეში ეს დედობრივი მოვალეობები ქალს უზარმაზარ უპირატესობას სძენს. უპირველესად, ეს არის სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა სახლში – შეგიძლიათ იმუშავოთ სასტუმრო ოთახში, ბავშვით კალთაში ან სამზარეულოში, საჭმლის მომზადებისას. თუ მართლა ჭკვიანი ხარ, შეგიძლია გამოიყენო ეს შენი ხელოვნება და მართლაც გაიმარჯვო მამაკაცთან ბრძოლაში, სანამ იგი გულუბრყვილოდ ტელევიზორს უყურებს! ...ბევრის გაკეთება შეგიძლიათ ამ საუკუნის კრიზისების დაძლევაში, თქვენი წვლილი რომ შეიტანოთ თუნდაც დიასახლისის მოკრძალებულ როლში, თუკი ამას მოინდომებთ. უკეთეს პროფესიას ვერც კი მოისურვებთ".[76]

სტივენსონის სიტყვების გავლენით, ფრიდანმა თანაკურსელებს დაუსვა შემდეგი კითხვები: რა გიშლით ხელს, რომ განსაზღვროთ თქვენი, ანუ ქალის, როლი საზოგადოებაში? რა არის თქვენი ცხოვრების მთავარი სიხარულისა და იმედგაცრუების წყარო? რას შეცვლიდით ცხოვრებაში? როგორ წარმოიდგენთ თქვენს ცხოვრებას მას შემდეგ, რაც შვილები წამოიზრდებიან? გამოკითხვის შედეგებმა ფრიდანს აღმოაჩენინა, რომ „კრიტიკოსები არც ისე ცდებოდნენ: განათლება საშიში და იმედგამაცრუებელი რამაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალი მას არ იყენებს".[77]

ამ გამოკვლევამ ფრიდანი დაარწმუნა, რომ ამერიკელი ქალები ყოფითმა სიკეთეებმა ბედნიერები ვერ გახადა. ისინი თავს არასრულფასოვან არსებებად თვლიდნენ. „არავითარი პრობლემა არ მაწუხებს, მაგრამ განწირული ვარ. ვგრძნობ, რომ პიროვნება არ ვარ. მე ვარ მზარეული, საცვლების მრეცხავი და დამლაგებელი, უბრალოდ ვინმე, ვისაც დაუძახებ, როდესაც რამე დაგჭირდება. მაგრამ ვინ ვარ მე?"[78]

[76] Adlai Stevenson, "A Purpose for Modern Woman," Women's Home Companion, September 1955, იხ, Friedan, The Feminine Mystique, pp. 55-56.

[77] Friedan, The Feminine Mystique, p. 331.

[78] Ibid, pp. 17-19.

ფრიდანმა სხვა ქალებიც გამოკითხა. იგი იზიარებდა თავისი თანაკლასელების უკმაყოფილებას, იმ ქალების ბედს, რომლებიც ცდილობდნენ შეეთავსებინათ სახლის საქმე, ოჯახი და კარიერა. თვით ბეტი ფრიდანი დაუკმაყოფილებლობის გამოხატვის კლასიკური მაგალითი იყო. ამ იდეოლოგიით იგი უმკლავდებოდა „ქალის საიდუმლოს". მოგვიანებით მან დაწერა: „ქალის საიდუმლო", გარკვეულწილად, შემთხვევით დაიწერა – სხვადასხვა გარემოების დამთხვევით", ხოლო, მეორე მხრივ, მთელი ცხოვრება ვემზადებოდი ამ წიგნის დასაწერად. მისი წერისას ჩემი ცხოვრების ყველა მონაკვეთი გაერთიანდა."[79] ამ წიგნში მართლაც აისახა ბოლო თხუტმეტი წლის განმავლობაში მის მიერ დაწერილი ნაშრომები და განცდები. აქ იგრძნობა ავტორის მიერ როგორც ქალის საიდუმლოს უარყოფა, ასევე ქალის დაჩაგრული მდგომარეობის გამძაფრებული შეგრძნება.

იმისათვის, რომ ფრიდანის განწყობის, განცდების მიზეზები დავადგინოთ, აუცილებელია მისი ბიოგრაფიის ცოდნა. ბეტი ფრიდანი, იგივე, ბეტი ნაომი გოლდშტეინი დაიბადა 1921 წელს ილინოისში. მამამისი იყო ებრაელი ემიგრანტი რუსეთიდან – იუველირი ჰარი გოლდშტეინი. დედა მირიამი იძულებული გახდა დაეტოვებინა რედაქტორის თანამდებობა ადგილობრივ გაზეთში, რათა ოჯახისთვის საკუთარი ცხოვრება მიეძღვნა.[80] ბეტი თავს ყოველთვის გარიყულად თვლიდა, იგი სამმაგად იჩაგრებოდა, როგორც ულამაზო გოგონა, როგორც ებრაელი და, ამავდროულად, რაგორც ძალიან ნიჭიერი მოსწავლე.[81]

სკოლაში მან საკუთარ თავზე განიცადა ანტისემიტიზმი და სიძულვილი გარშემომყოფთაგან. „იმის გამო, რომ ებრაელი ვიყავი, უნივერსიტეტის ქალთა კლუბში ჩემი მიღება აკრძალული იყო ისევე, როგორც ჩემს ოჯახს არ მიესვლებოდა ადგილობრივ კლუბში." მაგრამ სწორედ ამგვარი პირობების გამო მან მტკიცედ გადაწყვიტა ცხოვრებაში წარმატებისთვის მიეღწია. „რაღაც მომენტში დავიფიცე... შეიძლება ხალხს არ მოვწონდე, მაგრამ ჩემი აზრის გათვალისწინება მაინც მოუხდებათ."[82]

---

[79] Betty Friedan, It Changed My Life: Writings on the Women's Movement. Cambridge: Harvard University Press, 1976, p. 4.

[80] Daniel Horowitz: "Rethinking Betty Friedan and The Feminine Mystique: Labor Union Radicalism and Feminism in Cold War America" American Quarterly, vol 48, no.1, 1996, p. 3.

[81] Paul Wilkes, "Mother Superior to Women's Lib," The New York Times Magazine, 29 November 1970, p. 26.

[82] Friedan, "The E.R.A.—Does It Play in Peoria?" The New York Times Magazine, 19 November 1978, p. 39.

ბეტის ნიჭი მთელი ძალით გამომჟღავნდა სმიტ კოლეჯში, სადაც „პირველად ცხოვრებაში არანორმალურად არ თვლიდნენ, იმის გამო რომ ნიჭიერი იყო".[83] იგი სწავლობდა ფსიქოლოგიას და სტატიებს წერდა სტუდენტური გაზეთისთვის. ტენესის სახალხო სკოლაში გამართულ სემინარში მონაწილეობის შემდეგ, სადაც მუშა აქტივისტებს ამზადებდნენ, იგი უნივერსიტეტში დაბრუნდა, რათა დაეცვა სმიტ კოლეჯის დამლაგებელთა უფლება ჩამოეყალიბებინათ საკუთარი ორგანიზაცია. ბეტი სოციალური პრივილეგიებისთვის აქტიური მებრძოლი გახდა.[84] კოლეჯის დამთავრებისთანავე, მან მიიღო საპატიო სიგელი და სწავლა გააგრძელა ბერკლის უნივერსიტეტის (კალიფორნია) მაგისტრატურაში, ფსიქოლოგიის მიმართულებით. მან მიიღო პრესტიჟული სტიპენდია სადოქტორო ნაშრომის დასაცავად, მაგრამ ბოიფრენდის მოთხოვნით, რომელიც დაემუქრა, რომ მიატოვებდა, თუ კი იგი დათანხმდებოდა ამ სტიპენდიის მიღებას, ბეტიმ სტიპენდიაზე უარი თქვა. ბოიფრენდმა იგი მაინც მიატოვა. მას შეეწირა ბეტის კარიერა. ფრიდანმა აიკვიატა ეს ამბავი და მოგვიანებით ხშირად უყვებოდა თავის პაციენტებს.

ბეტი გოლდშტეინმა შეიცვალა სახელი, შეიცვალა სასწავლებელი და გადავიდა ნიუ-იორკში, სადაც 1943 წელს ჟურნალისტად დაიწყო მუშაობა Federated Press-ში, მემარცხენეთა ახალი ამბების სააგენტოში. თავის სტატიებში იგი თანაუგრძნობდა მუშა ქალებს ომის დროს, წერდა მათ ორმაგ დატვირთვაზე ქარხნებსა და სახლში. ომის შემდეგ იგი ისევე, როგორც მრავალი სხვა ქალი, რომლებზეც წერდა, იძულებული გახდა თავისი სამუშაო ადგილი დაეთმო შინ დაბრუნებული ვეტერანებისთვის.[85] ბეტი სათავეში ჩაუდგა ადგილობრივ თემს და დაიწყო სტატიების წერა UE NEWS-ისთვის. იგი იცავდა მუშების უფლებებს და წერდა მათ ბრძოლაზე უკეთესი ხელფასებისთვის, წერდა ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი სამუშაო პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. ამ ორგანიზაციამ მიზნად დაისახა ქალთა უფლებების დაცვა. გოლდშტეინი თავის სტატიებში ებრძოდა სტერეოტიპებს, რომლებიც ქალებს ჩაგრავდა და ამხელდა ინდუსტრიალიზაციის იმ წინააღმდეგობრივ თვისებებს, რომელთა გამო ქალები დაყოფილები იყვნენ მომხმარებლებად და მწარმოებლებად[86]. აქ მუშაობის შედეგად, ისტორიკოსი დანიელ ჰოროვიცის

[83] Wilkes, "Mother Superior," p. 140.
[84] Horowitz, "Rethinking Betty Friedan," p. 8.
[85] Ibid., pp.16-17.
[86] Ibid., pp.11-12.

მტკიცებით, მან „ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღო ისეთ საკითხებში, როგორიც არის გენდერული თანასწორობა, სქესობრივი დისკრიმინაცია და ქალთა საკითხები"[87].

1947 წელს ბეტი ცოლად გაყვა მსახიობს და ომის ვეტერანს კარლ ფრიდანს, რომელმაც კარიერა გაიკეთა რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. მათი ოჯახური ცხოვრება ვერ აეწყო, სშირად იმართებოდა საშინელი სკანდალები, ძირითადად იმის გამო, რომ ბეტი სამსახურს თავს არ ანებებდა, ხოლო მისი მეუღლე ამას ვერ ეგუებოდა. 1948-1956 წლებში ბეტიმ სამი შვილი გააჩინა. 1952 წელს, როდესაც მეორე შვილზე იყო ფეხმძიმედ, იგი სამსახურიდან დაითხოვეს მხოლოდ იმის გამო, რომ დედებისათვის განკუთვნილი შვებულება ხელმეორედ მოითხოვა.

ოჯახი დასახლდა ქალაქის შემოგარენში. 1950 წლებში ეს ითვლებოდა ოჯახური იდილიისათვის შესაფერის საცხოვრებელ ადგილად. გამონაკლისი მხოლოდ ის იყო, რომ ბეტი განაგრძობდა მუშაობას თავისუფალ ჟურნალისტად ქალთა ჟურნალებში, რასაც თავის ოჯახს და მეგობრებს უმალავდა, თითქოს ეს რაღაც სასირცხილო ჩვევა იყო, „მაგალითად, როგორც სმა დილაობით". იმისათვის, რომ დეპრესიიდან გამოსულიყო, ბეტიმ ფსიქოთერაპიის სეანსებზე დაიწყო სიარული, მაგრამ მაინც განაგრძობდა მუშაობას „დანაშაულის გრძნობით". ქალთა ჟურნალებში მუშაობამ უფრო ნათლად აჩვენა ბეტის, თუ რამდენად არ შეესაბამებოდა მისი ცხოვრების სტილი ამ ჟურნალებში რეკლამირებული 1950-იანი წლების იდეალური დიასახლისის ცხოვრებას, რომლის ოცნებების მწვერვალად ხუთი შვილის გაჩენა და საკუთარი სახლის მოწყობა ითვლებოდა, ხოლო ბრძოლის ერთადერთი საგანი – საუკეთესო ქმრის მონახვა და შენარჩუნება იყო. ისინი თავს არ იწუხებდნენ პრობლემებით, რომლებიც სცილდებოდა მათი სახლების კედლებს, პრობლემების გადაწყვეტა მათ კაცებს გადაულოცეს. ისინი ბედნიერები იყვნენ ქალის როლში და ამაყად წერდნენ: "პროფესია: დიასახლისი"[88].

ეს სტერეოტიპი აშკარად არ შეესაბამებოდა არსებულ რეალობას, რაშიც ბეტი კურსელების გამოკითხვის შედეგებმაც დაარწმუნა. „ცხოვრებით უკმაყოფილების პრობლემა, რომელიც მეც მაწუხებდა, გამოწვეული იყო ნაწილობრივ იმითაც, რომ ჩვენ უმაღლესი განათლება მივიღეთ და ამით უკვე ვანგრევდით თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში ქალის განმტკიცებულ იმიჯს. ეს იმიჯი გაღმერთებული იყო ჟურნალებში, სკოლებსა და კლინიკებში, მათ დაუფარავად აქებდნენ და ადიდებდნენ

[87] Ibid., p.17.
[88] Friedan, The Feminine Mystique, pp. 15-16.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მაგრამ აშკარად არსებობდა შეუსაბამობა რეალურ ქალსა და ქალის იმ იმიჯს შორის, რომელსაც მისგან მასმედია ქმნიდა. სწორედ ამ იმიჯს ვუწოდე მე „ქალის საიდუმლო".[89]

კვლევის პროცესში, იგი ქალების განათლების საკითხზე მწვავე დებატებში ჩაერთო. მან კითხვა შემდეგნაირად დასვა: „კარგავენ, თუ არა ქალები დროს კოლეჯში სწავლა-განათლებაზე?" მიუხედავად იმისა, რომ წინათ ბეტის სტატიებს სიამოვნებით აქვეყნებდნენ ქალთა ჟურნალების ფურცლებზე, რედაქტორები არ დათანხმდნენ მისი კრიტიკული ესეს გამოქვეყნებაზე. "Ladis Home Journal"-მა გადააკეთა ის, რის გამოც ბეტიმ სტატია უკან გამოითხოვა. Redbook-მა იგი არც კი მიიღო, ვინაიდან „ეს სტატია ნევროზით დაავადებულ დიასახლისს თუ დააინტერესებსო". ყოველი უარის შემდეგ ავტორი ისევ და ისევ ესაუბრებოდა დიასახლისებს და სოციალური დარგის მეცნიერებს.[90] საბოლოოდ, მან წიგნისთვის საკმარისი მასალა შეაგროვა, ასევე წინასწარ გარკვეული თანხა გადადო და მუშაობა დაიწყო.

„ქალის საიდუმლოში" ასახულია არა მარტო მისი, არამედ მაღალი ფენის ყველა თეთრაკნიანი ქალის პრობლემა, „რაღაც გაურკვეველი ბორგვა, უკმაყოფილება, სურვილები", ანუ პრობლემა, 'რომელსაც სახელი არ გააჩნია"[91]. „კვლავ და კვლავ ქალებს ახსენებენ ტრადიციებს და არწმუნებენ, რომ მისი მთავარი ბედნიერება ოჯახი და შვილებია"[92]. მაგრამ ფრიდანმა შენიშნა, რომ ასეთი ქალები თვითიდენტობას კარგავდნენ. ერთმა ქალმა თქვა: „მე ხან ბავშვების დედა ვარ და ხან მინისტრის ცოლი, ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის, არ ვიცი ვინ ვარ მე"[93]. „ამერიკელმა ქალებმა აღარ იციან ვინ არიან ისინი"[94].

ფრიდანის მტკიცებით, დიასახლისების ეს სინდრომი ტოტალურია. იგი გამომდინარეობს დიასახლისის ცხოვრების სტილიდან. მისი საქმიანობა მთელ დღეს იკავებს, მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევას, საზოგადოება კი მას „ნორმალური ქალისთვის" მისაღებ ერთადერთ შესაბამის პროფესიად მიიჩნევს.

ავტორი აღშფოთებასა და პროტესტს ვერ მალავს. ფრიდანმა გააკრიტიკა ფროიდი, კულტურის ანტროპოლოგია, ფუნქციონალური სოციოლოგია, „გენდერზე ორიენტირებული" განათლება, მასმედია, რეკლამა და,

[89] Ibid., p.9.
[90] Judith Hennessee, Betty Friedan: Her Life. New York: Random House, 1999, p. 71.
[91] Friedan, The Feminine Mystique, p. 13.
[92] Betty Friedan, "Feminine Fulfillment: 'Is This All?'" Mademoiselle, May 1962, p. 146.
[93] Friedan, The Feminine Mystique, p. 25.
[94] Friedan, "Is This All?" p. 147.

ასევე, გაილაშქრა ქალების ავტონომიის წინააღმდეგ. მან შენიშნა ცვლილებები ქალების აზროვნებაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, მათ სურვილი გაუჩნდათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საბოლოოდ, ეს გაურკვეველი ლტოლვა „ჩამოყალიბდა, როგორც რაღაც მისტიკური, შეუცნობადი, დამახინჯებული რეალობის ამსახველი განწყობა".[95]

„ქალის საიდუმლოში" ფრიდანი მკაცრად აკრიტიკებს სოციალური მეცნიერების წარმომადგენლებს, რომლებმაც, მისი აზრით, ქალთა დანიშნულებაზე ძველი სტერეოტიპები კი არ დაანგრიეს, არამედ გააღრმავეს.[96]

დიასახლისობის პროპაგანდისტებმა ამერიკულ საზოგადოებას მიჰყიდეს იდეალური ქალის იმიჯი, რომელიც მხოლოდ ყიდულობს და მოიხმარს ნივთებს, თვითონ კი არაფერს ქმნის. ფრიდმანმა ამას უწოდა „სქესის გაყიდვა" და დასვა კითხვა: „რატომ არსად არ ამბობენ, რომ ქალის, როგორც დიასახლისის, ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფუნქციას სწორად სახლისთვის და არა საკუთარი თავისთვის საჭირო ნივთების ყიდვა წარმოადგენს".[97] ფრიდანი წერს: „როგორც ყველა პრიმიტიულ კულტურაში, სადაც სხვადასხვა ტომების ღმერთებს მსხვერპლად პატარა გოგონებს სწირავდნენ, ჩვენც პატარა გოგონებს მსხვერპლად ვწირავთ ქალის საიდუმლოს იდეას, ხოლო მსხვერპლშეწირვამდე ჯერ მოვრთავთ-მოვკაზმავთ, საგულდაგულოდ გავალამაზებთ მათ, შევქმნით მსხვერლისაგან მომხმარებელს, მყიდველს და მივყიდით კიდეც ყველაფერს მაღალ ფასად. ეს ხელს შეუწყობს ვაჭრობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ერისათვის"[98].

ქალები მახეში გაებნენ, აღმოჩნდნენ „კომფორტულ საკონცენტრაციო ბანაკში", ისეთ საკონცენტრაციო ბანაკში, რომელმაც შეაფერხა მათი ემოციური და ფსიქოლოგიური განვითარება. ვთვლი, რომ დღესდღეობით ამერიკული კულტურა და „ქალის საიდუმლოს" ფენომენი თანამედროვე ქალებს არ აძლევს შესაძლებლობას, რომ მიიღონ ან დაიკმაყოფილონ თვითგანვითარების მოთხოვნილება. ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი პოტენციალის გამოყენებას, საკუთარი დანიშნულების გამართლებას და თვითრეალიზაციას. ქალს დაუტოვეს მხოლოდ მისი ბიოლოგიური, სექსუალური ფუნქცია... ეს არის განვითარებულ სამყაროში მცხოვრები ქალის

[95] Ibid., p.46.
[96] Friedan, The Feminine Mystique, p. 229.
[97] Ibid., p.191.
[98] Ibid.

კრიზისი. იგი არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული ადამიანი, მას ახასიათებს მხოლოდ ფემინურობა, მაგრამ სურს გახდეს სრულყოფილი ადამიანი.[99]

ფრიდანი კატეგორიულად ითხოვდა „ფემინურობის კულტურული იმიჯის კარდინალურ შეცვლას, რაც ქალს თვითიდენტიფიკაციის, თვითშეგნებისა და დახვეწის შესაძლებლობას მისცემდა, სქესობრივ თვითრეალიზაციასთან კონფლიქტის გარეშე."

მასიურად უნდა შევეცადოთ წინ აღვუდგეთ ნაადრევ ქორწინებას, გოგონებს არ უნდა სურდეთ გახდნენ დიასახლისები; უნდა შთავაგონოთ, რომ გოგონებმა განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები, ჰქონდეთ მიზნები, რომლებიც მათ დაეხმარება საკუთარი თავის შემოქმედებით თვითრეალიზაციაში.[100]

ყველაზე მძლავრ იმპულსს ფრიდანი ქალებს აძლევდა. ქალი ვერასდროს გათავისუფლდება ოჯახური გეტოდან, თუ ინიციატივას საკუთარ თავზე თვითონ არ აიღებს. უპირველესად, მან კატეგორიულად უნდა უარყოს დიასახლისის როლი, და დაიწყოს საინტერესო სამუშაოს ძებნა. „შემოქმედებითი შრომა არის ის ერთადერთი გზა, რომელიც საკუთარ თავთან მიიყვანს როგორც ქალს, ასევე მამაკაცს. სხვა გზა არ არსებობს".[101]

ფრიდანის ამ წიგნმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ადამიანების აზროვნებაში. „ქალის საიდუმლო" ბესტსელერად იქცა. ის იყო 1964 წლის ლიტერატურის დარგში დაწერილი საუკეთესო არამხატვრული ნაწარმოები, რომელიც 1.3 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.[102]

თუმცა წიგნს ნაკლი ჰქონდა. მისი ანალიზი ეხებოდა მხოლოდ თეთრკანიან დიასახლისებს, რომლებიც ქალაქის შემოგარენში ცხოვრობდნენ და საოჯახო საქმეებით იყვნენ დაკავებულები. ფრიდანის დასკვნით, სურვილის შემთხვევაში, ქალს შესაბამისი განათლების მიღება და კარიერის გაკეთება შეეძლო. იგი ბრალს სდებდა ოჯახს და დიასახლისობის ინსტიტუტს იმაში, რომ ეს საქმიანობა არაადეკვატური იყო განათლებული ქალისთვის, მაგრამ მასმედია ამახინჯებდა ამ დასკვნებს და აცხადებდა, რომ ფრიდანი აკრიტიკებდა უვიც და არაკომპეტენტურ დიასახლისებს. ეს ეწინააღმდეგებოდა ფრიდანის ძირითად აზრს, რომელიც ამტკიცებდა, რომ პრობლემა თვით სისტემაშია, მის უსამართლობაში და არა ცალკეულ პიროვნებებში. მან ურჩია ქალებს: დაბრუნდით სკოლებში, თავი მიუძღვე-

[99] Friedan, "Is This All?" pp. 208-209.
[100] Friedan, The Feminine Mystique, p. 338.
[101] Ibid., pp. 317, 320.
[102] Hennessee, Her Life, p. 78.

ნით კარიერას, მონახეთ მაღალანაზღაურებადი და შემოქმედებითი სამსახური. ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს პიროვნების დონეზე და არ ეხება ქალების შესაძლებლობების შეზღუდვის პრობლემას.

მეტიც, ფრიდანი შეეხო იმ ქალებსაც, ვინც ერთდროულად მუშაობს და შვილებსაც ზრდის. მაგრამ, ბედის ირონიით, მან იგნორირება გაუკეთა მუშა ქალებს. ეს გასაკვირია, ვინაიდან 1940-იან წლებში იგი აქტიურად თანაუგრძნობდა მათ და აფროამერიკელ ქალებს. თუმცა, მაქკარტის ეპოქაში ეს არ იქნებოდა უბრალო ირონია იმიტომ, რომ მაშინ სიმპათია მუშების მიმართ აღიქმებოდა, როგორც კომუნიზმის ქადაგება. კლასობრივი და რასობრივი პრობლემები ავტორმა არ განიხილა. თეთრკანიანი ქალებისგან განსხვავებით, აფროამერიკელმა და მუშა ქალებმა პატარაობიდანვე იციან, რომ უნდა იმუშაონ, როგორც მუშაობდნენ მათი დედები, ვინაიდან ოჯახი უნდა არჩინონ. საშუალო ფენის თეთრკანიანი ქალების ცხოვრების სტილი პრივილეგია და ნატვრა იყო მათთვის და არა მახე. ეს პრობლემები მათთვის არამარტო შეუსაბამო, არამედ გაუგებარი და უცხოც იყო. ისტორიკოსი პაულა გიდინგსი აღნიშნავდა, რომ როგორც ჩანს, ფრიდანი „უცხოპლანეტელის ენით ლაპარაკობდა“.

თუმცა მშრომელი, განსაკუთრებით, თეთრკანიანი ქალები, რომლებიც რამით წააგავდნენ ფრიდანის გმირებს, ემოციურად განიცდიდნენ „ქალის საიდუმლოს“ ზეგავლენას. ნებისმიერ ამერიკელ ქალს, რომელიც აირჩევდა არატრადიციულ როლს საზოგადოებაში, ადანაშაულებდნენ ოჯახის მიტოვებასა და შვილების კრიმინალიზაციაში და ამისთვის პასუხს აგებინებდნენ.

1963 წლის ნოემბერში, „ქალის საიდუმლოს“ გამოქვეყნებისთანავე, ბეტი ფრიდანის პირველი ინტერვიუ ჟურნალ Life-ისთვის მთელს ამერიკაში გავრცელდა. ამ ინტერიუს ქვესათაური იყო „ბრძოლა სქესებს შორის“. ინტერვიუში კარგად იგრძნობა ფრიდანის მებრძოლი სული და მკვეთრი განსხვავება ტიპურ ამერიკელ ქალებსა და მას შორის. მისი თქმით, ტიპური ამერიკელი ქალები არ იყენებენ თავის ინტელექტუალურ მონაცემებს და ცხოვრებაში ყველაზე მარტივ გზას ირჩევენ – გათხოვებას. ამით ისინი საკუთარ თავს მონებად აქცევენ. ამ ქალებმა შექმნეს „ქალის საიდუმლოს“ ფენომენი. ისინი იმედგაცრუებულები არიან და საკუთარი ძალით ვერ აგვარებდნენ შექმნილ პრობლემებს. ბეტი წინ აღუდგა ქალების ამ სისუსტეს.

წიგნში დაბეჭდილი იყო ორი ფოტო, ერთზე ბეტი თავის ორ ვაჟთან იყო გადაღებული, ფოტოს ახლდა ნარწერა *ბეტი დიასახლისი არ არის*,

ხოლო მეორე ფოტოზე აღბეჭდილი იყო როგორ წმენდს მტვერს ბეტი ფრიდანი ლინკოლნის ქანდაკებას. ლინკოლნი მისი გმირი იყო, „მე ვეთაყვანები განმანათლებლებს", – ამბობდა ბეტი[103].

ფრიდანი მზად იყო იმისათვის, რომ მის წიგნს მტრულად მიიღებდნენ. ასობით აღფრთოვანების გამომხატველი წერილის მიუხედავად, ფრიდანი ხშირად აღნიშნავდა, რომ მისი წიგნი ცუდად მიიღეს: „..განაცხადეს, რომ ჩემი არსებობა დანაშაულია, რომ მე უფრო დიდ საშიშროებას წარმოვადგენდი ამერიკისთვის, ვიდრე რუსეთი".[104]

ტელევიზიის, რადიოსა და ლექციების მეშვეობით. ფრიდანი უმალვე ამყარებდა კავშირს აუდიტორიასთან. იგი ბევრს აღიზიანებდა თავისი უხეშობით და დაუნდობელი გულწრფელობით. მაგრამ ქალებს გადაედოთ მისი გატაცება და ცეცხლოვანი ენერგია. განსაკუთრებით ბევრი მომხრე გაუჩნდა მას სტუდენტებსა და ახალგაზრდა პროფესიონალებს შორის, რომლებიც მან დაარწმუნა, რომ თანასწორუფლებიანობის მცირე ულუფები ქალებს ვერასდროს დააკმაყოფილებდა.

უარყოფით მხარეებთან ერთად, გამოყოფდნენ ფრიდანის ხასიათის დადებით მხარეებსაც. ჯეკი კებალოსი, მისი თანამშრომელი ჟურნალ Now-დან, აღნიშნავდა: „რთულია მასთან მუშაობა, ვინადიან საშინელი ეგოისტია, მაგრამ მან პირველმა გააღვიძა ქალები, მან გააცნობიერა ქალების ჩაგვრის პრობლემები და მხოლოდ ამისთვის იგი ღირსია, რომ პატივი ვცეთ"[105].

მის ეგოზე ალაპარაკდნენ. მან წამოიწყო მოძრაობა, მაგრამ გაუწონასწორებელი ხასიათის გამო იგი ხშირად პოზიტიურ ძერებს აფერხებდა კიდეც. გესლიანი გამონათქვამების გამო, ბევრი ვერ ღებულობდა მის ქადაგებას. ასე მან მრავალი მომხრე დაკარგა. საბოლოოდ, მოვიდა ახალგაზრდა რადიკალურად განწყობილი ქალების თაობა. ისინი გააფთრებით იბრძოდნენ ლიდერობისთვის და ბეტიმ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ახალ თაობას გათავისებული ჰქონდა სხვადასხვა იდეოლოგია, მაგრამ თითოეულს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ლიდერის ადგილის დაკავება. ახალგაზრდებს ბეტი ფრიდანის განდევნა სურდათ, თუმცა, არსებითად, ისინი იდეოლოგიის მისეულ პრინციპებს ეყრდნობოდნენ.

„ქალის საიდუმლოში" ბეტი ფრიდანი არ ქმნის არანაირ ახალ ფენომენს. მის უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს დროის ზუს-

[103] Wilkes, "Mother Superior," p. 28.
[104] იხ. Rosen, World Split Open, p. 6.
[105] Wilkes, "Mother Superior," p. 150.

ტი შერჩევა იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს ვინმეს აღემაღლა ხმა ქალების დაჩაგრულ მდგომარეობაზე საზოგადოებაში და ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე. მისი წიგნი სწორად იმ დროს გამოვიდა, როდესაც ქალების თანასწორუფლებიანობის საკითხი საზოგადოებაში უკვე მომწიფდა. 1960-იანი წლების ამერიკაში მთელი ძალით მიმდინარეობდა ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისათვის და მათი რეალური განხორციელებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალების აზროვნებაც ნელ-ნელა იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლისთვის ქალთა მოძრაობა უკვე დაწყებული იყო, ქალების 37 პროცენტი უმუშევარი იყო, ხოლო ვინც მუშაობდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად დასაქმებული იყო დაბალანაზღაურებად სამსახურში, სადაც მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. გენდერული დისკრიმინაცია ყველგან იგრძნობოდა.

სანამ ბეტი დიასახლისებს ესაუბრებოდა, კენედის ადმინისტრაციამ შექმნა საპრეზიდენტო კომისია ქალთა საკითხებში – პირველი ფედერალური ორგანო, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა უფლებებისა და როლების გამოკვლევას. კომისიის დამფუძნებელი, ქალთა ბიუროს დირექტორი ესთერ პეტერსონი ამბობდა, რომ ბიუროს მიზანი იყო „კონსტუქციული რეკომენდაციების შემუშავება მიმდინარე მტკივნეული და უშედეგო აზრთა სხვაობისა და კამათის დარეგულირების მიზნით, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც ეხება კონსტიტუციურ ცვლილებებს „თანასწორუფლებიანობის“ სფეროში ქალებსა და მამაკაცებს შორის“[106]. პეტერსონი, კენედის ადმინისტრაცია და დემოკრატიული პარტიის სხვა წევრები ეწინააღმდეგებოდნენ ქალთა მოძრაობას, ვინაიდან იგი გამანადგურებელი აღმოჩნდა მუშა ქალების შრომის პირობების დაცვის კანონმდებლობისთვის. კენედიმ ქალთა ეს კომისია იმიტომაც შექმნა, რომ დაემშვიდებინა ქალები საკუთარი პარტიიდან, ვინაიდან კენედის ადმინისტრაციაში ძალიან ცოტა ქალს ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობები. 240 სერიოზული თანამდებობის პირიდან მხოლოდ 9 იყო ქალი, რის გამოც ყოფილი პირველი ქალბატონი, ელეანორ რუზველტი იძულებული გახდა პრეზიდენტისთვის კვალიფიცირებული ქალების სამფურცლიანი სია გაეგზავნა.[107] ქალთა კომისიის შედგენით, კენედის ადმინისტრაციამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ქალების ღვაწლი აღიარა. ამით მან გამოხატა ინტერესი ქალთა საკითხების მიმართ, დიდი ოცდაექვსი

[106] იხ. Cynthia Harrison, On Account of Sex: The Politics of Women's Issues 1945-1968 (Berkeley: University of California Press, 1988), p. 121.

[107] Miriam Schneir, ed., Feminism in Our Time. New York: Vintage Books, 1994, pp. 38-39.

წევრისგან შედგებოდა. ძირითადად, ეს იყვნენ მემარცხენე სოციალისტური და ლეიბორისტული მოძრაობების მონაწილე ვეტერანი ქალები. კომისიის უმთავრესი მიზანი იყო დასაქმების პოლიტიკის გამოკვლევა, თუმცა პრეზიდენტმა მათ უფრო ფართომასშტაბიანი მისიაც – „ამერიკელთა საკეთილდღეოდ ქალებისა და მამაკაცების თანამშრომლობის გეგმის ჩამოყალიბება" დააკისრა. სანამ ბეტი ფრიდანი ქალური საიდუმლოს ამოხსნას ანდომებდა თავის ძალ-ღონეს, ქალთა კომისია ოფიციალურად აფიქსირებდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფაქტებს განათლების, ეკონომიკის და პოლიტიკის სფეროებში, სადაც ძირითადად კაცები ბატონობდნენ. „ქალის საიდუმლო" და ქალთა კომისიის მოხსენება „ამერიკელი ქალები" ერთსა და იმავე 1963 წელს გამოქვეყნდა. ეს უკანასკნელი აღნუსხავდა ქალთა მიმართ უსამართლო დამოკიდებულებისა და ქალთა უფლებების შელახვის შემთხვევებს და ვითარების გამოსასწორებლად, საზოგადოებას წინადადებებს სთავაზობდა. მაგალითად, ერთ-ერთი წინადადება ითვალისწინებდა საზოგადოების ეკონომიკურად განსხვავებული ფენებისთვის ბავშვთა მოვლის ინსტიტუტების შემოღებას, რომლებიც ქალებს ხელმისაწვდომ ფასში მოემსახურებოდნენ. ასევე, გათვალისწინებული იყო საგანმანათლებლო პროგრამები ქალებისთვის, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა სოცუზრუნველყოფისა და უმუშევართა დახმარების სფეროებში, ქალებისთვის ანაზღაურებადი შვებულების უზრუნველყოფა ბავშვის გაჩენის შემთხვევაში.[108] ფრიდანის წიგნის მსგავსად, ამ ანგარიშმა დაამტკიცა, რომ ამერიკელი ქალების ცხოვრება ჯერ კიდევ შორს იყო იდეალურისაგან. ანგარიშის შედეგებში ასახული გენდერული დისკრიმინაცია იურისტებისთვის განსახილველ საკითხად იქცა. ამერიკელ ქალებს გაუჩნდათ იმედი, რომ ამერიკაში გენდერული ჩაგვრის პრობლემა საბოლოოდ გადაწყდებოდა.

ეს მოხსენება, ფრიდანის წიგნისგან განსხვავებით, სრულიად შეუმჩნეველი დარჩა, ვინაიდან იმხანად ამერიკული საზოგადოება უფრო მეტად დაინტერესებული იყო სამოქალაქო უფლებების დამცველი ხმაურიანი გამოსვლებითა და საპროტესტო აქციებით. ყოველივე ამის მიუხედავად, მთავრობა ქალთა უფლებების დაცვას შეუდგა. 1963 წელს კონგრესმა გამოსცა კანონი შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, რომელიც განსახილველად ჯერ კიდევ ოცი წლის წინ იყო წარდგენილი. ეს იყო პირველი ფედერალური კანონი, რომელიც გენდერული დისკრიმინაციის წინააღ-

[108] Flora Davis, Moving the Mountain: The Women's Movement in America Since 1960. Urbana: University of Illinois Press, 1999, p. 37.

მდეგ იყო მიმართული. პრეზიდენტმა კენედიმ გამოსცა ბრძანებულება, რომელიც უკრძალავდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს გენდერული დისკრიმინაციის განხორციელებას ქალების სამსახურში მიღებისას და მათი დაწინაურების დროს.

უფრო მეტიც, როდესაც 1963 წელს ქალთა კომისია დაიშალა, მის საფუძველზე შეიქმნა მოქალაქეთა საკონსულტციო საბჭო, რომელიც მიმდინარე პროცესებს მეთვალყურეობას უწევდა. მან კომისიები 50-ვე შტატში გაგზავნა, შექმნა საკომუნიკაციო ქსელი, ატარებდა ყოველწლიურ კონფერენციებს, აგროვებდა მონაცემებს და ქალთა ყოფის გაუმჯობესებისათვის გამოთქმულ რეკომენდაციებს განიხილავდა. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ეროვნული ორგანიზაცია ქალებისთვის (NOW) ჩამოყალიბდა.

1960 წელს მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის უკვე დაწყებული იყო. მან ამერიკელი ქალები მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე გაიყვანა. 1960-1970-იან წლებში აქტივისტი ქალების ძირითადად ორი ჯგუფი თანასწორუფლებიანობის პრინციპების ცხოვრებაში გატარებას მოითხოვდა. ორივე ჯგუფის წარმომადგენლები არჩეული სტრატეგიითა და იდეოლოგით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მოძრაობასთან სამოქალაქო უფლებებისათვის. თუ XIX საუკუნის ბოლოს სუფრაჟისტ ქალთა მოძრაობა აბოლიციონიზმიდან წარმოიშვა, თანამედროვე ქალთა მოძრაობა სოციალურ-კულტურული და ფიზიკური ჩაგვრისა და საზოგადოებაში როლების უსამართლო განაწილების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მოძრაობის ერთ შტოს წარმოადგენდნენ ბეტი ფრიდანის მომხრეები, რომლებსაც ლიბერალ ფემინისტებს უწოდებენ, ვინაიდან ისინი ლიბერალურ ინდივიდუალიზმსა და დამოუკიდებლობას, კანონის წინაშე თანასწორობასა და პირად განვითარებას ქადაგებდნენ. ეს ქალები პასუხობდნენ „ქალური საიდუმლოს“ კონცეფციას და იმიჯს – უმაღლესი განათლების მქონე, თეთრკანიანი ქალები საშუალო ფენებიდან. ქალების ამ თაობამ სახლის საქმის დამთრგუნველი შრომა განიცადა, მათ ვერ მიაღწიეს წარმატებას კარიერაში, ხოლო ვინც კი რაიმეს აღწევდა სამსახურში, საშინელ გენდერულ დისკრიმინაციას განიცდიდა. ეს ქალები ითხოვდნენ რეფორმებს, მამაკაცთა სამყაროს გახსნას ქალებისათვის. ისინი იცავდნენ ქალთა უფლებებს, რომლებსაც მატერიალურ ჭრილში განიხილავდნენ: თანაბარი ანაზღაურება, თანაბარი სამსახურებრივი შესაძლებლობები, ბავშვის მოვლის ხელმისაწვდომი საშუალებები. ფემინიზმის მეორე ფრთა ლიბერალებისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ეს ქალები უფრო ახალ-

გაზრდები, ხშირად კოლეჯის სტუდენტები იყვნენ, ისინი სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში გამოიწვრთნენ, მედგრად მოითხოვდნენ სოციალურ ცვლილებებს. ისინი რადიკალ ფემინისტებად შერაცხეს, მათი მოთხოვნა იყო „ქალების გათავისუფლება“. ეს ქალები მრისხანებისა და კონფრონტაციის ტაქტიკას იყენებდნენ და მათი გეგმები უფრო შორს მიმავალი და ფართომასშტაბიანი იყო, ვიდრე ამას ბეტი ფრიდანი თავის გეგმებში ითვალისწინებდა. ისინი მოითხოვდნენ შესაძლებლობებს თვითრეალიზაციისათვის სამსახურში და ფართომასშტაბიანი ბრძოლა გამოუცხადეს სექსიზმის ყველა გამოვლინებას.

ლიბერალი ფემინისტების ორგანიზაციად ჩამოყალიბების კატალიზატორი გახდა 1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტი, განსაკუთრებით, მისი მე-7 მუხლი, რომელიც სამსახურში დისკრიმინაციას კრძალავდა.

როდესაც კონგრესში ამ საკამათო კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობდა, სეგრეგაციის მომხრე და პროგრესული კანონმდებლობის მოწინააღმდეგე კონგრესმენმა ჰოვარდ სმიტმა საკონსტიტუციო შესწორება მოამზადა, რომელიც მე-7 მუხლის სათაურში სიტყვა „დისკრიმინაციის“ წინ სიტყვა „სქესობრივის„ ჩასმას ითვალისწინებდა. ამ წინადადებამ კონგრესმენი კაცები გაამხიარულა და კონგრესმენი ქალების პატარა ჯგუფს ენერგია შემატა. კაცების ამ რეაქციაზე კონგრესმენმა მარტა გრიფიტმა განაცხადა: „იმაზე, რომ ქალები მეორეხარისხოვან სქესს მიეკუთვნებიან, თქვენი სიცილიც მეტყველებს“. როდესაც კანონპროექტი განსახილველად სენატს გადასცეს, ერთადერთი ქალი სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი თავის კოლეგებს დაემუქრა, რომ ოქმში შეიტანდა ყველა იმ კონგრესმენის გვარს, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებდა და მათ ქალთმოძულეებად გამოაცხადებდა. საბოლოოდ, კანონპროექტი 1964 წელს მაინც მიიღეს.[109] ახალი კანონმდებლობის მეშვეობით, საჩივრები სამსახურებრივი დისკრიმიცაციის შესახებ განსახილველად უნდა გაგზავნილიყო სამსახურის თანაბარი პირობებით უზრუნველყოფის კომისიაში. ერთ წელიწადში ქალებმა 400-მდე საჩივარი შეიტანეს. ასე რომ, კონსტიტუციის მე-7 მუხლი ხუმრობით მიიღეს და იგი ხუმრობადვე დარჩა. როდესაც ფრანკლინ რუზველტ უმცროსმა, ამ კომისიის პირველმა თავმჯდომარემ, სქესობრივი დისკრიმინაციის პრობლემა განიხილა, მან აღნიშნა, რომ ქალები მამაკაცებს მხოლოდ „მოლაყბეებისა და სათა-

[109] დეტალურად იხ. Janann Sherman, No Place for a Woman: A Life of Senator Margaret Chase Smith. New Brunswick: Rutgers University Press, 2000, pp. 193-194.

მაშო მარიონეტების როლს" უტოვებდნენ.[110] იმის გამო, რომ გადასაჭრელი საკითხებით გადატვირთული კომისია გენდერულ უთანასწორობას ნაკლებად სერიოზულ პრობლემად მიიჩნევდა, ვიდრე რასობრივ დისკრიმინაციას, ქალების საჩივრებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. საზოგადოების მხრივ ზეწოლისა და მოთხოვნის გარეშე, კომისიას ქალების საჩივრების განხილვის არანაირი მოტივაცია არ გააჩნდა მაშინ, როდესაც რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საჩივრებს საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა და სწრაფ და გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვდა. ბეტი ფრიდანიც თავის კვლევებში ზუსტად ამ დასკვნამდე მივიდა. მაშინ, როდესაც წარმომადგენელთა პალატის წევრი გრიფიტი იმაში დაადანაშაულეს, რომ კომისია ქალებს მათივე იურიდიული უფლებების გარეშე ტოვებდა, აქტივისტი ქალების ბირთვი შეეცადა აეძულებინა კომისია აქტიურად ემოქმედა. მაგრამ ფემინისტთა ამ ბირთვმა ვერ შეძლო ქალთა არსებული ორგანიზაციების: ამომრჩეველ ქალთა ლიგის, უნივერსიტეტებში მომუშავე ქალთა ამერიკული ასოციაციის, ან თუნდაც სამეთვალყურეო ორგანიზაციის – მრჩეველთა კომიტეტის, მობილიზება იმისთვის, რომ მათ კომისიაზე პირდაპირი ზეწოლა მოეხდინათ.[111]

ქალთა სტატუსის შემსწავლელი კომისიის მესამე ყოველწლიურ კონფერენციაზე 1966 წლის ოქტომბერში ფრიდანმა დაპატიჟა „მომხრე ფემინისტები" თავის ოთახში, სასტუმროში, სადაც იგი გაჩერდა აშკარა მიზნით, რომ მათ შეექმნათ ქალთა ახალი ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურად გენდერული დისკრიმინაციის საკითხებზე იმუშავებდა. ეს უნდა ყოფილიყო შავკანიანთა განვითარების ეროვნული ასოციაციის (NAACP) ერთგვარი ფემინისტური ექვივალენტი. ამ შეკრების შედეგად, ჩამოყალიბდა „ეროვნული ორგანიზაცია ქალებისათვის (NOW). ბეტი ფრიდანმა ხელსახოცზე დაწერა „*NOW*", ანუ ახლა. სწორად, „ახლა აქტიურად უნდა ვიმოქმედოდ, იმისათვის, რომ ამერიკელი ქალები ჩვენი საზოგადოების სრულყოფილი და სრულუფლებიანი წევრები გავხადოთ, ჩვენი ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში უნდა მოვაქციოთ".[112] მან თავის ორგანიზაციას სპეციალურად უწოდა „ეროვნული ორგანიზაცია ქალებისათვის" და არა „ქალთა ეროვნული ორგანიზაცია". „ეს არ იქნება ქალების ბრძოლა მამაკაცების წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციაში კაცებიც გაწე-

[110] Friedan, "Battling for Women While Being Beaten at Home," George, May 2000, p. 84.

[111] Cynthia Harrison, On Account of Sex: The Politics of Women's Issues 1945-1968. Berkeley: University of California Press, 1988, p.193.

[112] Davis, Moving the Mountain, p. 54.

ვრიანდებიან, თუმცა ხელმძღვანელები ქალები იქნებიან".[113] 1966 წლის 29 ოქტომბერს ვაშინგტონში NOW-ს დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა და ბეტი ფრიდანი ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ორგანიზაციის წარმომადგენლები ქალებისთვის წინსვლისა და განვითარების იმავე შესაძლებლობებს მოითხოვდნენ, რომლითაც მამაკაცები სარგებლობდნენ. ისინი ითხოვდნენ სამსახურებრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ქალების თანაბარ წარმომადგენლობას პოლიტიკურ პარტიებში; ებრძოდნენ „ქალის ყალბ იმიჯს" მასმედიაში, ქალების მიმართ „მოჩვენებითი მფარველობის" პოლიტიკას; ქალებისათვის სამსახურებრივი პერსპექტივების გაფართოვებას მოითხოვდნენ, რათა მათ სამსახურში დაწინაურებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა მისცემოდათ. ძირითადი ყურადღება მათ ქალთა სამსახურებრივ დისკრიმინაციაზე გადაიტანეს და, სამოქალაქო უფლებების აქტივისტების მსგავსად, აცხადებდნენ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ფორმალურობას რეფორმების გატარების პროცესში, რათა „სქესთა შორის აბსოლუტურად თანაბარი პარტნიორობა" დამკვიდრდეს.[114]

მეორე მხრივ, სამოქალაქო უფლებების აქტივისტმა ქალებმა დასაბამი მისცეს რადიკალურ ფემინიზმს. მისი წარმომადგენლები, უმეტესწილად, „ძალადობის მოწინააღმდეგე სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტის" (SNCC) წევრები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალები თავგანწირვით რისკზე მიდიოდნენ და კაცებთან მხარდამხარ სერიოზულ პასუხისმგებლობებს კისრულობდნენ, რის შედეგადაც ისეთ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, რომელიც ქალების შესახებ საზოგადოებაში განმტკიცებულ სტერეოტიპებს ძირს უთხრიდა, მათ ამ ბრძოლაში არც სრულუფლებიანი მონაწილეების და არც წამყვანი ძალის სტატუსი მოიპოვეს. თუმცა, ბრძოლის გამოცდილება მათ პოლიტიკაში ქალის როლის სრულფასოვნად გაანალიზებაში დაეხმარა. ამ ბრძოლამ მათ ის აუცილებელი უნარ-ჩვევები შესძინა, რომელიც არსებული დაბრკოლებების გადალახვისთვის იყო საჭირო. ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებს და ძალთა გადანაწილებას, როგორც საკუთარ ორგანიზაციაში, ასევე მთლიანად ამერიკულ საზოგადოებაში.

1964 წლის „თავისუფლების ზაფხულის" დასრულებისთანავე, SNCC-ის პირად შემადგენლობაში აღმოცენებული განხეთქილების შედეგად, ორგანიზაციის ორმა თეთრკანიანმა წევრმა – კეისი ჰეიდენმა და

[113] Friedan, "Battling for Women While Being Beaten at Home," George, May 2000, p. 84.
[114] Ibid.

მერი კინგმა სპეციალური წერილი შეადგინეს, რომელიც SNCC-ში ქალების მდგომარეობას აპროტესტებდა. ისინი თანამებრძოლებს შემდეგ კითხვას უსვამდნენ: „რატომ ხდება ისე, რომ SNCC-ში მომუშავე კომპეტენტურ, კვალიფიცირებულ და გამოცდილ ქალებს იმთავითვე „ქალურ" თანამდებობებს სთავაზობენ, თუმცა, ამავდროულად, ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანასწორი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას არ აძლევენ". ისინი ამტკიცებდნენ, რომ SNCC-ში ქალებს ისევე ეპყრობიან, როგორც ზანგებს მსხვილ კორპორაციებში, სიმბოლური, ყალბი მფარველობითი დამოკიდებულებით და ქედმაღლური დაცინვით. მამაკაცების პრივილეგიებს ქალებთან შედარებით საზოგადოებრივ მენტალიტეტში ისეთივე ღრმა ფესვები აქვს გადგმული და ქედმაღლური დამოკიდებულება ქალების მიმართ ისევეა გავრცელებული, როგორც თეთრკანიანების უპირატესობა ზანგებზე[115], რაც დამანგრეველია ქალთა მოძრაობისთვის." ეს წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ "Liberation"-ში და, როგორც ისტორიკოსი ფლორა დევისი ამბობს, „ისეთივე წვლილი შეიტანა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის დაწყებაში, როგორიც ბეტი ფრიდანის მიერ დაწერილმა წიგნმა ლიბერალური ფემინიზმის აღმოცენებაში".[116]. ქალების საერთო პრობლემების იდენტიფიცირებისას, კინგმა და ჰეიდენმა, ფრიდანის მსგავსად, გააკეთეს ფუძემდებლური აღმოჩენა: ის, რაც ერთი შეხედვით ქალთა ინდივიდუალურ პრობლემებად გვეჩვენება, რეალურად, საზოგადოების ძალთა გადანაწილების უფრო ფართო სოციალურ უთანასწორობას წარმოადგენს, რაც თეორეტიკოსმა კეიტ მილეტმა „გენდერულ პოლიტიკად" მონათლა.

ბეტი ფრიდანის თავდაპირველი განზრახვის თანახმად, NOW ჩაფიქრრებული იყო როგორც ქალთა მცირე ჯგუფი, რომელიც პოლიტიკური ზეწოლით, სასამართლოში საჩივრებით და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციით, ქალების შემზღუდველი კანონების შეცვლას მიაღწევდა. თუმცა, ძალიან მალე, ორგანიზაციამ დამოუკიდებელი არსებობა დაიწყო. პირველსავე წელს მისი წევრების რაოდენობა გაოთხმაგდა, მრავალი ახლადგაწევრიანებული დამფუძნებლებზე უფრო ახალგაზრდა და რადიკალურად განწყობილი იყო. „მან (იგულისხმება ფრიდანი – ე.მ.) ვერ გაითვალისწინა, რომ ამ ორგანიზაციის დაფუძნებით, ფაქტობრივად, ნავთს

[115] Casey Hayden and Mary King, A Kind of Memo, in Miriam Schneir, ed., Feminism in Our Time (New York: Vintage Books, 1994), pp. 89-94.

[116] Davis, Moving the Mountain, p. 77.

ცეცხლი წაუკიდა".[117] ფემინისტი ქალები მრავალ საკითხში ვერ თანხმდებოდნენ. მათი თეორიები, პოლიტიკა და სტრატეგია ისევე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც თვითონ ქალები. ყოველ ნაბიჯზე ისინი ებრძოდნენ იმ ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომ ყველა ქალი ერთნაირად აღიქვამს მოვლენებს და ერთნაირი ინტერესები აქვს. საბოლოოდ, მოძრაობა ასობით სხვადასხვა მიმდინარეობად დაიყო.

რადიკალი ფემინისტები მამაკაცების წინააღმდეგ ილაშქრებოდნენ და მათ ბრალს სდებდნენ ქალების მიმართ ორმაგი სტანდარტების დამკვიდრებაში. ლიბერალი ფემინისტები უფრო გენდერულ როლებს აკრიტიკებდნენ, ვიდრე მამაკაცებს. ფრიდანი აცხადებდა, რომ სექსუალური რევოლუციის მისეული ხედვა სარგებელს მოუტანდა როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, რომლებიც, თავის მხრივ, „მამაკაცური საიდუმლოს" მახეში არიან გაბმულნი. „მამაკაცი არ არის მტერი," – ამბობდა იგი. „მამაკაცური საიდუმლოს" უღელში ჩაბმული, იგი ისეთივე მსხვერპლია, როგორც ჩვენ... ეს რევოლუცია ორივე სქესს უნდა შეეხოს„[118] იგი არ ეთანხმებოდა „იმ თეორიას, რომლის მიხედვით, ქალთა მოძრაობა მამაკაცების წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლას წარმოადგენს, სადაც ქალი ჩაგრულთა კლასის წარმომადგენელია, ხოლო მამაკაცი მჩაგვრელი... თუ მამაკაცებისგან მტრის ხატს შევქმნით, ისინი უეჭველად ჩვენთან საპასუხო ბრძოლას დაიწყებენ".[119] ქალების თვითშეგნების ასამაღლებლად ფრიდანი ხშირად აღნიშნავდა, რომ მოძრაობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიტიკას და არა „კლასობრივ ბრძოლას"[120] თვითშეგნების ამაღლებამ ისეთივე ეფექტი მოახდინა ახალგაზრდა ქალებზე, როგორიც თავის დროზე „ქალის საიდუმლომ" მათზე უფროსი თაობის ქალებზე. ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ქალთა პრობლემები არა პირად, არამედ საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს და სექსიზმის შედეგს წარმოადგენს. იგი ასევე აკრიტიკებდა რადიკალი ფემინისტების მიერ ქალის ბუნების ინტერპრეტაციას. ისინი საუბრობდნენ მისტიკურ ფემინურ კულტურაზე, რომელსაც ფრიდანმა სახიფათო გადახრა უწოდა, მისი თქმით, ესაა „ქალთა თანამდეროვე მოძრაობის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შიზოფრენიული იგნორირება, მათგან თავის დაღწე-

[117] Hennessee, Her Life, p. 104.
[118] Friedan, It Changed My Life, p. 152.
[119] Betty Friedan, "Beyond Women's Liberation," McCalls, August 1972, pp. 134, 136.
[120] Friedan, It Changed My Life, p. 163.

ვის მიზნით".[121] პოლიტიკოსები ატყუებენ ქალებს, ქალები კი საკუთარ თავს იტყუებენ მთელი ამ ფარისევლური საუბრით ქალთა მისტიურობაზე, ბუნებრივ, თანდაყოლილ მორალურ სიწმინდესა და პრივილეგირებულ მდგომარეობაზე, რომელიც სამყაროს მოაწესრიგებს. თუმცა, ამჟამად, ქალები ჯერ-ჯერობით არ მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების, პროფკავშირების ან უნივერსიტეტების მართვაში და საეკლესიო ცხოვრებაში. ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ქალებს, სამწუხაროდ, არ აქვთ არანაირი განსაკუთრებული უპირატესობა არც სინდისის ასპექტებში და არც მშვიდობის რაიმე განსაკუთრებული ინსტინქტი გააჩნიათ. ყოველივე ეს „შეცდომით მიეწერება ქალებს, თავის მოტყუების ან იმ ფაქტის შენიღბვის მიზნით, რომ ქალები იძულებულნი არიან შეზღუდონ თავისი საქმიანობა სიყვარულით შვილებისადმი და ოჯახისადმი, საკუთარი სახლის მოვლით და სხვა ადამიანების უმარტივესი საჭიროებების დაკმაყოფილებით, ვინაიდან მათ ეკრძალებათ მონაწილეობა უფრო კომპლექსურ საქმეებში, სადაც საჭიროა განათლება, მაღალი თვითშეფასება, მომზადება და ყოვლისმომცველი, დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა"[122].

რადიკალი ფემინისტები გენდერულ პოლიტიკას „კონფრონტაციისა და დაპირისპირებების გზით" ებრძოდნენ. ისინი ქუჩაში თეატრალურ წარმოდგენებს აწყობდნენ. ლიბერალი ფემინისტები მუშაობდნენ ინსტიტუციური და პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად; ჩიოდნენ სასამართლოებსა და კონგრესში; სოციალისტი ფემინისტები ქალთა ჩაგვრას მჭიდროდ უკავშირებდნენ კაპიტალიზმს; ლესბოსელი ფემინისტები აკრიტიკებდნენ ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებსა და ჰომოფობიას და ხოტბას ასხამდნენ ქალთა სეპარატისტულ კულტურას; აფროამერიკელი ფემინისტები მოითხოვდნენ ამ ბრძოლაში რასობრივი, კლასობრივი და გენდერული ასპექტების გამოყოფას, ვინაიდან ესაა მჩაგვრელი სისტემის მრავალმხრივი, მისი გამაძლიერებელი შემადგენელი ნაწილები; მუშათა კლასის წარმომადგენელი ფემინისტები იბრძოდნენ პროფკავშირებში. ისინი სამუშაო ადგილების სამართლიან განაწილებასა და ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხების მათ სასარგებლოდ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. ქალთა მოძრობის ამგვარი დაქსაქსულობის გამო მასმედია ხშირად ქილიკობდა მასზე, რითაც ცალკეულ მიმდინარეობებს შორის დაპირისპირებას კიდევ უფრო ზრდიდა.

[121] Ibid., p.258.
[122] Friedan, "An Opinion," pp. 24, 220.

ჟურნალისტები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ ფემინისტი ლიდერების ყველაზე სკანდალურ გამოსვლებს და დასცინოდნენ მათ, თუმცა, არც იმას მალავდნენ, რომ ქალები ყველგან თანასწორობისთვის იბრძოდნენ. რადიკალი ფემინისტების მიერ შერჩეული ტაქტიკა საუცხოო მასალას წარმოადგენდა პრესისთვის. მათი კონფრონტაციის გამომწვევი ქმედებები, რომლებსაც თან ფართო კამათი და გახმაურებული სკანდალები მოყვებოდა, გაზეთებში ყოველთვის ფართოდ შუქდებოდა. მაგალითად, როდესაც ადგილობრივმა რადიოსადგურმა, რომელიც ახალგაზრდა მოხალისეებს ეძებდა, აღნიშნა, რომ შეიძლებოდა ახალგაზრდა გოგონების ტექსტების ამკრეფებად აყვანა, დაცინვით მათ „წიწილები" უწოდა. ამ ინციდენტიდან შემდეგ დღესვე, რადიოსადგურის მენეჯერის ოფისში ფემინისტები შეიჭრნენ და სამუშაო მაგიდაზე ცოცხალი წიწილები დაყარეს. 1968 წელს კიდევ ერთი სკანდალური საპროტესტო აქცია გაიმართა ატლანტიკ სიტიში „მის ამერიკის" კონკურსის წინააღმდეგ. ამჯერად გამარჯვებულის გვირგვინი ცოცხალ ცხვარს დაადგეს თავზე, ცხვარი „მის ამერიკის" სიმბოლოს განასახიერებდა. შემდეგ ორგანიზატორებმა ცერემონიულად, გათავისუფლების ნიშნად, „სანაგვეში" ისროლეს ქალის ჩაგვრის ყველა აქსესუარი – ლიფები, ქამრები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, კოსმეტიკა და ქალთა ჟურნალები.[123] ასეთი ტაქტიკა არ მოეწონათ უფრო კონსერვატიულად განწყობილ ლიბერალ ფემინისტებს, რომლებიც ამ ქმედებებს, როგორც საპირისპირო ეფექტის გამომწვევ ზომებს აღიქვამდნენ. ისინი მათ ტრივიალურს უწოდებდნენ, რაღაც გაუწონასწორებელ ბოდვას, რომელიც ქალთა მოძრაობის იმიჯს ლახავს. თუმცა, ლიბერალი ფემინისტებიც მიმართავდნენ ხოლმე კონფრონტაციას, ისინი ბარიკადებს აგებდნენ მამაკაცთა ციხე-სიმაგრეებად წოდებული დაწესებულებების წინ, როგორებიცაა, მაგალითად, „ბალტმორის მამაკაცთა ბარი", „გრილლი" ნიუ-იორკში, „პოლო ლაუნჯი" ბევერლი ჰილზში და პლაზა ოტელის „მუხის ოთახი"[124].

რამდენიმე წელიწადში NOW გამოვიდა ფრიდმანის ზედამხედველობიდან და „მოექცა უფრო რადიკალი ფემინისტების ზეგავლენის ქვეშ, რომლებიც ყველას მოუწოდებდნენ რევოლუციურ ქმედებებზე გადასულიყვნენ".[125] ფრიდანი მკაცრად აკრიტიკებდა ახალგაზრდა ფემინისტებს

[123] Davis, Moving the Mountain, p. 86, 107; Alice Echols, Daring to Be Bad: Radical Feminism in America (Minneapolis: University of Minnesota Press, 1989, p. 94.

[124] Friedan, "Battling for Women," pp. 85-86.

[125] Ibid., p.113.

იმის გამო, რომ ისინი ვერ ხედავდნენ იმას, რომ „ამ რევოლუციის წამყვანი საკითხები უმუშევრობა, გაუნათლებლობა, ახალი სოციალური ინსტიტუტების დაფუძნება იყო და არა სექსუალური ფანტაზიები"[126]. მისთვის „ქალთა მოძრაობა სექსთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ ქალებისთვის თანაბარი პირობების შექმნასთან სამსახურში, სოციალურ სფეროსა და ასე შემდეგ"[127].

თავისი ფართომასშტაბიანი მოღვაწეობის წყალობით, ფრიდანმა მთელი ქვეყნის დღის წესრიგში ქალების საკითხები დააყენა. მისმა ემოციურმა და სენსაციებით აღსავსე ლიდერობამ დასაბამი დაუდო ქალთა მოძრაობას, თუმცა, ამავედროულად, მან ზურგი შეაქცია იმათ, ვინც მას არ ეთანხმებოდა. 26 აგვისტოს, საარჩევნო უფლებებისათვის მებრძოლ ქალთა 50-ე წლისთავზე, იგი გაერთიანდა ამ საკითხზე მომუშავე ფემინისტებთან და მოაწყო ქალთა ეროვნული გაფიცვა თანასწორობისათვის, „მთელი ამერიკის მასშტაბით ჩაგვრისაგან გათავისუფლების მიზნით". მათი მთავარი მოთხოვნები იყო აბორტის უფლება, ბავშვის 24-საათიანი მოვლის ცენტრების მოწყობა, ქალებისთვის განათლების მიღებისა და სამსახურში მოწყობის თანაბარი შესაძლებლობების გარანტია.[128] სანამ მთელს ამერიკაში დიასახლისებმა, მდივნებმა და მასწავლებლებმა უარი თქვეს იმ დღეს ყოველდღიური მოვალეობების შესრულებაზე, ნიუ-იორკში, მე-5 ავენიუზე ბეტი ფრიდანისა და სხვა გამოჩენილი ფემინისტების თაოსნობით, მოეწყო საპროტესტო მარში, რომელშიც 50 ათასი ხელიხელჩაკიდებული ქალი მონაწილეობდა. ბეტი ამ აღლუმს ხელმძღვანელობდა. „ეს მარში ალბათ ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი მწვერვალია," – აღნიშნა მან მოგვიანებით. „ყველაფერი ზუსტად ისე მოეწყო, როგორც მე მინდოდა"[129].

ფრიდანი სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ ქალების ცხოვრების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება მათი პოლიტიკაში – ოფისების ხელმძღვანელებად, ლობისტებად, წამყვანი პოლიტიკური პარტიების აქტივისტებად ჩაბმაა. მან მოითხოვა NOW-ს ქალთა უფლებების ქარტიის შესრულება.

1971 წელს ფრიდანმა გადაწყვიტა, რომ „დრო დადგა, ქალებმა 'პოლიტიკური ცვლილებები და არა ყავა მოამზადონ", ამიტომ მან მონაწილეობა

[126] Echols, Daring to Be Bad, p. 4.
[127] Friedan, "Battling for Women," p. 86.
[128] Echols, Daring to Be Bad, p. 4
[129] Friedan, Battling for Women, p. 113.

მიიღო ქალთა ეროვნული პოლიტიკური პარტიის (NWPC) თანადაფუძნებაში, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი აერჩიათ ოფიციალურ თანამდებობებზე, რათა მეტი ზეწოლა განხორციელებულიყო საჯარო პირებზე, რომ მათ უმაღლეს საჯარო თანამდებობებზე ქალები დაენიშნათ[130].

მან ასევე განაცხადა, რომ არჩევნების დროს აშშ-ის სენატში თავისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებდა. „მე დავეხმარე და გავათავისუფლე მრავალი ქალი და მათი ხმების იმედი მაქვს. ფაქტობრივად, არა მგონია ამერიკაში რომელიმე სხვა ქალმა ჩემზე მეტი ხმის მოგროვება შეძლოს. მე კი სენატში მოხვედრა მსურს"[131].

NOW-საგან განსხვავებით, ბეტის შეხედულებები არ შეცვლილა, მან არ უღალატა შერჩეულ კურსს და უარს არ ამბობდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე. მაგრამ კენჭისყრის დროს მომხდარი „დარღვევებისა და გაყალბების" გამო, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. ამ მარცხით მიღებული შოკის გამო, მან უარი თქვა შემდგომ პოლიტიკურ კარიერაზე და სენატორობაზე. ამის სანაცვლოდ, იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას, ნაშრომების წერას შეუდგა.

1976 წელს მან გამოსცა წიგნი სახელწოდებით „მან შეცვალა ჩემი ცხოვრება: წერილები ქალთა მოძრაობაზე"[132]. ეს იყო ძველი და ახალი წერილების, ინტერვიუების, სხვადასხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების კატალოგი და ნამდვილი კრებული კრიტიკული და გესლიანი გამოთქმებისა იმაზე, თუ რა მოუვიდა „მის" მოძრაობას, რომელიც მას მოპარეს ლესბოსელების მომხრე, კაცთმოძულე ინტრიგანებმა. ამ წიგნში მან ჩაღვარა ბოლო დროს დაგროვილი იმედგაცრუება და ბოღმა.

1969 წლისთვის, როდესაც Newsweek-ისა და Time-ის მოწინავე გვერდის სტატიებმა საზოგადოებაში განამტკიცა ქალთა მოძრაობის კაცთმოძულე, ოჯახის მოწინააღმდეგე, ლიფების დამწველთა იმიჯი, მათ გააზვიადეს ამ მოძრაობის ყველაზე გროტესკული მხარეები. არასოდეს არ დამავიწყდება ის უმწეობის გრძნობა, რომელიც ამის დანახვისას დაგვეუფლა ჩვენ, NOW-ს თავდაპირველ დამფუძნებლებს: „ჩვენ ეს სულაც არ გვინდოდა და არც ვგულისხმობდით". ჩვენთვის, ჩვენი ფესვებით ამერი-

[130] Ibid.

[131] Wilkes, "Mother Superior," p. 157; იხ. ასევე Lyn Tornabene, "The Liberation of Betty Friedan," McCalls, May 1971, p. 142.

[132] It Changed My Life: Writings on the Women's Movement. Cambridge: Harvard University Press, 1976.

კის საშუალო ფენის მეინსტრიმში, ორმოცდაათიანელთა თაობის ოჯახებით, თანასწორობა და ქალთა თვითგამორკვევა არასდროს გულისხმობდა ოჯახის დანგრევას, ქორწინებისა და დედობის უარყოფას და უმოწყალო გენდერულ ბრძოლას მამაკაცების წინააღმდეგ[133].

ამგვარად, ფრიდანის გაგებით, ფემინიზმი ნიშნავს ქალის აღიარებას ადამიანად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ქალებს საზოგადოებაში თავისუფალი მოღვაწეობის და ყველა პრივილეგიით სარგებლობის, ყველა შესაძლებლობის გამოყენებისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უფლება უნდა ჰქონდეთ, რაც საბოლოო ჯამში ყველა ადამიანისა და ნებისმიერი ამერიკელის უფლებას წარმოადგენს. ფემინიზმი არ გულისხმობს არც კლასობრივ ბრძოლას მამაკაცების წინააღმდეგ, არც შვილების უარყოფას, რაც კაცობრიობის მომავლის უარყოფა იქნებოდა. ფრიდანის აზრით, მთლიანობაში ქალთა მოძრაობა იყო, ან უნდა იყოს, გარკვეული ადამიანის უფლებებისათვის გლობალური მოძრაობის ერთ-ერთი საფეხური, რომლის მიზანია საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქციოს ადამიანთა კიდევ ერთი ჯგუფი, ამჯერად უმრავლესობა, რასაც, თავის მხრივ, სპეციფიკური პრობლემები, პერსპექტივები და ადამიანური რისკი მოყვება.[134]

ბეტი ფრიდანის ღვაწლი ქალთა მოძრაობაში ფასდაუდებელია. მან ამერიკელ ქალთა ცხოვრება ძირეულად შეცვალა.

[133] Friedan, Battling for Women, p. 113.
[134] Friedan, It Changed My Life, p. 317.

თავი 3.

ამერიკელი ქალების პოლიტიკური აქტიურობა 1970-1990-იან წლებში

ქალების ბრძოლა ოფისისათვის

1900 წელს თანამედროვე ამერიკელი ქალების დიდი ბებიები წინასწარმეტყველებდნენ, რომ XX საუკუნე „ბავშვების საუკუნე" იქნებოდა, მაგრამ უფრო ზუსტი იქნებოდა ეწოდებინათ მისთვის „ქალების საუკუნე". ბევრ დრამატულ ცვლილებას შორის, რომელიც ამერიკის საზოგადოებაში მოხდა ალბათ ყველაზე საოცარი ცვლილებების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იქნება ის, რომელიც ყველა სფეროში ქალების ცხოვრებას შეეხო. რასობრივი, კლასობრივი, რელიგიური, ეროვნული თუ რეგიონალური დაყოფის მიუხედავად, ქალების სოლიდარობა საერთო მიზნების მისაღწევად ბრძოლაში მართლაც რომ იშვიათია. სწორედ ამ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მათი ბრძოლა საზოგადოებრივ, კერძოდ კი, პოლიტიკურ ცხოვრებაში კაცებთან ერთად თანაბარი მონაწილეობის უფლებისათვის, ანუ, როგორც თვით ამერიკელები ამბობენ, ბრძოლა ოფისებისათვის. აღნიშნული ბრძოლის შედეგად ამერიკის პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ძირეული ტრანსფორმირების ეტაპები გაიარა. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები 1960 და 1980-იანი წლების ქალთა მოძრაობის მეორე და მესამე ტალღებია, რომლის შედეგებს (რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ გააქტიურებასაც გულისხმობს) თანამედროვე ამერიკელი ქალები XXI საუკუნეშიც იმკიან.

ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არჩევნებში მათი მონაწილეობაა. ამას ფემინიზმის თანამედროვე თეორეტიკოსები ზოგადად ფემინიზმის განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან არჩევნები – ეს არის „პოლიტიკური მონაწილეობის სწავლების ფორმა და არჩევით თანამდებობაზე არჩევის ინსტრუმენტი"[135]

[135] M.F. Katzenstein, Feminism and the Meaning of the Vote, *Signs, Vol.10* (Chicago, 1984), p. 6.

მართალია ქალი როგორც ამომრჩეველი ბევრგან კაცზე უფრო აქტიურია, მაგრამ ეს აქტიურობა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება, ასარჩევ კანდიდატებს შორის კი ნებისმიერ დონეზე ქალების რაოდენობა კაცებისას მკვეთრად ჩამორჩება. ამ მხრივ, არც ამერიკის შეერთებული შტატებია გამონაკლისი.

როგორც ცნობილია, არჩევნებში მონაწილების უფლებას ამერიკელმა ქალებმა 1920 წელს მიაღწიეს, როდესაც რატიფიცირებულ იქნა აშშ-ის კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორება. საარჩევნო უფლების მოპოვების შემდეგ ქალებმა სიმბოლურად „დატოვეს" ოჯახები[136]. ბევრს ეგონა, რომ საარჩევნო პროცესში ქალების მონაწილეობა გამოიწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ პირველი 10 წლის განმავლობაში ქალებისთვის არჩევნებში ხმის მიცემამ ვერ გაამართლა იმის მოლოდინი, რომ ისინი ამ უფლებას მაქსიმალურად გამოიყენებდნენ საზოგადოებაში თავიანთი პოლიტიკური როლის გასაზრდელად. მართალია პრეზიდენტებმა ვილსონმა და ჰარდინგმა რამდენიმე ქალი სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, სასამართლო ორგანოებსა და ფედერალურ კომისიებში დანიშნეს, მაგრამ ჯერ კიდევ 1930 წლისთვის მხოლოდ 13-მა ქალმა მიიღო ადგილი კონგრესში, თანაც 7-მა მათგანმა მხოლოდ არჩევნებს შორის შექმნილი ვაკანსიები შეავსო. უკეთესი მდგომარეობა არც შტატების საკანონმდებლო კრებებში იყო. 1925 წელს ქალებმა 7500 ადგილიდან მხოლოდ 150 მიიღეს[137].

მდგომარეობა ამ სფეროში მომდევნო წლებშიც დიდად არ შეცვლილა, ამიტომ ფემინისტების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება გახდა.

როდესაც ფემინისტური მოძრაობის ოთხი ლიდერი ბეტი ფრიდანი, კოგრესმენი ბელა აბზუგი (Bella Abzug), გლორია სტეინემი და ფანი ლუ ჰამერი 1971 წელს აცხადებდნენ ქალთა ეროვნული პოლიტიკური პარტიის (NWPC) შექმნის შესახებ, მათ იცოდნენ, რომ თუ ქალთა მოძრაობა გაიშლება, ქალები ამერიკაში პოლიტიკურ ძალაუფლებას მიაღწევენ. „ჩვენ გვინდა ამ ქვეყანაში ყველა არჩევითი თანამდებობის 50% კანონიერად დავიკავოთ", – განაცხადა გლორია სტეინემმა. „არავინ იძლევა პოლიტი-

[136] Paula Baker, The Domestication of Politics: Women and American Political Society, 1780-1920, In: «Unequal Sisters. A Multicultural Reader in U.S. Women's History», Edited,by Ellen Card DuBois and Vicki L.Ruiz. Routledge. New York and London, 1990, p.80.

[137] Синтия Харисон. От домашнего очага к государственному управлению: роль женщины в американском овществе. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2., июнь 1997 г. стр.3.

კურ ძალაუფლებას. ის უნდა ხელში ჩაიგდო და ჩვენ ამას გავაკეთებთ".[138] ორგანიზაცია მოითხოვდა სქესების თანაბარ წარმომადგენლობას სამთავრობო ორგანოებში და არჩევით თანამდებობებზე. ის მხარდაჭერას პირდებოდა ყველა იმ ქალ თუ კაც კანდიდატს, ვინც ქალების ინტერესებს დაიცავდა.

თუმცა, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებიდან 50 წლის შემდეგაც ქალები პოლიტიკურ აუტსაიდერებად რჩებოდნენ. სუფრაჟისტული ჯგუფების შექმნიდან 70 წლიანი ბრძოლის შემდეგაც ქალები პოლიტიკაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ. სუფრაჟისტებმა შექმნეს ქალი ამომრჩევლების ლიგა, რომელიც ქალებისთვის პოლიტიკურ ძალაუფლებას არც კი მოითხოვდა. ძალიან ცოტა ქალი გაწევრიანდა პარტიებში, მაგრამ აქაც ისინი კაცების ხელქვეითები გახდნენ.

1970-იან წლებში ქალების სრულიად უმნიშვნელო რაოდენობას ეკავა გადაწყვეტილების მიმღების თანამდებობები. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლების 54%, ხოლო სამუშაო ძალის 40% ქალები იყვნენ, 1977 წელს სენატში არც ერთი, ხოლო კონგრესში 4%-ზე ნაკლები ქალი იყო[139]. რატგერსის უნივერსიტეტთან არსებული ცენტრის *ამერიკელი ქალი და პოლიტიკა* მონაცემებით, 1976 წელს სახელმწიფო ორგანოებში თანამდებობები ქალების მხოლოდ 4-დან 7%-ს ეკავა.[140]

1968 წელს დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ქალი დეპუტატები 13%-ს შეადგენდნენ, რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე – 17%-ს მაშინ, როდესაც 1976 წელს ეს მონაცემები შესაბამისად 33 და 31%-მდე გაიზარდა. პროგრესი აშკარა იყო. ქალებმა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვა გზებიც გამონახეს. მაგალითად, 1974 წელს აირჩიეს პირველი ქალი გუბერნატორი, რაც მისი ქმრის დამსახურება არ იყო. კონექტიკუტელმა ელა გრასომ 20 წელი მოანდომა თავისი პოლიტიკური კარიერის გაკეთებას. იმავე წელს ნიუ იორკის შტატის სენატორმა მერი ენ კრაპსეკმა გაიმარჯვა საკუთარი დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან ბრძოლაში და ნომინირებულ იქნა ვიცე-გუბერნატორის თანამდებობაზე. მან არჩევნებში გაიმარჯვა და პირველი ქალი იყო, რომელიც თავის შტატში ეს მაღალი თანამდებობა დაიკავა.

[138] The Changing Role of Women in Politics, p.5

[139] Alice Lynn Booth. Careers in Politics for the New Woman. Choosing Careers and Life-Styles, Franklin Watts/New York/London, 1978, p.7

[140] Ibid.

იმავე წელს ჯენეტ გრეი ჰეიესმა, ოთხი შვილის დედამ, წინასწარ არჩევნებში 6 კანდიდატს აჯობა და დიდი ქალაქის, სან-ხოსეს (კალიფორნია), პირველი ქალი მერი გახდა.

ასევე ლილა კაქრელი 1975 წელს სან ანტონიოს (კალიფორნია) მერად აირჩიეს. მანამდე ის ვიცე-მერი იყო და 1970 წელს განაცხადა, რომ ბრწყინვალე მერი იქნებოდა, კაცი რომ ყოფილიყო[141]. ასე გახდა ქალი დიდი ქალაქის მერი.

უკვე 1972 წლიდან მკვეთრად გაიზარდა იმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო თანამდებობებზე აცხადებდნენ პრეტენზიას. შედეგები არაერთგვაროვანი იყო. ქალების არჩევით თანამდებობაზე მომრავლება ძალიან ნელი პროცესი გამოდგა. 1976 წელს უფრო მეტი ქალი იბრძოდა ოფისებისთვის, ვიდრე მანამდე. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში მათი რიცხვი 10%-ით გაიზარდა. დიქსი ლი რეი ვაშინგტონის გუბერნატორად აირჩიეს. იგი იყო მეორე ქალი, რომელიც შტატის სათავეში აღმოჩნდა. ქალებმა ამ წლებში ვერ მოახერხეს კაცების ჰეგემონობის შეწყვეტა სენატში, ხოლო 1977 წელს კონგრესში ერთი ქალით ნაკლები იყო, ვიდრე 1976 წელს.

1974 წელი ქალების დრამატული გამარჯვებების წელი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა 60 წლის მერი ლუის სმიტი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ დანიშნა. პირველად, ეს თანამდებობა ქალმა დაიკავა. გაიზარდა ქალების როლი დემოკრატიულ პარტიაშიც. 1976 წლის ყრილობაზე ისინი უკვე საგრძნობ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ.

1975 წლის სექტემბერში ჯორჯ გელაპის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ათი ამერიკელიდან შვიდს სჯეროდა, რომ ქვეყნის მართვა იგივე იქნება ან უკეთესი, თუკი მეტი ქალი მიიღებს მასში მონაწილეობას. ამის მთავარი მიზეზები, გელაპის თანახმად, იყო ის, რომ ქალები კეთილსინდისიერები და რაციონალურები არიან. საინტერესოა, რომ იმდროინდელი გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 73% მზად იყო ხმა მიეცა ქალი-პრეზიდენტისათვის![142] თუმცა, ქალი-კანდიდატისადმი მათი ასეთი დამოკიდებულება 2016 წლის არჩევნებისას საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ შეერთებულ შტატებს პირველი ქალი პრეზიდენტი ჰყოლოდა. საინტერესოა ამის მიზეზების გარკვევა.. ვფიქრობ, აქ როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორებია გასათვალისწინებელი, რაც ცალკე კვლევის საგანია.

[141] Ibid., p.8.
[142] Ibid.

ჯერ კიდევ 1974 წელს, როდესაც ქეთი რილეი მერილენდის გენერალურ ასამბლეაში კენჭს იყრიდა, მან აღმოაჩინა ცვლილება ამომრჩეველთა დამოკიდებულებაში ქალების მიმართ. მან განაცხადა: „ხალხი უკმაყოფილოა პოლიტიკური სისტემით და სურს რაღაც ახლის გამოცდა. 1970 წელს ხალხი ჩემს წინააღმდეგ იყო, რადგან ქალი ვიყავი. მაგრამ 1974-ში ზოგიერთმა ამომრჩეველმა ხმა სწორედ ამ მიზეზით მომცა".[143]

ქალებმა მარტო ოფისისათვის ბრძოლა არ ისწავლეს. მათ დაიწყეს ქალთა საკითხების ლობირება, პარტიების შიგნით ცალკეული საკითხის ირგვლივ ჯგუფების შექმნა, კანდიდატებისაგან დაპირებების მიღებაზე ზრუნვა.

ამავე დროს, მათ დაიწყეს მუშაობა როგორც პროფესიონალმა მენეჯერებმა, ლობისტებმა, პოლიტიკური კამპანიების ორგანიზატორებმა, ოფიციალური პირების სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ასისტენტებმა. მათ მიიღეს შესაბამისი თანამდებობები და ხელფასები. ყველამ დაინახა, რომ ქალებს, გარდა მბეჭდავებისა და უბრალო მდივნებისა, ბევრი სხვა სამუშაოს შესრულება შეუძლიათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალების მომრავლება საკანონმდებლო ხელისუფლებაში. 1971 წლიდან 1993 წლამდე ქალების წილი საკანონმდებლო კრებებში 4,5%-ით გაიზარდა და 21% შეადგინა, შემდეგ კი ეს ზრდა შეჩერდა. 1961 წელს კონგრესის ორივე პალატაში 20 ქალი იყო. ეს რეკორდული მაჩვენებელი 20 წლის განმავლობაში უცვლელო იყო. 1980-იან წლებში ქალი კონგრესმენების რაოდენობა ნელნელა გაიზარდა. თუმცა 1977 წლისთვის მათი რიცხვი მხოლოდ 60 იყო, რაც კონგრესის წევრთა საერთო რაოდენობის 12%-ზე ნაკლებს შეადგენდა. ამასთან ერთად, ქალთა მოძრაობისა და ქალი კონგრესმენების წყალობით, კონგრესმა ამ პერიოდში ბევრი საკანონმდებლო აქტი მიიღო, რომელიც სხვადასხვა სფეროში ქალების დისკრიმინაციას კრძალავდა.

მართალია, ქალების მიერ პოლიტიკური თანამდებობების დაკავება, მათ მიერ 1920 წელს საარჩევნო უფლების მიღების შემდეგ, საკმაოდ ნელი პროცესი გამოდგა, მაგრამ XX საუკუნის ბოლოსთვის ამერიკის პოლიტიკურ ასპარეზზე ისინი მაინც წარმოდგენილნი იყვნენ.

[143] Ibid., pp.8-9.

ცხრილი 1. კონგრესის წევრ ქალთა ზრდის დინამიკა 1981-1999 წლებში[144]

	კონგრესი		სენატი	
წელი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი
1981	416	19	98	2
1983	413	21	98	2
1985	412	22	98	2
1987	412	23	98	2
1989	408	25	98	2
1991	407	28	98	2
1993	388	47	93	7
1995	388	47	92	8
1999	379	56	91	9

ამგვარად, როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად მრავალწლიანი ძლიერი ფემინისტური მოძრაობისა, შეერთებული შტატების სენატსა და კონგრესში ქალების წარმომადგენლობა წინა საუკუნის ბოლოს არც ისე დიდი იყო. მაგრამ კარგად ჩანს ისიც, რომ არსებობდა ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით, კლინტონის პრეზიდენტობის წლებში, რაც მისი ადმინისტრაციის ქალების საკითხებისადმი დამოკიდებულების შედეგია[145]. შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს (USIA) ელექტრონული ჟურნალისადმი თეთრი სახლიდან გაგზავნილ პრეზიდენტის განცხადებაში ნათქვამია: „...ჩვენს მიერ შეთავაზებულია გადამწყვეტი პრაქტიკული ღონისძიებები, რათა ...ქალების ხმა გაგონილ იქნას სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. ქალების ის უპრეცენდენტო რაოდენობა, რომელიც მე დავნიშნე სხვადასხვა თანამდებობაზე ჩემს კაბინეტში, აგრეთვე, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ფედერალური მმართველობის სისტემაში, ზოგადად, გამოხატავს ჩემს რწმენას, რომ ქალები სრულუფლებიანი პარტნიორები უნდა იყვნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში".[146]

პრეზიდენტის ამ ბოლო სიტყვების დასადასტურებლად საკმარისია ვახსენოთ იმდროინდელი პირველი ქალბატონის ჰილარი როდემ-კლინტონის აქტიურობა ქალთა პრობლემების გადაწყვეტის საქმეში და კლინ-

[144] "Statistical Abstract of the United States: 2000", The National Data Book, 120th Editor, Washington, D.C., 2000, Table N 463, p.283

[145] კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში იხ. წინამდებარე წიგნში, გვ153-159.

[146] «Изменения социально-политической роли женщины в США». В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997 г.

ტონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის მედელინ ოლბრაიტის საქმიანობა. 1997 წლის 12 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე ოლბრაიტმა განაცხადა: „ქალების სტატუსის ამაღლება არის არა მარტო მორალური აუცილებლობა, არამედ ... ეს ერთ-ერთი ჩვენი მისიაა. ამის მიღწევა ნიშნავს, რომ ჩვენ ვმოქმედებთ არა თუ სწორად, არამედ ბრძნულად... ქალების ჩართვა ჩვენს საგარეო პოლიტიკაში წარმოადგენს აქტიურ, უწყვეტ და გლობალურ პროცესს. ეს მოითხოვს მუშაობას როგორც სხვა ქვეყნების მთავრობებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან... პროგრესის მისაღწევად საჭიროა არა უბრალოდ კარის გაღება, არამედ აქტიური ზომების მიღება, რათა მსოფლიომ გაიგოს – უსამართლობისა და ჩაგვრის ძველმა ეპოქამ ადგილი უნდა დაუთმოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა შესაძლებლობებისა და სრულფასოვანი მონაწილეობის ხანას...“[147].

ამერიკული სტატისტიკა მეტყველებს, რომ ქალების რაოდენობა გაიზარდა არა მარტო კონგრესსა და სენატში, არამედ სხვა არჩევით თანამდებობებზეც. მაგალითად, 1997 წელს კონგრესში იყო 60 ქალი (11,2%) – მათგან 14 ფერადკანიანი; 81 ქალი იყო ფედერალური აღმასრულებელი მოხელე (25%); 1597 – შტატის კანონმდებელი (21,5%) და 203 მერი ქალაქებისა, სადაც 30 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (20,6%). უმაღლეს სასამართლოში იყო 2 ქალი, შტატის სასამართლოს მოსამართლე კი 30 ქალი (18,6%), ხოლო 107 – საოლქო სასამართლოს მოსამართლე (17,2%).[148]

როგორც ვხედავთ შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ადგილობრივ არჩევით თანამდებობებთან დაკავშირებით. Mმაგალითად, 1992 წლის არჩევნების შედეგად, 493 830 ადგილიდან 324 255 კაცებს ერგოთ, 100 531 კი – ქალებს. ასე რომ, თანამდებობების დაახლოებით მესამედი ქალების ხელში აღმოჩნდა.[149]

რაც შეხება ფედერალური აღმასრულებელი ორგანოების არჩევით თანამდებობებს, იმ დროს იქ სულ 89 ქალი იყო, საკანონმდებლო ორგანოებში კი – 1664.[150] ამერიკის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 1964 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებულ იქნა ქალი – სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი, რომელსაც ხრუშჩოვმა „ომის ამორძალი“ უწოდა, მისი რადიკალუ-

[147] То же.

[148] “Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century”. Edited by Harvard Sitkoff, New York-Oxford, Oxford University Press, 2001, p..171

[149] “Statistical Abstract of the United States: 2000”, The National Data Book, 120th Editor, Washington, D.C., 2000, Table N 471, p.287.

[150] Ibid,, Table N 472.

რი ანტიკომუნისტური განწყობილების გამო (ჩეიზი აკრიტიკებდა ეიზენჰაუერისა და კენედის ცივი ომისადმი „შემრიგებლური პოლიტიკისთვის"). ჩეიზმა გამოიყენა ეს ეპითეტი საარჩევნო კამპანიისთვის, მაგრამ მხოლოდ 27 ხმა მიიღო (!). თუმცა მას არ ჰქონდა არც ფული, არც შტაბი, არ ჰყავდა არც პერსონალი. მთავარი ის იყო, რომ „იგი იყო პირველი ქალი, რომელიც მსხვილი პოლიტიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა".[151]

რაც შეეხება ამომრჩევლებს, აქ ბოლო ათწლეულებში ქალები აშკარად ჭარბობენ მამაკაცებს. 1980 წელს კაცი ამომრჩევლების რაოდენობა იყო 74,1 მლნ, ქალების კი – 83 მლნ. 1998 წელს კაცები უკვე იყვნენ 95,2 მლნ, ქალები – 103 მლნ.[152] მაგრამ ქალები არ წარმოადგენენ ერთიან მონოლითურ ჯგუფს, რომელსაც მხოლოდ ე.წ. „ქალთა საკითხები" აღელვებს. ყველა ქალიც, ცხადია, ერთნაირად არ ფიქრობს. შესაბამისად, შეერთებული შტატების საზოგადოებაში ქალების მდგომარეობასთან დაკავშირებითაც ერთნაირი დამოკიდებულება არ არის. აქ არსებობს ე.წ. ლიბერალური და კონსერვატიული პოზიცია. ამ უკანასკნელის გამომხატველია 1992 წელს ვაშინგტონში შექმნილი ე.წ. დამოუკიდებელ ქალთა ფორუმი, რომლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ დღეს შეერთებულ შტატებში არ არსებობს „შუშის ჭერის" პრობლემა, ე.ი. ქალებს არავინ ზღუდავს, რათა მათ კაცებისნაირად მაღალანაზღაურებადი და ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავონ. არსებული მდგომარეობა თვით ქალების ბრალი ყოფილა, რომლებსაც (ახალგაზრდა ქალების 81%-ს) ურჩევნიათ მეტი დროს დათმობა საკუთარი თავისა და ოჯახისთვის, ვიდრე სამსახურისთვის. გარდა ამისა, მათ არც საკმარისი კვალიფიკაცია გააჩნიათ.[153] ამერიკელი კონსერვატორების აზრი კარგად გამოთქვა 1988 წელს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის დენ ქუეილის მეუღლემ მერილინმა ჰიუსტონში გამართულ რესპუბლიკელთა ეროვნულ ფორუმზე. მან განაცხადა, რომ ამერიკელი „ქალების უმრავლესობას არ სურს თავისი ქალური ბუნებისგან განთავისუფლება... არავის სჯერა, რომ ოჯახი ისეთი დამთრგუნველია, რომ ქალს წარმატების მიღწევა მხოლოდ მის გარეშე შეუძლია".[154]

---

[151] იხ. ჟანანშერმანი. სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.187-191.

[152] "Statistical Abstract of the United States: 2000", The National Data Book, 120th Editor, Washington, D.C., 2000, Table N 477, p.290.

[153] «Консервативная точка зрения. Мнение Форума независимых женщин. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 26, №2, июнь 1997 г.

[154] Beth Bailly. The Women's Movement: Liberation for Whom? In: The Columbia Guide to Amer-

ყველა ხაზს უსვამს და მეც ვეთანხმები, რომ ქალების განათლების დონის ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და, კერძოდ, პოლიტიკურ ასპარეზზე ქალების გააქტიურებისთვის. ამ მხრივ, შეერთებულ შტატებში ბევრი გაკეთდა. მაგალითად, ბეტსი რაითმა ჯერ კიდევ 1973 წელს ქალთა განათლების ფონდის შექმნა დაიწყო. ის მთელს ქვეყანაში მოგზაურობდა და ქალებს პოლიტიკური კამპანიების ორგანიზებასა და ოფისისათვის ბრძოლას ასწავლიდა. „ქალი ყოველთვის იბრძვის. ის ათვითცნობიერებს თავის როლს პოლიტიკაში და უფრო უმარტივებს ამას მომდევნო ქალს. დღევანდელი მებრძოლი ქალი უფრო მოტივირებულია, ვიდრე ორი წლის წინათ იყო. ისინი უკეთ ახერხებენ კამპანიების ორგანიზებას. მათ უკეთ შეუძლიათ პრესასთან მუშაობა და მუშაობის უკეთესი უნარ-ჩვევები აქვთ. ისინი უფრო ძლიერი კანდიდატები არიან".[155] ის საჭიროდ თვლიდა ქალების თანამშრომლობას, მათი პოლიტიკაში მოსასვლელად.

მართლაც, ქალების ყველა იმდროინდელი გამარჯვება შესაძლებელი გახდა, ვინაიდან ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელია ერთმანეთის მხარდაჭერა. იქმნებოდა პროფესიონალი პოლიტიკოსი ქალების ქსელი. „ათი წლის წინათ ის არ არსებობდა, – ამბობს სიუზან ტანენბაუმი, კონექტიკუტის ვოშინგტონის ოფისის დირექტორი, – დღეს ქალები ერთმანეთს ეხმარებიან. ისინი, ვინც ეს გამოსცადა, ცდილობს გაუადვილოს ამის გაკეთება სხვასაც".[156] სხვა დიდი მიღწევა ის იყო, რომ ყველა ასაკისა და ცხოვრების ყაიდის ქალი არ გამორიცხავდა პოლიტიკური კარიერის გაკეთებას, ანუ მათი ცნობიერება შეიცვალა. რამდენიმე წლით ადრე მხოლოდ ერთი გათხოვილი და შვილებიანი ქალი იბრძოდა ოფისისათვის. 1970-იან წლებში არჩევნებში უკვე, მარტოხელა ქალების გვერდით, გაცილებული და მცირეწლოვანშვილებიანი ქალებიც იმარჯვებდნენ.

1972 წელს კონგრესში მოხვედრისათვის პეტ შრიოდერი იმ დროს იბრძოდა, როდესაც მისი ქალ-ვაჟი სულ პატარები იყვნენ. კონგრესვუმენი იონ ბერკი პირველი ქალია, რომელიც მეორედ გათხოვდა და ბავშვი გააჩინა კონგრესში სამსახურის დროს. ახალი თაობის პოლიტიკოსი ქალისათვის პოლიტიკა უკვე პროფესია გახდა და არა მოხალისეობა. ის თავის კარიერას დაბალი საფეხურებიდან იწყებდა და კაცი თანამებრძოლის გვერდით პოლიტიკურ კარიერას იკეთებდა. ქალი უკვე იკავებს იმ თანამდებობებს, რომლებიც ადრე მხოლოდ კაცს ეკავა. თუმცა, ამის მიღწევა

ica in the 1960s., Columbia University Press, New York, 2001, p.125.

[155] Ibid., pp.9-10.

[156] Ibid., p.10.

მას ბევრად უფრო უჭირს, ვიდრე კაცს. მას ნაკლები ფინანსები აქვს, შრომობს უფრო მეტს. ერთი და იგივე პოზიციის დასაკავებლად ქალი უკეთ უნდა იყოს მომზადებული, მეტი იშრომოს. „ათი წლის წინათ, – წერს ა.ლ.ბუთი თავის წიგნში „ქალის კარიერა პოლიტიკაში", – ქალების მცირე რაოდენობა ხვდებოდა პოლიტიკაში, ვინაიდან მათ აკლდათ ხედვა, რასაც შესაძლებლობა ქმნის... დღეს არის შესაძლებლობა და თუ ხედვა გაქვს, შენზეა დამოკიდებული გამოიყენებ შესაძლებლობას თუ არა"..[157]

1974 წელს კონგრესმა მიიღო კანონი „ქალთა განათლების თანასწორუფლებიანობის აქტი" (IX მუხლის ნაწილი), რომელიც ამერიკელ ქალებს განათლების მიღებისას კაცებთან თანაბარ გარანტიებს აძლევს. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ამ აქტის გარეშე ქალებისთვის პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლა, მათი ბრძოლა ოფისებისთვის წარუმატებელი იქნებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. XX საუკუნის ბოლოსთვის ახალგაზრდა ქალების (25-34 წლის) 88%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა[158] მაშინ, როდესაც 1920 წელს ისეთ „ქალურ" სპეციალობებზეც კი, როგორიც, მაგალითად, მედიცინაა ქალი-სტუდენტების მხოლოდ 5% სწავლობდა, იურიდიულზე კი – 1,4%. ამავე დროს, გათხოვილი ქალების მხოლოდ 11% მუშაობდა სახლს გარეთ (15%-ზე ოდნავ მეტი იყო 1940 წელს. მათგან აფროამრიკელი ქალი იყო 26%).[159] უმთავრესად, ეს ქალები მაშინ შინამოსამსახურეებად, ფაბრიკა-ქარხნებში არაკვალიფიცირებულ სამუშაოზე ან მასწავლებლებად მუშაობდნენ.[160] სწორად, განათლების ზრდამ, განათლებული ქალების სწრაფვამ სერიოზული რეფორმებისკენ, თავის დროზე, შექმნა მასობრივი ნიადაგი სუფრაჟისტული მოძრაობისთვის, რომლის მონაწილეებმაც ქალებისათვის ძირითადი სამოქალაქო უფლებების მინიჭებისთვის ბრძოლა წამოიწყეს.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საუკუნის განმავლობაში გაიზარდა. თუ დასაწყისში ის 48 წელს ოდნავ აღემატებოდა (48,3), ხოლო ქალი დაახლოებით 22 წლის ასაკში თხოვდებოდა და საშუალოდ 4 შვილი ჰყავდა[161], XXI საუკუნის მიჯნაზე ამ მონაცემებმა, შესაბამისად, შეადგინა 79,7 წელი (ანუ 65%-

[157] A.L.Booth, Careers in Politics...., p.11.

[158] "Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century". Edited by Harvard Sitkoff, New York-Oxford, Oxford University Press, 2001, p.171.

[159] Sara M.Evans, AmericanWomen in the Twentieth Century, In: "Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century", Edited by Harvard Sitkoff, New York-Oxford, Oxford University Press, 2001, p.164-165.

[160] Ibid.

[161] Ibid., p.163.

ით გაიზარდა), საქორწინო ასაკი გახდა 24,5 წელი და ქალს საშუალოდ უკვე 2 შვილი ჰყავს.[162] ასეთი ვითარება ზრდის ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის პერსპექტივებს. თუმცა, არსებობს სხვა სტატისტიკაც. ზემოთ ნახსენები ფორუმის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ანიტა ბლერის აზრით, „ქალებში გამჯდარია ბავშვებთან ყოფნის სურვილი... შეუძლებელია ყველაფერი ერთად გქონდეს... თუ გოგონამ გადაწყვიტა ხელმძღვანელი გახდეს..., ამისთვის საჭიროა გარკვეული გადაწყვეტილების მიღება და არჩევანის გაკეთება. სამსახურისა და ოჯახის შეთავსება უაღრესად რთულია".[163] ალბათ, ყველა ქალი დაეთანხმება ანიტა ბლერის ამ მოსაზრებას. ამასთან ერთად, ამერიკაში გაკეთებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ 100%-იან დიასახლისებს ოჯახში ნაკლებად აფასებენ, ვიდრე ქალებს, რომლებიც სამსახურში ატარებენ მთელ დღეს.[164] მართალია, მომუშავე ქალები სამუშაოთი დაკმაყოფილებულები არიან, მაგრამ ისინი მაინც ოჯახზე ღელავენ. მათ, ანუ დედებს, რომლებიც სამსახურში დიდ დროს ატარებენ, ამერიკაში „დაღლილ კლასს" უწოდებენ. ამიტომ ზოგიერთმა მსხვილმა კომპანიამ ისე ააწყო სამუშაო დღე, ისეთი განრიგი შესთავაზა თავის თანამშრომლებს, რომ ქალებს სამსახურისა და ოჯახის უკეთ შეხამების შესაძლებლობა გაუჩნდათ.

XX საუკუნის დასასრულისთვის 8 მილიონ ამერიკელ ქალს საკუთარ კომპანიაში უმაღლესი რანგის მმართველის თანამდებობა ეკავა. ქალების კუთვნილ კომპანიებში ყოველი მე-4 ამერიკელი მუშაობს, ხოლო ამ კომპანიების ყოველწლიური ბრუნვა კი 1,4 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ასევე ბაკალავრებისა და მაგისტრების 55% ქალია, სამეცნიერო ხარისხების 40%-საც ისინი ფლობენ. აი ასეთი ოპტიმისტური ციფრები გამოქვეყნდა სტატისტიკურ ცნობარში, რომელიც ამერიკაში ქალების ეკონომიკური მდგომარეობის პროგრესს მიეძღვნა.[165]

ამგვარად, XX საუკუნის ბოლოსთვის ამერიკელი ქალები ჩართული იყვნენ, და დღესაც არიან, საშინაო თუ საერთაშორისო მოღვაწეობის ყველა სფეროში – ისინი ქმნიან პოლიტიკას, დებენ გარიგებებს, აკონტროლებენ შეიარაღებასა და ვაჭრობას, სხედან სამხედრო დანაშაულთან დაკავშირებული ტრიბუნალის დარბაზში, მონაწილეობენ ჩვენი პლანეტის შორეულ წერტილებში გაეროს ოპერაციებში, ეხმარებიან ლტოლვილებს, არიან სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შორის (და სამჯერ ხელ-

[162] Ibid., p.170.

[163] Пол Кеннеди. Вступая в двадцать первый век. «Весь мир», Москва, 1997, с. 7.

[164] Сюзанн Фолтер-Барнс. Баланс между работой, семьёй и требованиями закона. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997, с.1.

[165] Там же.

მძღვანელობდნენ კიდეც), მუშაობენ შეერთებული შტატების საელჩოებში (საქართველოში აშშ-ს საელჩოც გამონაკლისი არ არის). აშშ-ის საერთაშორისო განათლების სააგენტო მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ახორციელებს არაერთ პროგრამას, რომლის მიზანია ქალების მონაწილეობის ზრდა პოლიტიკურ პროცესში. პროგრამებს შორის არის პოლიტიკური ხელმძღვანელების მომზადების, სამოქალაქო და საარჩევნო უფლებების სფეროში განათლების, ტექნიკური სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების მომზადების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის ზრდის პროგრამები. ყველა ეს ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქალების უფრო აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საშუალებების მუშაობაში. მათი მიზანია აჩვენოს მთელი მსოფლიოს ქალებს, რომ მათ საკუთარი ბედის დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა აქვთ.

მართალია შეერთებული შტატები ცდილობს ითამაშოს ლიდერის როლი ქალების სტატუსის ამაღლების საქმეში, მაგრამ ამ სფეროში ის მაინც ჩამორჩება ევროპის ზოგიერთ ქვეყანას, განსაკუთრებით კი, სკანდინავიის ქვეყნებს, სადაც იდეალური სოციალური პირობები და სქესებს შორის რეალური თანასწორობა განაპირობებს იმას, რომ ქალი პოლიტიკოსებისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.[166] ასე რომ, სრულ თანასწორობამდე აშშ-ში ჯერ კიდევ შორს არის.

თუ შტატებში ასეთი მდგომარეობაა, რაღა უნდა ვთქვათ საქართველოზე? მართალია ჩვენთან ქალები უმთავრესად ბოლო ორ ათწლეულში „გამოფხიზლდნენ" და კაცებთან მათი თანასწორობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით არის დაცული, მაგრამ მდგომარეობა მაინც სახარბიელო არ არის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის უაღრესად დაბალი მაჩვენებელი გვაქვს. თუმცა პროცენტული მაჩვენებლებით ჩვენ ამერიკელ ქალებს არც ისე დიდად ჩამოვრჩებით.[167] ქალების არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცებით, სწორად საქართველოში არსებობს ცნობილი „შუშის ჭერი" და ქალს არ შეუძლია ან ძალიან უჭირს მაღალანაზღაურებადი და ხელმძღ-

[166] Пол Кеннеди. Вступая в двадцать первый век. «Весь мир», Москва, 1997, с.401; "A History of Women in the West. Y, Towards a Cultural Identity in the Twentieth Century", Francoise Thebaud, Editor, The Balknap Press of Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, London, England, 1994, p.500.

[167] ტატიანა დენისოვა, ელენე მეძმარიაშვილი. ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.191.

ვანელი თანამდებობის დაკავება.[168] XX საუკუნის ბოლოს ამას ემატებოდა ისიც, რომ არ არსებობდა ქალებისა და კაცების თანასწორუფლებიანობის დაცვის არანაირი სპეციალური კანონი საქართველოს პრეზიდენტის თითო-ოროლა განკარგულების გარდა, რომ ქვეყანაში არ იყო გენდერული პოლიტიკის პროგრამები, საკმაოდ ღარიბი და არასანდო იყო (და დღესაც არის) ჩვენთვის საინტერესო სტატისტიკური მონაცემები.[169] სამწუხაროდ, ქართველი ქალების უკან არ დგას ძლიერი ფემინისტური მოძრაობა, როგორც ეს შეერთებულ შტატებშია. ამიტომ ჩვენი წარმატებები ნაკლებად შთამბეჭდავია, ხოლო ცალკეული ქალების მიღწევები პოლიტიკურ ასპარეზზე საერთო სურათს ვერ ცვლის.

ამგვარად, სქესებს შორის ურთიერთობის ევოლუცია დღეს ჩვენი პლანეტის ნებისმიერი ქვეყნის წინაშე დგას. ამ თვალსაზრისით არ აქვს მნიშვნელობა მისი განვითარების დონეს. შეერთებულ შტატებშიც და საქართველოშიც ეს პრობლემა ერთნაირად გვაღელვებს.

ქალი და არჩევნები

თანამედროვე თეორეტიკოსები, ზოგადად, ფემინიზმის განვითარებისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალების საარჩევნო პროცესში მონაწილეობას, ვინაიდან არჩევნები – ეს არის „პოლიტიკური მონაწილეობის სწავლების ფორმა და არჩევით თანამდებობაზე არჩევის ინსტრუმენტი".[170]

რა მონაწილეობას იღებს ქალი არჩევნებში, ანუ როგორ იყენებს ის ამ ერთ-ერთ ძირითად სამოქალაქო უფლებას შეერთებულ შტატებში? შესადარებლად, ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას გამოვიყენებ. თუმცა, ჩვენთან ამ საკითხის სრულყოფილი კვლევისათვის აუცილებელი სტატისტიკური მონაცემები მწირია და ხშირად საკუთარი დაკვირვების გამოყენება გვჭირდება. სტატიების კრებულმა „ქალი და არჩევნები"[171], რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა, მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკვლევრების ინტერესი.

[168] „ქალები. სიტუაციის პროფილირება საქართველოში. შემდგენელი და რედაქტორი ნინო ციხისთავი, თბილისი, 2002, გვ. 11.

[169] იქვე.

[170] M.F. Katzenstein, Feminism and the Meaning of the Vote, *Signs, Vol.10* (Chicago, 1984), p. 6.

[171] *ქალი და არჩევნები*, რედ. ციცინო ჯულუხაძე (თბილისი, 2004)

როგორც წინა ქვეთავში უკვე აღვნიშნე, ქალის აქტიურობა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება, ხოლო ასარჩევ კანდიდატებს შორის, ნებისმიერ დონეზე, ქალების რაოდენობა კაცებისას მკვეთრად ჩამორჩება და ამერიკის შეერთებული შტატები, მით უმეტეს, საქართველო, ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს. როგორც კი ქალები საარჩევნო პროცესში ჩაერთვნენ, ნათელი გახდა, რომ ისინი ერთგვაროვანნი არ არიან. უფრო მეტიც, მათ შორის სხვაობა უზარმაზარია.[172] ქალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალური, ეთნიკური, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამერიკაში კი რასობრივითაც. ეს განსხვავება უფრო საგრძნობია, ვიდრე მათი ერთიანობა. ისინი ერთიანნი არც საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლისას იყვნენ. ამ უფლების მოპოვება ყველა ქალს არ სურდა. გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, რომ ანტისუფრაჟისტულ მოძრაობაში კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ.[173] ალბათ, ამიტომაც, ქალების აქტიურობა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კონკრეტულად, არჩევნებში მონაწილეობისას, უფრო მეტად მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში გაიზარდა, ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის შედეგად. მას შემდეგ ქალი-ამომრჩევლების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ახალგაზრდა ქალები, ინტელიგენციის ყველაზე განათლებული ნაწილი და აფროამერიკელები აქტიურობენ.[174]

ქალების საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობასთან, შესაბამისად, არჩევნებში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით, შეერთებულ შტატებში დღეს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. იქ არსებობს განსხვავებული – ლიბერალური და კონსერვატიული შეხედულება. კონსერვატიული დამოკიდებულების გამომხატველია 1992 წელს ვაშინგტონში შექმნილი ე.წ. დამოუკიდებელ ქალთა ფორუმი, რომლის მიზანია აჩვენოს, რომ ყველა ამერიკელი ქალი ერთნაირად არ ფიქრობს და რომ ქალებს არა მარტო ე.წ. „ქალთა საკითხები" (ანუ საშინაო სოციალური და არა გლობალური პოლიტიკის, განიარაღების და სხვა მსგავსი პრობლემები) აღელვებთ, რომ ისინი არ არიან ერთიანი მონოლითური ჯგუფი, რო-

[172] Ulku U. Bates, Florence L. Denmark, Virginia Held..., *Women's Realities, Women's Choices, An Introduction to Women's Studies.* Third Edition. Hunter College Women's Studies Collective (New York, Oxford, 2005), p. 441.

[173] Suzanne Lebsock, Woman Suffrage and White Supremacy: A Virginia Case Study, *Women's America. Refocusing the Past,* Fourth Edition, Ed. Linda K.Kerber, Jane Sherron De Hart (New York, Oxford, 1995), pp. 320-334.

[174] იქვე.

მელსაც მხოლოდ „ლიბერალური" ინტერესები აქვს.[175] მაინც როგორია ამერიკელი ქალების არჩევნებში მონაწილეობის სურათი, ძირითადად, ვის აძლევენ ისინი ხმას? შესადარებლად. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებული სურათი გამოგვადგება.

საინტერესო დასკვნებს აკეთებს ფრანგი მეცნიერი მარიეტ სინო. მისი აზრით (და სტატისტიკაც ამას ადასტურებს), ომის შემდეგ პირველ ათწლეულებში ქალი-ამომრჩევლების უმრავლესობა ხმას აძლევდა კონსერვატიულ ძალებს (პარტიებს), განსაკუთრებით, კათოლიკურ ქვეყნებში.[176] აღსანიშნავია, რომ არც ჩრდილოეთ ამერიკა იყო გამონაკლისი: კანადასა და შეერთებულ შტატებშიც იგივე ხდებოდა – ქალების უმრავლესობა „კონსერვატორებს" აძლევდა ხმას. მაგრამ ამის მიზეზები ბოლომდე არ არის გარკვეული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი რელიგიური თუ სოციალური ცვლილებები პოლიტიკური ცვლილებების მიზეზიც გახდა. კათოლიკურ ქვეყნებში არსებული კონსერვატიზმის ფესვები რელიგიაშიც უნდა ვეძებოთ. მორწმუნეთა უმრავლესობა უმეტესად ხანში შესული ქალები იყვნენ. ამითაც შეიძლება აიხსნას მათი სიმპათიები მემარჯვენე პარტიებისადმი და მტრობა მარქსიზმისა და, ზოგადად, მემარცხენეებისადმი.

1970-იან წლებში ქალების არჩევანი, თანდათანობით, კაცებისას მიუახლოვდა. ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ევოლუცია შეიძლება დამთავრდეს მაშინ, როდესაც აღარ იქნება განსხვავება კაცებისა და ქალების პოლიტიკურ ქცევას შორის.

მაგრამ 1980-იან წლებში ქალებმა კაცებზე მეტად მარცხნივ გადაინაცვლეს. ასეთი მოვლენა დაიწყო შეერთებულ შტატებში 1980 წელს, როდესაც ქალებმა „ანტირეიგანული" ტენდენციები გამოავლინეს[177]. კათოლიკურ საფრანგეთშიც 1988 წელს ქალების 37%-მა ხმა მისცა სოციალისტ ფრანსუა მიტერანს მაშინ, როდესაც მას კაცების მხოლოდ 31%-მა დაუჭირა მხარი.[178] ფრანგი ამომრჩეველი ქალების პრიორიტეტები XXI საუკუნეში, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია. არც ის ვიცი, თუ რამდენმა ქალმა მისცა ხმა ქალ-კანდიდატებს – სებულენ რუაიალს 2007 წელს, ან მარი ლეპენს 2016 წელს, ვინაიდან ამ წლების საფრანგეთის არჩევნების

[175] «Консервативная точка зрения. Мнение Форума независимых женщин». См. Электронный журнал: «Измененне социально-политической роли женщины в США», მოძიებულია 2010 წლის 17 მარტს, მისამართზე: http//www.iwf.org

[176] Mariette Sineau, Law and Democracy, *A History of Women in the West. Toward a Cultural Identity in the Twentieth Century.* Ed. Francoise Thebaut (Cambridge, London, 1994), p. 515.

[177] 1980-იანი წლების ამერიკელ ქალებს ამ წიგნში ცალკე თავი ეძღვნება. იხ. გვ. 107-138.

[178] Mariette Sineau, op.cit., p.515.

გენდერული სტატისტიკა, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიე. თუმცა, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქალები ეროვნული ასამბლეის 27%-ს შეადგენენ (155 ქალი, 422 კაცი).[179]

ევროპის ქვეყნებში ქალების ხმების გამემარცხენების ერთ-ერთი მიზეზი მათი სოციალური მდგომარეობის შეცვლა იყო. 1970-იან წლებში ქალებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ცალკეული სფეროების დემოკრატიზაციაში. განსაკუთრებით წარმატებულები ისინი საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში აღმოჩდნენ, ასევე, გააქტიურდნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში.

იმავე 1980-იან წლებში შეერთებულ შტატებში დაირღვა ტრადიცია, როდესაც კაცები და ქალები ერთსა და იმავე პარტიებსა და კანდიდატებს აძლევდნენ ხმას. ამას ამერიკელმა პოლიტოლოგებმა „სქესებს შორის გარღვევა“ უწოდეს, რაზეც მკითხველის ყურადღებას შემდეგ თავში გავამახვილებ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალები აქტიურად ემხრობიან თავიანთ წარმომადგენლებს მთავრობაში. მაგალითად, სკანდინავიაში ჯერ კიდევ 1975 წლის საპარლამენტო არჩევნებში, გელაპის (Gallup poll) მონაცემებით, ქალების 40%-მა და კაცების მხოლოდ 7%-მა დაუჭირა მხარი ქალ-კანდიდატებს.[180]

საინტერესოა, ამ მხრივ რა სურათი გვაქვს საქართველოში? ვფიქრობ, ქართველი ქალები არ აძლევენ ხმას ქალ კანდიდატებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. სამწუხაროდ, ქართველი ამომრჩეველი ქალების პრიორიტეტები შესწავლილი არ არის. ბოლო წლებამდე მათი არჩევანი დამოკიდებული იყო კანდიდატისადმი პიროვნულ სიმპათიასა თუ ანტიპათიაზე. ამის მაგალითი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არაერთია.

ცნობილია, რომ ახალგაზრდა ქალები უფრო მეამბოხეები არიან, ამიტომ ისინი უმეტესად მემარცხენე პარტიების მხარდამჭერები არიან, ვიდრე ამავე თაობის მამაკაცები. სკანდინავიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ფემინისტები მხარს უჭერენ ცალკეული საკითხებისადმი უფრო რეალისტურ, პოლიტიკურ დამოკიდებულებას,[181] ანუ ისინი საკმაოდ აქტიურები

[179] Kim Willsher, French elections: record number of female MPs not enough, say feminists. The Gardian. 18 June, 2012. https://www.theguardian.com/world/2012/jun/18/french-elections-record-female-mps

[180] Tolird Skard and Elina Haavio-Mavmila, Women in Parliament, *Women in Nordic Politics* (New York, 1985) p. 58.

[181] Ibid, p. 518.

არიან არჩევნებისას. მხარდამჭერების მომრავლების წყალობით და საარჩევნო ყუთის „ხელში ჩაგდების" გზით, მათ გარკვეულ სასურველ შედეგებს მიაღწიეს. საბოლოო ჯამში, ასეთ სტრატეგიას ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდა მოჰყვა, განსაკუთრებით, სკანდინავიის ხუთ ქვეყანასა და ჰოლანდიაში, ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ეს ტენდენცია ალბათ გაგრძელდება, თუკი ქალებს საკმარისი პროფესიული გამოცდილება ეყოფათ. ყოველ შემთხვევაში, არც ამერიკული, არც ევროპული კანონმდებლობა მათ უფლებებს არ ზღუდავს.

სამაგიეროდ, სამხრეთ ევროპაში (იტალია და ესპანეთი გამონაკლისია[182]) საუკუნის ბოლო ათწლეულამდე კაცები პარლამენტში 92%-ს შეადგენდნენ.[183] საინტერესოა, რომ სუფრაჟისტების სამშობლოში – ინგლისში 1992 წლამდე პარლამენტში ქალები მხოლოდ 6% იყვნენ. მხოლოდ 1992 წლის არჩევნების შემდეგ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, ინგლისის პარლამენტში ქალების რაოდენობა 10%-მდე გაიზარდა[184] (დღეს 29%-ია, აქედან, ლეიბორისტი დეპუტატების 57%, ხოლო კონსერვატორების 32% ქალია.[185] ქალია პრემიერ-მინისტრიც!). არც ერთი ქალი არ იყო ლორდთა პალატაში (დღეს 24%-ია[186], თავმჯდომარეც ქალია). უმაღლეს სასამართლოში კი მხოლოდ ერთი ქალი იყო.[187] მაგალითად, მარგარეტ ტეთჩერის კაბინეტში არც ერთი ქალი არ იყო. 2009 წლისთვის ისინი მინისტრთა კაბინეტის 30%-ს შეადგენენ.[188] დღეს კი ვანესა მეის კაბინეტში რვა ქალია, ანუ კაბინეტის წევრთა 32%.[189]

2009 წელს აშშ-ის კონგრესში ქალების რეკორდული რაოდენობა იყო – 92, ანუ 17%.[190] დღეს ეს მონაცემები, შესაბამისად, არის 105 (19,4%),

---

[182] Maria Tereza Gallego Merdez, Spain, *Women and Politics Worldwide.* Ed. Barbara J. Nelson, NajmaChowdhury (New Haven, London, 1994), p. 662; Gill Allwood, Khursheed Wadia, *Women and Politics in France 1958-2000.* Routledge (New York, 2000), p. 7.

[183] Mariette Sineau, op.cit., p. 500.

[184] Joni Lowenduski, Women in Great Britain, *Women and Politics Worldwide.* Ed. Barbara J. Nelson, NajmaChowdhury (New Haven, London, 1994), p. 304.

[185] Women in Parliament and Government. House of Commons Library. Published February 27, 2017. http://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN01250

[186] Ibid.

[187] Joni Lowenduski, op. cit., p.304.

[188] Richard Cracknell, Richard Groat and John Marshall, Women in Parliament and Government, *Social&General Statistics Section. House of Commons*, Library (30 June 2009), p.8. http://www.parliament.uk/commons/lib/research/briefings/snsg-01250.pdf

[189] Women in Parliament and Government. House of Commons Library. Published February 27, 2017. http://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN01250

[190] *Women in Parliaments: World Classification.* Inter-Parliamentary Union. Retrieved 2007-04-06. http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm.

სენატში – კი 21 (21%).[191] მათგან უდიდესი უმრავლესობა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია. მართალია ეს მაჩვენებელი სკანდინავიის ქვეყნებისას მნიშვნელოვნად ჩამორჩება, მაგრამ მაინც მეტია, ვიდრე წინა მონვევის კონგრესში იყო (19.1%), რაც ზრდის ტენდენციაზე მეტყველებს.

შეერთებულ შტატებში არსებული ვითარების უკეთ შესაფასებლად მოვიშველიებ ცხრილს:

ცხრილი 1. ქალები პარლამენტში[192]

ქვეყანა	არჩევნების წელი	ქალების %	ხმის უფლება	სამოქალაქო უფლებები
ფინეთი	1991	38.5	1906	1919
ნორვეგია	1989	35.7	1913	1888
შვედეთი	1991	33.8	1921	1920
დანია	1990	33	1915	1925
ნიდერლანდები	1989	25.3	1919	1956
ისლანდია	1991	23.8	1915	1923
ავსტრია	1990	21.8	1918	1811
გერმანია (გფრ)	1990	20.5	1919	1896
ესპანეთი	1989	14.6	1931	1975
შვეიცარია	1987	14	1971	1912
ლუქსემბურგი	1989	13.3	1919	1972
კანადა	1988	13.2	1920	XIX-XX სს მიჯნა
აშშ	1992	10.8	1920	XIX-XX სს მიჯნა
დიდი ბრიტანეთი	1992	10.1	1928	1882
ბელგია	1991	9.4	1948	1958
იტალია	1992	8.1	1945	1919
ისლანდია	1989	7.8	1918	1957

როგორც ვხედავთ, 1990-იანი წლების დასაწყისისთვის, პარლამენტში წარმოდგენილი ქალების რაოდენობით შეერთებული შტატები საგრძნობლად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას. მართალია, 2001 წლისთვის შტატებში ეს მაჩვენებელი 13,6%-მდე გაიზარდა (აქედან სე-

[191] Women in the U.S. Congress 2017. See: . http://www.cawp.rutgers.edu/women-us-congress-2017

[192] იხ. ტ.დენისოვა, ე.მეძმარიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.193.

ნატში – 13%-ია, წარმომადგენელთა პალატაში – 13,8%). ამგვარად, XX საუკუნის ბოლო ათ წელიწადში ეს მონაცემები ორჯერ და მეტად გაიზარდა (1989 წელს შესაბამისად იყო 5% და 5,8%), თუმცა, ზრდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც გრძელდება. ამ მხრივ, ტრადიციულად, განსაკუთრებით კარგი მდგომარეობაა სკანდინავიის ქვეყნებში. როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ფინეთში ქალები 1991 წლის პარლამენტის წევრთა 38,5%-ს შეადგენდნენ, მაგრამ საარჩევნო უფლებაც მათ ყველაზე ადრე – 1906 წელს მიიღეს. მართალია, პარლამენტში ქალთა რაოდენობით შვეცია 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამორჩებოდა ფინეთსა და ნორვეგიას, მაგრამ XXI საუკუნისთვის იქ ეს მაჩვენებელი უკვე 43%-ს აღწევს, ამიტომ ითვლება, რომ სწორედ ეს ქვეყანა შეიძლება ჩავთვალოთ ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პრობლემის მოგვარების საუკეთესო ნომუშად. სწორედ აქ ისევე, როგორც ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, არსებობს იდეალური სოციალური პირობები (ბავშვის გაჩენისთანავე დედისა და მამის ანაზღაურებული შვებულება, განსაკუთრებული ზრუნვა ბავშვებზე, საბავშვო ბაღების სისტემა, კომფორტული საცხოვრებელი პირობები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რეალური თანასწორობა სქესებს შორის). სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ქალი პოლიტიკოსებისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების რაოდენობა აქ ბევრად მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში[193].

შესადარებლად, საინტერესოა რუსეთის მაგალითიც. იქ სამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავეთა 50%-ზე მეტს ქალები შეადგენენ, მაგრამ მხოლოდ 7%-ზე ცოტა მეტს შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება.

ტრადიციულად ითვლება, რომ ქალის საქმე ძირითადად სოციალური სფეროა, კაცის – პოლიტიკა. ამიტომ, ჩვეულებრივ, მთავრობებში კაცებს უკავიათ საგარეო საქმეთა, თავდაცვის, საშინაო საქმეების, იუსტიციის, ეკონომიკის, ვაჭრობის მინისტრების თანამდებობები, ქალებს კი – სხვადასხვა სოციალური, კულტურის მინისტრების. სკანდინავიის ქვეყნების გარდა, ასეთი დაყოფა ყველა ქვეყანაში არსებობს (როლების ე.წ. ჰორიზონტალური დაყოფა მთავრობების დონეზე). ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქალები პოლიტიკიდან განზე რჩებიან.

ნათელია, რომ პოლიტიკური ელიტის ფემინიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ რეალური თანასწორობის, ქალების მაღალი კვალიფიკაციის (იგულისხმება კარგი განათლება, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი უნარ-ჩვევები) შემთხვევაში.

[193] Пол Кеннеди, указ. соч.,с.401.

რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, აქ მაინც ძნელია სქესების რეალურ თანასწორობაზე საუბარი. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, ბევრ სფეროს დღემდე მხოლოდ კაცები აკონტროლებენ. პროფესიონალი ქალები კი მათი ხელფასების მხოლოდ 73%-ს იღებენ[194]. მაგრამ ცალკეულ სფეროებში მოხდა გარღვევა. მაგალითად, კლინტონის ადმინისტრაციაში სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრი იყო დ-რი შეილა ი. უიდნოლი, არაფერი რომ ვთქვათ მედელინ ოლბრაიტზე, რომელიც პირველი ქალი იყო სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე. მარტო ეს ორი მაგალითი, პლუს კონდოლიზა რაისიც და, მოგვიანებით, ჰილარი კლინტონიც, მეტყველებს იმაზე, რომ ქალებს შესაძლებლობა მიეცათ შეეღწიათ კაცების საქმიანობის ტრადიციულ სფეროებში, თანაც ასეთ მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მსგავსი მაგალითები მეტყველებს იმაზეც, რომ შეერთებულ შტატებში უკვე აღარ არსებობს ე.წ. შუშის ჭერი ანუ ქალებს აღარ აქვთ გადაკეტილი გზა გარკვეული „კაცური" თანამდებობებისკენ, რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, 1990-იანი წლების საქართველოზე. ჩვენთან ხომ წარმოუდგენელი იყო იმ დროს იმის გაფიქრებაც კი, რომ ქალი შეიძლება გახდეს თავდაცვის ან შინაგან საქმეთა მინისტრი. თუმცა, XXI საუკუნის დასაწყისში ეს ჭერი ნაწილობრივ დაიმსხვრა და ამ ორ თანამდებობაზე ქალები ვიხილეთ.[195]

შეერთებულ შტატებში კი ბოლო ათწლეულში მაღალი არჩევითი თანამდებობის მქონე ქალების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ეს ტენდენცია ალბათ გაგრძელდება, თუკი ქალებს საკმარისი პროფესიული გამოცდილება ეყოფათ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკული კანონმდებლობა არ ზღუდავს მათ უფლებებს.

2010 წლის დასაწყისისთვის საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში ამ მხრივ სავალალო მდგომარეობა იყო. პარლამენტში ქალების რაოდენობა მხოლოდ 5%-ს აღწევდა, მთავრობაში, მინისტრის თანამდებობაზე კი მხოლოდ ერთი ქალი იყო მაშინ, როდესაც წინა მოწვევის პარლამენტში ქალები 10%-ს შეადგენდნენ. 2017 წელს საქართველოს პარლამენტში ქალების რაოდენობა 16%-მდე (23 ქალი) გაიზარდა[196], რაც

[194] William H. Chafe, Women and American Society, p.266.

[195] მ.სააკაშვილის ხელისუფლებისას ეკატერინე ზღულაძე შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა და „ქართული ოცნების" დროს თინა ხიდაშელი – თავდაცვის მინისტრი.

[196] საქართველოს პარლამენტი. მოძიებულია 2017 წლის 25 ივნისს მისამართზე: http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi.

სერიოზული პროგრესია. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატებისა და, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქალების რაოდენობა ნაკლებია, ზრდის ტენდენცია ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ნათელია, რომ პოლიტიკური ელიტის ფემინიზაციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რეალური თანასწორობის, ქალების მაღალი კვალიფიკაციის (იგულისხმება კარგი განათლება, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი უნარ-ჩვევები) შემთხვევაში.

წარსულში ქალ-დეპუტატებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი, ძირითადად, მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები იყვნენ (კომუნისტები ან სოციალისტები), შემდეგ ქრისტიან-დემოკრატები. მაგალითად, 1946 წელს საფრანგეთში 40 ქალი დეპუტატიდან 29 კომუნისტი იყო მაშინ. როდესაც მხოლოდ ცხრა ქრისტიან-დემოკრატებს წარმოადგენდა. 1953 წელს ბუნდესტაგში ქალი-დეპუტატების 46% სოციალ-დემოკრატები იყვნენ და 42% - ქრისტიან-დემოკრატები. და ბოლოს, ნორვეგიაში 1950-იან წლებში თითქმის ყველა დეპუტატი ქალი სოციალისტი იყო. იტალიაში 1987 წელს პარლამენტში არჩეული ქალების 60% კომუნისტი იყო. იტალიის კომუნისტური პარტიის იმდროინდელი ლიდერი თავის პარტიას ქალების უფლებებისათვის მებრძოლად აცხადებდა. ბრიტანეთში 1992 წლის აპრილში პარლამენტში არჩეულ იქნა 37 ქალი ლეიბორისტული პარტიის სახელით, რაც ამ პარტიის დეპუტატების (271) 13,6%-ს შეადგენდა[197]. დღეს ბევრ ქვეყანაში მემარცხენეებმა უკვე დაკარგეს მონოპოლია ქალ დეპუტატებზე.

ბოლო ხანებში შექმნილი პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, თავის ხელმძღვანელებს შორის ქალებსაც რთავენ. აღსანიშნავია მწვანეები გერმანიაში, რომელსაც „ყველაზე ფემინიზებულ პარტიას“ უწოდებენ. 1987 წელს ბუნდესტაგში არჩეული 42 „მწვანე“ დეპუტატიდან 25 ქალი იყო მაშინ, როდესაც 1970 წელს დეკემბერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამავე პარტიიდან გასული რვა დეპუტატიდან მხოლოდ სამი ქალი იყო[198]. საფრანგეთის მწვანეებმაც ევროპარლამენტში ცხრა დეპუტატიდან ოთხი ქალი გაიყვანეს და ხმების 11% დააგროვეს, რაც უპრეცენდენტო წარმატება იყო.

მსოფლიოში ერთადერთი წარმატებული ფემინისტური პარტია არის ისლანდიის ქალთა პარტია, რომელმაც 1987 წლის არჩევნებში ხმების 10%

[197] “A History of Women in the West...”, p.520-521.
[198] Ibid., p.521.

მიიღო და პარლამენტში 6 დეპუტატი გაიყვანა. ეს დეპუტატები იქ წამყვან როლს თამაშობდნენ.

საქართველოში ქალთა საარჩევნო ბლოკის შექმნის პირველი ცდა 1995 წლის არჩევნებში იყო. ქალებმა თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს, მაგრამ ვერც ერთი გაიყვანეს. როგორც წესი, დამოუკიდებლად გასული ქალთა (ფემინისტური) პარტიები ყველგან მარცხდებიან. ამის ნათელ მაგალითად საქართველოში 2008 წლის არჩევნებში მონაწილე ქალთა პარტიაც გამოდგება.

ქალები მეტ წარმატებას აღწევენ რეგიონალურ პარტიულ ორგანიზაციებში – კაცები ცენტრში, ქალები – პერიფერიებზე. მაგალითად, საფრანგეთში ქალები მუნიციპალურ საბჭოებში 17%-ს შეადგენდნენ, რეგიონალურ საბჭოებში – 12,6%-ს, ხოლო პარლამენტში (სენატსა და ეროვნულ ასამბლეაში) – 5,4%-ს. თუმცა მუნიციპალურ საფეხურზეც მხოლოდ 6% ქალი-მერები იყვნენ. მათი უმრავლესობა პატარა სასოფლო კომუნებს უდგას სათავეში. 1989 წელს სტრასბურგის მერი გახდა სოციალისტი კატერინ ტრაუტმენი – პირველი ქალი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქალაქს, სადაც 100 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა.

როდესაც 1987 წელს საერთო ბაზრის ქვეყნებში ჩატარდა გამოკითხვა „უკეთესი თუ უარესი იქნება, თუ მეტი ქალი იქნება პარლამენტში?“ მხოლოდ 28%-მა უპასუხა „უკეთესი“, 49%-მა – „არაფერი შეიცვლება“, 11%-მა – „უარესი და 12%-მა „არ იცის“[199]. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ევროპული საზოგადოება იმ დროს მზად არ იყო პარლამენტში ქალი დეპუტატების მომრავლებით. თანამედროვე სტატისტიკა კი უკვე მეტყველებს საპირისპიროზე, რაც ბევრი ევროპული ქვეყნის პარლამენტში ქალი-დეპუტატების რაოდენობის ზრდით დასტურდება. იზრდება იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებსაც მიაჩნიათ ისე, როგორც, მაგალითად, ამერიკელ კონგრესმენ ბელა აბზუგს (Abzug), რომ მსოფლიო უკეთესი იქნება, თუ მეტი ქალი მოვა ხელისუფლების სათავეში.

საქართველოში ცალკეულმა ქალმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მაგრამ ასეთი ქალები გამონაკლისია და არა საერთო წესი. ქალებმა ვერ გამონახეს გაერთიანების საფუძველი. როგორც ზევით აღინიშნა, ისევე, როგორც ამერიკაში და სხვა ქვეყნებში, მათ თითო-ოროლა მცდელობის მიუხედავად, ვერ შექმნეს სიცოცხლისუნარიანი დამოუკიდებელი ქალთა პარტია, რომელიც მათ არჩევნებში ზურგს გაუმაგრებდა.

[199] Ibid., p.525.

თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, ასევე საქართველოში, კანონმდებლობა სქესების თანასწორუფლებიანობას იცავს. მაგრამ საქართველოში ამ თანასწორობის დაცვის გარანტიები ყოველთვის არ მუშაობს, რაც ბოლო ხანებში ქალთა პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზეზი გახდა. ჩვენთან გენდერული პოლიტიკის პროგრამები დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა, ასევე არ იყო, ან თუ დღეს არის, არასრულია ჩვენთვის საინტერესო სტატისტიკური მონაცემები. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. მდგომარეობის გამოსწორება ისევ თვით ქალების გააქტიურებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ზრდას შეუძლია. ამ თვალსაზრისით, ამერიკელი ქალების სახით, კარგი მაგალითი გვაქვს.

ბოლო ათწლეულებში ქალების გააქტიურება პოლიტიკურ ცხოვრებაში და, კონკრეტულად, საარჩევნო პროცესში შეიძლება რამდენიმე მიზეზით ავხსნა:

- ქალთა მოძრაობის აღმავლობა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.
- ამ მიმართულებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გააქტიურება.
- ქალების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური როლის შეცვლა, მათი გააქტიურება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- ცალკეული წარმატებული ქალი-პოლიტიკოსების გამოჩენა ასპარეზზე, მათი პოპულარობის ზრდა და ა.შ.

ის მიზეზები, რომლებიც ქალების გააქტიურების წინაპირობაა, საქართველოში თითქოს ყოველთვის არსებობდა, განსაკუთრებით მათი განათლების დონე კაცებისას დიდად არ ჩამორჩებოდა, ასევე ბოლო ათწლეულში ქალების შემოსავლის წილი ოჯახის ბიუჯეტში გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო მათ გააქტიურებას. შესაბამისად, ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ქალების მონაწილეობა უფრო აქტიური იყო, ვიდრე კაცების (სტატისტიკა?). ეს ტენდენცია კარგად ჩანს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში.

ამგვარად, აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში არსებული გამოცდილების შესწავლა გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

- კანდიდატის სქესსა და ამომრჩეველთა საქციელს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს. ქალი-ამომრჩევლები მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერენ მხარს ქალ-კანდიდატს, თუკი ის მათთვის ახლობელ პოზიციას (ლიბერალურს ან კონსერვატულს) იზიარებს. ქალების უმრავლესობა ხმას აძლევს იმ ქალ-კანდიდატს, რომელსაც არ ჰყავს უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწინააღმდეგე.[200]
- ქალებსა და კაცებს შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება ქალი-კანდიდატისათვის ხმის მიცემისას.
- ქალ-კანდიდატს ხშირად ის ქალი-ამომრჩევლები აძლევენ ხმას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ე.წ. „ქალური საკითხები".
- სქესსა და ხმის მიცემას შორის კავშირის გარკვევისას გადამწყვეტი ფაქტორია კანდიდატის პოლიტიკური პლატფორმა (იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური კულტურა არსებობს).
- კანდიდატის სქესს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გადამწყვეტი გავლენა არჩევნების შედეგებზე, როდესაც ამომრჩევლისათვის პარტიული კუთვნილება არსებითი არ არის. უპირველესად, ეს ეხება „დამოუკიდებელი" კანდიდატების არჩევნებს, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ არც ისე მცირეა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ქალები ხმას აძლევენ ქალს, კაცები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდიან წინააღმდეგ, როდესაც არ არსებობს სხვა განმსაზღვრელი ფაქტორები, პირველ რიგში კი, ნათელი წინასაარჩევნო პლატფორმა.[201] „ძლიერ" კანდიდატ-ქალებს, ანუ იმათ, ვისაც არგუმენტირებული პოლიტიკური პლატფორმა აქვს, შეუძლიათ მიიმხრონ როგორც კაცები, ასევე ქალები. ის კანდიდატები კი, რომლებსაც ასეთი პლატფორმა არ აქვთ, სქესის მიუხედავად, ორივეს ხმას კარგავენ. მაგრამ ამის მტკიცება მხოლოდ მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ევროპის ქვეყნებთან და შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით შეგვიძლია.

[200] J.Zipp, E.Plutzer. Gender Differences in Voting for Female Candidates: Evidence from the 1984 Election. *Public Opinion Quarterly.* Vol.49. N2 (New York, 1985), p.182

[201] Ibid., pp.181, 182.

ქალების პოლიტიკური აქტიურობის საკითხები შეერთებულ შტატებსა და საქართველოში: შედარებითი ანალიზი

ბოლო ათწლეულებში შტატებში განსაკუთრებით გაძლიერდა წამყვანი პოლიტიკური პარტიების ბრძოლა ქალების ხმებისთვის. ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა დ.ბელმა აღნიშნა, რომ „ქალები – ეს არის საშუალო კლასის ერთგვარი ჯგუფი, რომლის მნიშვნელობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იზრდება, მისი სტატუსის შეცვლისა და იმ ახალი შესაძლებლობების წყალობით, რომლებიც მათ წინაშე იშლება".[202]

ბევრი ამერიკელი მეცნიერი ეთანხმება დ.ბელს, რომ ამ სოციალურ ჯგუფს დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, რაც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული. ეს დასკვნა არა მარტო ამერიკელებისთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც არის გასათვალისწინებელი.

ამავე დროს, შეუძლებელია დემოკრატიულ საზოგადოებაზე საუბარი, თუ ადამიანი არ არის ეკონომიკურად თავისაფალი, არ შეუძლია აირჩიოს ცხოვრების გზა, პროფესიული კარიერა, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის, შეერთებულ შტატებში ხდება.

სწორედ პროფესიული საქმიანობა, შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების ბაზაზე, ადამიანს (ქალს) ეკონომიკურ დამოუკიდებლობას აძლევს, რაც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისთვის ასე აუცილებელია.

ასეთ პირობებში საინტერესოა შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა: რა მიზეზები იწვევს ქალების აქტიურობას თუ, პირიქით, პასიურობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში? ამისათვის შტატებსა და საქართველოს მაგალითს გამოვიყენებ.

თუ არსებულ სტატისტიკას მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე, საქართველოში ქალები მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ (აშშ-ში დაახლ. 51%, საქართველოში კი 54%) და ასე იყო ყოველთვის, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე შეერთებულ შტატებში მათ ხშირად უმცირესობად განიხილავდნენ. აშშ-შიც ისევე, როგორც საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ ქალს გადაკეტილი აქვს გზა კარიერისა და, მითუმეტეს, ძალაუფლებისაკენ და განიხილავდნენ მას როგორც დამოკიდებულ, სუსტ და თავისი ბუ-

[202] Age and Sex Composition: 2010. 2010 Census Briefs. Table 1. Population by Sex and Selected Age Groups: 2000 and 2010. Census Bureau. https://www.census.gov/prod/cen2010/briefs/c2010br-03.pdf.

ნებით „მორჩილ" ფენას.[203] თუმცა, ბოლო ხანებში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა და დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ თუ ქალს აქვს შესაბამისი განათლება და გამოცდილება, მას შეუძლია ბევრი ძველი სტერეოტიპის დამსხვრევა და პოლიტიკური კარიერის გაკეთება. ამგვარად, აშშ-სა და საქართველოში ქალის ადგილს საზოგადოებაში, ფაქტობრივად, ერთნაირად განსაზღვრავდნენ, ანუ ისე, როგორც ეს მიღებულია ნებისმიერ პატრიარქალურ საზოგადოებაში.

აშშ-ში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორების ძალით და პირველად ეს უფლება 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენეს. ქართველმა ქალებმა ფორმალურად საარჩევნო უფლება 1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციით მოიპოვეს, ამგვარად, თითქმის ერთსა და იმავე წელს. მაგრამ ქართველმა ქალებმა თავიანთი უფლება ვერ გამოიყენეს, ვინაიდან საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციით (1924) ქართველმა ქალებმა დაიბრუნეს ეს უფლება, რომელიც ისევე, როგორც ნებისმიერი საბჭოთა მოქალაქისთვის, ფორმალური იყო.

როგორც წინა ქვეთავებში აღვნიშნე, ქალების პოლიტიკური აქტიურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება საარჩევნო პროცესში მონაწილეობაა. ფემინისტები არჩევნებს თვლიან, უპირველესად, „სოციალური კონტროლის ინსტრუმენტად", მეორე, „ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საშუალებად" და, მესამეც, „ქალების პოლიტიკური მობილიზების საშუალებად, ვინაიდან არჩევნები – ეს არის პოლიტიკური მონაწილეობის სწავლების ფორმა და არჩევით თანამდებობაზე არჩევის ინსტრუმენტი".[204] ვფიქრობ, ქართველი ქალებისთვის საარჩევნო პროცესში მონაწილეობას იგივე მნიშვნელობა აქვს.

1966 წელს დაარსებულმა *ეროვნულმა ორგანიზაციამ ქალებისთვის (NOW)* მხოლოდ თანასწორუფლებიანობის შესახებ შესწორების რატიფიკაციის შემდეგ გადასინჯა პოლიტიკური სტრატეგია არჩევნებთან დაკავშირებით და გადაწყვიტა ლოზუნგის „არჩევნების პირველადი მექანიზმების გამოყენებიდან რეალური პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ" ცხოვრებაში გატარება. ორგანიზაციის ეს ახალი ტაქტიკა ფემინიზმის იდეოლოგების არჩევნებისადმი ახალი მიდგომის გამოხატულება გახდა. ამ ორგანიზა-

[203] e.meZmariaSvili, amerikeli qali da arCevnebi. krebulSi `amerikis Seswavlis sakiTxebi~, Tbilisis universitetis gamomcemloba, Tb., 2003, #2, gv.266-267.

[204] იხ. M.F. Katzenstein. Feminism and the Meaning of the Vote. *Signs*, Chicago, 1984, Vol.10, p.5-6.

ციის ისევე, როგორც ბევრი სხვა ფემინისტური ორგანიზაციის, პოლიტიკური აქტივისტები მანამდე ძირითად ყურადღებას აქცევდნენ პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმებს: კონგრესში ლობისტურ მოღვაწეობას, სასამართლო პროცესების წარმოებას, ხელმოწერების შეგროვებას პრესისადმი მიმართვებზე და საპროტესტო მიტინგებში მონაწილეობას. ფემინისტურად განწყობილი კანდიდატის არჩევა პრიორიტეტული არ იყო.[205] მაგრამ უკვე 1980-იან წლებში ვითარება შეიცვალა. ჯერ კიდევ 1960-იანი წლების ბოლოს სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად დაწყებულმა ქალთა მოძრაობამ გააღრმავა ეს ცვლილებები და ბიძგი მისცა სხვა, უფრო არსებით გარდაქმნებს. 1980-იან წლებში კი ქალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ, რაც აიხსნება არაერთი მიზეზით, რომლებსაც შემდეგ თავში განვიხილავ.

მაგრამ, იმისათვის, რომ ქალი აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესში როგორც კანდიდატი, მას პრობლემები ექმნება. კერძოდ, ყველაზე ხშირად ქალი-კანდიდატები წინასაარჩევნო ბრძოლის ეტაპზე ფინანსური და პარტიული მხარდაჭერის ნაკლებობას განიცდიან.[206]

მიუხედავად ამისა, შეერთებულ შტატებში დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც ხშირად არჩევით თანამდებობებზე ქალებს ასახელებენ. 1990-იან წლებში დემოკრატების მმართველობისას, ისინი ამას აკეთებდნენ ქალების ლოიალურობის შენარჩუნების მიზნით, რესპუბლიკელები კი ამ დროს „სქესებს შორის გარღვევის" შემცირებასა და ქალების ხმების მოზიდვაზე ფიქრობდნენ. თუმცა, ქალების კანდიდატებად მხოლოდ წამოყენება არაფრის მომცემია, თუ მან სერიოზული პოლიტიკური პროგრამა არ წარმოადგინა. ამიტომ, ქალების კანდიდატურების წარდგენისას, წამყვანმა პარტიებმა უნდა იხელმძღვანელონ იმავე კრიტერიუმებით, რომლებსაც კაცების შემთხვევაში იყენებენ.

სამწუხაროდ, XX საუკუნის ბოლოსთვის აღნიშნულ პრობლემას საქართველოში ყურადღება არ ექცეოდა. ვფიქრობ, დღესაც ჩვენმა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა ყურად უნდა იღონ ამერიკის და დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითი ამ მიმართულებით, რათა წარმატების მეტი შანსი ჰქონდეთ.

---

[205] Z.Eisenstein. Antifeminism in the Politics and Election of 1980. *Feminist Studies*, N-Y., 1982, Vol.7, N2, p.189.

[206] ტ.დენისოვა, ე.მეძმარიაშვილი, ქალის როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, *ამერიკის შესწავლის საკითხები* (Tbilisi, 2002), gv.194-195; R.Darcy, Ch.Hadley, Black Women in Politics: The Pussle of Success, *Social Science Quartarly* (Austin, 1988), Vol.69, N3, p.630.

ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ქალისადმი პოლიტიკაში უარყოფითი არ არის. ამის ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ ქალი მშვიდობისმყვარეა, უფრო კომპრომისული და დიპლომატი. აღიარებენ იმასაც, რომ ქალი და კაცი თანასწორუფლებიანია იურიდიულადაც და პრაქტიკულადაც. მაგრამ, სამწუხაროდ სტატისტიკა საწინააღმდეგოს მეტყველებს და აშკარა ხდება, რომ სქესების თანასწორუფლებიანობის პრინციპი განუხორციელებელია, ვინაიდან საზოგადოების შეგნებაში ჯერ არ არის ბოლომდე გამჯდარი. წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ თვით ქალები არ შეიგნებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას და არ იბრძოლებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა სტრუქტურაში წინსვლისთვის, რაც შეერთებულ შტატებსა და ევროპის მოწინავე ქვეყნებში ხდება.

ბევრი სვამს კითხვას, სჭირდება კი ქალს ძალაუფლება? რად უნდა იგი? თავმოყვარეობის, ძალაუფლების სურვილის დაკმაყოფილება მეორეხარისხოვანია. მთავარია სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი საკითხების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება, ადამიანის, ოჯახის, მოხუცების, დედებისა და ბავშვების უფლებების დაცვა. მაგრამ ქალების გავლენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა ხელისუფლების უმაღლეს სტრუქტურებში 30%-ს გადააჭარბებს, რაც არის, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც სოციალური სამართლიანობა ნამდვილად მიღწეულია.

ამავე დროს, ევროპის ქვეყნებმა მოახდინა, ფაქტობრივად, ქალთა საკითხებთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება (მაგალითად, 1980 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის კონვენციის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ, კონვენციების განათლების სფეროში, სამსახურში მიღებისას და პროფესიის არჩევისას დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ა.შ.).

დღეს შეგვიძლია ობიექტურად შევაფასოთ ის პროცესები, რომლებიც ცვლის ქალის მდგომარეობას, გავიაზროთ მისი როლი და ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. ამაში ჩვენ ამერიკელი ქალების მაგალითის გათვალისწინება დაგვეხმარება. გარდა ამისა, ძველი ჩვევებისა და სტერეოტიპების დამსხვრევა, ახალი, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება ხელს შეუწყობს ქალების პრობლემების, თანამედროვე საზოგადოებაში მათი ადგილის ახლებურად შეფასებაში. ამისთვის კი რამდენიმე მომენტი უნდა გავითვალისწინოთ:

1. საქართველო ახალ ისტორიულ პირობებში ცხოვრობს, რადიკალურად შეიცვალა მთელი საზოგადოებრივი წყობა, ქვეყანა გადავიდა საბაზრო ურთიერთობებზე, ახალ სოციალურ წყობაზე, საკუთრების მრავალფეროვან ფორმებზე, უარი თქვა სახელმწიფო პატერნალიზმის პოლიტიკაზე ქალებისა და კაცებისადმი, ოჯახისადმი, ბავშვებისადმი.

2. ქალების მიმართ პოლიტიკა დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორი ათწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა:

- არასტაბილური პოლიტიკური გარემოს, მწვავე ეკონომიკური კრიზისის, ეთნიკური კონფლიქტების პირობებში.
- წარმოების სისტემატური შეკვეცის, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის, ქალების სოციალური სტატუსისა და სხვა სოციალური პოზიციების ცვლილების პირობებში.

რეფორმები უშუალოდ ქალების მდგომარეობას ეხება, ყალიბდება ქალების შეხედულებები საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე, მათდამი დამოკიდებულებაზე, იცვლება ქალების ქცევა და იზრდება მათი თვითშეგნება.

მიუხედავად ამისა, ქალების ინტერესები, მათი მიდგომა გასატარებელი რეფორმების ამა თუ იმ მიზნისა თუ ამოცანის განსაზღვრისადმი, პრაქტიკულად, გათვალისწინებული არ არის იმათ მიერ, ვინც რეფორმების სტრატეგიას ამუშავებს. ღრმავდება მოსახლეობის დიფერენციაცია შემოსავლისა და მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. მოსახლეობის ყველაზე უზრუნველყოფილი ნაწილის შემოსავალი ბევრად სჭარბობს ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილებისას.

1990-იან წლებში იზრდებოდა ღატაკთა რაოდენობა, რომლებსაც საარსებო მინიმუმიც კი არ გააჩნდათ. ფასიანი გახდა სოციალური მომსახურება, ძვირდებოდა ტრანსპორტი და საცხოვრებელი (დენი, წყალი და სხვ.).

ბოლო წლებამდე სოციალური ვითარების სიმწვავეზე მეტყველებდა დემოგრაფიული კრიზისიც. იზრდებოდა სიკვდილიანობა, ეცემოდა შობადობა, მაღალი იყო ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა, ოჯახში, ძირითადად, ერთი ბავშვი იყო. მცირდებოდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ.

მიუხადავად ამისა, საქართველოში ქალების პოლიტიკური აქტიურობა კაცებისას არ ჩამორჩებოდა. ის მიზეზები, რომლებიც ქალების გააქტიურების წინაპირობაა, საქართველოში ყოველთვის არსებობდა, ანუ მათი განათლების დონე კაცებისას დიდად არ ჩამორჩებოდა, ასევე

ბოლო ათწლეულებში ქალების შემოსავლის წილი ოჯახის ბიუჯეტში საგრძნობლად გაიზარდა, რამაც მათი პოლიტიკური აქტიურობის ზრდას შეუწყო ხელი. შესაბამისად, ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ქალების მონაწილეობა უფრო აქტიური იყო, ვიდრე კაცების. 2016 წლისთვის ისინი ამომრჩეველთა თითქმის 54%-ს შეადგენდნენ.[207] მიუხედავად ამისა, ამ წელს ქალების რაოდენობა პროპორციული სისტემით წარდგენილ კანდიდატებს შორის 37% იყო, მაჟორიტარებს შორის – 17,5%.[208] საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილ კანდიდატებს შორის კი ქალები მხოლოდ 15% შეადგენს.[209] ეს მონაცემები კარგად მეტყველებს გენდერული თანასწორობის რეალურ ვითარებაზე.

ამის პარალელურად, ქალთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდის ტენდენცია კარგად ჩანს აშშ-ში XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებით, კლინტონის დემოკრატიული ადმინისტრაციის დროს, რაზეც შემდეგ თავში გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას.

სწორად, კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხში შეიძლება სანიმუშოდ ჩავთვალოთ ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა.

ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევდა ჯორჯ ბუშის (უმცროსი) რესპუბლიკური ადმინისტრაციაც, რომელშიც არაერთი ქალი იყო წარმოდგენილი, თუმცა, როგორც თვით ამერიკელები თვლიდნენ, არასაკმარისად.

ამერიკელი ქალების მიღწევები ამ მიმართულებით და ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მოხდა შეერთებულ შტატებში ქალებისა და კაცების რეალური თანასწორუფლებიანობის სფეროში და რომელიც, მიუხედავად ამისა, არც ისეთი შთამბეჭდავია, როგორც, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ქალთა უფლებებისათვის ხანგრძლივი და თანმიმდევარი ბრძოლის შედეგია.

მაინც, რა ფაქტორები განაპირობებს ქალთა საკითხში პოზიტიურ ცვლილებებს? ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს:

- ქალების მასობრივი ჩართვა საზოგადოებრივი წარმოების პროცესში (ეს პროცესი აშშ-შიც და საქართველოშიც შეინიშნება).

---

[207] ნონა მჭედლიშვილი. გენდერული სტატისტიკა 2016 წლის არჩევნებზე. ოქტომბერი 08, 2016. რადიო თავისუფლება. მოძიებულია 2017 წლის 20 მაისს, მისამართზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-statistika/28039722.html

[208] იქვე.

[209] იქვე.

- ქალთა ძლიერი მოძრაობა „ქვემოდან", რამაც უნდა იმოქმედოს პატრიარქალური სტერეოტიპების შეცვლაზე ქალის ადგილსა და როლზე საზოგადოებაში (აშშ-სგან განსხვავებით საქართველოში ასე არ არის).
- დემოკრატიული ტრადიცია, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს საარჩევნო პროცესის გზით დაიკავონ ის მაღალი თანამდებობები, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა (შეერთებულ შტატებში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა).
- ქალთა საერთაშორისო მოძრაობის განვითარება, რომელიც ბიძგს აძლევს და მხარს უჭერს ქალთა ეროვნულ მოძრაობას (რომელიც საქართველოში არ ჩანს).

როგორც ვხედავთ, ამერიკისგან განსხვავებით, საქართველოში ეს ფაქტორები ან არ არსებობს, ან თუ არის, ჯერ ძალიან სუსტია.

დღეს ბევრი ხვდება, რომ საჭირო არის საქართველოს პოლიტიკური ელიტის განახლება ქალების ხარჯზე. ამისთვის კი აუცილებელია ქალი-ლიდერების სპეციალური მომზადება, პირველ ეტაპზე, ხელისუფლების უმაღლეს სტრუქტურებში 30%-იანი კვოტის დაწესება და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების გატარება.

ქალების ფაქტობრივი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური და სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში, მათი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში დიდად არის დამოკიდებული თვით საზოგადოების მზადყოფნაზე გაითავისოს ქალის სოციალური როლი. ეს რთული ამოცანაა. საქმე ის არის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ტრადიციულად ფიქრობს, რომ ქალი ნაკლებად კომპეტენტურია პოლიტიკაში, არ შეუძლია ქვეყნის ბედის გადაწყვეტა, ცუდათ არის ამისთვის მომზადებული.

სწორედ აქ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი ქალთა მოძრაობამ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რათა გზა გაუკვალონ ქალებს პოლიტიკაში.

დღეს საქართველოში არაერთი ქალთა ორგანიზაცია არის. სამწუხაროდ, მათ აკლია ერთიანობა, დაქსაქსულები არიან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ქალებს ამაში არ ეხმარება. თვით სახელმწიფო დღემდე ბოლომდე არ იყენებს ქალების ინტელექტუალურ და ზნეობრივ პოტენციალს. დემოკრატიული განვითრება კი მოითხოვს საზოგადოებრივ კონსენსუსს, პარტნიორობას საზოგადოების ყველა წევრის – ქალის და

კაცის – ინტერესების გათვალისწინებით, ანუ დემოკრატიას ყველასთვის. ეს, ზოგადად, საყოველთაო და, კონკრეტულად, სახელმწიფოს პრობლემაა. ამავე დროს, ყველა ქვეყანაში მას თავისებურებები აქვს. ამგვარი თავისებურებები საქართველოშიც ჩანს.

ქალები ცდილობენ პასუხი გასცენ მრავალ კითხვას, რომლებიც ცხოვრებამ დასვა და რომელზე პასუხიც არც ისე მარტივია. მაგალითად, რა უშლის ხელს ქალის ჩართვას პოლიტიკაში? ამაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. მიზეზი მრავალია. მთავარი მაინც მასობრივი პატრიარქალური შეგნებაა, რომლის თანახმად, პოლიტიკა ქალის საქმე არ არის. დისკრიმინაცია სქესის ნიადაგზე ეროვნული ტრადიცია გახდა. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ქალზე მზრუნველის როლი სახელმწიფომ იკისრა, რომელიც, თავის მხრივ, ხშირად იყენებდა ქალს მიმდინარე ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური პრობლემების გადაჭრის იარაღად.

პოლიტიკაში ქალის „მეორეხარისხოვნობის" სტერეოტიპის დამსხვრევა შესაძლებელი იქნება ქვეყნის დემოკრატიული გადახალისებისა და სოციალური სამართლიანობის მიღწევის შემთხვევაში, რომლის კარგ მაგალითს სკანდინავიის ქვეყნები იძლევა, თუმცა, შეერთებული შტატების მაგალითიც გამოდგება.

თავი 4

რესპუბლიკური და დემოკრატიული ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებში: ყველაზე ანტიქალური და ყველაზე ქალური ადმინისტრაციები

რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში

ამერიკული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ქალების პოლიტიკური აქტიურობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები: არჩევნები, პარტიული, პროფკავშირული, ლობისტური მოღვაწეობა, დემონსტრაციები, პეტიციები. ყველა ეს ფორმა განსხვავდება თავისი მიმართულებით, მეთოდებით, არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურასთან დამოკიდებულების ხასიათით, მაგრამ ამავე დროს გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი, რის გამოც პოლიტოლოგების, ისტორიკოსების თუ სოციოლოგების ყურადღების ცენტრში ექცევა.

1980-იანი წლების დასაწყისი ითვლება ერთგვარ მიჯნად ამერიკელი ქალების მოძრაობის ისტორიაში. ამ დროისათვის დასრულდა მათი იურიდიული თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის გარკვეული ეტაპი, შეიცვალა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდა ქალების წილი დასაქმებულთა შორის: 1980-იანი წლების დასაწყისში ის 44%-ს შეადგენდა.[210] უფრო მეტიც, 1980 წლიდან ყველა ახალი სამუშაო ადგილის 80% ქალებმა დაიკავეს, რაც დღემდე ჯეროვნად არ შეფასებულა.

შრომის ბაზარზე ქალების გააქტიურების მიზეზი შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ინფლაციის პირობებში აუცილებელი გახდა ოჯახის ორი წევრის მუშაობა. 1980-იანი წლების შუახანებში ქვეყანაში უკვე 63,3 მლნ მომუშავე კაცი და 48,8 მლნ – ქალი იყო, მათგან 6 მილიონს კაცებზე

[210] P.A.Avery, J.Thronton. It's Back to Activism for Feminists//*US News and World Report*, N.Y., 1985, Vol.99, N6, Aug.5, p.64.

მაღალი შემოსავალი ჰქონდა.[211] ამან გარკვეულად შეცვალა ქალების ეკონომიკური სტატუსი – ეკონომიკურად დამოკიდებული პარტნიორიდან ის თანასწორუფლებიანად იქცა არა მარტო ოჯახსა და საზოგადოებრივი წარმოების პროცესში, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

მანამდე ამერიკელი მეცნიერების ანალიზის შედეგები მეტყველებდა იმაზე, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, ნაკლებად აინტერესებდათ პოლიტიკა, პოლიტიკურად უარესად იყვნენ ინფორმირებულები და, საერთოდ, პოლიტიკურ მოღვაწეობას არაეფექტურად მიიჩნევდნენ. კაცებისაგან განსხვავებით მათთვის არ არსებობდა რაიმე კავშირი „პოლიტიკური მოღვაწეობისადმი მიდრეკილებასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის".[212] გამოკითხვების თანახმად, პრაქტიკულად, ყველა ქალი ტრადიციულად შედიოდა იმათ რიგებში, ვინც ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ „პოლიტიკა და მთავრობის საქმიანობა – „უბრალო ადამიანისათვის" ძალიან რთული გასაგებია".[213]

ამდენად, სქესებს შორის თანასწორუფლებიანობის საკითხში ამერიკელებისთვის მაინც დამახასიათებელია კონსერვატიზმი. ჯერ კიდევ ალექსის დე ტოკვილი თავის ცნობილ ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში" ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ქალის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობიდან გარიყვის შემთხვევაშია შესაძლებელი „დემოკრატიული პროგრესის სწორი გაგება".[214] ტოკვილს დღესაც ჰყავს მრავალი მიმდევარი. კონსერვატიზმმა აღნიშნულ საკითხში დისკრიმინაციის კონკრეტული ფორმა მიიღო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ შეერთებულ შტატებში არასდროს ყოფილა ქალი-პრეზიდენტი ან ქალი ვიცე-პრეზიდენტი. ასევე, როგორც წინა თავებში აღვნიშნე, ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, ისინი უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილნი ხელისუფლების ცენტრალურ თუ შტატების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში.[215]

---

[211] Th.H. White. New Powers, New Politics//*New York Times Magazine,* 1984, Febr.5, p.25.

[212] Ibid., p.27.

[213] P.Gurin. Women's Gender Consciousness//*Public Opinion Quart*., N.Y., 1985, Vol.49, N2, p.148.

[214] D.Winthrop. Tocqueville's American Women and "The True Conception of Democratic Progress"//Political Theory. Beverly Hills, 1986, Vol.14, N2, p.255.

[215] იხ. ე.მეძმარიაშვილი. ამერიკელი ქალი და არჩევნები. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". თბ.,თსუ გამომცემლობა, 2003, გვ.269 და ე. მეძმარიაშვილი. ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის. კრებული მიძღვნილი ა.ჩხეიძის 80 წლისთავისადმი, თბ., 2002, გვ.180-188.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე ფემონიზმის თეორეტიკოსები ცდილობენ საუკუნოვანი სტერეოტიპების შეცვლას, რასაც ბოლო ათწლეულებში ამერიკულ საზოგადოებაში ქალისადმი დამოკიდებულების ცვლილება მოჰყვა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში შეიცვალა არა მარტო საზოგადოების ქალებისადმი დამოკიდებულება, არამედ თვით ქალების დამოკიდებულება საზოგადოებისადმი – მათ უარი თქვეს პასიური მეთვალყურის როლზე და პოლიტიკურად აქტიურები გახდნენ.[216] ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყნის სათავეში უკიდურესად ანტიფემინისტურად განწყობილი რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია იმყოფებოდა. ფაქტობრივად, მისი მოსვლა ხელისუფლების სათავეში ამერიკელ ქალთა მოძრაობის მესამე ტალღის დაწყების ბიძგი.

1960-იანი წლების ბოლომდე სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა საკითხში მარტივ პრინციპებს ეყრდნობოდა. ის ითვალისწინებდა იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც, ქალს განკუთვნილი ჰქონდა თავისი ადგილი საზოგადოებაში – დედისა და ცოლის როლი პატრიარქალურ სისტემაში. უკვე 1970-იან წლებში ქალთა საკითხისადმი მიდგომაში ცვლილებები დაიწყო. სახელმწიფომ, რომელსაც სურდა ტრადიციული ოჯახური ზნეობრივი ნორმების შენარჩუნება და განმტკიცება, აღიარა, რომ ეს სურვილი მაინც არ არის „საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ შელახულ იქნას ქალთა სამოქალაქო უფლებები".[217]

1980-იან წლების დასაწყისში არა მარტო მკვეთრად გაიზარდა ამერიკელების ინტერესი ქალთა საკითხებისადმი, არამედ შეიცვალა როგორც საზოგადოების დამოკიდებულება ქალებისადმი, ასევე, თვით ქალების დამოკიდებულება საზოგადოებისადმი – მათ უარი თქვეს პასიური მეთვალყურის როლზე და პოლიტიკურად აქტიურები გახდნენ.

ამგვარად, რეიგანის ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროისათვის ქალისადმი დამოკიდებულება უკვე ისეთი აღარ იყო, როგორიც 15 წლის წინათ. პოლიტიკური ლიდერები იძულებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ ის, რომ საკმაოდ მომრავლდნენ ქალები, რომლებიც აღარ პასუხობდნენ ცხოვრების ტრადიციულ სტერეოტიპს. ეს კი ოჯახისა და სქესებს შორის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი იდეოლოგიის დასასრულს მოასწავებდა. 1960-იანი წლების ბოლოს სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად დაწყებულმა ქალთა მოძრაობამ გააღ-

[216] იხ. M.F.Katzenstein. Feminism and the Meaning of the Vote//Signs. Chicago, 1984, Vol.10, N1, p.14.
[217] V.Shapiro. The Women's Movement, Politics and Policy in the Reagan Era//The New Women's Movement: Feminism and Political Power in Europe and the USA/ed. by Duhlerup D.-L. ets., 1986, p.125.

რმავა ეს ცვლილებები და ბიძგი მისცა სხვა უფრო არსებით გარდაქმნებს.

1980-იანი წლების დასაწყისში ამერიკელების ინტერესის გაზრდა ქალთა მოძრაობისადმიშეიძლება ავხსნათ სხვადასხვა მიზეზით, რომელთა შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ დაიწყო „ყველაზე ანტიფემინისტური პოლიტიკის გატარება აშშ-ის ისტორიაში და შეაჩერა ის სერიოზული პროცესები, რომლებიც წინა ორი ათწლეულის განმავლობაში ჩაისახა".[218]

რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდის აშშ-ის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი ადმინისტრაციის ნეგატიური დამოკიდებულება, ზოგადად, სოციალური პროტესტის სხვადასხვა ფორმისადმი და, კერძოდ, ამერიკელი ქალების თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლისადმი.

მაინც რომელი ანტიფემინისტური ნაბიჯები გადადგა რეიგანის ადმინისტრაციამ? ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს:

- ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ შესწორების მიღებისადმი წინააღმდეგობის გაწევა.
- სამხედრო ბიუჯეტის ზრდა, რასაც მოჰყვა ქალთა დასაქმების სფეროში მდგომარეობის გაუარესება (სამხედრო მრეწველობაში ქალების წილი უმნიშვნელოა. ქალების ძირითადი ნაწილი მუშაობს სოციალურ სფეროში, რომლის ფინანსირება მკვეთრად შემცირდა).
- სოციალური პროგრამების შეკვეცა, რამაც, უპირველესად, ქალები დააზარალა, რომლებიც დაბალანაზღაურებადი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.
- შემცირდა ისეთი პროგრამები, როგორებიცაა, მაგალითად: დედებისა და ბავშვების დაცვა.
- სუბსიდიების შემცირება საბინაო მშენებლობაზე, რაც აისახა გაუთხოვარი ქალებისა და მათი ბავშვების ცხოვრების პირობებზე.
- შეიარაღებულ ძალებში ქალების, როგორც მოხალისეების აყვანის შეზღუდვა.
- 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა ბილის VII მუხლის მოქმედების შეზღუდვის ცდები, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში

[218] Ibid., p.127.

- იურიდიული სამსახურების დაფინანსების შემცირება, რომელთა კლიენტების 2/3 ქალებია.
- აბორტების აკრძალვის პოლიტიკის მხარდაჭერა და ა.შ.[219]

ამერიკის ქალთა მოძრაობის დამოკიდებულება რეიგანის ადმინისტრაციის აღნიშნული ღონისძიებებისადმი შესაბამისი იყო. მაგალითად, რეიგანის ცდებმა შეემცირებინა სოციალური პროგრამები, უპირველესად, ქალებს ავნო. ამიტომ, ბევრმა ავტორმა რეიგანის პრეზიდენტობის წლებს „სიღარიბის ფემინიზაციის" პერიოდი უწოდა.[220] ასეთმა პოლიტიკამ ფემინისტური ჯგუფების განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია. რეიგანის ადმინისტრაციის არსებობის დასაწყისშივე მკვეთრად გაიზარდა ქალთა ორგანიზაციების რაოდენობა და ბიუჯეტი. მაგალითად, *ქალთა ეროვნული ორგანიზაციის* წევრთა რაოდენობა 1977-1982 წლებში დაახლოებით 40 ათასით გაიზარდა, ბიუჯეტი კი იმავე პერიოდში 500 ათასი დოლარიდან – 1,3 მლნ დოლარამდე. *ქალთა ეროვნული პოლიტიკური კრება* (National Women's Political Caucus), რომელიც ქალების პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმის მიზნით შეიქმნა, 1982 წლის დასაწყისში ითვლიდა 60 ათას წევრს, იმავე წლის ბოლოსათვის კი – 73 ათასს.[221]

რეიგანის ანტიფემინისტური პოლიტიკით შეშინებულმა ფემინისტებმა უფრო აქტიურად დაიწყეს ბრძოლა თანასწორუფლებიანობის შესახებ შესწორების რატიფიცირებისთვის, მაგრამ დამარცხდნენ.

1980-იანი წლების შუახანებისთვის ფემინისტური ორგანიზაციების წევრთა უმრავლესობა უფრო „მტკიცე" დემოკრატებს ემხრობოდნენ, მაგრამ რეიგანის პოლიტიკამ ქალთა საკითხში გამოიწვია ის, რომ რესპუბლიკური პარტიის მომხრე ქალებმაც კი პრეზიდენტის პოზიციის კრიტიკა დაიწყეს. 1984 წელს ბევრმა მათგანმა უარი თქვა რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ რეიგანის უამრავი მომხრე არ მისცემდა მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალებას.[222]

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფემინისტი ამავე დროს პარტიული აქტივისტია, ამერიკის ფემინისტურმა მოძრაობამ პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებლობა მაინც შეინარჩუნა. ბევრი აქტივისტი თავს „ზეპარტიულად" თვლიდა და ცდილობდა არ „გათქვეფილიყო" პარ-

[219] M.F.Katzenstein, Op.cit., p.19.
[220] იხ. V.Shapiro, Op. cit., p.132.
[221] Ibid., p.135.
[222] Ibid., p.137.

ტიულ ორგანიზაციებში, ვინაიდან სხვადასხვა სოციალური მოძრაობა და ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს გარეთ არსებობდა, უფრო მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ როლს თამაშობს აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია. ასე თვლის, მაგალითად, ამერიკის ქალთა მოძრაობის ცნობილი მკვლევარი ვ.შაპირო[223], რასაც სავსებით ვეთანხმები.

ეტყობა, ფემინისტური ორგანიზაციების ასეთი აქტიურობა აიძულებდა რეიგანს ხშირ-ხშირად განეცხადებინა, რომ აუცილებელია ქალების სტატუსის ამაღლება და მათი შესაძლებლობების გაფართოება. დასაწყისში ამით დაინტერესება მან მართლაც გამოავლინა, როდესაც შექმნა რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც ქალთა პრობლემებით იყო დაკავებული. ამ მხრივ, მან თავისი წინამორბედების პოლიტიკა გააგრძელა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ რეიგანმა ეს ორგანიზაციები დააკომპლექტა არა ქალთა მოძრაობის მომხრეებით, არამედ ანტიფემინისტური ორგანიზაციების აქტივისტებით. ამიტომ „ქალთა" ამ დაწესებულებების თანამშრომელთა უმრავლესობა ფემინისტური იდეებისადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი.

მაინც რით შეიძლება ავხსნათ რეიგანის ადმინისტრაციის ასეთი კონსერვატული განწყობა? როგორც ზევით აღვნიშნე, მისთვის მისაღები იყო პატრიარქალური ოჯახის განმტკიცება, რომელშიც კაცი მუშაობს, ქალი კი დიასახლისია. ოჯახის, ბავშვებისა და მოხუცების მოვლა ქალებს ეკისრებათ და ისინი შრომის ბაზარზე ზეწოლას აღარ ახდენენ, რასაც ქალებს შორის უმუშევრობის დონის დაცემა მოსდევს. ალბათ, რეიგანის ადმინისტრაციის ანტიფემინისტური პოლიტიკის პრაქტიკული მიზეზი შეიძლება ეს იყოს. პრობლემის ზნეობრივი ასპექტი კი მარტივია: რწმენას, ერთგულებას ტრადიციული ფასეულობებისადმი მოსდევს ოჯახის გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა. მარტოხელა დედები ხომ ღარიბთა კატეგორიაში ხვდებიან, რეიგანის მიზანი კი ღატაკთა რაოდენობის შემცირება იყო, რასაც ის მარტოხელა დედების შემცირების გზითაც ცდილობდა.

სწორად, რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში მომხდარმა ორმა პოლიტიკურმა ცვლილებამ იქონია გავლენა ქალების მომავალზე პოლიტიკაში:

- რეიგანის ადმინისტრაციის დროს ფედერალური მთავრობის ბევრი ფუნქცია, განსაკუთრებით, სოციალური პროგრამების სფეროში,

[223] V.Shapiro, Op. cit.

შტატებს გადაეცა. სოციალური პროცესების წყალობით, ბევრმა ქალმა-კანდიდატმა შტატის დონეზე არჩევნებში გაიმარჯვა. ეს ცვლილება კარგად გამოხატა რესპუბლიკელმა სენატორმა კანზასიდან ნენსი კასებაუმმა, როდესაც განაცხადა, რომ „ვაშინგტონი თითქმის უძლური აღმოჩნდა რაიმეს განხორციელების მცდელობისას. ენერგიულობა და შემოქმედებითობა შტატის ხელისუფლების საფუძველია და ქალებს ამაში მთავარი ფუნქცია ეკისრებათ“[224].

- მეორე ცვლილება იყო ქალების რაოდენობის ზრდა შტატების საკანონმდებლო ორგანოებში. ამან, თავის მხრივ, გაზარდა იმის იმედი, რომ მომავალში შტატის დონეზე ქალების როლი პოლიტიკაშიც, შესაბამისად, გაიზრდებოდა. ეს ნათელი გახდა 1987 წელს შტატის კანონმდებელთა ყრილობაზე, რომელიც ამერიკის ქალებისა და პოლიტიკის ცენტრმა დაასპონსორა. ყრილობაზე აღინიშნა, რომ შტატების საკანონმდებლო კრებებში 1168 ქალი იყო, ანუ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 16% მაშინ, როდესაც ოთხი წლის წინ ეს ციფრი უდრიდა 991-ს, ანუ 13%-ს[225].

მაგრამ, ვინაიდან მაშინ ქალები ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 55%-ს შეადგენდნენ, ეს მონაცემები არც ისე შთამბეჭდავია, მით უმეტეს, ფედერალურ დონეზე, სადაც რეიგანის ადმინისტრაციის წლებში მხოლოდ 2 ქალი-სენატორი და კონგრესის 25 წევრი იყო, რაც საერთო რაოდენობის 5%-ს შეადგენდა.

მიუხედავად ამისა, ქალთა პოლიტიკური აქტივობის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინების, კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობის საკითხში რეიგანის ადმინისტრაციის დროს სერიოზული ცვლილებები მოხდა. რეიგანის მმართველობისას ფიქრობდნენ, რომ ქალების გააქტიურება ამ მიმართულებით დიდად მოსალოდნელი არ იყო. თუმცა, ეს პროგნოზი არ გამართლდა და დღეს ამერიკელი ქალები ბევრად უფრო აქტიურად არიან ჩართულები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე 30-35 წლის წინათ.

ფემინისტებმა გადასინჯეს თავიანთი იდეების განხორციელების საქმეში საარჩევნო კამპანიების როლი და ადგილი. არჩევნები უკვე აღარ ითვლებოდა მეორეხარისხოვან მექანიზმად, მასში მონაწილეობა კი ჩათვლილ იქნა პროფემინისტური მიმდინარეობების კონსოლიდაციისა და ქალთა თანასწორუფლებიანობის ძირითადი პრობლემებისადმი საზოგა-

[224] S. Lee Richard&Mary Price Lee. Careers for Women in Politics. The Rosen Publishing Group, Inc, N.Y., 1989, p.61.
[225] Ibid., p.61-63.

დოებრიობის ყურადღების მიპყრობის ერთგვარ წინაპირობად.[226]

1980-იანი წლების დასაწყისშივე გამოჩნდა პირველი სისტემატური გამოკვლევები, რომლებიც უშუალოდ ქალების პოლიტიკური აქტიურობის საკითხებს მიეძღვნა. მათ შექმნას ბიძგი მისცა ამომრჩეველი ქალების ერთგვარმა გააქტიურებამ, რომლებიც მანამდე საკმაოდ პასიურები იყვნენ, 1970-იან წლებში ოჯახური წყვილების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ოჯახი ხმას აძლევდა კაცების მიერ არჩეულ კანდიდატს.[227] ამავე პერიოდში აღმოჩნდა, რომ ქალებმა „ოჯახში მიღებულ გარაწყვეტილებებში – როგორც პოლიტიკური, ასევე მატერიალური რესურსების გადანაწილების საკითხებში – თანასწორუფლებიან როლზე" განაცხადეს პრეტენზია.[228]

შეერთებულ შტატებში 1980-იანი წლების დასაწყისში ქალების პოლიტიკურმა აქტიურობამ გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე. 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დაირღვა ტრადიცია, როდესაც ამერიკელი კაცები და ქალები ერთსა და იმავე პარტიებს და კანდიდატებს აძლევდნენ ხმას. ამას ამერიკელმა პოლიტოლოგებმა უწოდეს „სქესებს შორის გარღვევა". ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა კიდეც, რომ სწორედ ეს „გარღვევა" და არა რესპუბლიკელი კანდიდატის გამარჯვება იყო 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მთავარი მოვლენა.[229] თუმცა, ბევრი პოლიტოლოგისა და სოციოლოგის მტკიცებით, „სქესებს შორის გარღვევა" მხოლოდ იმიტომ შეამჩნიეს, რომ ხმის მიცემისას კაცებისა და ქალების განსხვავებული აზრი პირველად დაფიქსირდა. ერთი შეხედვით, ეს განსხვავება არც ისე არსებითი იყო: 1980 წლის არჩევნებში რეიგანს ხმა მისცა ქალების 47%-მა მაშინ, როდესაც კაცების 56%-მა.[230]

1980 წლიდან მოყოლებული ამ პრობლემას ამერიკული ელექტორატისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ცენტრალური ადგილი ეკავა. მეცნიერებს სურდათ გაერკვიათ აღნიშნული განსხვავების სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები და მომავალი არჩევნების შესაძლებელი შედეგები ეწინასწარმეტყველათ.[231]

---

[226] M. F. Katzenstein. Feminism and the Meaning of the Vote//*Signs*. Chicago, 1984, Vol.10, N1, p.24.

[227] N. Davis, R.Robinson. Class Identification of Men and Women in the 1970s and 1980s//*Amer. Sociol.Rev.* _ Wash., 1988, Vol.53, N1, p.103.

[228] K. Beckwith. American Women and Political Participation: The Impacts of Work, Generation and Feminism. N.Y., etc., 1986, XIV, p.111.

[229] K.Beckwith, Op. cit., p.134.

[230] J. Mansbridge. Myth and Reality: The ERA and the Gender Gap in the 1980 Election//*Public Opinion Quart*., N.Y., 1985, vol.49, N2, p.165.

[231] M.Gilens. Gender and Support for Reagan: A Comprehensive Model of Presidential Approval// *American Journal of Political Science*, N.Y., 1988, V.32, N1, p.21.

ამერიკელი მეცნიერები სხვადასხვაგარად ხსნიან ამ მოვლენას.[232] მაგრამ, თავდაპირველად, ფემინისტური მოძრაობის პრაქტიკულად ყველა აქტივისტი „გარღვევის" მიზეზად მიიჩნევდა საარჩევნო კამპანიის დროს ქალების მიერ თანაბარ უფლებათა შესახებ შესწორების მხარდაჭერას. მოგვიანებით ეს შეხედულება გადაისინჯა.

როდესაც საარჩევნო კამპანიის დროს რეიგანი შესწორების წინააღმდეგ გამოვიდა, *ქალთა ეროვნულმა ორგანიზაციამ* განგაში ატეხა ამისა და პრეზიდენტობის კანდიდატის პროგრამის სხვა „ანტიქალური" პუნქტების გამო, რამაც სქესებს შორის განსხვავება გამოაშკარავა. სწორად ამ ორგანიზაციამ შემოიღო ტერმინი „სქესებს შორის გარღვევა".

გამოკითხვამ აჩვენა, რომ 1980 წელს ქალებისა და კაცების დამოკიდებულება შესწორებისადმი დაახლოებით ერთნაირი იყო, რაზეც ქვემოთ მოცემული ცხრილი მეტყველებს:

1980 წელს შესწორებისადმი მხარდაჭერა (%-ებში)

	ქალები	კაცები
მხარდამჭერი	47,6	43,9
წინააღმდეგი	34,2	39,8
არ იყო გარკვეული	18,2	16,3

შესაბამისად, ქალებმა და კაცებმა ხმა მისცეს იმ კანდიდატებს, რომლებიც მათ აზრს იზიარებდნენ. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ „გარღვევის" წარმოქმნის მიზეზი იყო ქალებისა და კაცების გამსხვავებული დამოკიდებულება შესწორებისადმი.[233]

ბოლო ხანებში მკვლევრების უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ ამ მოვლენის ახსნა შეიძლება ქალებისა და კაცების პოზიციების სხვაობით ომისა და მშვიდობის საკითხში. სხვა საკითხებს, ისეთებს, როგორიც არის ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში, გარემოს დაცვა, რეიგანის პირადი თვისებები, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეიგანმა თავდაცვის ხარჯები გაზარდა, წარმოიშვა „გარღვევის" გაჩენის სტიმული. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის

[232] იხ. P.J.Conover. Feminists and the Gender Gap//*Journal of Politics*, Gainsville, 1988, Vol.50, N4, p.985-1010.

[233] იხ. J.Mansbridg, Op. cit., p.168.

პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართაც. ამ პრობლემების შეფასებისას განსხვავება კაცებსა და ქალებს შორის 10,8%-მდე გაიზარდა.[234] რეიგანის საქმიანობისადმი დამოკიდებულებაზე იმოქმედა იმანაც, რომ ქალები თავიანთი არსით უფრო ლიბერალურები არიან სამხედრო და საგარეო პოლიტიკური პრობლემების შეფასებისას, ვიდრე კაცები.

ამგვარად, „სქესებს შორის გარღვევის" წარმოქმნის მთავარი მიზეზია არა დემოგრაფიული მახასიათებლები, პოლიტიკური აქტიურობის დონე ან პოლიტიკური ლიდერის პირადი თვისებები, არამედ ქალებისა და კაცების მიერ პოლიტიკური პრობლემების განსხვავებული შეფასება. ეს განსხვავება განსაკუთრებით ვლინდება სამხედრო პრობლემებთან ან სოციალური უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, თუ კი ისინი ჩართული იქნება საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ „სქესებს შორის გარღვევა" საარჩევნო პროცესის ხანგრძლივი ტენდენციაა, რომელიც მხოლოდ დაემთხვა 1980 წელს რეიგანის ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროს. ამგვარად, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნულ პერიოდში კანდიდატებისადმი ამომრჩევლების დამოკიდებულებას განსაზღვრავდა არა მათი პოლიტიკური აქტიურობა ან პარტიული კუთვნილება, არამედ „ხმის მიცემა პრობლემების" შესაბამისად („issue voting").

1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ როგორც რესპუბლიკელებმა, ასევე დემოკრატებმა „სქესებს შორის გარღვევა" უკვე გაითვალისწინეს. მათ ქალების ხმების მოზიდვაზე ზრუნვა დაიწყეს. ამის ერთ-ერთი საშუალება გახდა ქალების წარდგენა მაღალ არჩევით თანამდებობებზე. ამასთან დაკავშირებით, პარტიებისა და, შესაბამისად, მეცნიერების წინაშე შემდეგი კითხვები დაისვა:

- არის თუ არა რაიმე კავშირი ქალებისა და კაცების არჩევნებში მონაწილეობასა და წამყვან პოლიტიკურ თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების სქესს შორის?
- რა შედეგები მოსდევს ქალი-კანდიდატების წარდგენას მნიშვნელოვან არჩევით თანამდებობებზე?[235]

კვლევას სამი ძირითადი მიმართულება ჰქონდა. სწავლობდნენ ქალების თვითშეგნებას; პოლიტიკურ სიმპათიებს, დაკავშირებულს ამომრჩე-

[234] M.Gilens, Op. cit., p.43.

[235] J.Zipp, E.Plutzer. Gender Differences in Voting for Female Candidates: Evidence from the 1984 Election//*Public Opinion Quart.*, N.Y.,1985, Vol.49, N2, p.179.

ვლებისა და კანდიდატების სქესთან; ქალების მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის, იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ წარდგენასთან მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებზე.[236]

ზოგიერთმა ამერიკელმა მეცნიერმა, მაგალითად, მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა პ.გურინმა დაასკვნა, რომ ქალები სოციალურად დამოკიდებულ კატეგორიას ეკუთვნიან, რომ არ არსებობს პირობები მათი თვითშეგნების ამაღლებისათვის.[237] ხშირად ქალების მდგომარეობას აფროამერიკელებისას ადარებდნენ. მაგრამ ეს, ალბათ, არაზუსტია, ვინაიდან აფროამერიკელებში როგორც ქალები, ასევე კაცები იგულისხმებიან. ასეთი პარალელების გაკეთების საბაბს იძლეოდა მხოლოდ ის, რომ მოსახლეობის ორივე კატეგორიას – შავკანიანებსაც და ქალებსაც – საზოგადოებაში დამოკიდებული მდგომარეობა აქვთ. მხოლოდ 80-იანი წლების შუახანებში მოხდა გარკვეული ცვლილებები ქალების თვითშეგნებაში. ეს დაკავშირებულია ფასეულობების გადაფასებასთან, რაც მოხდა არა იმდენად ქალებში, რამდენადაც კაცებსა და, მთლიანად, საზოგადოებაში. კაცები ნაკლებად გამოხატავდნენ თავიანთ უპირატესობას. ისინი უფრო თანმიმდევრულად ემხრობოდნენ ქალების თანასწორუფლებიანობის იდეას, ვიდრე თვით ქალები.[238]

გამოაშკარავდა ისიც, რომ კანდიდატის სქესსა და ამომრჩეველთა საქციელს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობდა. ქალი-ამომრჩევლები მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერდნენ მხარს ქალ-კანდიდატს, თუ კი ის ლიბერალურ პოზიციას იზიარებდა. როგორც წესი, ქალ-კონსერვატორს ისინი მხარს არ უჭერდნენ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ ქალების უმრავლესობა ხმას აძლევდა იმ ქალ-კანდიდატს, რომელსაც არ ჰყავდა უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწინააღმდეგე და, ასევე, მცირეწლოვანი შვილები.[239]

ამავე დროს გამოაშკარავდა შემდეგი ტენდენციებიც:

- ქალებსა და კაცებს შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება ქალი-კანდიდატისათვის ხმის მიცემისას.
- ქალ-კანდიდატს, უპირველესად, ის ქალი-ამომრჩევლები აძლევენ ხმას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ე.წ. „ქალური საკითხები“.

[236] Ibid., p.180.
[237] P.Gurin, Op. cit., p.146.
[238] Ibid., p.157.
[239] J.Zipp, E.Plutzer, Op. cit., p.182.

- სქესსა და ხმის მიცემას შორის კავშირის გარკვევისას გადამწყვეტი ფაქტორია კანდიდატის პოლიტიკური პლატფორმა.
- კანდიდატის სქესს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გადამწყვეტი გავლენა არჩევნების შედეგებზე, როდესაც ამომრჩევლისათვის პარტიული კუთვნილება არ არის არსებითი. პირველ რიგში, ეს ეხება „დამოუკიდებელი" კანდიდატების არჩევნებს, რომელთა რაოდენობა არც ისე მცირეა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ქალები ხმას აძლევენ ქალს, კაცები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდიან წინააღმდეგ, როდესაც არ არსებობს სხვა განმსაზღვრელი ფაქტორები, უპირველესად კი, ნათელი წინასაარჩევნო პლატფორმა.[240]

ამ დასკვნების გაკეთება შესაძლებელი გახდა 1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. აღნიშნული არჩევნების შემდეგმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ:

- ამომრჩეველთა სქესმა გავლენა იქონია ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევნებისას, ისიც მაშინ, როდესაც ქალს წინასაარჩევნო პროგრამაში ჩართული ჰქონდა „ქალთა საკითხების" გადაწყვეტასთან დაკავშირებული პუნქტები.
- „ძლიერ" კანდიდატ-ქალებს, ანუ იმათ, ვისაც არგუმენტირებული პოლიტიკური პლატფორმა აქვს, შეუძლიათ მიიმხრონ როგორც კაცები, ასევე ქალები. ის კანდიდატები კი, რომლებსაც ასეთი პლატფორმა არა აქვთ, სქესის მიუხედავად, კარგავენ ორივეს ხმას.[241]

მიუხედავად შეერთებულ შტატებში არსებული საარჩევნო მექანიზმისა, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს, არასოდეს შეუზღუდავთ ქალების საარჩევნო უფლება. ყველაზე ხშირად ქალი-კანდიდატები წინასაარჩევნო ბრძოლის ეტაპზე განიცდიდნენ ფინანსური და პარტიული მხარდაჭერის ნაკლებობას,[242] რაც წინა თავში აღვნიშნე.

1984 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პარტიებს შორის ქალების ხმებისთვის ნამდვილი ბრძოლა დაიწყო. ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან ქალების სოციალური სტატუსის შეცვლის პირობებში საკუთარი ამომრჩევლების მასობრივი ბაზის გაფართოვება მხოლოდ ქალების არჩევნებში

[240] Ibid., pp.181-182

[241] Ibid., p.194.

[242] ტ.დენისოვა, ე.მეძმარიაშვილი. ქალის როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", თბ., თსუ გამომცემლობა, 2002, გვ.194-195; აგრეთვე, R.Darcy, Ch.Hadley. Black Women in Politics: The Pussle of Success//Social Science Quart., Austin, 1988, Vol.69, N3, p.630.

მასობრივად ჩაბმის ხარჯზე შეიძლებოდა. ამიტომ დემოკრატებმა პირველად ამერიკის ისტორიაში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოაყენეს ქალი – ჟერალდინ ფერარო, რაც დემოკრატებს 50 მლნ ქალი-ამომრჩევლიდან დამატებით 3-4 მლნ ხმის მოპოვების შანსს აძლევდა.[243]

აღსანიშნავია, რომ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ქალის წამოყენებასთან დაკავშირებით, ჯორჯ ბუშმა (მამამ) ჟურნალ *„US News and World Report"*-ისადმი მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „უეჭველია, ქალი შეძლებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციის შესრულებას" ისევე, როგორც ეს ხდება დიდ ბრიტანეთში ან ინდოეთში. უფრო მეტიც, „ეს იქნებოდა კარგი და დიდი ხანია ასეც უნდა მომხდარიყო". მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის წევრებს შორის პირველად წარმოდგენილია სამი ქალი და, ამას გარდა, ქალი ჩართულია აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში. „დემოკრატები ვერ იამაყებენ მსგავსი რამით", – ამტკიცებდა ბუში.[244] მაგრამ ეს არც თუ სამართლიანი დასკვნაა.

ჯერ კიდევ 1983 წლის გაზაფხულზე რეიგანი შეეჯახა ქალების ოპოზიციის პრობლემას, როდესაც *ქალთა ეროვნული ფედერაციის* ლიდერებმა – რესპუბლიკური პარტიის წევრებმა, თეთრ სახლში მიღებისას განაცხადეს, რომ „ქალებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით პრეზიდენტს ან სრულიად გულგრილი პოზიცია უკავია ან აშკარად ანტიქალური".[245] ამ გამოსვლით შეშფოთებულმა რეიგანმა თავისი ქალიშვილი, თანასწორ უფლებათა შესახებ შესწორების მიღების აქტიური მომხრე, დანიშნა რესპუბლიკელების კონსულტანტად აღნიშნულ საკითხებში. აღნიშნულ ნაბიჯს რეიგანის მხარეზე უნდა გადმოებირებინა ოპონენტები ქალთა საკითხებში, ვინაიდან მისი ქალიშვილი ცნობილი იყო როგორც მამის პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკოსი. პარალელურად, თეთრ სახლში შეიქმნა ჯგუფი მ. დივერის მეთაურობით, რომლის მიზანი იყო ქალთა მოძრაობის პრობლემების შესწავლა. გარდა ამისა, სახელმწიფო თანამდებობებზე დამატებით დაინიშნენ ქალები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1984 წლის ზაფხულის დასაწყისში რეიგანის ადმინისტრაციაში პასუხსაგებ თანამდებობებზე 10%-ით ნაკლები ქალი იყო, ვიდრე კარტერის მთავრობაში, თანაც მათ უფრო დაბალი თანამდებობები ეკავათ, ვიდრე დემოკრატების ადმინისტრაციის დროს.[246]

---

[243] Th.H.White. New Powers, New Politics//*New York Times Magazine*, 1984, Febr.5, p.27.

[244] "Vice-president Role: An Insider's View// *US News and World Report*, Wash., 1984, March 5, Vol.96, N24, p.35.

[245] A.Cifelli. Showdown for Reagan at Gender Gap//*Forum*. N.Y., 1984, July 9, Vol.110, N1, p.151.

[246] Ibid.

როდესაც პრესაში გაჩნდა სტატიები, სადაც „სქესებს შორის გარღვევაზე“ იყო საუბარი, ანუ იმაზე, რომ კაცები, ძირითადად, რესპუბლიკელებს აძლევდნენ ხმას, ქალები კი დემოკრატებს ანიჭებდნენ უპირატესობას, ერთ-ერთმა კომპანიამ – „დეით მენეჯმენტ ინფორმეიშნ“-მა რ. უირტლინის ხელმძღვანელობით, რომელიც თეთრი სახლის დაკვეთით მუშაობდა, გამოყო რვა ქვეჯგუფი ქალ-ამომრჩევლებს შორის და აღმოაჩინა, რომ „გარღვევა“, ძირითადად, 21-35 წლის მარტოხელა მომუშავე ქალების ხარჯზე მოხდა.[247]

ვინაიდან დემოკრატებს არ გააჩნდათ ზუსტი ინფორმაცია, მათ უხეში შეცდომა დაუშვეს, როდესაც ვიცე-პრეზიდენტად ქალის წამოყენებით სურდათ ამომრჩეველთა მიზიდვა სამხრეთ შტატებში, სადაც ძლიერია კონსერვატული განწყობილება და არა ჩრდილოეთ-დასავლეთით, სადაც ქალთა თანასწორუფლებიანობის მომხრეთა პოზიციები უფრო მყარია. სწორედ ამიტომ, ნავარაუდევი 3%-ის ნაცვლად, მათ დამატებით ქალების ხმების მხოლოდ 1% მიიღეს.[248]

1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს „სქესებს შორის გარღვევა“ კიდევ რამდენიმე პროცენტით შემცირდა. ბუშმა, რომელიც „მშვიდობისა და აყვავების“ მომხრედ გამოდიოდა, შეინარჩუნა რეიგანის მომხრე ელექტორატი და თითქმის გადალახა „სქესებს შორის გარღვევა“. ბუშს მაშინ ხმა მისცა ქალების 47%-მა, დუკაკისს კი – 52%-მა.[249]

მართალია, არჩევნებისას სქესებს შორის გარღვევას რეიგანის ადმინისტრაციის ქალთა საკითხში გატარებულ პოლიტიკას უშუალოდ არ უკავშირებენ და ეს დამთხვევადთ, მაგრამ 1980-იან წლებში ქალების პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას, ვფიქრობ, მაინც შეეძლო ამ მოვლენაზე ზემოქმედება მოწხდინა.ამგვარად, კონსერვატულად და ანტიფემინისტურად განწყობილი პრეზიდენტი რეიგანი თავის ძალაუფლებას ქალთა საკითხში საკუთარი შეხედულებების ცხოვრებაში გატარებისთვის იყენებდა, თუმცა, ამას ბოლომდე ვერ ახერხებდა. საზოგადოებრივი აზრი ქალების პრობლემებთან დაკავშირებით უფრო ფემინიზმისა და ქალთა მდგომარეობის ცვლილებების შედეგების, ვიდრე რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის გავლენის ქვეშ იყო. ამიტომ, ბევრი ქვეყნის თვის ეს შეიძლება კარგი მაგალითი გახდეს.

[247] R.Kuttner. The Life of the Party: Democratic Prospects in 1988 and Beyond. N.Y., 1987, XII, p.91.
[248] J.Zipp. E.Plutzer. Op. cit., p.195.
[249] J.Lamar. Color It Republican//*Time*, N.Y., 1988, Vol.132, N21, p.20.

კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში

კლინტონის ადმინისტრაცია შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე „ქალური" ადმინისტრაციის სახელით არის შესული. ასეთი შეფასება მან ქალთა საკითხებში გატარებული პოლიტიკის გამო დაიმსახურა. მაინც, რა გააკეთა კლინტონმა და მისმა ადმინისტრაციამ ისეთი, რომ რეიგანის ე.წ. ანტიქალური ადმინისტრაციის შემდეგ, შეერთებული შტატების ახალ ხელისუფლებას ქალთა პრობლემების მოგვარებაში მიღწეული წარმატებების გამო, ეს სახელი ეწოდა. ასეთი „პროქალური" პოლიტიკის გატარებას როგორც ობიექტური, ასევე, სუბიექტური მიზეზები ჰქონდა.

რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკამ ქალთა საკითხებში, როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნე, ამერიკელ ქალთა მოძრაობის მესამე ტალღა ააგორა, რომლის შედეგი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე მათი გააქტიურება იყო. ამას კი გადაწყვეტილების მიმღებთა შორის მეტი ქალის ჩართვა მოყვა. თავის მხრივ, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, როგორც დემოკრატმა, ლიბერალმა, რომლის პარტიასაც მრავალრიცხოვანი, გააქტიურებული ქალი ამომრჩეველი ჰყავდა, ქალთა და მათთან დაკავშირებული სოციალური საკითხების მოგვარებას დიდი ყურადღება მიაქცია. ვფიქრობ, მის ინტერესს ამ საკითხებისადმი პირველი ქალბატონი ჰილარი როდემ კლინტონიც განაპირობებდა, რომელიც საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ადმინისტრაციაში ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა.

მაინც, რატომ უწოდეს კლინტონის ადმინისტრაციას ყველაზე „ქალური"? რა პოლიტიკას ატარებდა ის ქალთა საკითხებში?

სანამ ამ კითხვებზე პასუხს გავცემ, საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რა პიროვნული დამოკიდებულება ჰქონდა ქალთა საკითხებისადმი თვით ბილ კლინტონს. კლინტონის კონკრეტული ნაბიჯები ქალთა საკითხების მოგვარების მიმართულებით ამ დამოკიდებულებაზე ნათლად მიგვანიშნებს. პრეზიდენტმა კლინტონმა მიაღწია იმას, რომ ქალებმა მის ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი და მაღალი თანამდებობები დაიკავეს. ის გამოდიოდა ქალებისთვის თანაბარი პროფესიული შესაძლებლობების უზრუნველყოფის მომხრედ და მხარდამჭერად. ასევე მხარს უჭერდა მათ აქტიურ მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში. იგი შეშფოთებული იყო ქალთა ჯანდაცვის მდგომარეობით, მათ მიმართ ძალადობით.

კლინტონის დამოკიდებულება ქალთა საკითხებისადმი ყველაზე კარგად ჩანს დოკუმენტში – „მოქმედებათა პლატფორმა" – რომელიც მან ქალთა მეოთხე მსოფლიო კონგრესს (პეკინი, 1995) წარუდგინა. ხოლო მსოფლიო კონგრესმა ის დაამტკიცა, რითაც დაადასტურა, რომ ამ დოკუმენტში დაფიქსირებული მოსაზრებები, ფაქტობრივად, მოქმედების პროგრამა მსოფლიოს ყველა ქალისთვის მისაღები იყო.

„მოქმედებათა პლატფორმაში" კლინტონი აღიარებს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების უდიდეს მნიშვნელობას ამერიკის მომავლისთვის.

„თანხების დაბანდებით ქალთა ცხოვრების გაუმჯობესებაში, ჩვენ ვაძლევთ მათ საკუთარი თავის სრული რეალიზების შესაძლებლობას. როდესაც ქალები კარგად ცხოვრობენ, ეს ნიშნავს, რომ მათი ოჯახებიც კარგად ცხოვრობენ და მთელი საზოგადოება კარგად ცხოვრობს. საბოლოოდ, მთელი ერი მოგებულია", – წერია დოკუმენტში.[250]

კლინტონი აღიარებს, რომ ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ საზოგადოების ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. იგი ხაზს უსვამს, რომ ქალის როლი არ შემოიფარგლება დედობით, ცოლობით, ის მუშაკიც და ლიდერიც არის. იმ დროს შტატებში 60 მლნ ქალი მუშაობდა (მთელი მუშახელის 46%), მაგრამ როგორც პრეზიდენტმა აღიარა, „ისინი არაადეკვატურ ანაზღაურებას იღებენ (კაცების ანაზღაურების 73%-ს)"[251]. თანაც, იძულებული არიან სამსახურის ვალდებულებები ოჯახის ვალდებულებებს შეუხამონ და, დამატებით, ბავშვებთან დაკავშირებულ ბევრ ყოველდღიურ პრობლემაზე იზრუნონ. პრეზიდენტი ადმინისტრაციის მოვალეობად თვლიდა, მიეცა ქალებისთვის საშუალება წარმატებული ყოფილიყვნენ სახლსა და სამსახურში, აემაღლებინა მათი ეკონომიკური და საგანმანათლებლო შესაძლებლობები, უზრუნველეყო ქალები და ბავშვები სამედიცინო დახმარებით, აღეკვეთა ძალადობა და სხვა. დოკუმენტში პრეზიდენტი გამოთქვამს რწმენას, რომ ქალი უნდა იყოს თანასწორი პარტნიორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამით ხსნის იგი ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობებზე ქალების დანიშვნას. კლინტონი იმედს გამოთქვამს, რომ შეერთებული შტატები ქალთა ცხოვრების გაუმჯობესების კუთხით ლიდერი გახდება.[252]

---

[250] Platform for Action. The United Nations Fourth World Conference on Women. Beijing, China, September 1995. In UN Women. http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/platl.htm

[251] Ibid.

[252] Ibid.

1995 წელს გაეროს ეგიდით მიმდინარე ქალთა მეოთხე კონგრესს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან პეკინში ჩასულ ათი ათასობით ქალთან ერთად, პირველი ლედიც დაესწრო. კონგრესზე გამოსვლისას, მან განიხილა პრობლემები, რომლებსაც ამერიკელი ქალებისა და მათი ოჯახებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს პრობლემებია: პირადი და ეკონომიკური უსაფრთხოება, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, დასაქმებისა და კრედიტების მიღება, ახალი თაობის პოტენციალის რეალიზაცია, რაზეც შეერთებული შტატების ხელისუფლება იმ დროს უკვე მუშაობდა.

ამ მიზნით, ჯერ კიდევ პეკინის მსოფლიო კონგრესამდე, ბილ კლინტონმა 1995 წლის აგვისტოში ქალთა საკითხებში პრეზიდენტის უწყებათაშორისი საბჭო შექმნა (President's Interagency Council on Women). პრეზიდენტის განმარტებით, საბჭოს შექმნის მიზანი პეკინის კონგრესის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება იყო.

საბჭოს დაევალა ღონისძიებათა კოორდინირება, რომლებიც დაკავშირებული იყო მოქმედებათა პლატფორმასთან, მათ შორის, იმ ვალდებულებების რეალიზაციასთან, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა კონგრესზე იტვირთა. საბჭოს საპატიო თავმჯდომარე პირველი ლედი გახდა. შექმნის მომენტიდან, 1997 წლის მარტის ჩათვლით, თავმჯდომარე იყო დონა შალეილა, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მინისტრი. შალეილას შემდეგ თავმჯდომარე სახელმწიფო მდივანი მედელინ ოლბრაიტი გახდა. საბჭო აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებისგან შედგებოდა, რაც მის მუშაობას უფრო ეფექტურს ხდიდა.

გაეროს ქალთა კონგრესის შემდეგ, პირველი ლედიც აქტიურად ჩაერთო ქალთა პრობლემების მოგვარებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის გარეთ. როგორც უწყებათაშორისი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე, იგი 1997 წლის სექტემბერს ეროვნულ კონფერენციაზე გამოვიდა და პეკინის კონფერენციის შემდეგ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარადგინა.

პირველმა ლედიმ განაცხადა შემდეგი: მიუხედავად იმისა, თუ რომელი პრობლემით ვართ დაკავებული – იქნება ეს ყოფითი ძალადობა, სამუშაო ადგილის შენარჩუნება, თანაბარი ანაზღაურება, დისკრიმინაცია სამსახურში, რომელიც ქალებს ეხება, ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ უნიკალური პრინციპით, რომ ქალთა და საყოველთაო უფლებები ერთიდაიგივეა. ამერიკაში ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს განვამტკიცოთ ის პროგრესი,

რომელიც ქალთა საკითხებში არის მიღწეული.[253] კლინტონმა მთავრობის ის ნაბიჯები ჩამოთვალა, რომლებიც მაშინ არასამთავრობო ჯგუფებთან ერთად გადაიდგა[254]:

1. შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა ქალებზე ძალადობის საწინააღმდეგო უწყება. ის მუშაობდა კანონების გამკაცრებაზე, მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე, ასევე, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე. 1997 წლის დასაწყისში შეიქმნა სატელეფონო ცხელი ხაზი, რომელზეც შესაძლებელი იყო ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღება და მისი აღმოფხვრა.

2. ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა პრემიების პროგრამა, რომელსაც ცალკეულ მოქალაქეებს და ორგანიზაციებს აძლევდნენ, იმ მცირე საწარმოთა მხარდასაჭერად, რომლებიც ქვეყანაში ადგილობრივ დონეზე იქმნებოდა. ქალებისთვის კრედიტების მიცემის ეს პროგრამა კრედიტებსა და სესხებს იმ ქალებს აძლევდა, რომლებსაც მათი სხვა გზით მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ისინი იყენებდნენ მათ, როგორც სასტარტო კაპიტალს, რათა საკუთარი საქმე წამოეწყოთ და ოჯახის კეთილდღეობა ამაღლებინათ.

3. ჯანდაცვის სფეროში მინისტრი შალეილა და მისი სამინისტრო პირველ ადგილზე აყენებდნენ ქალთა ჯანდაცვას; მხარს უჭერდნენ სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას ძუძუს კიბოსა და ქალთა სხვა დაავადებების მკურნალობის მეთოდებისა და კვლევის დონის ამაღლების მიზნით; ასევე, აგრძელებდნენ მუშაობას ქალთა ჯანდაცვის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის შექმნის მიმართულებით.

4. განათლების სამინისტრო დგამდა ახალ ნაბიჯებს, გოგონებისა და ქალების თანასწორუფლებიანი მდგომარეობის უზრუნველყოფის მიმართულებით (განათლების სფეროში).

---

[253] Обязательства Америки: Всемирный женский конгресс ООН -- год спустя. Изменение социально-политической роли женщины в США. США: Общество и Ценности, Электронный журнал ІОСИА, том 2, No. 2, июнь 1997 г. http://www.infousa.ru/society/admin.htm

[254] Там же.

5. ბინათმშენებლობისა და საქალაქო განვითარების სამინისტრომ ახალი საბინაო ინიციატივა წამოაყენა ქალებისთვის (მათთვის ბინების მშენებლობის საქმეში).
6. გარემოს დაცვის სამინისტროს მიზანად გამოცხადდა ქალების ჯანმრთელობაზე ეკოლოგიური ფაქტორების გავლენის შესწავლის პროგრამის განხორციელება.

ეს მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ შეერთებული შტატები არა მხოლოდ საუბრობდა პეკინში განხილულ საკითხებზე, არამედ მოქმედებდა კიდეც.

კლინტონის ადმინისტრაციის აქტიურობა ქალთა საკითხების მოგვარების კუთხით საბჭოს შექმნის შემდეგ გაგრძელდა. პრეზიდენტის ინიციატივის მხარდასაჭერად, სახელმწიფო დეპარტამენტში კონგრესმა ქალთა უფლებების უფროსი კოორდინატორის თანამდებობა შექმნა, რომელიც ითვალისწინებდა ქალთა საკითხების ჩართვას სახელმწიფო დეპარტამენტისა და საელჩოების ყოველდღიურ საქმიანობაში. ხელისუფლებამ გამოყო გრანტები პოლიციის, პროფკავშირის მუშაკებისა და იმ ორგანიზაციების დასაფინანსებლად, რომლებიც ძალადობის მსხვერპლს დახმარებას უწევედნენ. სპეციალური პროგრამები მიიღო ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სამინისტრომ, რომლებიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს უფასო საცხოვრებელს აძლევდა. ასეთ ქალებს უფასოდ განათლების მიღების შესაძლებლობასაც უქმნიდა. თავის მხრივ, შრომის სამინისტრო მუშაობდა ქალთა საკითხებზე პროფესიულ სფეროში. ეს სამუშაო ითვალისწინებდა ქალების დაცვას შრომის უსამართლო ანაზღაურებისგან (დაბალანაზღაურებად სფეროებში), ქალებისთვის დახმარების გაწევას პენსიაზე გასვლის დაგეგმვის დროს, ასევე, მომუშავე ქალებისთვის მათი კანონიერი უფლებების გაცნობას.

მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იყო კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალების პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამ მხრივ, კლინტონის მიერ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე პირველი ქალის – მედელინ ოლბრაიტის დანიშვნა, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ოლბრაიტის საქმიანობას ქვემოთ განვიხილავ, ამიტომ აქ მხოლოდ ხაზს გავუსვამ მის ფემინისტურ იდეებს საგარეოპოლიტიკური ფუნქციების შესრულების ფარგლებში. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღისადმი იყო მიძღვნილი, მან განაცხადა: „ქალის სტატუსის

ამაღლება არის არა მარტო მორალური აუცილებლობა, არამედ ამოცანა, რომელიც შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ფარგლებში აქტიურად დგას. ამის მიღწევა სწორიც არის და ბრძნულიც".[255] მისი სიტყვებიდან კარგად ჩანს ასევე, თუ რა საქმეებით იყვნენ დაკავებული ამერიკელი ქალები 1990-იან წლებში: „დღეს ქალები საერთაშორისო საქმიანობის ყველა სფეროში არიან ჩართული – ისინი ქმნიან პოლიტიკას, დებენ გარიგებებს, აკონტროლებენ შეარაღებასა და ვაჭრობას, სხედან სამხედრო ტრიბუნალის დარბაზში, მონაწილეობენ გაეროს ლტოლვილთა დახმარების ოპერაციებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, არიან სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შორისაც".[256]

მედელინ ოლბრაიტი ისევე, როგორც პრეზიდენტი კლინტონი, ქალის სტატუსის ამაღლებით, ფიქრობდნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, კერძოდ, მშვიდობის განმტკიცებას, დემოკრატიული ქვეყნების მომრავლებას, გლობალური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას, რაც ამერიკელთათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან იყო დაკავშირებული და, რაც მთავარია, ამერიკული ფასეულობების უფრო ფართოდ გავრცელებას. ამდენად, ოლბრაიტისა და კლინტონისთვის ქალის სტატუსის ამაღლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამერიკულ ღირებულებას წარმოადგენდა.

მედელინ ოლბრაიტის დამოკიდებულება ქალთა საკითხებისადმი მისი სახელმწიფო მდივნის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგაც არ შეცვლილა. ამის მოწმენი გავხდით საქართველოში 2017 წლის ივნისში მისი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თავმჯდომარის ვიზიტისას. პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის გარდა, ოლბრაიტი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებსაც შეხვდა, რომლის დროსაც საბჭოს სამოქმედო გეგმა, გენდერული თანასწორობის საკითხები და ამ მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები განიხილეს.[257] ამგვარად, ოლბრაიტის ინტერესი ქალთა საკითხებისადმი დღემდე მისი საქმიანობის შემადგენელ ნაწილად რჩება.

კლინტონის ადმინისტრაციის დროს კიდევ ერთი უწყება იყო ჩართული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. კერძოდ, შეერთებული

[255] Государственный секретарь Мэделин Олбрайт. См. там же.

[256] Там же.

[257] მიშა მეფარიშვილი. მადლენ ოლბრაიტი საქართველოს სტუმრობს. 12.06.2017. netgazeti.ge. მოძიებულია 2017 წლის 15 ივნისს, მისამართზე http://netgazeti.ge/news/200949/

შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაევალა უცხოეთში ქალების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ინიციატივის რეალიზება და მათი იურიდიული უფლებების მხარდაჭერა. ამ ორგანიზაციის პროგრამებს შორის არის პოლიტიკური ლიდერების მომზადების, სამოქალაქო და სააჩევნო უფლებების სფეროში განათლების, ტექნიკური სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების მომზადების, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის ზრდის პროგრამები.

ამგვარად, კლინტონის ადმინისტრაციის ყველა ეს ნაბიჯი მოწმობს, რომ მას სურდა ქალების სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და საშუალებებთან უფრო ფართო წვდომის უზრუნველყოფა და მსოფლიოს ქალებისთვის იმის დემონსტრირება, რომ მათ საკუთარი ბედის განკარგვის უფლება აქვთ. შესაბამისად, კლინტონის ადმინისტრაციის მაგალითი შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს ყველა იმ ქვეყნის ხელისუფლებისთვის, სადაც პოლიტიკის სფეროში ქალების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს. მიუხედავად შეერთებულ შტატებში ამ საკითხში 1990-იან წლებში წინ გადადგმული ნაბიჯებისა, XXI საუკუნეშიც ამერიკელი ქალების სრული თანასწორუფლებიანობის საკითხი ბოლომდე მოგვარებული არ არის.

თავი 5.

XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ქალი-პოლიტიკოსები[258]

ფრანსის პერკინსი – პირველი ქალი-მინისტრი შეერთებული შტატების ისტორიაში

ფრანსის პერკინსი იყო პირველი ქალი ამერიკის ისტორიაში, რომელმაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მაღალი თანამდებობა დაიკავა და ეს მაშინ, როდესაც ქალები მნიშვნელოვანი სამოქალაქო თუ სოციალური უფლებებით არ სარგებლობდნენ. ყველაფერ ამას ემატება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი – დიდი დეპრესია, რომლიდანაც გამოსავალს პრეზიდენტი რუზველტი მთელი ძალისხმევით ეძებდა. სწორედ ამ პერიოდში ანდო მან ფრანსის პერკინს ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა, რაც პრეზიდენტის მხრიდან, ალბათ, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ის ბოლომდე ენდობოდა ამ ადამიანს და მიაჩნდა, რომ იგი შეძლებდა იმ დროისთვის ისეთი მწვავე პრობლემის მოგვარებას, როგორიც უმუშევრობა იყო. აღინიშნავია, რომ თვით პრეზიდენტისთვის ეს გადაწყვეტილება ალბათ ძნელი მისაღები უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იგი იმდროისთვის უპრეცენდენტო ნაბიჯს დგამდა – თავის ადმინისტრაციაში მნიშვნელოვან თანამდებობას ქალს ანდობდა. რუზველტისთვის ეს ასევე საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება იყო, რადგან თუ პერკინსი იმედს ვერ გაამართლებდა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის პოლიტიკურ კარიერას დიდი დარტყმა მიადგებოდა.

იმისათვის, რომ ფრანსის პერკინსის საქმიანობა შევაფასოთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ და როგორი იყო იგი? ისტორიკოსი არტურ შლესინგერ უმცროსი მას ახასიათებს, როგორც მოხერხებულს და მჭერმეტყველს, რეფორმატორს, ადამიანთა დარწმუნების უნარით და-

[258] შეერთებულ შტატებში არაერთი ცნობილი პოლიტიკოსი ქალია. თანაც, თითოეულ მათგანზე ცალკე მონოგრაფიის დაწერა შეიძლება. მე მხოლოდ რამდენიმე მათგანს გამოვყოფ, მაგრამ ვიტოვებ იმედს, რომ მომავალში ქართულ ამერიკისმცოდნეობაში ნაშრომები ბევრ მათგანზე შეიქმნება.

ჯილდოვებულს, ძლიერი ხასიათითა და სხარტი გონებით, პრაქტიკულს და ღრმად მორწმუნეს.[259]

ეს პიროვნული თვისებები, კარგი განათლება, სოციალური მდგომარეობა, ღირებულებები, გამოცდილება, შესაბამისი გარემოც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფრანკლინ რუზველტს შრომის მინისტრის თანამდებობაზე მისი კანდიდატურა დაემტკიცებინა. ამ სფეროში ძლიერი მინისტრის დანიშვნას პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციის წარმატების გასაღებად თვლიდა.[260]

ამ თანამდებობაზე იგი 12 წლის მანძილზე დარჩა. თავის საქმიანობას პერკინსი დიდი პასუხისმგებლობით და იმის სურვილით შეუდგა, რომ გაეუმჯობესებინა მომუშავეთა მდგომარეობა, დაეკანონებინა ამერიკის პროფკავშირები. როგორც პროფესიონალი პოლიტიკოსი, პერკინსი თავის ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა, რაც ქალისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა იმდროინდელ ამერიკაში. მან ეს პოლიტიკა თავის ფასეულობებს, კერძოდ, ეკონომიკურ სამართლიანობას და ყველა მომუშავე ამერიკელის უსაფრთხოებას მოარგო.

„ჩამოვედი ვოშინგტონში, რომ ვემსახურო ღმერთს, ფდრ-სა[261] და მილიონობით მივიწყებულ, უბრალო ადამიანს",[262] – ფრანსის პერკინსის ეს სიტყვები, ფაქტობრივად, მისი ცხოვრებისეული კრედო იყო, რომლისთვისაც არასდროს უღალატია.

რა გზა გაიარა, რა განათლება მიიღო ფრანსის პერკინსმა, იგივე ფენიმ, როგორც მას მოფერებით ეძახდნენ, სანამ ამერიკის ისტორიაში პირველი ქალი-მინისტრი გახდებოდა?

ყველა ის ღირებულება და უნარ-ჩვევა, რომელიც მან მინისტრობის დროს გამოავლინა, ფრანსისმა ძირითადად ოჯახში და ახალგაზრდობისას შეიძინა, ბავშვობისას იგი ძალიან ახლოს იყო ბებიასთან, რომელიც ყოველთვის საკუთარი აზრის გამოხატვას ასწავლიდა[263] და თვითონაც პოლიტიკურად ძალიან აქტიური ქალბატონი იყო. ეტყობა, სულის სიმტკიცე

[259] იხ. Arthur M. Schlesinger, Jn, The Coming of the New Deal, 1933-1935 (The Age of Roosevelt, Vol.2) N-Y: Mariner Books Edition, 2003.

[260] Kirstin Downey. The Women Behind the New Deal: The Lije and Legacy of Frances Perkins _ Social Security, Unemployment Insurance, and the Minimum Wage. New York: Anchor Books, 2009, p.114.

[261] ფრანკლინ დელანო რუზველტი.

[262] Francis Perkins Quotes. Az Quotes. http://www.azquotes.com/author/11527-Frances_Perkins.

[263] . Jeanine Francis Pirro, Fordham Urban Law Journal, Reforming the Urban Workplace: The Legacy of France Perkins, Berkley Electronic Press (Bepress), Volume 26, Number 5, Article 7, 1998, p. 1428. მოძიებულია 2017 წლის 1 ივნისს, მისამართზე: www.fordham.edu, http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1765&context=ulj

და შეუპოვარი ხასიათი მან ბებიისგან მემკვიდრეობით მიიღო. მამამ კი მის განათლებაზე იზრუნა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ფრანსისი აღმოჩნდა ქალების იმ 3%-ს შორის, ვინც მის დროს უმაღლეს განათლებას იღებდა,[264] პერკინსის რელიგიურობაც ოჯახიდან მოდის. ამ მხრივ დედა აქტიურობდა. მას ბავშვობიდანვე უნერგავდნენ სურვილს „ეცხოვრა უფლისთვის და ცხოვრებაში გაეკეთებინა რაიმე მნიშვნელოვანი".

მაუნთ ჰოლიოკის ქალთა კოლეჯის დამთავრებისა და ხანმოკლე მასწავლებლობის[265] შემდეგ მან კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩააბარა, რომლის დამთავრების შემდეგ მაგისტრის დიპლომი მიიღო ეკონომიკასა და სოციოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მასწავლებლობის დროს იგი მოხალისეობდა, დადიოდა ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც უშუალოდ იმ მძიმე პირობებს ეცნობოდა, რომელიც იმ დროს იქ არსებობდა. ხვდებოდა სასოწარკვეთილ მუშებს, რომლებიც ვერ იღებდნენ ხელფასს და არც სამედიცინო დაზღვევა ჰქონდათ. გარდა ამისა, მათ საწარმოო ტრამვის შემთხვევაშიც არ ერგებოდათ ანაზღაურება, რათა სამედიცინო ხარჯები დაეფარათ.

სანამ მინისტრი გახდებოდა, პერკინსმა დიდი გამოცდილება მიიღო. იგი მუშაობდა მდივნად ნიუ იორკის მომხმარებელთა ლიგაში, სადაც ბევრი იღვაწა იმისთვის, რომ მიეღოთ კანონი ქალებისა და ბავშვების სამუშაო საათების შემცირების შესახებ.

პერკინსი თავს ფემინისტად თვლიდა. ის აქტიურად ჩაება სუფრაჟისტების მოძრაობაში. საჯაროდ გამოდიოდა სუფრაჟიზმის დასაცავად. მისი ცნობილი ციტატაა: „ფემინიზმი რევოლუციას ნიშნავს და მე რევოლუციონერი ვარ."[266] მართლაც, პერკინსის საქმიანობა ამ სიტყვების დასტურია. მაგალითად, მას მოუხდა იმიგრანტი ქალების სამუშაო პირობების კვლევა, ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვა და მათი ცხოვრების პირობებზე ზრუნვა.

პერკინსის ცხოვრების მნიშვნელოვან გამოცდილებად 1911 წლის ტრაგედია იქცა, როდესაც იგი 146 უმწეო ქალის დაღუპვის მომსწრე გახდა, რომელთა უმრავლესობა ებრაელი და იტალიელი იმიგრანტები იყვნენ.[267]

---

[264] Lillian Holmen Mohr, Frances Perkins: "That Woman in FDR's Cabinet!" Croton-on-Hudson, N.Y.: North River Press, 1979, p. 7.

[265] Penny Colman, A Woman Unafraid, The Achievements of Frances Perkins, Macmillan Publishing Company, First Edition, New York, Atheneum, 1993, p. 16.

[266] Frances Perkins Quotes. Az Quotes. http://www.azquotes.com/author/11527-Frances_Perkins

[267] Steven Greenhouse, 1.5 Million Dollar State Grant to Pay for Triangle Fire Memorial, www.nytimes.com, Dec.21, 2015.

ამ ტრაგედიის შემდეგ მისი საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებად საწარმოების უსაფრთხოების საკითხები იქცა. პერკინსს ყოველთვის სჯეროდა, რომ კარგი კანონმდებლობა საწარმოო შეცდომების გამოსწორების საუკეთესო გამოსავალი იყო.

მოგვიანებით, პერკინსი სოციალისტურ პარტიას შეუერთდა, მაგრამ მალევე დაასკვნა, რომ ვითარების გამოსწორება პრაქტიკული ნაბიჯებით უფრო რეალური იყო, ვიდრე ყველაფერზე თეორიული მსჯელობით. მისი აზრით, სოციალისტებმა ხელიდან გაუშვეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება. 1912 წლის არჩევნებზე მან ვუდრო ვილსონს დაუჭირა მხარი და არა იუჯინ დებს, სოციალისტური პარტიის კანდიდატს.

შვილის გაჩენის შემდეგ ის დროებით ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და დაუბრუნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის ქმარს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გაუჩნდა და მუშაობა ვეღარ შეძლო.

1918 წელს პერკინსი დათანხმდა გუბერნატორ ალ სმიტის შეთავაზებას და შეუერთდა ნიუ იორკის შტატის სამრეწველო კომისიას, რითაც ამ კომისიის პირველი ქალი-წევრი გახდა. 1926 წელს იგი უკვე აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე გახდა, 1929 წელს კი ნიუ იორკის შტატის ახალმა გუბერნატორმა ის მრეწველობის რწმუნებულად დანიშნა. ეს თანამდებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი იყო შტატის შრომის დეპარტამენტში. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს პერკინსმა თავისი კოლეგებისა და პოლიტიკოსების ნდობა დაიმსახურა და შტატი, სადაც მოღვაწეობდა, პროგრესული რეფორმების გზაზე დააყენა. მან აქ ქალებისთვის სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 48 სამუშაო საათამდე შეამცირა,[268] დაადგინა მინიმალური ხელფასის ზღვარი და უმუშევართათვის სადაზღვევო კანონმდებლობა შემოიღო. პერკინს ასევე საარსებო მინიმუმის შემოღებაც სურდა, თავდაპირველად, მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისთვის.

ფრანსისის რწმუნებულად დანიშვნის წინ ალ სმიტმა რუზველტს უთხრა: „მან უნდა უხელმძღვანელოს მამაკაცების დიდ არმიას, რომლებიც უნდა დაემორჩილონ. როგორც მამაკაცს, ყოველთვის მწამდა, რომ კაცებმა შესაძლოა ქალისგან რჩევა მიიღონ, მაგრამ არასდროს შეასრულებენ

[268] Bruce Dudley, Frances Perkins: Secretary of Labor Under FDR, www.newyorkhistoryblog.org, March 27, 2014, http://newyorkhistoryblog.org/2014/03/27/frances-perkins-secretary-of-labor-under-fdr/

მის ბრძანებებს."[269] მაგრამ, ფრანსისის შემთხვევაში ყველაფრი საპირისპიროდ მოხდა. მას არა მხოლოდ დიდ პატივს სცემდნენ თანამშრომელი მამაკაცები, არამედ მის დავალებებსაც დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ. პერკინს თვითონ ალ სმიტიც დიდ პატივს სცემდა და უაღრესად ჭკვიან ადამიანად მიაჩნდა, რასაც შემდეგი ფაქტიც მოწმობს: 1944 წელს, ალ სმიტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაზეთები წერდნენ, თუ რატომ გახდა სმიტი წარმატებული ეკონომიკის სფეროში: „ალ სმიტმა წიგნი წაიკითხა. ეს წიგნი იყო ადამიანი და მას ფრანსის პერკინსი ერქვა... მან მოუყვა მას ყველაფერი და იმასაც მისი სჯეროდა" რეალობა, რომელშიც ფრანსის პერკინსს მუშაობა უწევდა, კარგად არის შესწავლილი ამერიკელი მეცნიერების მიერ ისევე, როგორც გადმოცემულია იმ პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებიც ხშირად რეალურ ფაქტებს ეფუძნებოდა. ამ პერიოდშივე საფუძველი ჩაეყარა ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც ამერიკულ ყოფასა და რეალობაზე დიდ გავლენას ახდენდა. ჟურნალისტები საზოგადოებას უტყუარ ინფორმაციას აწვდიდნენ და თანაც ისეთ თემებზე, რომელიც მანამდე დაფარული იყო. ყველაზე მწვავედ განიხილებოდა უმუშევრობის პრობლემა, რომელზედაც ამერიკული გაზეთების უმრავლესობა წერდა. იმ დროს მიიჩნევდნენ, რომ სოციალური უსამართლობის აღმოფხვრის ერთადერთ გზას კარგი კანონმდებლობის შექმნა წარმოადგენდა. პერკინსიც კარგად ხვდებოდა, რომ დაზღვევის პირობების გაუმჯობესება ნაკლებად რეალური იყო იმ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ფონზე, რომელიც მაშინ ქვეყანაში სუფევდა. ამიტომ, ის თვლიდა, რომ ერთადერთი ცვლილება, რის განხორციელებასაც ის და ალ სმიტი შეძლებდნენ, არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება იყო.

ფრანსის პერკინსის წინაშე მდგარი ამოცანები გადასაჭრელად მამაკაცსაც კი გაუჭირდებოდა, არა თუ ქალს. მაგრამ ფრანსისმა არ დაიშურა ძალა და ენერგია, რომ გაეკეთებინა ის, რისიც სწამდა. მართლაც, მან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია და იმ დროისთვის უაღრესად დემოკრატიული საკანონმდებლო ბაზა შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციონალისტი იყო, პერკინსი კონკრეტულად მუშა-ქალების უფლებებზეც ზრუნავდა. მიუხედავად ფემინისტური იდეებისა, იგი არასდროს ურჩევდა ქალებს სამოქალაქო კარიერას, ვინაიდან სჯეროდა, რომ „ქალების უმრავლესობისთვის ყველაზე ბედნიერი ადგილი სახლში იყო".[270]

[269] Penny Colman, A Woman Unafraid: The Achievements of Frances Perkins. New York: Atheneum, 1993, p.47.

[270] Luis W. Banner. Women in Modern America: A Brief History. New York, 1984, p.197.

როგორი იყო მისი კონკრეტული საქმეები და შედეგები? 1933 წელს, როდესაც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა რუზველტმა შრომის მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, პერკინსმა პრეზიდენტს ულტიმატუმი წაუყენა და ყველა მისი ინიციატივის უპირობოდ შესრულება მოსთხოვა, რაზედაც პრეზიდენტისგან სრული მხარდაჭერა მიიღო. ამ დანიშვნასთან დაკავშირებით, მან განაცხადა: „ქალის წინაშე კარი შეიძლება კიდევ დიდხანს, დიდხანს დაკეტილი ყოფილიყო, ამიტომ სხვა ქალების წინაშე მქონდა ვალდებულება, გამეღო ის მათთვის, შემოთავაზებულ სკამზე დავმჯდარიყავი და ამით მიმეღწია სხვების უფლებისთვის... მაღალ სკამებზე დამსხდარიყვნენ."[271] ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის გამინისტრებას სხვა ქალებისთვის, თანაც, არა მარტო შეერთებულ შტატებში. ფაქტობრივად, ის გზას უკვალავდა მათ მაღალი თანამდებობებისკენ.

ფრანსისმა აქტიურად გააგრძელა თავისი ინიციატივების განხორციელება. რუზველტმა, მართლაც, მხარი დაუჭირა მათ, კერძოდ, სამუშაო საათების შემცირებას, მუშათა კომპენსაციის გაზრდას სამუშაო ტრავმებისას, ბავშვების შრომის აკრძალვას, მძიმე სამუშაო პირობების მქონე სახელოსნოების დახურვას და სხვა. ამ მხარდაჭერამ პერკინს ყველა მისი ინიციატივის განხორციელების შესაძლებლობა მისცა. ამერიკისთვის ამ განსაკუთრებით რთულ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში დიდი დეპრესია იყო, პერკინსმა ამერიკელ მუშებს არაერთი შეღავათი დაუწესა. მას დიდი ამბიციები ამოძრავებდა, მხოლოდ არა პირადული, არამედ ქვეყნის საკეთილდღეო. პერკინსის ამ ხედვამ კონკრეტული ასახვა ჰპოვა მნიშვნელოვან რეფორმაში, რომელიც ვაგნერის კანონის სახელით არის ცნობილი და რომელმაც მუშებს პროფკავშირების შექმნის, ასევე, კოლექტიური ხელშეკრულებების დადების, გაფიცვებისა და პიკეტირების უფლება მისცა. მეწარმეებს ეკრძალებოდათ მუშათა ორგანიზაციების საქმეებში ჩარევა და მათთან ერთობლივი პროფკავშირების შექმნა. პერკინსის ინიციატივით, 1935 წლის აგვისტოში კონგრესმა შეერთებული შტატების ისტორიაში პირველად მიიღო კანონი სოციალური დაზღვევის შესახებ. შემოღებულ იქნა პენსიები 65 წელს მიღწეული მუშებისათვის, უმუშევრების, ობლებისა და ქვრივების დახმარება. 1938 წლის ივნისში კონგრესმა კიდევ ერთი კანონი მიიღო – ხელფასის მინიმუმისა და სამუშაო კვირის მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ. კანონმა დამატებით დროში სამუშაოსთვის ერთნახევარი ოდენობის ანაზღაურება დააწესა და ბავშვების შრომა აკრძალა.

[271] Frances Perkins Quotes. Brainy Quote. https://www.brainyquote.com/quotes/authors/f/frances_perkins.html

ფრანსისის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა მუშების მდგომარეობა და ქვეყანა სერიოზულ სოციალურ კატაკლიზმებს აარიდა. რაც მთავარია, ფრანსისის ინიციატივით შექმნილი შრომითი კანონმდებლობა საოცრად დემოკრატიული და პროგრესული აღმოჩნდა.

როგორც პიროვნება, ფრანსისი უაღრესად პრინციპული და ენერგიული იყო და ადამიანების დარწმუნების საოცარი უნარი ჰქონდა. მას თვით პრეზიდენტი რუზველტიც კი უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ასე, მაგალითად, 1934 წელს, კალიფორნიის შტატის მოთხოვნის მიუხედავად, პერკინსმა დაარწმუნა პრეზიდენტი არ დაეშალა სან-ფრანცისკოში მოწყობილი მუშათა გაფიცვა. მისი ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები ბევრ კონსერვატორს აღიზიანებდა. 1939 წელს პერკინსის წინაღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყეს, რადგან მან უარი განაცხადა ერთ-ერთი პროფკავშირის ლიდერის ჰარი ბრიჯის გაძევებაზე, რომელსაც ბრალად კომუნისტობა ედებოდა. საბოლოოდ, პროცესი შეწყდა სამხილების სიმცირის გამო. რუზველტის გარდაცვალების შემდეგ პერკინსმა დაწერა ბესტსელერი „რუზველტი, რომელსაც ვიცნობდი“,[272] იგი საჯარო ლექციებს კითხულობდა და კორნელის უნივერსიტეტის საწარმოო და შრომითი ურთიერთობების სკოლის პროფესორი იყო.

პერკინსი თავის ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა, რაც იმდროინდელ ამერიკაში ქალისთვის, ალბათ, ძალიან რთული იქნებოდა. მან ეს პოლიტიკა თავის ფასეულობებს, კერძოდ, ყველა მომუშავე ამერიკელისთვის ეკონომიკურ სამართლიანობას და უსაფრთხოებას მოარგო.[273] მის გავლენაზე იმდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში მეტყველებს პულიცერის პრემიის ლაურეატის კირსტინ დოუნის წიგნის სათაურიც კი „ქალი ახალი კურსის უკან: ფრანსის პერკინსის ცხოვრება და მემკვიდრეობა... “[274]

თუკი თვალს გადავავლებთ იმ კრიტერიუმებს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ქალს წარმატებული კარიერა ჰქონდეს და უმაღლესი თანამდებობა დაიკავოს, ფრანსისი სრულად აკმაყოფილბდა ყოველივეს. სწორად, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტ რუზველტის შემდეგ,

[272] Frances Perkins (Author). Adam Cohen (Introduction). The Roosevelt I knew. New York: Penguin Classic, 2011.

[273] Arthur Schlesinger jn. Coming of the New Deal. New York, 1964

[274] Kirstin Downey. The Women Behind the New Deal: The Lije and Legacy of Frances Perkins _ Social Security, Unemployment Insurance, and the Minimum Wage. New York: Anchor Books, 2009.

მას პრეზიდენტმა ტრუმანმაც არანაკლებ საპასუხისმგებლო თანამდებობა შესთავაზა. პერკინსი პოლიტიკოსებს შორის დიდი ნდობით სარგებლობდა, მას ძალიან ჭკვიან ადამიანად მიიჩნევდნენ და რჩევებს ეკითხებოდნენ. მან დროს გაუსწრო, როდესაც თავის დეპარტამენტში სეგრეგაციულ კანონებს დაუპირისპირდა.[275] პერკინსმა მომავალ წარმატებულ ქალებს უჩვენა, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი ქალი, კერძოდ, ის უნდა იყოს შრომისმოყვარე, დისციპლინირებული, ამბიციური და, რაც მთავარია, თავისი ქვეყნის პატრიოტი. ფრანსისი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მრწამსის და მართლაც იცხოვრა ისე, როგორც სწორად მიაჩნდა, იცხოვრა თავისი ქვეყნისთვის.

ელეანორ რუზველტი: ფემინისტი თუ სოციალურ საკითხებზე მზრუნველი პოლიტიკოსი

ელეანორ რუზველტი არის პირველი ქალი, რომელმაც არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ეს არის ქალბატონი, რომელმაც უამრავი სტერეოტიპი დაანგრია და ბევრ საკითხთან დაკავშირებით ადამიანებს ახლებური ხედვა შეუქმნა. მისი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული პირველი ლედის, კარგი პოლიტიკოსისა და დიპლომატის საქმიანობის შესწავლა დღესაც აქტუალურია. მისი როლი შეერთებული შტატების XX საუკუნის პოლიტიკაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასზე უამრავი ნაშრომი შეიქმნა, იქმნება და მომავალშიც შეიქმნება.

მიუხედავად იმისა, რომ ელეანორ რუზველტი თეოდორ რუზველტის დისშვილი და ფრანკლინ დელანო რუზველტის მეუღლე იყო, ის ამ ორი დიდი პრეზიდენტის ჩრდილში არ მოექცა და პოლიტიკაში საკუთარი კვალი დატოვა.

[275] ორი სასადილოს ნაცვლად ერთი დატოვა, სადაც ფერადკანიანებსაც, დანარჩენებთან ერთად, უნდა ესადილათ (Penny Colman, op. cit., p. 63). ასევე, აკრძალა დასაქმების სამსახურის მიერ რასობრივად განსხვავებული ადამიანების შერჩევის პრინციპი და შრომის დეპარტამენტის აღმასრულებელი პირის თანამდებობაზე პირველი აფროამერიკელი დანიშნა.

სიცოცხლის ბოლომდე ელეანორი საკუთარი ღირებულებების, რწმენისა და მიზნების გავრცელებასა და განხორციელებაზე ზრუნავდა. მან ყველა შესაძლო რესურსი გამოიყენა ქალთა, აფროამერიკელთა და, ზოგადად, ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლაში. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეცლარაციის შექმნა მის სახელთან არის დაკავშირებული. ფაქტობრივად, მთელი მისი ცხოვრება ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ძირეული პრინციპების ცხოვრებაში დანერგვის მაგალითია. ცხადია, მოცემული ნაშრომის ფარგლებში, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა ასპექტის განხილვა შეუძლებელია, ამიტომ ყურადღებას მხოლოდ ქალთა საკითხებში გაწეულ მის ღვაწლზე გავამახვილებ.

ელეანორ რუზველტის, როგორც ფემინისტის, ევოლუციასა და მე-20 საუკუნეში ქალთა მოძრაობის განვითარებას შორის საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება. იგი ბეტი ფრიდანის წიგნის „ქალის საიდუმლო" გამოქვეყნებამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა. ქალების, როგორც ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიანი პარტნიორების, ჩართვის მხარდამჭერი ლიდერები, ელეანორ რუზველტიც 1963 წლამდე იზიარებდა ქალთა უფლებებისათვის მოძრაობის სხვადასხვა ფორმასა და სტრატეგიას. ის გაეცნო ქალთა პრობლემებს იმ სოციალურ საკითხებზე მუშაობისას, რომელთა გადაჭრაში პირველი ქალბატონობის პერიოდში შეეჯახა, თუმცა, იცნობდა მათ ჯერ კიდევ გათხოვებამდე, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე. ამ დროს ის აქტიურად მონაწილეობდა ორი საერთაშორისო ორგანიზაციის (მშრომელი ქალების საერთაშორისო კონგრესი და მშვიდობისა და თავისუფლების ქალთა საერთაშორისო ლიგა (WILPF)) საქმიანობაში, რომლის მიზანიც სიღატაკისა და ომის მიზეზებთან ბრძოლა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ელეანორ რუზველტი სუფრაჟისტულ მოძრაობაში არ მონაწილეობდა, 1920 წელს ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მოპოვების შემდეგ, ქალ-ამომრჩეველთა ლიგას (1920), მოგვიანებით, ქალთა პროფკავშირების ლიგას (1922) და ნიუ იორკის დემოკრატიული პარტიის ქალთა განყოფილებას (1923) შეუერთდა. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მეგობრობამ იგი არა მარტო ფემინიზმის საკითხებში გაარკვია, არამედ უდიდესი გავლენა მოახდინა ელეანორ რუზველტის შემდგომ ცხოვრებაზე. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში იხსენებს, „ერთობლივი მუშაობა მეგობრობის დამყარებისა და შენარჩუნების საუკეთესო გზაა".

ელეანორის პიროვნების ჩამოყალიბებაზე არანაკლები გავლენა იქონია მისი ცხოვრების ადრეულმა წლებმაც.

ბავშვობაში მშობლების დაკარგვით მიღებულმა ტრავმამ მას მარტოობისა და დაუცველობის შიში გაუჩიანა. ფრანკლინ რუზველტზე გათხოვებითა და საკუთარი ოჯახის შექმნით, ის სიცარიელის და ოჯახური სითბოს დანაკლისის შევსებას შეეცადა. სწორად, ამან გამოიწვია ის, რომ ქორწინებიდან 10 წელი (1906-1916) მის ცხოვრებაში კარიერულად ყველაზე პასიური პერიოდი იყო. ამ დროს მას ექვსი შვილი შეეძინა. თუმცა, დედობრივი გამოცდილება დაეხმარა ელეანორს უკეთ გაეგო ქალების, მშობლის შინაგანი სამყარო, მათი გაჭირვება გულთან უფრო ახლოს მიეტანა.

ელეანორ რუზველტის აქტიური ჩართვა პოლიტიკაში 1921 წლიდან იწყება, მას შემდეგ, რაც ფრანკლინ რუზველტი პოლიომიელიტით დაავადდა. მეუღლის დასახმარებლად, ელეანორი უფრო აქტიურად დაინტერესდა პოლიტიკური საკითხებით და მალე დამოუკიდებელი პოლიტიკური კარიერაც დაიწყო.

ელეანორი აქტიურად მუშაობდა ქალთა ჯგუფებთან მათი პოლიტიკასა და ბიზნესში უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით. 1924 წელს დემოკრატიულმა ეროვნულმა კომიტეტმა სთხოვა მას სათავეში ჩასდგომოდა ქალთა საკითხების კომიტეტს. იგი დათანხმდა და „ქვეყნის ყველა ქალთა ორგანიზაციისგან“ რეკომენდაციები მოითხოვა, თუ რა პლატფორმისთვის დაეჭირათ მხარი. კაცების კომიტეტმა ქალების არც ერთი რეკომენდაცია არ მიიღო და, გარდა ამისა, ელეანორი სხდომაზეც კი არ დაუშვა. მაგრამ მან და სხვა ლიდერმა ქალებმა აიძულეს კაცები, რომ ქალი დელეგატებისა და მოადგილეების არჩევის უფლება ეღიარებინათ. თუმცა, ამ ქალებს რეალური უფლებები არ ჰქონდათ. ამიტომ ელეანორ რუზველტმა თავისი საქმიანობა გააქტიურა, 1928 წელს წარმატებული წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა და ქალებს პოლიტიკური აქტიურობისკენ მოუწოდა. „ქალებმა უნდა ისწავლონ კაცური თამაში,“ – დაწერა მან ჟურნალში Redbook. 1936 წლისთვის, ელეანორისა და მოლი დიუსონის ლობირების შედეგად, 219 ქალი-დელეგატი და 302 ქალი, სათადარიგო სიაში, იქნა არჩეული.

ჯერ კიდევ 1922 წლის გაზაფხულზე, ელეანორ რუზველტმა მუშაობა დაიწყო ე.წ. ქალთა დივიზიაში და, მისთვის თანხების შესაგროვებლად, დემოკრატების ლანჩზე პოლიტიკური სიტყვით პირველად გამოვიდა. “უაღრესად მორცხვი, საჯარო გამოსვლებს მიუჩვეველი, იმაშიც არ იყო დარწმუნებული, რომ მისი ხმა საკმარისად ისმოდა“, – წერს უილიამ იანგსი თავის წიგნში „ელეანორ რუზველტი: პირადი და საჯარო

ცხოვრება"[276]. იმ დროს, ასეთი მორცხვობა გავრცელებული იყო ქალებში, რომლებიც სტერეოტიპული აღზრდის შედეგების დაძლევას ცდილობდნენ და რომლის მიხედვითაც, ქალის ადგილი საჯარო პოლიტიკურ ცხოვრებაში არ იყო.

საკუთარ თავზე გამუდმებული მუშაობით, მან დაძლია ეს უხერხულობა, გააუმჯობესა საჯარო მეტყველების უნარი, პრესკონფერენციებზე საუბრის მანერა. დაუღალავი შრომით, ელეანორმა ადგილი დაიმსახურა ქალთა დივიზიის აღმასრულებელ საბჭოში.

როგორც ლიბერალური იდეების მატარებელი, ელეანორი თავის თავს იმ ორგანიზაციებს უკავშირებდა, რომლებიც ლოიალურნი იყვნენ სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მიმართ. ამიტომ, მოგვიანებით, იგი მხარს უჭერდა ფრანსის პერკინსს ყველა მისი ინიციატივის განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ის არისტოკრატიული ოჯახიდან იყო, ელეანორ რუზველტმა მაინც გააცნობიერა, რომ ამავე დროს, სოციალურად დაუცველ ფენას – ქალებს მიეკუთვნებოდა. იგი ხშირად აკრიტიკებდა იმ დროს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალი, თავის ქალურობას კარგავს და ამ სტერეოტიპს პირადი მაგალითით ანგრევდა. მან კარგად დაინახა, რომ ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელი მისი მეგობრები, რომლებიც ჩართული იყვნენ საჯარო ცხოვრებაში, გამონაკლისს წარმოადგენდნენ. თვით მას არაერთხელ მოუხდა ქალთა მიმართ იმ დროს არსებულ სტერეოტიპებთან შეჯახება და სქესის გამო სირთულეების გადალახვა.

მეუღლის კარიერული წინსვლის პარალელურად, ელეანორს არ შეუწყვეტია აქტიურობა ქალთა ორგანიზაციებში, საკმაოდ ხშირად სიტყვით გამოდიოდა და სტატიებსაც წერდა. ხალხი თავისი პრობლემებით მასთან მიდიოდა და ელეანორიც მათ პრეზიდენტთან შუამავლობას უწევდა.

პირველი ქალბატონობის პერიოდში ელეანორ რუზველტი აქტიურად იყო ჩართული ქალთა საკითხების მოგვარებაში. იგი მონაწილეობდა ქალთა ორგანიზაციების აქტივობებში, ზრუნავდა მოქალაქეების კეთილდღეობაზე, სამოქალაქო უფლებებზე, უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევისა და სხვა პრობლემებზე, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ქალებთან იყო დაკავშირებული.

პირველი ქალბატონობის პირველივე წელს ელეანორ რუზველტი ცდილობლა ქალების ახალი კურსის ღონისძიებებში ჩაბმას. მან შეად-

[276] J. William T. Youngs, Eleanor Roosevelt : A Personal and Public Life. p.127

გინა კვალიფიცირებული ქალების სია, რომელთა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა სურდა და მოუწოდა რუზველტის ადმინისტრაციას მათი დაქირავებისკენ. მაგრამ როდესაც უარი მიიღო, არ მოერიდა თავისი იდეების პრეზიდენტისთვის გაზიარებას. ელეანორმა გადაწყვიტა პრესკონფერენციების ჩატარება მხოლოდ ქალი-ჟურნალისტებისთვის. ვინაიდან მნიშვნელოვან გამოცემებს ელეანორთან დაკავშირებული ახალი ამბების გამოქვეყნება სურდათ, მათ რედაქციაში ქალების დასაქმება დაიწყეს. ამ გადაწყვეტილებით ელეანორმა ქალი ჟურნალისტების პრესტიჟი ასწია, რადგან მანამდე ისინი მხოლოდ მოდის შესახებ სტატიებს აქვეყნებდნენ, ასევე, პოლიტიკური თუ სოციალური საკითხების გაშუქების შესაძლებლობა მისცა, რაც მანამდე კაცი ჟურნალისტების პრივილეგიას წარმოადგენდა. ამის შემდეგ ქალის, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის, სტატუსი ამაღლდა. გარდა ამისა, ელეანორს სურდა, რომ ქალი-ამომრჩევლები ინფორმირებულები ყოფილიყვნენ და, რაც მთავარია, უნდოდა მათი დარწმუნება, ელაპარაკათ პოლიტიკაზე და თავიანთ პირად მიზნებსა და ოცნებებზე. ეს მას იმდენად სურდა, რომ თავისი პირველი წიგნი, რომელიც პირველი ქალბატონობის დროს გამოსცა, დაასათაურა შემდეგნაირად: „ეს ქალების საქმეა“[277].

ელეანორ რუზველტი მუშა-ქალებს ყველგან იცავდა – პრესკონფერენციებზე, სტატიებსა თუ საჯარო გამოსვლებში, რადიოში. მას ესმოდა, რომ ახალი კურსის შედეგებით უმუშევარი ქალები ბევრად ნაკლებად სარგებლობდნენ, ვიდრე კაცები. ადმინისტრაციაში სხვა ქალებთან ერთად, ის მუშაობდა ე.წ. „ში-ში-ში“ (She-She-She Camps) ქალთა ბანაკების შექმნაზე და ცდილობდა ქალების ჩართვას ახალგაზრდობის ეროვნული ადმინისტრაციისა და ხელოვნების ფედერალურ პროგრამებში.

ომის დაწყების შემდეგ ის მხარს უჭერდა ქალების ჩართულობას სამხედრო მრეწველობის დარგებში, მათ ჯარში წასვლას და სამხედრო სამსახურში უფრო მნიშვნელოვანი საქმეების კეთებას, ვიდრე მდივნობა იყო. ის ასევე ზრუნავდა, რომ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველეყო ფრონტზე წასული ქალების ბავშვებისა და ოჯახების მოვლა. იგი კენედისაც არწმუნებდა, რომ რაც შიძლება ბევრი ქალი დაესაქმებინა ადმინისტრაციაში, რაც საბოლოოდ ქალთა საკითხებზე საპრეზიდენტო კომისიის შექმნით და ამ კომისიის თავმჯდომარედ ელეანორ რუზველტის დანიშვნით დასრულდა.

[277] Eleanor Roosevelt. It's Up the the Women. Introduction by Jill Lepore. NY: Nation Books, 1933.

როდესაც მან თეთრი სახლი დატოვა, ქალთა თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლაზე უარი არ უთქვამს და ტრუმანსაც და კენედისაც არწმუნებდა, რომ საჭირო იყო მაღალ თანამდებობებზე მეტი ქალის დანიშვნა. ამ ბრძოლოსთვის იგი სხვადასხვა ადგილს იყენებდა: გაეროს, ფერადკანიანთა მხარდაჭერის ეროვნულ ასოციაციას, აფროამერიკელი ქალების ეროვნულ საბჭოს, ორგანიზაციას ამერიკელები დემოკრატიისთვის, საგაზეთო სვეტს „ჩემი დღე“ და მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციას. ელეანორ რუზველტი თვლიდა, რომ ქალებს განსაკუთრებული უნარი აქვთ, იყვნენ მშვიდობისმყოფელები, დიპლომატები, დედები, მაგრამ იგივე თვისებები მათ კარგ პოლიტიკოსებად, რეფორმატორებად, ადვოკატებად და, საერთოდ, პროფესიონალებად აქცევს.

ფაქტობრივად, ელეანორ რუზველტმა მომავალი პირველი ლედის სტანდარტი შექმნა, რომელსაც, ალბათ, მხოლოდ ჰილარი კლინტონი მიუახლოვდა. მას შემდეგ, რაც იგი პირველი ქალბატონი გახდა, მისი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება და დამოუკიდებლობა კიდევ უფრო გაიზარდა. ელეანორის მოღვაწეობა განსაკუთრებით ღირებული გახადა მისმა მრავალმა პროექტმა, რომელთა დამსახურებით მილიონობით ამერიკული ოჯახისთვის საცხოვრებელი პირობებისა და დეპრესიით გამოწვეული კრიზისის შემსუბუქება მოხერხდა. ელეანორის პოლიტიკური აქტივობა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებისა და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დასაცავად, მას უპრეცედენტოს ხდიდა, ამ როლის ყოფილ შემსრულებლებთან შედარებით.

პირველმა ქალბატონობამ კიდევ უფრო გააააქტიურა იგი დიდ პოლიტიკაში. სტატიები, საჯარო გამოსვლები, ყველანაირი მედია აქტიურობა, საჭირბოროტო საკითხებზე დისკუსიების პროვოცირება და მათში აქტიური მონაწილეობა, ეხმარებოდა მას ხალხთან მუდმივი კავშირი ჰქონოდა.

ადამიანის უფლებების დასაცავად გადადგმული პირველი ნაბიჯები მისთვის ქალთა საკითხებზე ყურადღების გამახვილებით დაიწყო. ის ცდილობდა შრომასთან დაკავშირებული მათი უფლებების დაცვას და ამისთვის პირველი ქალბატონის პრივილეგიებს მოხერხებულად იყენებდა. ელეანორ რუზველტმა პირველი ლედის სტატუსით, 348-იდან პირველი პრესკონფერენცია 1933 წლის 6 მარტს გამართა, რომელსაც დაახლოებით 35 ქალი ჟურნალისტი ესწრებოდა. პრესკონფერენციები მას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას აძლევდა.

მამაკაც ჟურნალისტებს ამ პრესკონფრენციებზე დასწრება ეკრძალე-

ბოდათ. ვინაიდან მნიშვნელოვან გამოცემებს ელეანორთან დაკავშირებული ახალი ამბების გამოქვეყნება სურდათ, მათ რედაქციაში ქალების დასაქმება უწევდათ. ელეანორმა ამ გადაწყვეტილებით ქალი ჟურნალისტების პრესტიჟიც ასწია, რადგან მანამდე ისინი მხოლოდ მოდის შესახებ სტატიებს აქვეყნებდნენ და პოლიტიკური თუ სოციალური საკითხების გაშუქების შესაძლებლობა მისცა, რაც კაცი ჟურნალისტების პრივილეგიას წარმოადგენდა. ამის შემდეგ ქალის, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის, სტატუსი ამაღლდა.

ელეანორ რუზველტის დამოკიდებულება ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხისადმი კარგად აისახა, მოგვიანებით, 1948 წელს მისი თავმჯდომარეობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის წევრების გადაწყვეტილებაში, რომლებმაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში შრომასთან დაკავშირებული შემდეგი მუხლები შეიტანეს:

- მუხლი 23.1 – „ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება".[278]
- მუხლი 23.2 – „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურებისა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე".[279]

ასეთივე ხასიათის არის მუხლები, დაკავშირებული განათლების მიღების, თანაბარ შესაძლებლობასთან. მისი ქმედებები მიმართული იყო თითოეული კაცისა თუ ქალის საარსებო ხელფასისა და პირობების გაუმჯობესებისკენ, თითოეული ადამიანისთვის განათლებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფისკენ.

ელეანორის ქმედებები: ბრძოლა დიდი დეპრესიით გამოწვეული მძიმე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის, პრესკონფერენციებზე ქალი ჟურნალისტებისთვის პრივილეგიების მინიჭების დიპლომატიური გადაწყვეტილება, ანტისეგრეგაციული დამოკიდებულების პროპაგანდა, კერძოდ, 1938 წელს გამართულ სამხრეთის კონფერენციაზე დემონსტრაციულად შავკანიანთა და თეთრკანიანთა შუაში დაჯდომა, ჟურნალ-გაზეთებში აფროამერიკელ სტუდენტებთან ერთად გადაღებული ფოტოების გავრცელება და მრავალი სხვა ქმედება ხელს უწყობდა ჰუმანური, ლიბერალური იდეალების გავრცელებას. მისი ყველა ეს ქმედება ამზადებდა სა-

[278] The Universal Declaration of Human Rights, Article 23.1. http://www.un.org/Overview/rights.html
[279] The Universal Declaration of Human Rights, Article 23.2. http://www.un.org/Overview/rights.html

ზოგადოებას და ქმნიდა ფონს ცვლილებებისთვის. უდავოა, რომ ელეანორის ქარიზმატული ბუნება და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებთან საოცარი დოპლომატიური მიდგომის გამოცდილება ადამიანის უფლებათა დეკლარაციის წარმატებულად შექმნისა და პროპაგანდის მიზეზი გახდა.

დეკლრაციასთან დაკავშირებით ელეანორი ამბობდა: „ბოლოს და ბოლოს საიდან იწყება საყოველთო უფლებები? მცირე ადგილებიდან: სახლთან ახლოს... თუ ეს უფლებები მნიშვნელოვანია ასეთ ადგილებში, მაშინ მათ მნიშვნელობა ექნება ყველგან".[280]

ელეანორს, მისი მოღვაწეობის მასშტაბებიდან გამომდინარე, ალბათ, მსოფლიოს პირველი ლედი შეიძლება ვუწოდოთ. დღემდე დეკლარაცია ინარჩუნებს გავლენას მსოფლიო პოლიტიკაზე, ადამიანის უფლელების კომისია კი განაგრძობს აქტიურ მუშაობას, ყოველწლიურად მართავს შეხვედრებს ჟენევაში, რათა შეაფასოს უახლესი ვითარება ადამიანის უფლებების სფეროში, აფიქსირებს ამ უფლებების დარღვევის შემთხვევებს. ვფიქრობ, ელეანორ რუზველტის ღვაწლი და მემკვიდრეობა არ დაკარგულა და მის ამ დაუღალავ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. დღემდე ხდება ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვა, იმ უფლებების, რომლებსაც ელეანორ რუზველტი მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისას იცავდა და რომლებიც 1948 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის საყოველთაო უფლებათა დეკარაციაში დააკანონა.

ისტორიკოსები ხშირად კამათობენ, იყო თუ არა ელეანორ რუზველტი ფემინისტი. ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ის ფემინისტი არ იყო, არგუმენტად მოაქვთ ელეანორ რუზველტის დამოკიდებულება ქალთა ეროვნულ პარტიასა და შესწორებასთან თანაბარი უფლებების შესახებ.[281] მათი არგუმენტი, ასევე, ის იყო, რომ ელეანორ რუზველტი სოციალურ საკითხებს არ განიხილავდა მხოლოდ როგორც ქალთა პრობლემებს.[282]

უმრავლესობა თვლის, რომ, ვინაიდან ელეანორ რუზველტი „სოციალურ პრობლემებს უნიკალური გენდერული ჯგუფის თვალით არ განიხილავდა, საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციის ნიშნებს პოულობდა

[280] John F. Sears, Eleanor Roosevelt and The U.D.H.R. p.4 http://www.fdrlibrary.marist.edu/library/pdfs/sears.pdf

[281] ელეანორ რუზველტი და მუშა ქალების ლიდერები თვლიდნენ, რომ ეს შესწორება ძირს უთხრიდა იმ საკანონმდებლო წარმატებას, რომელსაც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე მიაღწიეს.

[282] Lois Scharf, "ER and Feminism" in *Without Precedent: The Life and Career of Eleanor Roosevelt*. Edited by Marjorie Lightman and Joan Hoff-Wilson. Indianapolis: University of Indiana Press, 1984, p.233.

და განსაზღვრავდა, ქალების არასრულფასოვნების მიზეზებს სწავლობდა და მათ აღმოფხვრაზე იყო კონცენტრირებული", ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად არის „არა". თუმცა, სხვების აზრით, ელეანორ რუზველტის ორმოცწლიანი კამპანია ქალების თანასწორუფლებიანობისთვის, მათი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში გააქტიურებისათვის ამტკიცებს გენდერული თანასწორუფლებიანობის მიმართ მის ერთგულებას. ამავე დროს, ისინი ეთანხმებიან იმ შეხედულებას, რომ 1920-40-იან წლებში ელეანორი წინააღმდეგობას უწევდა თანასწორუფლებიანობის შესწორებას, მაგრამ ეს წინააღმდეგობა 1950-იანებში შეწყვიტა. ამ ისტორიკოსებისთვის ელეანორ რუზველტი ფემინისტი იყო, ვინაიდან ფემინიზმის მათეული გაგება უფრო ფართოა, ვიდრე გენდერული ანალიზისადმი ერთგულება.

ორივე შეფასების უკან საკმარისი არგუმენტები არსებობს. მეორე ჯგუფის მოსაზრების გასამაგრებლად ცხოვრების ბოლო წლებში ელეანორ რუზველტის მოღვაწეობა შეიძლება გავიხსენოთ, განსაკუთრებით, როდესაც ის კენედის ქალთა სტატუსის საპრეზიდენტო კომისიას ხელმძღვანელობდა. მაგრამ, ამასთან ერთად, თავის ბოლო ნაშრომში „ქალის ადგილი ომის შემდე"[283] წერდა, რომ ამერიკაში ქალების უმრავლესობის უმთავრესი მოვალეობა კვლავ ოჯახის შექმნა და ბავშვების აღზრდაა. უდავოა, რომ დეპრესიის და მისი შემდგომი წლების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და გავლენიან ქალბატონსაც კი ჯერ კიდევ ორაზროვანი დამოკიდებულება ჰქონდა ქალების როლსა და ადგილზე საზოგადოებაში. მაშინ ისმის კითხვა: როგორ უნდა ეპოვათ ქალებს თავიანთი შესაფერისი ადგილი საზოგადოებაში, როდესაც პირველ ქალბატონსაც კი არ გააჩნდა ამომწურავი და ერთგვაროვანი პასუხი ამ კითხვაზე? თუმცა, ვფიქრობ, ის მაინც უფრო ფემინისტი იყო, ვიდრე არა. მთავარი კი ის არის, რომ ის იყო ქალი, რომელმაც დაანახა სამყაროს, რომ საქმის კეთება ქალებსაც შეუძლიათ.

[283] Eleanor Roosevelt. Woman's Place After the War. In Chck, August, 1944. The Social Welfare. History Project. VCU Libraries. http://socialwelfare.library.vcu.edu/woman-suffrage/womans-place-war/

ქალი-სახელმწიფო მდივნების ჩოლი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში

თუკი 1990-იან წლებამდე ამერიკელებისთვის ნარმოუდგენელი იყო სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ქალის მოსვლა, დღეისთვის შეერთებულ შტატებში ამ მაღალ თანამდებობაზე უკვე სამი ქალი იყო და ქალის გაპრეზიდენტების შესაძლებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრიც მომწიფდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქალებს შესაძლებლობა მიეცათ, შეელწიათ კაცების საქმიანობის ტრადიციულ სფეროებში, თანაც ასეთ მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მსგავსი მაგალითები მეტყველებს იმაზე, რომ შტატებში უკვე არ არსებობს ე.წ. შუშის ჭერი, ანუ გარკვეული „კაცური" თანამდებობებისაკენ გზა ქალებს გადაკეტილი არ აქვთ.[284]

ჩემი მიზანი არ არის ამერიკელი ქალი-სახელმწიფო მდივნების მოღვაწეობის დეტალური აღწერა. თითოეული მათგანი ცალკე სქელტანიან მონოგრაფიას იმსახურებს. შევეცდები მხოლოდ მათი საქმიანობის განზოგადოებას და საერთო ნიშნების გამოკვეთას. არსებობს თუ არა თავისებურებები, რომლებიც ზოგადად ქალი სახელმწიფო მდივნების პოლიტიკურ საქმიანობაში შეიძლება შევამჩნიოთ? რა საერთო აქვს ამ სამ წარმატებულ ქალს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად, აუცილებლად მიმაჩნია თითოეული მათგანის პიროვნული შესაძლებლობების, სახელმწიფო მდივნობამდე მათი გზისა და მოღვაწეობის ცალკეული ასპექტების შესწავლა. საერთო დასკვნების გამოტანაში კი შედარებითი ანალიზის მეთოდი გამომადგება.

მაინც ვინ არიან ეს ქალბატონები? როგორია მათი წარმოშობა, განათლება, პიროვნული თვისებები, ინტერესები და ა. შ.? გავიხსენოთ თითოეული მათგანი, კერძოდ, მედელინ ოლბრაიტი, კონდოლიზა რაისი და ჰილარი კლინტონი.

ამერიკელმა მკვლევრებმა ქალი-სახელმწიფო მდივნების მოღვაწეობა კარგად შეისწავლეს.[285] ასევე გამოქვეყნდა მემუარული ლიტერატურა[286], რომელიც ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა თითოეული ქალი-სახელმწიფო მდივნის შესახებ. ქართულ ამერიკისმცოდნეობაში

[284] ე. მეძმარიაშვილი, ამერიკელი ქალი და არჩევნები, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ.270-271.

[285] Felix Antonia, Condi. The Condoleezza Rice Story, New York: Newmarket Press, 2002.

[286] Albright Madeleine, Madam Secretary A Memoir, With Bill, New York: The Easton Press, 2003; Clinton Hillary Rodham, Living History, New York: Simon&Schuster, 2003.

აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი. ამ თემაზე მხოლოდ თითო-ოროლა სტატია[287] და სამაგისტრო ნაშრომი დაიწერა (რომელთა ავტორები, ძირითადად, ჩემი სტუდენტები არიან). ეს უკანასკნელი იმის მაჩვენებელია, რომ სტუდენტებს შორის ქალი პოლიტიკოსების მიმართ ინტერესი არსებობს.

ქალი სახელმწიფო მდივნების შეერთებული შტატების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისათვის, უპირველესად, ობიექტური მიზეზები, კერძოდ, ქვეყანაში არსებული ვითარება იყო საჭირო. მართლაც, ქალმა მონაწილეობა რომ მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური, სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში, თვით საზოგადოება უნდა იყოს მზად გაითავისოს ქალის ახალი სოციალური თუ პოლიტიკური როლი. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ რთული ამოცანაა. თუმცა, ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა:

- ქალთა მოძრაობის აღმავლობა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით, 1980-იან წლებში.
- ამ მიმართულებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გააქტიურება.
- ქალების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური როლის შეცვლა, მათი გააქტიურება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- ცალკეული წარმატებული ქალი-პოლიტიკოსების გამოჩენა ასპარეზზე, მათი პოპულარობის ზრდა და ა.შ.[288]

მაგრამ მიუხედავად მრავალწლიანი ძლიერი ფემინისტური მოძრაობისა, 1990-იანი წლებისთვის შეერთებული შტატების სენატსა და კონგრესში ქალების წარმომადგენლობა არც ისე დიდი იყო. კარგად ჩანდა ისიც, რომ არსებობდა ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით, კლინტონის პრეზიდენტობის წლებში, რაც მისი ადმინისტრაციის ქალების საკითხებისადმი დამოკიდებულების შედეგი იყო. შეერთებული შტატების საინფორმაციო

[287] ანა გიორგობიანი, ჰილარი ქლინთონი შეერთებული შტატების სენატორი, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“, III, გამომცემლობა „კლიო“, თბილისი, 2005, გვ 475-479; ტატიანა დენისოვა, მედელინ ოლბრაიტის ფენომენი, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“, II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ.235-242; თამარ მაისაშვილი, კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“, II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 259-262.

[288] ე. მეძმარიაშვილი, ქალი-პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი?, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები, IV, გამომცემლობა „კლიო“, თბილისი, 2006, გვ. 207.

სააგენტოს (USIA) ელექტრონული ჟურნალისადმი თეთრი სახლიდან გაგზავნილ პრეზიდენტის განცხადებაში ეწერა: „...ჩვენ მიერ შეთავაზებულია გადამწყვეტი პრაქტიკული ღონისძიებები, რათა ...ქალების ხმა გაგონილ იქნას სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. უპრეცენდენტო რაოდენობა ქალებისა, რომელებიც დავნიშნე სხვადასხვა თანამდებობაზე ჩემს კაბინეტში, აგრეთვე ხელმძღვანელ თანამდებობებზე ფედერალური მმართველობის სისტემაში, ზოგადად, გამოხატავს ჩემს რწმენას, რომ ქალები სრულუფლებიანი პარტნიორები უნდა იყვნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში".[289]

ალბათ, ქალთა საკითხებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო კლინტონის ადმინისტრაციაში პირველი ქალი სახელმწიფო მდივნის მედელინ ოლბრაიტის დანიშვნა ამ მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე. თუმცა, ეს საკმარისი არ იქნებოდა, რომ არა ამ ქალბატონის და მისი მომდევნო ქალი-სახელმწიფო მდივნების პიროვნული თვისებები, ანუ სუბიექტური მიზეზებიც.

კერძოდ, რა განსაკუთრებული თვისებებია საჭირო, რომ ქალმა კანდიდატმა სახელმწიფოში მაღალი არჩევითი თანამდებობა დაიკავოს? „ის უნდა იყოს: ამბიციური, უაღრესად შრომისმოყვარე, ანალიტიკური და ნათელი გონების, შორსმჭვრეტელი, გულადი, თამამი, ენერგიული, განათლებული".[290]

ალბათ, ეს ჩამონათვალი არასრულია და შეიძლება კიდევ სხვა პუნქტების ჩამოთვლა. სამივე ამერიკელმა ქალმა-სახელმწიფო მდივანმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა.

ისეთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოშიც კი, როგორიც შეერთებული შტატებია, მოსახლეობის დიდი ნაწილი დიდხანს ფიქრობდა ტრადიციულად და ქალი პოლიტიკაში მაინც ნაკლებკომპეტენტურად მიაჩნდა. საზოგადოებაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ქალს არ შეუძლია ქვეყნის ბედის გადაწყვეტა, რომ ის ამისთვის ცუდათ არის მომზადებული. მაგრამ ამერიკელმა ქალმა-სახელმწიფო მდივნებმა ეს სტერეოტიპი დაანგრიეს. მიუხედავად განსხვავებული წარმოშობისა თუ კანის ფერისა, თითოეულმა მათგანმა საკმაოდ კარგი განათლება მიიღო.

მაგალითად, მედელინ ოლბრაიტი, რომელიც შეერთებული შტატების რიგით 64-ე სახელმწიფო მდივანი გახდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირ-

[289] «Изменения социально-политической роли женщины в США». В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997 г.

[290] ე. მეძმარიაშვილი, ქალი-პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი?,., გვ.209..

ველი ქალი იყო ასეთ მაღალ თანამდებობაზე და სუსტი სქესის ყველაზე „მაღალჩინოსანი" წარმომადგენელი ამერიკის სამთავრობო იერარქიის ისტორიაში. მისმა წარდგენამ ამ პოსტზე მაშინ შოკი გამოიწვია. „ბიჭები გაოგნებულები არიან, – წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი, - ისინი ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ ასე მოხდებოდა"[291]. პრეზიდენტის მრჩევლებისთვისაც კი ქალი-სახელმწიფო მდივანი წარმოუდგენელი იყო[292]. საუბრობდნენ იმაზეც, რომ ამ დანიშვნაზე გავლენა იქონია პირველმა ქალბატონმა, რომელსაც ოლბრაიტი პეკინის კონფერენციის შემდეგ ძალიან დაუახლოვდა[293]. მართლაც, ბილ კლინტონმა ჰილარის ციტირება მოახდინა: „თუკი მედელინს აირჩევთ, მიიღებთ ადამიანს, რომელიც თქვენს ღირებულებებს იზიარებს, რომელიც თქვენი საგარეო პოლიტიკის მჭერმეტყველი დამცველია და ვინც ყველა ქალიშვილს სიამაყით აღავსებს"[294]. მართლაც, მისმა დანიშვნამ ამ თანამდებობაზე გზა გაუხსნა ქალებს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში. ქალები „გამოჩდნენ და მათ ხმას უსმენენ სახელისუფლო დერეფნებსა და ოთახებში, რაც მანამდე არასდროს ყოფილა", – წერია ქალთა საგარეო პოლიტიკური ჯგუფის (WFPG) კვლევაში.[295]

მედელინის „ცხოვრებაც და პიროვნული თვისებებიც საკმაოდ არაორდინალურია. მეორე თაობის ემიგრანტს, რომელიც ამერიკაში 11 წლის ასაკში აღმოჩნდა, ასეთი თავბრუდამხვევი კარიერა რომ გაეკეთებინა (როდესაც სხვები მის ადგილას დაკმაყოფილდებოდნენ უბრალოდ ამერიკის მოქალაქეობის მიღებით), საჭირო იყო ფენომენალური მიზანდასახულობა და ნებისყოფა."[296] მედელინმა ძვირფასი კერძო სკოლა დაამთავრა, სწავლობდა პრესტიჟულ კოლეჯში, სადაც სტიპენდია მიიღო. თავის პოლიტიკურ კარიერაზე ზრუნვა მან 1970-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და სახელმწიფო მდივნობამდე არაერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა მოსინჯა, რომლებზეც თავისი პიროვნული თვისებები გამოავლინა და გამოცდილება შეიძინა.

მედელინს საკმაოდ მამაკაცური მიდგომა ჰქონდა რთული საკითხების გადაწყვეტისას. დიპლომატიური გამოცდილებისა და მოლაპარაკებების ტაქტიკის არქონის გამო, ის მუქარის, სანქციებისა და ზოგჯერ სამხედრო

[291] Albright Madeleine, Madam Secretary.., p.273.
[292] Ibid., p.278.
[293] Ibid., p.279.
[294] Ibid., p.280.
[295] wfpg.org.
[296] ტატიანა დენისოვა, მედელინ ოლბრაიტის ფენომენი, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ.235.

ჩარევის გზასაც კი იყენებდა. ოლბრაიტის საყვარელი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი ეკონომიკური სანქციები იყო. ის თვლიდა, რომ პოლიტიკაში რაციონალიზმის დაცვაა აუცილებელი. ოლბრაიტი მაღალ თანამდებობაზე რთულ დროს აღმოჩნდა. ცივი ომის დასრულების შემდეგ საჭირო გახდა ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გამონახვა. ოლბრაიტისთვის პრიორიტეტი გახდა: ყველაფერი შეერთებული შტატებისა და ამერიკელი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. ის ითვალისწინებდა იმას, რომ ამერიკა დაინტერესებულია, მსოფლიოს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გახდეს დემოკრატიული, რადგან „დემოკრატები ერთმანეთს თავს არ ესხმიან"[297]. და ამ მიმართულებით შესაბამის ნაბიჯებს დგამდა. ამასთან ერთად, ოლბრაიტის დანიშვნამ და საქმიანობამ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ფართოდ გაუღო კარი ქალებს ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, მათ შორის, კონდოლიზა რაისსაც.

მედელინ ოლბრაიტისაგან განსხვავებით, კონდოლიზა რაისი ემიგრანტის ოჯახში არ დაბადებულა, მაგრამ ის აფროამერიკელია. ამან ბევრად განსაზღვრა მისი ცხოვრებისეული გზა. უკეთესი ცხოვრებისა და მომავლისათვის ბრძოლაში მან გამოიყენა თავისი სამი უმთავრესი იარაღი: ცოდნა, თვითდაჯერებულობა და ღვთისადმი უდიდესი რწმენა, რათა ადგილი დაემკვიდრებინა, მისი სიტყვებით, უსამართლო საზოგადოებაში. კონდოლიზა რაისს პასუხისმგებლობის გრძნობა კარგად ჰქონდა გათავისებული და აკეთებდა ყველაფერს, რათა თავისი ცოდნა სწორედ ამ კუთხით წარემართა.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ მანდელბაუმმა კონდოლიზა რაისის ბიოგრაფიულ სტატიაში შემდეგი რამ იწინასწარმეტყველა: „მას აქვს კაბინეტში მუშაობის უნარი – მას შეუძლია სახელმწიფო მინისტრი გახდეს"[298]. ეს დაიწერა 5 წლით ადრე, სანამ კონდი შეუერთდებოდა ჯორჯ (უმცროსი) ბუშის საპრეზიდენტო კამპანიას, როგორც მისი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, 6 წლით ადრე, ვიდრე ის უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ბუშის მრჩეველი გახდებოდა და 10 წლით ადრე, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობას დაიკავებდა. 40 წლის ასაკისთვის კონდი უკვე უსაფრთხოების სფეროში მთავარი ფიგურა იყო. მან არ გაუცრუა იმედი მათ, ვისაც სჯეროდა, რომ ის ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული

[297] Blackman Ann, Seasons of Her Life: A Biography of Madeleine Korbel Albright, New York: Scribner, 1998, p.330.

[298] Felix Antonia, Condi. The Condoleezza Rice Story, New York: Newmarket Press, 2002, p.191.

პოლიტიკის უმაღლეს ეშელონებში გამოჩნდებოდა[299]. სანამ კონდი სახელმწიფო მდივნად დაინიშნებოდა, ის იყო ეროვნული უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პრეზიდენტისა და მისი მეუღლის არა მარტო მრჩეველი, არამედ მათი ოჯახის საკმაოდ ახლო მეგობარი. კონდი აქტიურად ჩაერთო ბუში უმცროსის საარჩევნო კამპანიაში, რომელსაც იგი სჭირდებოდა როგორც ქალი ქალთა ხმების მისაღებად და როგორც აფროამერიკელი, რათა განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინათ უმცირესობების მნიშვნელობისთვის ბუში უმცროსის ადმინისტრაციაში. კონდი იყო, აგრეთვე, წევრი პროგრამისა „ქალები ქალებისთვის", რომლის დახმარებითაც რესპუბლიკურმა პარტიამ დემოკრატიული პარტიიდან ქალთა ხმების მიზიდვა შეძლო.

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ იგი უფრო გააქტიურდა და თავისი მუშაობის სტილით „დაემსგავსა იმ სახელმწიფო მდივნებს, კერძოდ, ჰენრი კისინჯერსა (ნიქსონის ადმინისტრაციაში) და სემუელ ბერგერს (კლინტონის ადმინისტრაციაში), რომლებიც უფრო მეტად პოლიტიკოსები იყვნენ, ვიდრე მისი კოორდინატორები და მენეჯერები".[300] მას მოუხდა მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, როგორიცაა „ეროვნული უშიშროების სტრატეგია", რომელსაც, ფაქტობრივად, მსოფლიო პოლიტიკაში ამერიკის როლი უნდა განესაზღვრა.

რაისის საგარეო პოლიტიკური შეხედულებები კონსერვატიზმსა და პოლიტიკური რეალიზმის ხედვას ეფუძნებოდა. მისი სიტყვებია: ჩვენ ვცდილობთ, ომამდე არ მივიდეთ, მაგრამ ხანდახან მშვიდობის მისაღწევად სერიოზულად უნდა განვეწყოთ იარაღის გამოყენებისთვის. კონდოლიზა რაისი თავისი შრომისმოყვარეობით, პოლიტიკური გამჭრიახობით და ცოდნის წყალობით, შეუცვლელი გახდა თეთრი სახლის სახელმწიფო პოლიტიკისთვის. კონდიც, მედელინ ოლბრაიტის მსგავსად, თავის წარმატებას ყველა ქალის დიდ წარმატებად მიიჩნევდა.

წარმატებულ პოლიტიკოს ქალებს შორის ჰილარი კლინტონს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის პირველ ქალბატონებს შორის პირველია, ვინც შეერთებული შტატების სენატორი, პრეზიდენტობის კანდიდატი და, ასევე, სახელმწიფო მდივანი გახდა. ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნა ობამას სწორ ნაბიჯად აღიქვეს. პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ ის მსოფლიოში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ავტორიტეტით სარ-

[299] მეძმარიაშვილი, ქალი-პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი? გვ.:209.
[300] Felix, op.cit., p.196.

გებლობს, აქვს საკმარისი გამოცდილება, ცოდნა და კონტაქტები. 108-ე კონგრესის საქმიანობის დროს მან უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად დაისახა ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები. საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას აცხადებდა, რომ საჭიროა მეტი ინტერნაციონალიზმი, ვიდრე იზოლაციონიზმი. მისთვის მთავარია მსოფლიოში შეერთებული შტატების ლიდერობის შენარჩუნება და დაცვა. ჰილარის აზრით, ყველაზე სწორი სტრატეგიული არჩევანია მშვიდობა და საგარეო დახმარების გაწევა, რაც ამერიკას ჰეგემონობის შენარჩუნებაში ეხმარება. მსოფლიო პრობლემებს ის შეერთებული შტატების პრობლემებად მიიჩნევს, რაც, მისი აზრით, ლიდერად დარჩენის შესაძლებლობას ქმნის. ამასთან ერთად, ის, ისევე, როგორც წინა ორი ქალი-სახელმწიფო მდივანი, შეიძლება „ქორად" ჩავთვალოთ. მან თავის დროზე ხმა მისცა ომს ერაყში მაშინ, როდესაც ობამამ ამას მხარი არ დაუჭირა. მართალია, 2014 წლისთვის სახელმწიფო მდივნის თანამდებობა უკვე აღარ ეკავა, მაგრამ აშშ-ის მომავალი პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მოიაზრებოდა და ასეც მოხდა.

ამგვარად, დავუბრუნდები მთავარ კითხვებს: რა საერთო აქვს სამ წარმატებულ ქალს – სახელმწიფო მდივანს? არსებობს თუ არა თავისებურებები, რომლებიც ზოგადად ქალი სახელმწიფო მდივნების პოლიტიკურ საქმიანობაში არსებობს? ვფიქრობ, ამ კითხვებზე დადებითი პასუხის გაცემა შესაძლებელია. კერძოდ,

- სამივეს მიღებული აქვს კარგი განათლება.
- აქვთ მეტნაკლებად ერთიდაიგივე კონკრეტული პიროვნული თვისებები: მიზანდასახულობა და ნებისყოფა, ინტუიცია, ენერგიულობა და სიმტკიცე, კომუნიკაბელურობა, პრობლემების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, სხვების დარწმუნების უნარი, სუპერპატრიოტიზმი, შრომისუნარიანობა, პროფესიონალიზმი, „მამაკაცური" მიდგომა საკითხების გადაწყვეტისას, რაციონალიზმი, თვითდაჯერებულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, პოლიტიკური გამჭრიახობა, მუშაობის ანალიტიკური სტილი, გამოცდილება.

  მაგალითად, კონდი საკმაოდ მორწმუნეა, რასაც დანარჩენებზე ვერ ვიტყვი. მედელინ ოლბრაიტს, ამტკიცებენ მკვლევრები, მუშაობის ანალიტიკური სტილი მაინცდამაინც არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ეს ჰილარი კლინტონისთვის არის დამახასიათებელი. ჰილარი უაღრესად პედანტურიც არის და განსახილველი საკითხის ყველა დე-

ტალს უღრმავდება, სერიოზული და გულახდილია. ასევე, მისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული რაციონალიზმი.

ამ სამი ქალბატონიდან ვერც ერთს ვერ ჩავთვლით ფემინისტად, თუმცა, ასეთად ხატავდნენ ჰილარის. სამივე ზრუნავდა ქალთა საკითხებზე, განსაკუთრებით, ეს უკანასკნელი. მაგალითად, კონდიც, მედელინ ოლბრაიტის მსგავსად, თავის წარმატებას ყველა ქალის დიდ წარმატებად მიიჩნევდა.

- სამივესთვის ეროვნული უსაფრთხოების საკითხები პრიორიტეტული იყო. საგარეო პოლიტიკაში მხარს უჭერდნენ მეტ ინტერნაციონალიზმს, ვიდრე იზოლაციონიზმს, ასევე, აუცილებლად მიაჩნდათ შეერთებული შტატების ლიდერობის შენარჩუნება და დაცვა. მათთვის აქტუალურია საგარეო დახმარების საკითხიც, რაც ხელს უწყობს მსოფლიოში ამერიკის ჰეგემონობის შენარჩუნებას.
- სიტყვიერად მათი სტრატეგიული არჩევანია მშვიდობა, მაგრამ არც ერთს არ დაუხევია უკან საკითხების ძალისმიერი მოგვარების მცდელობისას. მაგალითად, ჰილარიმ ხმა მისცა ომს ერაყში მაშინ, როდესაც ობამა ამის წინააღმდეგი იყო. ასევე ჰილარიმ ირანის „განადგურების" სურვილი გამოთქვა, თუკი ის ისრაელს თავს დაესხმებოდა. ობამა ირანის ლიდერთან მოლაპარაკების მომხრე იყო. ასეთივე აგრესიულად განწყობილები იყვნენ თავის დროზე მედელინ ოლბრაიტი და კონდოლიზა რაისი.

ამდენად, იმის მტკიცება, რომ ქალი ხელისუფლებაში უფრო მშვიდობისმოყვარე შეიძლება იყოს, ვიდრე მამაკაცი, ვფიქრობ, სიმართლეს არ შეესაბამება. ე.წ. „ქალური ქალი" აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჯერჯერობით არ ყოფილა.

ქალი-პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი?

ამ სახელწოდებით სტატია 2007 წელს გამოვაქვეყნე[301] და ჰილარი კლინტონის შესაძლო გაპრეზიდენტების ვარაუდი გამოვთქვი. მას შემდეგ ათი წელი გავიდა და კითხვა კვლავ აქტუალურია. იმდროინდელი ჩემი ვარაუდის გამართლების შანსი 2016 წლის არჩევნების დროს გაჩნდა, მაგრამ ამერიკელებმა ისევ კაცი პრეზიდენტი არჩიეს. არჩევნების შედეგები არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი განხილვის თემა იყო. მაინც, რატომ არ აირჩიეს ამერიკელმა ამომრჩევლებმა თავიანთ პრეზიდენტად ქალი? უმრავლესობა თვლის, რომ ამ შემთხვევაში კანდიდატის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

თუმცა, ამერიკული საზოგადოების დამოკიდებულება ქალისადმი პოლიტიკაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, რასაც ბოლო წლების არჩევნებიც ცხადყოფს. ამერიკელ ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ დღემდე ქალ და კაც პოლიტიკოსებს განსხვავებულად აფასებენ. მაგალითად, „ვოშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი ენ კორნბლატი თავის წიგნში „ჩანაწერები გამსკდარი შუშის ჭერიდან[302]: ჰილარი კლინტონი, სარა პეილინი და რა სჭირდება ქალს გამარჯვებისთვის"[303] ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ რა როლი ითამაშა 2008 წლის არჩევნებში ჰილარი კლინტონისა და სარა პეილინის მარცხში იმან, რომ ისინი ქალები არიან. მისი აზრით, ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ამერიკელი ამომრჩევლებიც კი, რომლებიც სქესთა თანასწორუფლებიანობას აღიარებენ, ქალ პოლიტიკოსებს „ორმაგი სტანდარტით" უდგებიან. შესაბამისად, ქალებს კაცებზე ბევრად მეტი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ ამომრჩევლებს თავი მოაწონონ და თავიანთ კომპეტენციაში დაარწმუნონ.

„ორმაგი სტანდარტების" არაერთი მაგალითია, მათ შორის, ასეთიც: მაშინ, როდესაც სარა პეილინისთვის ხუთი შვილის ყოლა მინუსი იყო, ვინაიდან ის მათ გამო თავის საქმიანობას საკმარის დროს ვერ დაუთმობდა, მით რომნისთვის ხუთი შვილი დიდი პლუსი აღმოჩნდა![304] ან კიდევ, ე.წ. სამი ეიჩი (three H's) ანუ სამი სიტყვის აბრევიატურა: Hair (ვარცხნილობა), Hemlines (ქვედა ბოლოს სიგრძე) და Husband (ქმარი), რითაც იმ

[301] ქალი – პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი? კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", IV, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006, გვ.206-210.

[302] „შუშის ჭერი" ვთარგმნე როგორც „უხილავი ჭერი", ვინაიდან მას ამ მნიშვნელობით იყენებენ.

[303] Anne E. Kornblut. Notes from the Cracked Ceiling: Hillary Clinton, Sarah Palin, And What It Will Take For A Woman To Win. Crown Publishing Group, New York, 2011.

[304] Ibid., pp. 171-209.

ქალს აფასებდნენ, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე გადიოდა. სამივე „ეიჩი" ქალის გარეგნობას აღწერდა მისი „ზოგადად წესიერების" ჩათვლით (ქმარი ნეიტრალური მაინც უნდა ყოფილიყო).[305] დღემდე ქმრის როლი შეიძლება ფატალურიც კი აღმოჩნდეს ქალი პოლიტიკოსისთვის. ასეთი შემთხვევები შტატების ბოლო წლების ისტორიასაც ახსოვს, როდესაც ქალი-პოლიტიკოსების რეპუტაცია მათი ქმრების ბიზნეს, ფინანსურ თუ მორალურ მაქინაციებს შეეწირა და ისინი არ აირჩიეს (თუმცა, ბოლოს ყველა ინფორმაცია ჭორი აღმოჩნდა და არ გამართლდა).

ქალ-პოლიტიკოსებს რამდენიმე რჩევას აძლევენ:

1. არ ჩათვალოთ, რომ ქალები ავტომატურად ქალ-კანდიდატებს მისცემენ ხმას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მამაკაც-კონკურენტებზე უკესები იქნებიან.
2. შეამზადეთ ოჯახი – ვინაიდან, ქმრის გარდა, ზეწოლის ობიექტები ოჯახის სხვა წევრებიც, კერძოდ, შვილები, ძაღლებიც კი, იქნებიან.
3. გარეგნობა – მოხუცი და უშნო, ცუდია. მაგალითად, ჰილარი კლინტონთან დაკავშირებით ერთმა პოპულარულმა კომენტატორმა თქვა: „ნუთუ ხალხს მოეწონება ოთხი წლის განმავლობაში უყუროს ქალს, რომელიც მის თვალწინ ბერდება?" როდესაც ასეთ ასაკოვან კაცებს უყურებდნენ, პრობლემა არ ჰქონდათ. თუმცა ახალგაზრდა და ლამაზიც ცუდია. მაგალითად, მიჩიგანის გუბერნატორმა ჯენიფერ გრენჰოლმმა (Jennifer Granholm) წინასაარჩევნო კამპანიისას შავ-თეთრი ფოტოსურათების დადება დაიწყო, ვინაიდან „ზედმეტად ლამაზი" აღმოჩნდა და სურდა „ნაკლებად ლამაზი" გამოჩენილიყო. ამის შემდეგ ამომრჩეველთა მისდამი დამოკიდებულება გაუმჯობესდა.
4. შეიარაღდი სტატისტიკით და ფაქტებით, ვინაიდან განსაკუთრებულ დაკითხვას მოგიწყობენ.
5. სტერეოტიპები შენს სასარგებლოდ გამოიყენე. მაგალითად, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დემოკრატმა სპიკერმა ნენსი პელოსიმ ქალ-დეპუტატებს მორიგ სხდომაზე ცოცხით და იატაკის სარეცხი ჯოხით მისვლა სთხოვა „უმაღლესი, უმაგრესი შუშის ჭერის დასამსხვრევად".

[305] იხ. Anne E. Kornblut 2010; Six Easy Way to Madam President,"Washington Post", 12.27.2009. PressReader file :///C:/Users/User/Desktop/PressReader.com%20-%20Connecting%20People%-20Through%20News.html

„უმაღლეს და უმაგრეს შუშის ჭერზე" ფართოდ საუბარი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას დაიწყეს.[306] თანამედროვე ამერიკელ ფემინისტებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ უხილავ „შუშის ჭერს" 2016 წლის ნოემბერში, ჰილარი კლინტონის დახმარებით, ჩაამსხვრევდნენ, მაგრამ მათი იმედი ვერ გამართლდა და ჩემი ათი წლის წინანდელი სტატიაში დასმული კითხვები კვლავ აქტუალურია. ამიტომ, მკითხველს აღნიშნულ სტატიას ვთავაზობ:

პრეზიდენტი – აშშ-ის ძალაუფლების სტრუქტურის ცენტრალური ფიგურაა. რატომღაც ბოლო წლებამდე არც ერთ სპეციალისტს არ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ დღემდე ამ თანამდებობაზე არც ერთი ქალის კანდიდატურა სერიოზულად არასდროს განხილულა. უფრო მეტიც, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ქალის წამოყენების ყოველ წინადადებას აქამდე, როგორც დაუსაბუთებელს და სასაცილოსაც კი. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს (1920), ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოყენებული ყველაზე სერიოზული კანდიდატი იყო სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი, რომელსაც თვით მისი „მშობლიური" რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამაც კი 1968 წლის კამპანიის დროს ბოიკოტი გამოუცხადა.[307]

ბევრი სვამს კითხვას: სჭირდება კი ქალს ძალაუფლება? რად უნდა ის? თავმოყვარეობის, ძალაუფლებისაკენ ლტოლვის დაკმაყოფილების გამო, თუ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია და უფრო მნიშვნელოვანია სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივი საკითხების გადაწყვეტაზე ზემოქმედების, ადამიანის, ოჯახის, მოხუცების, დედებისა და ბავშვების უფლებების დაცვის სურვილი. იმისათვის, რომ ქალმა მართლაც, ფაქტობრივად, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური, სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში, თვით საზოგადოება უნდა იყოს მზად გაითავისოს ქალის ახალი სოციალური თუ პოლიტიკური როლი. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ რთული ამოცანაა. ისეთ მაღალ გან-

[306] იხ. მაგალითად, Los Angeles Times Staff. The 'highest, hardest glass ceiling': Women reflect on Hillary Clinton's historic moment. Los Angeles Times, July 28, 2016. http://www.latimes.com/politics/la-na-pol-clinton-women-20160727-snap-story.html; Meghan Keneally. Hillary Clinton's Progress Trying to 'Shatter That Highest, Hardest Glass Ceiling'. abcNEWS, November 9, 2016. http://abcnews.go.com/Politics/hillary-clintons-progress-shatter-highest-hardest-glass-ceiling/story?id=43420815; Lucy Wallis. 'Shattering the 'highest, hardest Glass Ceiling'. BBC News, March 25 2015. http://www.bbc.com/news/world-us-canada-31967516.

[307] იხ. ჟენან შერმანი. სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.187-191.

ვითარებულ სახელმწიფოშიც კი როგორიც აშშ არის, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ-ჯერობით ისევ ტრადიციულად ფიქრობს და თვლის, რომ ქალი მაინც ნაკლებად კომპეტენტურია პოლიტიკაში, არ შეუძლია ქვეყნის ბედის გადაწყვეტა, ამისთვის ცუდათ არის მომზადებული.

მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, შეერთებულ შტატებში ნელ-ნელა მწიფდება აზრი არც ისე შორეულ მომავალში ქალი-პრეზიდენტის არჩევის შესაძლებლობის შესახებ. ვფიქრობ, ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა:

- ქალთა მოძრაობის აღმავლობა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.
- ამ მიმართულებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გააქტიურება.
- ქალების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური როლის შეცვლა, მათი გააქტიურება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- ცალკეული წარმატებული ქალი-პოლიტიკოსების გამოჩენა ასპარეზზე, მათი პოპულარობის ზრდა და ა.შ.

ყურადღებას ამ უკანასკნელ გარემოებაზე გავამახვილებ.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია იწყება სიტყვებით: „ჩვენ ვაღიარებთ შემდეგ ჭეშმარიტებას: ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანად იბადება და ყველას შემოქმედმა უბოძა განუყოფელი უფლებები, როგორიც არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა". მართალია ტერმინი „ადამიანები" აერთიანებს კაცებსაც და ქალებსაც, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ დოკუმენტის შემქმნელები ტექსტში სქესების თანასწორუფლებიანობას გულისხმობდნენ. პირიქით, იურიდიული და პოლიტიკური უფლებები კოლონიების მოსახლეობის შეზღუდულმა ნაწილმა – სულ რაღაც 10-15%-მა მიიღო.[308] მოსახლეობის ამ ჯგუფში, ძირითადად, შედიოდნენ თეთრკანიანი მამაკაცები, რომლებსაც კერძო საკუთრება ჰქონდათ. კონსტიტუციის შემუშავებისას „მამა-დამაარსებლებმა", ასევე, არ გაითვალისწინეს ქალების იურიდიული და პოლიტიკური უფლებები. ეს საკითხი კონსტიტუციაშიც სრულიად იგნორირებულია.

მართალია, ყველა დემოკრატიული ძალის ათწლეულების ბრძოლას 1920 წელს, კონსტიტუციის XIX შესწორების ძალით, ქალებისთვის საარ-

[308] M.Halberstam, E.Defeis. Women's Legal Rights: International Covenants an Alternative to ERA? Dobbs Ferry (N.Y.): Transnat. Publ., 1987.-XII, p.5.

ჩევნო უფლებების მინიჭება მოჰყვა, მაგრამ მან მაინც ვერ მოსპო დისკრიმინაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში. რეალურ თანასწორობამდე კიდევ ძალიან შორს იყო.

მეცხრამეტე შესწორების შემდეგ ქალთა ეროვნულმა პარტიამ წინადადება წამოაყენა კონსტიტუციაში კიდევ ერთი შესწორების – თანასწორუფლებიანობის მუხლის შეტანის შესახებ და 1923 წლიდან დაწყებული ეს წინადადება კონგრესში ყოველწლიურად შეჰქონდათ. მხოლოდ 1972 წელს წარმომადგენელთა პალატამ ის ხმათა უმრავლესობით (354 ხმა 23-ის წინააღმდეგ).[309] კონგრესმა რატიფიკაციისთვის 7 წლიანი ვადა დააწესა. პირველი ორი წლის განმავლობაში მისი რატიფიკაცია 29 შტატმა მოახდინა, შემდეგ კი პროცესი შენელდა – 5 წლის განმავლობაში ის მხოლოდ ხუთმა შტატმა დაამტკიცა. ამიტომ 1979 წელს კონგრესმა გააგრძელა მისი რატიფიკაციის ვადა კიდევ 3 წლით, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთმა შტატმა გაიარა ეს პროცედურა.[310]

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ XXVII შესწორება მასობრივი მხარდაჭერით სარგებლობდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია და ქალების რეალური თანასწორუფლებიანობა მიუღწეველი დარჩა. სამწუხაროდ, შეერთებულმა შტატებმა არ მოახდინა ბევრი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებაც (მაგალითად, 1980 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული კონვენციის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ, კონვენციის განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, კონვენციის სამსახურში მიღებისას და პროფესიის არჩევისას და ა.შ.), რაც ახსნილი იყო ამგვარი ხელშეკრულებების რატიფიკაციისთვის აუცილებელი კონსტიტუციური უფლების არარსებობით, ასევე იმით, რომ კონვენციებში განიხილებოდა საკითხები, რომლებიც შტატების საშინაო კომპეტენციაში შედიოდა და ლახავდა მის უფლებებს.[311]

ამგვარად, ამერიკის შეერთებული შტატები არის ერთადერთი ქვეყანა დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, რომელმაც არ მოახდინა ასეთი მნიშვნელოვანი კონვენციების რატიფიცირება.

ასე რომ, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დღემდე შეერთებულ შტატებში ქალი-პრეზიდენტი არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, შტატებში მომწიფდა აზრი ქალი-პრეზიდენტის არჩევის შესაძლებლობის შესახებ. საინ-

[309] Ibid., p.17.
[310] Ibid.
[311] Ibid., p.51.

ტერესოა, რა განსაკუთრებული თვისებები არის საჭირო იმისათვის, რომ ქალმა კანდიდატმა უმაღლესი არჩევითი თანამდებობა დაიკავოს? ის უნდა იყოს:

- ამბიციური
- უაღრესად შრომისმოყვარე
- ანალიტიკური
- ნათელი გონების
- შორსმჭვრეტელი
- გულადი, თამამი
- ენერგიული
- განათლებული.

ალბათ, ეს ჩამონათვალი სრული არ არის და შეიძლება კიდევ სხვა პუნქტების ჩამოთვლა. შეუძლია თუ არა დღეს რომელიმე ამერიკელ პოლიტიკოს ქალს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება? რომელი ქალი შეიძლება თანამედროვე ამერიკულ პოლიტიკურ სპექტრში ჩავთვალოთ პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატად და რატომ?

მიმაჩნია, რომ ასეთები შესაძლოა იყვნენ დემოკრატი ჰილარი კლინტონი და რესპუბლიკელი კონდოლიზა რაისი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ მანდელბაუმმა კონდოლიზა რაისის ბიოგრაფიულ სტატიაში შემდეგი იწინასწარმეტყველა: „მას აქვს კაბინეტში მუშაობის უნარი – მას შეუძლია სახელმწიფო მინისტრი გახდეს".[312] ეს დაიწერა 5 წლით ადრე, სანამ კონდი შეუერთდებოდა ჯორჯ ბუშის (უმცროსი) საპრეზიდენტო კამპანიას როგორც მისი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, 6 წლით ადრე, ვიდრე ის უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ბუშის მრჩეველი გახდებოდა და 10 წლით ადრე, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობას დაიკავებდა! 40 წლის ასაკისათვის კონდი უკვე უსაფრთხოების სფეროში მთავარი ფიგურა იყო. მან არ გაუცრუა იმედები იმათ, ვისაც სჯეროდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ეროვნული პოლიტიკის უმაღლეს ეშელონებში გამოჩნდებოდა. ვფიქრობ, მას დიდი შანსი აქვს იმისა, რომ ამერიკის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობა დაიკავოს. მიუხედავად იმისა, რომ ის ქალია, ამასთან ერთად უმცირესობის – აფროამერიკელების წარმომადგენელი, კონდი

[312] Antonia Felix. Condi. The Condoleezza Rice Story. Newmarket Press. New York, 2002, p.191.

აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ნებისმიერ პრეზიდენტს შეიძლება წაუყენონ.

სხვათაშორის, კონდოლიზა რაისის გაპრეზიდენტება ჩვენთვისაც შეიძლება სასურველი იყოს. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების ინიციატორის სენატორ ბრიუს ჯექსონის აზრით, კონდოლიზა რაისს შეუძლია მეტი როლის თამაში საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სფეროში. მას უნარი შესწევს აიძულოს საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესებში. რატომ ფიქრობს ის ასე? იმიტომ, რომ კონდის აქვს ამის უნარი. ის ძლიერი ფიგურაა...[313]

მიმაჩნია, რომ არანაკლები პერსპექტივები აქვს სენატორ ჰილარი კლინტონსაც, რომელმაც შთამბეჭდავი პოლიტიკური კარიერა გაიკეთა და რომელიც ასევე შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

რაც შეეხება საქართველოში ქალი-პრეზიდენტის შესაძლებლობას, ეს ალბათ უფრო შორეული პერსპექტივაა. ყოველ შემთხვევაში, ამის შესაძლებლობამ ხუმრობით მაინც გაიჟღერა. როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალი მთავრობის შემადგენლობაში 4 ქალი აღმოჩნდა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იხუმრა, რომ ჯობდა პრემიერ-მინისტრიც ქალი ყოფილიყოო, რაზეც ზურაბ ჟვანიამ უპასუხა – არ ჯობია, რომ პირდაპირ პრეზიდენტი იყოს ქალი?

იქნებ, ჯობია კიდეც?

[313] ერთ-ერთი სატელევიზიო ინტერვიუდან.

თავი 6.

პირველი ქალბატონების როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში

ყველაზე აქტიური პირველი ქალბატონები

საკითხი, რომელზეც ყურადღების გამახვილება მსურს საქართველოში შეუსწავლელია. ამერიკელებსაც სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები არ აქვთ. თუმცა, ცალ-ცალკე ყველაზე ცნობილი პირველი ქალბატონების ბიოგრაფია და მოღვაწეობა დაწერილი აქვთ, განსაკუთრებით, ეს ელეანორ რუზველტსა და ჰილარი კლინტონს ეხება, რაც წინა თავებში უკვე აღვნიშნე.

აქ ყურადღება გამახვილებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში პირველი ქალბატონის ინსტიტუტის ზოგიერთ თავისებურებაზე, მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე. განსაკუთრებით, ხაზგასმულია პირველი ქალბატონების მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, ვეცდები პასუხი გავცე შემდეგ კითხვებს:

1. რა ფუნქციები ეკისრებოდა და ეკისრება პირველ ქალბეტონებს შეერთებულ შტატებში და აქვს თუ არა მსგავსი ფუნქციები პრეზიდენტის მეუღლეს საქართველოში?
2. როგორ შეიცვალა ეს ფუნქციები დროთა განმავლობაში და რომელი პირველი ქალბატონების დამსახურება იყო ეს?
3. პირველი ლედის საქციელის რომელი მოდელია ყველაზე მისაღები აშშ-სა და საქართველოში: დიასახლისის, რომელიც ყველას დეიდის როლს ასრულებს, თუ პირიქით, პრეზიდენტის ცხოვრების აქტიური თანამგზავრის, რომელიც ერკვევა პრობლემებში არა თუ უარესად, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მეუღლეზე უკეთესადაც კი?
4. რატომ ვერ მოხერხდა პირველი ლედის როლის დაყვანა „ამერიკის პირველ დიასახლისამდე“?
5. კონკრეტულად, რა ცვლილებები შეიტანეს ცალკეულმა პირველმა ქალბატონებმა საკუთარ სტატუსში?
6. რა იყო სტატუსის შეცვლის მიზეზები?

ვიცი, რომ ამდენ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გასაცემად ბევრად უფრო დიდი ნასრომის დაწერა არის აუცილებელი და ეს ალბათ მომავლის საქმეა. ამიტომ სიღრმისეულ კვლევაზე აქ პრეტენზიას არ ვაცხადებ.

წინამდებარე წიგნის სათაურიდან გამომდინარე, ძირითადად, ყურადრებას გავამახვილებ მე-20 საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების იმ სამი ყველაზე გავლენიანი პირველი ქალბატონის საქმიანობაზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს პირველი ლედის ინსტიტუტის განვითარებაში. ესენი არიან ელეანორ რუზველტი, როზალინ კარტერი და ჰილარი კლინტონი, ქალბატონები, რომლებმაც არაერთი სტერეოტიპი დაანგრიეს და დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გავავლებ პარალელებს მათ მოღვაწეობას შორის და შესაბამის დასკვნებს გავაკეთებ. ასევე, გავავლებ პარალელს საქართველოში პირველი ქალბატონების საქმიანობასთან. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენი პირველი ქალბატონების საქმიანობა სწორად შევაფასოთ (სულ ოთხი გვყავდა. XX საუკუნეში ორი: მანანა გამსახურდია და ნანული შევარდნაძე, XXI საუკუნეშიც ორი – სანდრა რულოვსი და მაკა ჩიჩუა. ოთხივე სრულიად განსხვავებული ფიგურა).

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ქალბატონების უმრავლესობას განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა პირველი ლედის ინსტიტუტზე და საკუთარ მოვალეობებზე. ვფიქრობ, ამ განსხვავებას განაპირობებდა არა მარტო მათი პიროვნული თვისებები, ოჯახი, აღზრდა, განათლება და ა.შ., არამედ გარემო, ეპოქა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდენ და, ნაწილობრივ, ქალების იმ დროს არსებული სტატუსიც. შეერთებულ შტატებში ქალთა მოძრაობის წარმატებებმა გააააქტიურა პირველი ქალბატონები პოლიტიკურ ასპარეზზე, რისი მტკიცებაც არ შეგვიძლია საქართველოსთან დაკავშირებით, სადაც პირველი ქალბატონების საქმიანობა მხოლოდ ქველმოქმედებით და სოციალურ სფეროში აქტიურობით შემოიფარგლება. მხოლოდ მანანა გამსახურდიამ სცადა პოლიტიკაში ჩარევა, რასაც საზოგადოების უაღრესად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ასევე, სანდრა რულოვსის მცდელობაც, დამოუკიდებელი პოლიტიკური როლი ეთამაშა, წარუმატებელი აღმოჩნდა.

თვით ტერმინი *პირველი ლედი*, რომელიც ოკეანის გაღმა დაიბადა, ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში არც ისე დიდი ხანია გამოჩნდა. საქართველოში მისი გამოყენება სანდრა რულოვსის მისამართით დაიწყეს, რომლის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გამო ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. მისი ცხოვრების აქტიური სტილი

ქართველებმა მაშინ მიიღეს. საინტერესოა, რას წარმოადგენს პირველი ლედის ინსტიტუტი მის ისტორიულ სამშობლოში – ამერიკის შეერთებულ შტატებში?

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს შორის თეთრი სახლის მობინადრეებზე არაერთი ისტორია არის გავრცელებული, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯერ არავის დაუწერია ნაშრომი პირველი ქალბატონების სახელმწიფო საქმეებზე გავლენის შესახებ. და ეს მაშინ, როდესაც მათდამი ინტერესი ამერიკულ საზოგადოებაში ყოველთვის ძალიან დიდი იყო და დღესაც ასეთივეა.

თეთრი სახლის პირველი პატრონის, აშშ-ის რიგით მეორე პრეზიდენტის ჯონ ადამსის (1797-1801) მეუღლის აბიგეილის დროიდანვე, პირველ ქალბატონებს პოლიტიკა იზიდავდა, რომელიც მათ თვალწინ, თეთრ სახლში იქმნებოდა. ფემინისტურად განწყობილ აბიგეილ ადამსს[314] მამაკაცთა გარემოცვამ შეარქვა ზედმეტი სახელი „მისის პრეზიდენტი"[315] და მას ქმრის თანასწორუფლებიან პარტნიორად აღიქვამდა[316]. მიუხადავად ამისა, ის პოლიტიკაში ღიად არ ერეოდა[317] ისევე, როგორც, მაგალითად, ნელი ტაფტი, რომელიც თავის ქმარს აქტიურად უკვლევდა გზას თეთრი სახლისაკენ, თუმცა არც თავის პოლიტიკურ მიზნებს ივიწყებდა[318].

საერთოდ, უფრო აშკარად, პირველი ქალბატონები პოლიტიკაში XX საუკუნეში ჩაერივნენ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, პირველი ქალბატონის მიერ პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება არაკანონიერია. ამას აკეთებდა, მაგალითად, ვუდრო ვილსონის მეორე ცოლი ედიტ ბოლინგ ჰალტი ავადმყოფი ქმრის ნაცვლად. ბევრი მას ფაქტობრივ პრეზიდენტადაც კი მიიჩნევდა[319].

ასე რომ, უკვე ელეანორ რუზველტამდე ამერიკის პირველი ქალბატონები საკმაოდ აქტიურები იყვნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზ-

[314] Woloch, Nancy. *Women and the American Experience. A Concise History*: New York: McGraw-Hill Company, 2002, p.56; Roberts, Cokie. *Founding Mothers. The Women Who Raised Our Nation.* New York: HarperCollins, 2005, pp.72-74.

[315] Thimmesh, Catherine. *Madam President. The Extraordinary. True (and Evolving) Story of Women in Politics.* Boston: Houghton Mifflin Company. 2004, pp.10-11.

[316] Wagner-Martin, Linda. *Telling Women's Lives. The New Biography.* New Brunswick, New Jersey: Rutgers University Press, 1994, p.51.

[317] Roberts, Cokie. *Founding Mothers. The Women Who Raised Our Nation,* New York: HarperCollins, 2005, pp.273-274.

[318] Diller, Daniel C. and Robertson, Stephen L. *The Presidents. First Ladies, and Vice Presidents. White House Biographies. 1789-2005.* Washington D. C.: CQ Press, 2005, pp.178-179.

[319] Thimmesh, Catherine, op.cit., p.12.

ზე. ელეანორზე არსებულ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი უკავია მის მოღვაწეობას „ახალი კურსის“ ეპოქაში, რაზეც წინა თავში, ოღონდ სხვა ასპექტით, გავამახვილე ყურადღება.

სიტყვა „პირველი“ ელეანორ რუზველტთან დაკავშირებით ხშირად იხმარება. ის ნამდვილად „პირველი“ იყო პირველ ქალბატონებს შორის. მან პირველმა დაიწყო საკუთარი პრესკონფერენციების მოწყობა; პირველი იყო, ვისაც ყოველკვირეული რადიო მიმართვები ჰქონდა; საკუთარი რუბრიკა გაზეთში; საჯარო გამოსვლები; ასობით სტატია და რამდენიმე წიგნი. ასეთი გავლენიანი ქალი ამერიკის პოლიტიკაში მანამდე არავინ ყოფილა. მაგრამ ის არასოდეს უსვამდა ხაზს თავის პირველობას.

ვფიქრობ, ელეანორის აქტიურობას საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძგი მისცა ქმრის ავადმყოფობამ. პირველ ქალბატონად გახდომის შემდეგ მან არ თქვა უარი თავის პირად კარიერაზე, მაგრამ საკუთარი შემოსავლის დიდ ნაწილს ქველმოქმედებას ახმარდა.[320] თეთრ სახლში ელეანორი დამოუკიდებელ როლს თამაშობდა.[321] ის ბევრს მოგზაურობდა. იყო თავისი ქმრის „თვალები და ყურები“[322]. ომის დროს ფრონტზე ამერიკელ ჯარისკაცებს ხვდებოდა. ელეანორი იყო პირველი პირველ ქალბატონებს შორის, რომელსაც თვითმფრინავით მგზავრობის არ შეეშინდა. მან დიდი როლი ითამაშა კაბინეტის წევრად პირველი ქალის – შრომის მინისტრის ფრენსის პერკინსის დანიშვნაში. ელეანორი ყოველმხრივ უჭერდა მხარს ქალების სამთავრობო უწყებებში დანიშვნას, თანაუგრძნობდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას, თუმცა არ მოითხოვდა თანასწორუფლებიანობის შესახებ კონსტიტუციის შესწორების მიღებას.[323] ასევე ცდილობდა აფროამერიკელებისათვის სამუშაოს შოვნის უკეთესი შესაძლებლობების შექმნას.

ელეანორი კიდევ უფრო გააქტიურდა რუზველტის მეორე ვადით არჩევის შემდეგ. მანამდე არც ერთი პირველი ქალბატონი არ ჩანდა ასპარეზზე ისე აშკარად, როგორც ის. ელეანორი საქმიანობდა ახალგაზრდობის ეროვნულ ადმინისტრაციაში, იყო სამოქალაქო თავდაცვის ოფისის დირექტორის მოადგილე. სისტემატური მოგზაურობისა და პოლიტიკური აქტიურობის გარდა, ის რეგულარულად მართავდა პრესკონფერენციებს, რომლებზეც მხოლოდ ჟურნალისტ ქალებს იწვევდა, ვინაიდან, როგორც

[320] Diller, Robertson, op.cit., p.186.
[321] Woloch, op.cit., p.313.
[322] Diller, Robertson, op.cit., p.186.
[323] იხ. წინა თავი, გვ. 184-170.

წესი, მათ მხოლოდ კაცები ესწრებოდნენ[324]; კვლავ მონაწილეობდა რადიოგადაცემებში, ატარებდა საჯარო ლექციებს, წერდა სტატიებს პრესისათვის, ჰქონდა ყოველდღიური საგაზეთო რუბრიკა, პერსონალურად პასუხობდა წერილების უმრავლესობას, რომლებსაც ათასობით იღებდა. მას ამაში მხოლოდ მცირერიცხოვანი შტატი ეხმარებოდა. ყოველდღიურად ელეანორი 18 საათს მუშაობდა. ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ ელეანორი თავისი მეუღლის თანამდებობის და საქმიანობის გამო იყო ესოდენ აქტიური. თუმცა, ასე ნამდვილად არ არის, რადგან ის ისევე აქტიური იყო ფრანკლინის გარდაცვალების შემდეგაც და არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია შრომა და მოღვაწეობა. ამის ნათელი დადასტურებაა ელეანორის გაეროში საქმიანობა. ასე რომ, ის იყო ქალი, რომელმაც დაანახა სამყაროს, რომ საქმის კეთება ქალებსაც შეუძლიათ.[325]

ეს ჭეშმარიტება სხვა პირველმა ქალბატონებმაც დაამტკიცეს. მათ შორის იყო ბეს ტრუმანი და, განსაკუთრებით, პრეზიდენტ ჯეიმს კარტერის (1977-1981) ცოლი როზალინი, რომელიც ცდილობდა „პირადი და პოლიტიკური საწყისების" შერწყმას პირველი ლედის ცხოვრებაში. თავის თავზე ის ამბობდა არის „უფრო პოლიტიკური პარტნიორი, ვიდრე პოლიტიკური ცოლი".[326] ინაუგურაციის დღეს ჯიმიმ და როზალინმა დემონსტრაციულად უარი თქვეს პრეზიდენტის ლიმუზინში ჩასხდომაზე და ხელიხელ ჩაკიდებულებმა პენსილვანია ავენიუთი გაიარეს გზა კაპიტოლიუმიდან თეთრი სახლისაკენ. ამით ამერიკელებს აჩვენეს, რომ თეთრ სახლში პარტნიორების წყვილი დასახლდა (იგივე გააკეთა ბარაკ ობამამ თავის ცოლთან მიშელთან ერთად, თუმცა ეს უკანასკნელი ქმრის ჩრდილში იყო და პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდად არ აქტიურობდა.

როზალინმა, რომელსაც მაშინვე „სპილენძის მაგნოლია" შეარქვეს, თავისთვის უზრუნველყო ოფიციალური სტატუსი თეთრ სახლში, რაც მანამდე არც ერთ პირველ ლედის არ ჰქონდა. მართალია, კანონით მას ეკრძალებოდა სულიერად ავადმყოფების პრობლემების საპრეზიდენტო კომისიის თავმჯდომარეობა, მაგრამ მან დაიკავა იქ „საპატიო თავმჯდო-

[324] Evans, Sara M. *Born For Liberty: A History of Women in America.* New York: The Free Press, 1989; Woloch, op.cit., p.313.

[325] Youngs, J. William T., Handlin, Oskar. *Eleanor Roosevelt. A Personal and Public Life.* NY: Longman, 1999; Banner, Lois W. *Women in Modern America: A Brief History.* San Diego: Harcourt Brace Jovanovich, 1984; Lunardini, Christine A. *What Every American Should Know About Women's History: 200 Events that Shaped Our History.* Avon, MA: Adams Media Corporation, 1994 და სხვ.

[326] Thimmesh, op.cit., p.18.

მარის" თანამდებობა, თვით კომისია კი მის მიერ შექმნილად ითვლებოდა. როზალინი ატარებდა ეროვნულ მოსმენებს, ქმნიდა ინსპექციებს, ხელმძღვანელობდა ოცდაათ სპეციალურ მუშა ჯგუფს, სიტყვით გამოდიოდა სენატში. მისი კომისიის მოხსენება საფუძვლად დაედო 1980 წელს მიღებულ კანონს ფსიქიატრიული დახმარების სისტემის შესახებ, რომლის ფარგლებშიც სულით ავადმყოფების მკურნალობისთვის დამატებითი თანხები დაიბანდა.

როზალინს ელეანორ რუზველტს ადარებენ. თავისი პირველი ქალბატონობის ორი წლის განმავლობაში მან 248 მოხსენება გააკეთა, 158 ინტერვიუ მისცა პრესას, დაესწრო 641 ბრიფინგს და ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა 36 ქვეყანაში.[327] როზალინი კემპ დევიდის მოლაპარაკებებშიც მონაწილეობდა. ის ხშირად წარმოადგენდა პრეზიდენტ ქმარს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ერთხელ ერთმა კორესპონდენტმა მას ჰკითხა: „თქვენ ამერიკელ ხალხს არ აურჩევიხართ და არც სენატს მოუცია თქვენთვის სხვა ქვეყნების მეთაურებთან საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობის უფლება. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს მოგზაურობა თქვენს თანამდებობას შეესაბამება?"

როზალინმა უპასუხა: „მე შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყველაზე ახლობელი ადამიანი ვარ და თუ შემიძლია მისი პოლიტიკის ახსნა და ლითინოამერიკელების მიმართ მისი ინტერესისა და მეგობრობის გადაცემა, ამის გაკეთებას ვაპირებ".[328]

მისი თანამშრომლობა პრეზიდენტთან იმდენად აშკარა იყო, რომ ის აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირველი ქალბატონი ამერიკის ისტორიაში. ისტორიკოსები მას პრეზიდენტ ქმარზე უფრო გავლენიან პირად თვლიან. ასე რომ, როზალინის წყალობით, კარტერის პრეზიდენტობის წლებში პირველი ქალბატონის ინსტიტუტის მნიშვნელობა პრეზიდენტისაზე უფრო მაღლა დააყენეს. კარტერის გადადგომის შემდეგ მან გააგრძელა აქტიური მოღვაწეობა. ქმართან ერთად დაარსა კარტერის ცენტრი, მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ფონდი ატლანტაში, მუშაობს სხვადასხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში, 1987 წელს ქმართან ერთად დაწერა წიგნი, რომელშიც აღწერილია მათი ცხოვრება ჯიმის გადადგომის შემდეგ. ის არაერთხელ

[327] Diller, Robertson, op.cit., p.194.
[328] Thimmesh, op.cit., p.18.

გამოიცა[329]. ამის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე წიგნი დაწერა. 2002 წელს ის ქალთა ეროვნული დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ამგვარად, პრეზიდენტ ბილ კლინტონის (1993-2001) ცოლი ჰილარი როდემ-კლინტონი არ იყო ერთადერთი პირველი ლედი, რომელიც ქმრის არა მარტო პოლიტიკური მრჩეველი გახდა, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკოსის კარიერა გაიკეთა. თუმცა, ზოგიერთი თვლის, რომ სწორად მან შეცვალა რევოლუციურად პირველი ქალბატონის როლი, რაც მისი და შემდგომი თაობის ქალების სტატუსზეც აისახა[330]. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ქალების მზარდმა პოლიტიკურმა აქტიურობამ და მათმა გახშირებულმა არჩევამ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე გააააქტიურა დებატები ამერიკულ საზოგადოებაში, თუ მაინც რას წარმოადგენს ქვეყანაში ქალის უმაღლესი, თუმცა, არაოფიციალური თანამდებობა – ამერიკის პირველი ლედის მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარბრა ბუში პოპულარული და საყვარელი პირველი ქალბატონი იყო, მის დროსაც კი პირველი ლედის როლის დაყვანა „ამერიკის პირველ დიასახლისამდე" ვერ მოხერხდა. ბილ კლინტონის გამარჯვების შემდეგ თეთრ სახლში მოვიდა ქალი, რომელიც ახალი თაობის ამერიკელი ქალის განსახიერება იყო – ქალი-პროფესიონალის, რომელიც არა მარტო ქმარს და შვილებს აფასებს, არამედ საკუთარ კარიერაზეც ზრუნავს. ცნობილ იურისტს ჰილარი კლინტონს, მისივე სიტყვებით, თავიდანვე სურდა „წამყვანი როლის თამაში, როდესაც ეხმარებოდა მეუღლეს წინასაარჩევნო დაპირებების რეალიზებაში".[331]

1996 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას ეი-ბი-სის ერთ-ერთ ტელეპროგრამაში ხაზი გაუსვეს, რომ შეერთებულ შტატებში „ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალს არაფერი ესაქმება პოლიტიკაში ან სამსახურში. მაგრამ ახლა ამერიკელები დაფიქრდნენ ქალის როლზე. ის, რასაც ისინი ჰილარი კლინტონზე ფიქრობენ, უფრო მეტად ჩვენზე მეტყველებს, ვიდრე მასზე. ზოგიერთი მას აკრიტიკებს იმისათვის, რომ იგი ქალის მომავალი როლის სიმბოლოს წარმოადგენს. იგი ფემინისტებისთვის ნიმუშია. ზოგიერთი უკმაყოფილოა იმით, რომ ის ცხოვრებაში ზედმეტისკენ ისწრაფვის. კამათი ჰილარი კლინტონის

[329] Carter, Jimmy & Rosalynn. *Everything to Gain: Making the Most of the Rest of Your Life.* Fayetteville: University of Arkansas Press, 1995.

[330] Skarmeas, Nancy J. *First Ladies of the White House.* Nashville, Tennessee: Ideals Publications, 2004, p.80.

[331] Clinton, Hilary Rodham. Living History. New York: Simon & Schuster, 2003, p..

ირგვლივ – არის კამათი ამერიკაში ყველა ქალის ცხოვრებაში ცვლილებების შესახებ".[332]

მას შემდეგ, რაც ჰილარი თეთრ სახლში დამკვიდრდა, დისკუსიები მის როლზე კიდევ უფრო გამძაფრდა, ვინაიდან ის აზარტულად ჩაერთო ქმრის ადმინისტრაციის მუშაობაში. ჰილარი თავს თვლის ელეანორ რუზველტის დიდ ფანად[333]. მისი აზრით, ელეანორი იდეალური პირველი ლედი იყო[334]. მას მუდმივად აკრიტიკებდნენ სახელმწიფო საქმეებში „უკანონო ჩარევისთვის". პირველ რიგში აღშფოთებას ვერ მალავდნენ რესპუბლიკელები, რომლებიც სვავდნენ კითხვას „მაინც ვინ მართავს თეთრ სახლში?" ამ მხრივ ჰილარიმ ბევრი თავისი წინამორბედის ბედი გაიზიარა, რომლებიც ისჯებოდნენ პირველი ლედის გავლენიანობის გამო, მიუხედავად იმისა, კულისებს მიღმა შეუმჩნევლად მოქმედებდნენ, თუ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყვნენ.


პრაქტიკულად, XX საუკუნის ვერც ერთი პრეზიდენტის ცოლი ვერ გადაურჩა კრიტიკას ან არ გახდა ჭორების მსხვერპლი. ეს არის თეთრი სახლისა და ძალაუფლების ვაშინგტონური დერეფნების ატმოსფეროს განუყოფელი დამახასიათებელი ნიშანი. ელეანორ რუზველტმა ბევრი მტერი შეიძინა მაშინ, როდესაც თავისი ქმრის „თვალები და ყურები" გახდა. პეტ ნიქსონს ეძახდნენ „პლასტიკის პეტს". ბეტი ფორდმა აღაშფოთა კონსერვატორები, როდესაც დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ არ გაუკვირდება, თუკი მის მოზარდ ქალიშვილს სასიყვარულო კავშირი ექნება. როზალინ კარტერი უკმაყოფილებას იწვევდა მინისტრთა კაბინეტის სხდომებში მონაწილეობის გამო, თუმცა ამას ქმარი-პრეზიდენტის თხოვნით აკეთებდა. ნენსი რეიგანს აბრალებდნენ, რომ ის ერეოდა თეთრი სახლის აპარატის მაღალ თანამდებობებზე დანიშვნებსა და გადაყენებებში. ერთადერთი, ვინც გადაურჩა მსგავს ბრალდებებს ბარბრა ბუში იყო, ისიც ნაწილობრივ. თუმცა ამან მაინც ვერ უშველა მის ქმარს მეორე ვადით არჩევნებისას.

ბევრი ამერიკაში თვლის, რომ ჰილარი კლინტონმა შეცდომა დაუშვა, როდესაც გადადგა უპრეცენდენტო ნაბიჯი და თავისი ოფისი დასავლეთის ფრთაში – თეთრი სახლის ოფიციალურ ნაწილში მოაწყო. მანმადე, პირველი ქალბატონები შენობის მარცხენა ფრთაში იმყოფებოდნენ. მაშინვე გავრცელდა ხმები „თანაპრეზიდენტობაზე" და „ორმაგ ძალაუფლებაზე", რამაც კლინტონის გარემოცვა საკმაოდ დააბნია.

[332] Генадий Шишкин. "Хозяйки Белого дома", Эхо планеты. №22, Май, 1996, с.25.
[333] Clinton, Hilary Rodham. Living History. New York: Simon & Schuster, 2003, p.258.
[334] Ibid., p.258-259.

მაინც, საბოლოოდ, პირველი ლედის საქციელის რომელი მოდელია ყველაზე მისაღები? დიასახლისის, საყოველთაო დეიდის როლი? თუ პირიქით, ცხოვრების აქტიური თანამგზავრის როლი, რომელიც ერკვევა პრობლემებში არა თუ უარესად, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მეუღლეზე უკეთესადაც კი. ეს კითხვა აშკარად რიტორიკულია. თეთრ სახლში პირველი ქალბატონები მოდიან როგორც უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებები და შეცვლა უხდებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი ჩვეული საქციელი ხელს უშლის ქმარს მოვალეობის შესრულებისას. ყოველ შემთხვევაში, ამომრჩევლებს მიაჩნიათ, რომ პირველმა ქალბატონებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ თეთრ სახლში ირჩევენ არა მათ, არამედ მათ ქმრებს.

ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ ქვეყანაში, რა ამპლუაც არ უნდა აირჩიოს პრეზიდენტის ცოლმა, მან თავისი როლი ტაქტითა და გაგებით უნდა შეასრულოს. იმ დროს, როდესაც მისკენ მილიონობით თვალია მიპყრობილი, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ყველაფერი იმისათვის, რათა ამომრჩეველთა ფართო მასები და პრეზიდენტის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მას არ დაუპირისპირდნენ. „არ დააშავო!“ – ესკულაპების ეს ძველი მცნება პირველი ქალბატონებისათვის დღესაც აქტუალურია.



ქართველი იმიგრანტი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკანიზაციის პრობლემა

მიუხადავად იმისა, რომ ქართველი იმიგრანტი ქალები ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარ როლს არ თამაშობენ, მათი, როგორც შტატებში ერთ-ერთი დიასპორის წარმომადგენლების, პრობლემების განხილვა მაინც საჭიროდ ჩავთვალე. ქართველი იმიგრანტი ქალები ამერიკული საზოგადოების ნაწილია და მათაც ეხება ყველა ის მიღწევა თუ, პირიქით, წარუმატებლობა, რაც, ზოგადად, ამერიკელ ქალებთან არის დაკავშირებული.

მსოფლიოში მიგრაციული პროცესების მიზეზები ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტი, ომი ადამიანებს ლტოლვილებად აქცევს და კონფლიქტური ზონებიდან მეზობელ ან უფრო შორეულ ქვეყნებში გადასახლებისკენ უბიძგებს. ემიგრაციის მიზეზი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემებიც ხდება: რევოლუცია, ეკონომიკური კრიზისი და მრავალი სხვა.

მე-20 საუკუნის საქართველოსთვის დასახელებული პრობლემები უცხო არ იყო. სწორედ ამიტომ მხოლოდ ამ საუკუნეში ჩრდილოეთ ამერიკაში ქართული ემიგრაციის სამი „ტალღა" აღინიშნა. თითოეულს თავისი გამომწვევი მიზეზი ჰქონდა. განსხვავებული იყო ემიგრანტთა სოციალური, გენდერული, ასაკობრივი შემადგენლობა, მათი განათლების დონე. აქედან გამომდინარე, განსხვავდებოდა სხვადასხვა ტალღის ემიგრანტთა ამერიკანიზაციის ხარისხიც და ახალ სამშობლოში მიღწეული წარმატებებიც.

ჩემი მიზანი არ არის ამერიკაში ამა თუ იმ ტალღის ემიგრაციის კონკრეტულ წარმომადგენელთა ისტორიის კვლევა. ეს საკითხი კარგად არის შესწავლილი ქართველი მკვლევრების გ. შარაძის, რ. დაუშვილის, რ. ნიშნიანიძისა და სხვათა ნაშრომებში. მე ვეცდები, პასუხი გავცე კონკრეტულ კითხვებს: როგორია მესამე ტალღის ქართველი ემიგრანტი ქალების ამერიკანიზაციის ხარისხი, რა გავლენას ახდენს ასაკი, განათლების დონე,

სოციალური სტატუსი ამ პროცესზე და რა როლს თამაშობს მართლმადიდებლობა ქართველი იმიგრანტების ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხები სპეციალურად არავის შეუსწავლია, თუ არ ჩავთვლით ამ სტატის ავტორის თითო-ოროლა ნაშრომს, რომლებიც აშშ-ში ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემებსა[335] და, ზოგადად, ამერიკელი ქალის რელიგიისადმი დამოკიდებულებას[336] ეძღვნება. ამერიკელი მკვლევრებისთვის ქართველ იმიგრანტთა და, მითუმეტეს, იმიგრანტ ქალთა საკითხი სრულიად უცხოა. დღეისათვის აშშ-ში არც ერთი ნაშრომი არ არსებობს, რომელშიც შესწავლილია ქართული იმიგრაცია, თუმცა, უამრავი ნაშრომი ეძღვნება იმიგრაციის თეორიული საკითხებისა და მრავალრიცხოვანი დიასპორების (ებრაული, ჩინური, კორეული, იაპონური და ა.შ.) შესწავლას. ალბათ, ამის მიზეზი ის არის, რომ ამერიკელები დიდი ხნის განმავლობაში ნაკლებად იცნობდნენ ქართველებს. მათი რიცხვი აშშ-ში მთელი XX საუკუნის განმავლობაში სრულიად უმნიშვნელო იყო. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიიდან, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირიდან და შემდეგ უკვე განთავისუფლებული საქართველოდან ჩასულ ქართველ იმიგრანტებს უფრო რუსებად მიიჩნევდნენ, ვიდრე ქართველებად.

შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე რაიმე ინფორმაციის მოძიება ამერიკულ სპეციალურ ლიტერატურაში შეუძლებელია. ერთადერთი ოფიციალური ამერიკული წყარო, რომელიც აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მეცნიერს დაეხმარება, არის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის ეკონომიკისა და სტატისტიკის ადმინისტრა-

---

[335] მესამე ტალღის ქართველი იმიგრანტი ქალები აშშ-ში: ამერიკანიზაციის პრობლემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი", №.1, 2010. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/text/index/2; ქართული დიასპორა კალიფორნიაში. კრებული: „ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები". ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2006, გვ. 293-299; ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემები აშშ-ში. *ამერიკის შესწავლის საკითხები*. V. თბილისი. 2008, გვ.198-203; Problems of Social and Cultural Adaptation of Georgian Immigrant Women in the U.S.A., American Studies Periodical, 3rd edition, Tbilisi, 2010, pp.117-121.

[336] ქალი და რელიგია: აშშ-ის მაგალითი. „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი. საქართველო: რელიგია და თანამედროვეობა" (Research for Religious Studies), № 1-2, თბილისი, ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, 2009, გვ.185-189.

ციის ყოველწლიური სტატისტიკური კრებულები, რომლებშიც არის მონაცემები ცალკეული წლების მიხედვით ქართველ იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ[337]. თუმცა, მასში არალეგალური იმიგრანტები და ე.წ. მწვანე ბარათის მფლობელები აღნუსხული არ არიან. ამის გამო შეუძლებელია ზუსტი ცნობების მოძიება ქართველების რაოდენობის შესახებ შეერთებულ შტატებში. არ არის ცნობები იმიგრანტთა გენდერული შემადგენლობის შესახებ. არაოფიციალური მონაცემებით, ჩვენთვის ცნობილია, რომ ქალების წილი ქართველ იმიგრანტებს შორის მკვეთრად გაზრდილია.

აღნიშნული სტატისტიკური წყაროს მიხედვით, უცნობია იმ ქართველი იმიგრანტების რაოდენობა, რომლებიც ლტოლვილთა შესახებ აქტის საფუძველზე, 1981-1990 წლებში აშშ-ის მოქალაქეები გახდნენ. ვფიქრობ, მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა. სავარაუდოდ, ისინი, ძირითადად, ქართველი ებრაელები და მათი ოჯახის წევრები არიან. შესაძლებელია მათი ნაწილი ამერიკაში მესამე ქვეყნიდანაც მოხვდა. მომდევნო, 1991-1996 წლებში, ამერიკის მოქალაქეობა მიიღო საქართველოდან აშშ-ში ჩასულმა 1834-მა ადამიანმა, 1997 წელს – 425-მა, 1998 წელს – 100-მა[338]. ციფრები ნამდვილად უმნიშვნელოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1965-2000 წლებში შეერთებულ შტატებში 23 მილიონი იმიგრანტი ჩავიდა[339], ანუ თითქმის იმდენივე, რამდენიც 1880-1920 წლებში (24 მილიონი).[340]

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოდან შეერთებულ შტატებში წასულ ემიგრანტებს შორის მარტო ქართველები არ იყვნენ, არამედ სომხები, ებრაელები და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებიც. ოფიციალური ამერიკული სტატისტიკა იმიგრანტების რაოდენობას ადგენს არა ეთნოსის, არამედ იმიგრაციის ქვეყნის მიხედვით. ეს ართულებს საქართველოდან შტატებში ემიგრირებული ქართველების ზუსტი რაოდენობის დადგენას. გარდა ამისა, შესაძლებელია ქართველები, რომლებიც შტატებში სხვა ქვეყნებიდან, მაგალითად, რუსეთიდან მოხვდნენ, ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობარებში იმ ქვეყნების ემიგრანტებად ითვლებიან. მათ შორის იქნებიან აფხაზეთიდან დევნილი ქართველებიც, რომლებსაც ხშირად შერეული ოჯახები აქვთ და ამერიკაში, ძირითადად, რუსეთიდან მოხვდნენ.

---

[337] Statistical Abstract of the United States. The National Data Book. 120th Edition, 2000, p.10.

[338] Ibid.

[339] Gerstle Gary. Immigration and Ethnicity in the American Century. In: Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century. New York: Oxford University Press, 2001, p.275.

[340] U.S. Immigration and Naturalization Service, *2000 Statistical Yearbook of the Immigration and Naturalization Service*. http://uscis.gov/graphics/shared/aboutus/statistics/yearbook2000.pdf.

ამგვარად, თუ ოფიციალურ სტატისტიკას დავუჯერებთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოდან ჩასული იმიგრანტების რაოდენობა მცირდება, მაგრამ სინამდვილეში მე-20 საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შტატებში ქართველების რაოდენობა არა თუ შემცირდა, არამედ მკვეთრად გაიზარდა.

ქართველების რაოდენობის ზრდა, უმთავრესად, იმ არალეგალური იმიგრანტების ხარჯზე მოდის, რომლებიც ქვეყანაში სხვადასხვა გზით ხვდებიან (სასწავლებლად, დროებით სამუშაოდ, ამა თუ იმ პროგრამით და ა. შ.), უკან არ ბრუნდებიან და აშშ-ის მოქალაქეობა არ აქვთ. მსგავსი ტენდენცია სხვა ქვეყნებიდან ჩასულ იმიგრანტებთან დაკავშირებითაც შეინიშნება. მაგალითად, 1999 წლის მონაცემებით, ამერიკაში მცხოვრები 7 მილიონზე მეტი მექსიკელიდან, დაახლოებით, 1,5 მილიონს ჰქონდა მოქალაქეობა, 1,5 მილიონი ფილიპინელიდან – ნახევარ მილიონს; ჩინელების, ვიეტნამელების, ინდოელების, კორეელებისა და დიდი ბრიტანელების უმრავლესობას, მათი საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს, შეერთებული შტატების მოქალაქეობა არ აქვთ[341] როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი სამუელ ჰანტინგტონი წერს, 1990-იან წლებში არალეგალები იმიგრანტების მეოთხედს შეადგენდნენ[342]. შესაძლებელია, ჰანტინგტონის ეს მონაცემი ზუსტი არც არის, მაგრამ საწინააღმდეგოს მტკიცებისთვის საკმარისი და, რაც მთავარია, სანდო წყაროები არ გვაქვს.

ბრიტანეთის მთავრობის საიმიგრაციო სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ 2000 წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 30 მილიონი ადამიანი არალეგალურად შევიდა[343]. როგორია იმიგრანტების გენდერული თანაფარდობა, ჩვენთვის ცნობილი არ არის.

მიუხედავად საჭირო ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არქონისა, კონკრეტული მაგალითების მოშველიებით, აგრეთვე, იმიგრანტების გამოკითხვის დახმარებით, გარკვეული დასკვნების გაკეთება და იმ პრობლემების გამოკვეთა შეიძლება, რომლებიც თანამედროვე ქართული დიასპორის წარმომადგენელ ქალებს აწუხებთ. ჩემთვის საინტერესო პრობლემებზე, კერძოდ, ამერიკანიზაციის საკითხსა და ქართველი იმიგრანტების თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში მართლმადიდებლობის როლზე მუშაობისას, ძირითადად, გამოვიყენე ქართველი იმიგრანტი ქალების გამოკითხვით მოპოვებული მასალები. თითოეულ დასკვნაში მრავალი კონკრეტული მაგალითი არის განზოგადებული.

[341] Ibid., p.49.
[342] Samuel P. Huntington. Who Are We? America's Great Debate. Free Press, London, 2005, p.182.
[343] *Economist*, 24June, 2000, p.63.

ალბათ, სიტყვები, რომლებიც კალიფორნიის უნივერსიტეტის მაგისტრანტმა ალფრედ უაიტმა თავის სამაგისტრო ნაშრომში ჯერ კიდევ 1923 წელს მექსიკელ იმიგრანტ ქალებზე დაწერა, დღესაც აქტუალურია და ქართველ იმიგრანტ ქალებსაც მიესადაგება: „ქალების ამერიკანიზაცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კაცების. ისინი უფრო რთულად აღწევენ ამას, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო ადვილად იღებენ განათლებას. ისინი ხვდებიან, რომ მათ, ახალი ამერიკული კანონის თანახმად, შეუძლიათ კაცსა და ქალს შორის ურთიერთობის თავის სასარგებლოდ შეცვლა... ამ უცხოელების ბავშვები და არა თვით ეს უცხოელები ამერიკისთვის აღმოჩენაა. ისინი 100%-იანი ამერიკელები არ არიან, მაგრამ მომდევნო თაობა შესაძლებელია ასეთი გახდეს. „გაჰყევით ქალებს"[344] და თქვენ ამერიკას მომავალ თაობას შეუნარჩუნებთ".[345]

თანამედროვე ამერიკაში ამერიკანიზაციის საგანგებო პროგრამები არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ენის კურსებს, რომლებიც მწვანე ბარათის მიღების მსურველმა ან უკვე ამ ბარათის მფლობელმა უცხოელებმა უნდა გაიარონ. თუმცა, მარტო ენის ცოდნა საკმარისი არ არის. დღეს მოთხოვნები იმიგრანტების მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამერიკის მოქალაქეობის მიღება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს, მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო. თუ აქამდე ამერიკის მოქალაქეობის მსურველს 100 საგამოცდო კითხვა უნდა მოემზადებინა, 2007 წლიდან უკვე 150 კითხვაა, რომლებიც, ძირითადად, მოიცავს აშშ-ის ისტორიას, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, კონსტიტუციურ, ფედერალურ და სახელმწიფო წყობას, პარტიულ სისტემას, თანამედროვე ამერიკის მთავრობის შემადგენლობას, ამერიკის სიმბოლოებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და მის წარმომადგენლებს უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, ინგლისური ენის გრამატიკას, მართლწერას. ძვირდება საგამოცდო გადასახადიც. მაგრამ გამოცდის წარმატებით ჩაბარების სტიმული ძალიან დიდია.[346] ფაქტობრივად, ეს გამოცდა შეიძლება

[344] ეს უნდა გამხდარიყო ამერიკანიზებული მუშების სლოგანი.

[345] White Alfred. The A Perceptive Mass of Foreigners as Applied to Americanization, the Mexican Group. University of California, master's thesis, 1923, p.34-35. *Unequal Sisters. A Multicultural Reader in U.S. Women's History*. Edited by Ellen Carol DuBouis and Vicki L. Ruiz. New York, 1990, p.250.

[346] ის ადამიანები, რომლებიც იმიგრანტის სტატუსს იღებენ, სოციალური და სამედიცინო დახმარებით სარგებლობენ. პოლიტიკური თავშესაფრის მქონე და დაბალშემოსავლიანი იმიგრანტებისათვის 2 წლის განმავლობაში სწავლა კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში უფასოა, უფრო მეტიც, სტიპენდიასაც იღებენ. ასევე უფასოა სწავლა სახელმწიფო და სპეციალურ, ინგლისურის შემსწავლელ, სკოლებში. სახელმწიფო მთავარ აქცენტს

ჩავთვალოთ პირველ ნაბიჯად იმიგრანტის ამერიკანიზაციის ან, უფრო ზუსტად, მის მიერ ამერიკული ფასეულობების გაცნობის გზაზე.

ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, როდესაც მეზობელი მექსიკელები შეერთებული შტატების საზღვარს მასობრივად არღვევდნენ, შეიქმნა სპეციალური პროგრამები, რომელთა მიზანი მექსიკელი იმიგრანტების ამერიკანიზაცია იყო. მაგრამ ამ პროგრამის განხორციელებისას მრავალ სირთულეს წააწყდნენ. ბოლოს აქცენტი გადაიტანეს ამერიკაში დაბადებული ჩიკანოების გაამერიკელებაზე[347]. საინტერესოა, რომ 1920-იან წლებში აზიიდან და სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან იმიგრაციაზე კვოტების დაწესებას ამართლებდნენ იმით, რომ მსოფლიოს ამ რეგიონებიდან ჩასული უცხოელების ასიმილირება რთულია და ამიტომ ისინი არასასურველები არიან. მათი აზრით, ისინი საფრთხეს უქმნიდნენ "ცხოვრების ამერიკულ სტანდარტებს", რის მაგალითადაც მოჰყავდათ მექსიკელები, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისათვის არასანდო მოქალაქეები[348]. ზოგადად ქართველებზე, მათ შორის, ქართველ ქალებზე, ალბათ, ამას ვერავინ იტყვის.

რასაკვირველია, ქალზე დიდად არის დამოკიდებული, ვის და როგორ აღზრდის: მისი შვილი ეროვნულ ტრადიციებზე იქნება გაზრდილი, მშობლიური ენისა და კულტურული ფასეულობების მცოდნე და დამცველი თუ ამერიკელი მოქალაქე, რომლისთვისაც თავისი წინაპრების სამშობლო უცხოა.

ვინაიდან ქართული ოჯახები ამერიკაში არც ისე ბევრია და ისინი, როგორც წესი, კომპაქტურად არ ცხოვრობენ, მათთვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება საკმაოდ რთულია. სწორედ ასეთ ვითარებაში ქალებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მათი წყალობით, ქართული ოჯახები ამერიკულ სინამდვილეში ერთგვარ ინსტიტუტად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც დაჟინებით ეწინააღმდეგება სრულ ასიმილაციას და ცდილობს საკუთარი კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას. ამ

განათლებაზე აკეთებს, რათა ახალი ჩასულები პროფესიას დაეუფლონ. მაგალითად, სპეციალური პროგრამით მათ შეუძლიათ უფასოდ შეისწავლონ ნოტარიუსის პროფესია. შეჭირვებული იმიგრანტების ოჯახებს სახელმწიფო ყოველთვიურ დახმარებას აძლევს (1000 დოლარი). იმიგრანტებს სახელმწიფო სამუშაოს შოვნაშიც ეხმარება. თუმცა, ეს სამუშაო, როგორც წესი, არაპრესტიჟულია.

[347] Sanchez George J. "Go After the Women": Americanization and the Mexican Immigrant Woman, 1915-1929. *Unequal Sisters. A Multicultural Reader in U.S. Women's History.* Edited by Ellen Card DuBois and Vicki L.Ruiz. New York, London,1990, p.250.

[348] Reisler Mark. By the Sweat of Their Brow: Mexican Immigrant Labor in the United States, 1900-1940. Westport. Conn. 1976, pp.151-169.

თვალსაზრისით, ქართველებზე უკეთეს მდგომარეობაში სომხები არიან, ვინაიდან მათ სომხური სკოლები, გაზეთები, ტელევიზია და კარგად ორგანიზებული სათვისტომო აქვთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სომხები ასიმილირებული არ არიან. როგორც წესი, ასეთ ამერიკელებს „ბიკულტურულებს" უწოდებენ და ისინი ჩვეულებრივ ამერიკელებად ითვლებიან. ქართველი იმიგრანტების უმრავლესობა სწორედ ასეთი „ბიკულტურული" ამერიკელია, თუმცა, მეტ-ნაკლებად ასიმილირებული.

კულტურული ასიმილაციის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნიან იმიგრანტები, რა ტრადიციების მატარებლები არიან, ფსიქოლოგიურად რამდენად არიან მიჯაჭვული თავიანთ ისტორიულ სამშობლოს, რამდენად ძლიერია მათი ეროვნული თვითშეგნება. ამისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა იწვევს ქართველთა ემიგრაციას შეერთებულ შტატებში, ანუ უნდა ვიცოდეთ, რა ვითარება იყო საქართველოში მე-20 საუკუნის დასასრულს: დანგრეული ეკონომიკა, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, უმძიმესი სოციალური ვითარება. ამიტომ ქართველ ემიგრანტთა რიცხვი შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით 1990-იან წლებში გაიზარდა და მას მესამე ტალღის ემიგრაციას უწოდებენ (პირველი ტალღა მე-20 საუკუნის 20-იან წლებზე მოდის, მეორე – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდზე). უმძიმესი სოციალური პრობლემების გამო ამერიკაში ჩასულ ქართველებს შორის ქალები სჭარბობდნენ, რომელთა მიზანი შინ დარჩენილი ოჯახების გადარჩენა იყო. მათ სამშობლოში ან სამსახური დაკარგეს, ან იმდენად დაბალი ხელფასი ჰქონდათ, რომ ვერ არჩენდნენ შვილებსა და უმუშევრად დარჩენილ ქმრებს. ბევრი მათგანი უმაღლესი განათლების მქონე ქალბატონი იყო. სამწუხაროდ, საბჭოთა დიპლომები მათთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ბევრმა არც ინგლისური ენა იცოდა, თანაც, უმრავლესობა სხვადასხვა გზით არალეგალურად დარჩა ქვეყანაში, რაც კიდევ უფრო ართულებდა მათ მდგომარეობას. ერთადერთი გამოსავალი ყველაზე არაპრესტიჟულ, ხშირად დამამცირებელ სამუშაოზე დათანხმება იყო. მათ შეავსეს შინამოსამსახურეების, მოხუცებისა და ბავშვების მომვლელების რიგები, ანუ იშოვეს სამსახური, რომელზეც ამერიკელები უარს ამბობდნენ. აღნიშნული სამუშაოსთვის ისინი ბევრად ნაკლებ ანაზღაურებას იღებდნენ, ვიდრე ამერიკელები. შეერთებული შტატებისათვის დაბალი, მაგრამ საქართველოსთვის სოლიდური ხელფასის (დაახლოებით 1000-2000 დოლარი) წყალობით, ქალებმა იმ მძიმე დროს სამშობლოში დარჩენილი თავიანთი ოჯახები გადაარჩინეს და დღესაც იგივეს აკეთებენ.

ეს ქალბატონები, ძირითადად, შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს დიდ ქალაქებსა და მათ შემოგარენში დასაქმდნენ. ისინი ცხოვრობენ იმ ოჯახებში, რომლებშიც მუშაობენ და, შესაბამისად, მათი გარემომცველი სამყარო არც ისე მრავალფეროვანია. მათთვის ეს ოჯახები ამერიკის პატარა მოდელია. ისინი მთელ დროს იქ ატარებენ, არ სარგებლობენ არც სოციალური დაზღვევით, არც სხვა სიკეთით, რასაც სახელმწიფო თავის მოქალაქეებს სთავაზობს და რითაც ბევრისთვის ამერიკა ასე მიმზიდველია. მათ არც მოგზაურობის, არც ქვეყნის უფრო მრავალმხრივ გაცნობის შესაძლებლობა აქვთ. შესაბამისად, ასეთი კატეგორიის იმიგრანტი ქალების ამერიკანიზაცია საკმაოდ რთულია. ასაკოვანი იმიგრანტი ქალების დიდი ნაწილი არც თვითონ ცდილობს ადგილობრივი ფასეულობების გათავისებას და მომავალში სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს.

ამ კატეგორიის ახალგაზრდა იმიგრანტი ქალები უფრო მარტივად ახერხებენ ადაპტაციას. ისინი უფრო ადვილად სწავლობენ ენას. ბევრი მათგანი აღარ აპირებს სამშობლოში დაბრუნებას, ვინაიდან მათთვის ამერიკული ცხოვრების წესი უფრო მისაღები ხდება, ვიდრე ქართული. უპირველესად, ეს ეხება საქართველოს რეგიონებიდან შტატებში მოხვედრილ ახალგაზრდა ქალებს. მათ ყველაფერი მოსწონთ ამერიკაში, მათ შორის, „ბოიფრენდის“ ინსტიტუტიც, რომელიც საქართველოსთვის, მითუმეტეს, მის პროვინციებში ჯერჯერობით მიღებული არ არის. ზოგიერთი ახერხებს შერეული ქართულ-ამერიკული ოჯახის შექმნას და ასეთ ოჯახში დაბადებული ბავშვები უკვე „მონოკულტურულები“ არიან. დედების პოზიციიდან გამომდინარე, მათი ამერიკანიზაცია არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ხშირად ასეთ ოჯახებში ბავშვებმა ქართული აღარ იციან და თავს მხოლოდ ამერიკელებად აღიქვამენ. თვითონ დედები ამერიკის მოქალაქეები ხდებიან და მათი ამერიკულ საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესი მარტივდება.

ასეთი შერეული ოჯახის შექმნაზე ამერიკაში ჩასული ბევრი მარტოხელა ახალგაზრდა (ზოგჯერ ასაკოვანი) ქართველი ქალი ოცნებობს. მათ იციან, რომ ამ შემთხვევაში ამერიკული ოცნების ახდენის უკეთესი შანსი უჩნდებათ; საკუთრების უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობა, რაც შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში არის გამოცხადებული და ამერიკული პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია, ამერიკის მოქალაქეებად ქცეული ქართველებისთვის რეალობად იქცევა.

ქართველი იმიგრანტი ქალების კიდევ ერთ ჯგუფს ისინი ქმნიან, ვინც თავიდანვე ლეგალურად მოხვდა შტატებში და დიდი ძალისხმევის შედეგად თავისი სპეციალობით სამუშაოს შოვნა მოახერხა. მათ ამერიკული დიპლომების მიღება შეძლეს და დღეს წარმატებული საშუალო ფენის ამერიკელები არიან. საინტერესოა, რომ, როგორც წესი, ასეთი კატეგორიის იმიგრანტი ქალები საკმაოდ ამერიკანიზებულები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ერთი ნაწილი არ კარგავს ქართულ ეროვნულ იდენტურობას. ისინი თავიანთ თავს აღიქვამენ როგორც ამერიკელებად, ასევე ქართველებად. ისინი იმ ამერიკელ მოქალაქეებს მიეკუთვნებიან, რომლებიც საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წევრობაზე უარს არ ამბობენ და „ბიკულტურულები" არიან.[349] ამერიკის სახელმწიფო თითოეულ მოქალაქეს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს. როგორც ერთი ამერიკელი მეცნიერი წერს, ზოგადად, ამერიკული ხასიათისთვის დამახასიათებელია ახალმოსულებისადმი კეთილგანწყობა, ვინაიდან ისინი ყველანაირ სიახლეს ასახიერებენ[350], თავიანთი ენით, რელიგიით, წეს-ჩვეულებებით, მუსიკით, სამზარეულოთი და ა.შ. ამერიკულ კულტურას ამდიდრებენ.

ასეთი ბიკულტურული ქალბატონების მიერ აღზრდილი ბავშვებიც, როგორც წესი, ქართულს ფლობენ, იცნობენ ქართულ ფასეულობებს, მაგრამ საქართველოში ცხოვრება აღარ სურთ. ის მათთვის უკვე უცხოა. როგორც წესი, ამ კატეგორიის იმიგრანტ ქალებს მჭიდრო კავშირი აქვთ სამშობლოსთან, მაგრამ უკან დაბრუნებას მხოლოდ შორეულ მომავალში, სიბერის ჟამს, ფიქრობენ. ზოგიერთი მათგანის შვილები ამერიკულ უმაღლეს განათლებას იღებენ და ცხოვრების გაგრძელებასაც ამერიკაში აპირებენ. აღსანიშნავია, რომ ჩემ მიერ გამოკითხულ ქართული იმიგრაციის მესამე ტალღის წარმომადგენლებს შორის ამ კატეგორიის ქალბატონების რაოდენობა არც ისე ცოტა იყო და ყველა გამოკითხულთა, დაახლოებით, 30%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი ქართველი ქალისთვის „ამერიკული ცხოვრების სტილი" სავსებით მისაღები აღმოჩნდა. არაერთი ქართველი იმიგრანტი ქალი დიდი წვალებით „ითქვიფება" ამერიკელთა რიგებში, მაგრამ ზოგიერთი ამას არც კი ცდილობს. ქართველი იმიგრანტების პირველი თაობები, ზოგჯერ კი მეორეც, მართალია, ხშირად ინარჩუნებდნენ ეროვნულ იდენტურობას, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ლოი-

[349] უმრავლესობა თავს მხოლოდ ამერიკელად აღიქვამს.

[350] Mann Arthur. From Immigration to Acculturation. *Making America. The Society and Culture of the United States.* Edited by Luther S. Luedtke. Washington, 1987, p.79.

ალურობით გამოირჩეოდნენ თავიანთი ახალი სამშობლოს მიმართ. მართალია, დღესაც მათი უმრავლესობა თავს ქართველად აღიქვამს, მაგრამ ამავე დროს ამერიკული სახელმწიფოს ერთგული მოქალაქეც არის. როგორც სხვა ეთნიკური ჯგუფები, ქართველებიც ამერიკაში კარგად აცნობიერებენ თავიანთ ვალდებულებებს იმ ქვეყნის წინაშე, რომელმაც მათ ახალი ცხოვრების შესაძლებლობა მისცა.

იმიგრანტთა ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი მათი რელიგიაა. ვფიქრობ, ყოველი ქართველი, ქალი იქნება თუ კაცი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, თუ ის ათეისტი ან სხვა აღმსარებლობის არ არის, მართლმადიდებლობის ერთგული რჩება. ამერიკელმა ქართველმა შეიძლება დაივიწყოს ენა, აღარ ჰქონდეს მყარი კავშირი დედასამშობლოსთან, მართლმადიდებლობა კი შეინარჩუნოს; თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ იგი გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო (მართლმადიდებლური ეკლესიების სიმცირე და სხვ.) ეკლესიურად ვერ ცხოვრობდეს. ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას იქ მცხოვრებ რუსებზე და გრიგორიანელ სომხებზე, განსაკუთრებით კი ებრაელებზე[351]. რელიგიური რწმენიდან გამომდინარე, ებრაელები თავიანთ თავს ამერიკაშიც განსხვავებულებად აღიქვამენ. ებრაელებისთვის იუდაიზმი თამაშობს, ერთი მხრივ, მათი გამაერთიანებლის, მეორე მხრივ, სხვა ერებისაგან გამომყოფელი ფენომენის როლს.

მართლმადიდებლობა ისეთ ლიბერალურ ქვეყანაში, როგორიც შეერთებული შტატებია, მხოლოდ გამაერთიანებელია და არა გამმიჯვნელი. ხშირად იგი სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მართლმადიდებლის გამაერთიანებელიც ხდება. ქართველებსაც მიესადაგება ამერიკელი მეცნიერის ვენდი ბრაუნისა[352] და ჰერბერტ პარზენის[353] მიერ ებრაელების შესახებ ნათქვამი სიტყვები: თუ ებრაელი იუდეველობას კარგავს, ისიც შეიძლება საბოლოოდ ასიმილირებულად ჩაითვალოს. ასევე, თუ ქართველი მართლმადიდებლობას დაკარგავს, ისიც შეიძლება საბოლოოდ ასიმილირებულად ჩაითვალოს.

პირველი ტალღის იმიგრანტები, გარდა სამხრეთ საქართველოდან წასული კათოლიკებისა ან ათეისტი სოციალ-დემოკრატებისა, რელიგიურნი

[351] Smith Tony. Ethnicity, Immigration, and the American National Community. February 2001, 807-808. http://www.cis.org/articles/2001/back201.html

[352] Brown Wendy. Regulating Aversion: Tolerance in the Age of Identity and Empire. Princeton, N.J., 2006, p.196.

[353] Parzen Herbert. The Passing of Jewish Secularism in the United States. *Judaism* 8.3. Summer 1959. Reisler Mark. By the Sweat of Their Brow: Mexican Immigrant Labor in the United States, 1900-1940. Westport. Conn. 1976.

უნდა ყოფილიყვნენ და, შესაბამისად, მართლმადიდებლობა უფრო უნდა შეენარჩუნებინათ. მეორე ტალღის იმიგრანტების მდგომარეობა განსხვავებული იყო. ისინი საქართველოში საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ და ათეისტებად ჩამოყალიბდნენ. ამიტომ მათი შვილებიც ნაკლებად რელიგიურნი იყვნენ. ეს ადამიანები სრულიად განსხვავებულ, ლიბერალურ, პლურალისტულ გარემოში მოხვდნენ, სადაც აღმსარებლობისადმი დამოკიდებულება უაღრესად ტოლერანტული იყო. შესაბამისად, ასეთ გარემოში მოხვედრა, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა მათ ასიმილირებას და, მეორე მხრივ, მორწმუნეებსაც შეეძლოთ მართლმადიდებლობის შენარჩუნება, განსაკუთრებით იმათ, ვისაც შერეული ოჯახები ჰქონდათ. დამოუკიდებელი საქართველოდან წასულებს ეკლესიისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებული აქვთ. მესამე ტალღის ქართველ იმიგრანტ ქალებში ბევრი მორწმუნეა, რამაც აშშ-ში მართლმადიდებლური მრევლის მომრავლება განაპირობა.

ვინაიდან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების რაოდენობა ამერიკაში მეტად მცირეა, ქართველების დიდი ნაწილი ბერძნულ, რუსულ ან უკრაინულ ეკლესიებში დადის. სწორედ ეს ქართული მრევლი ინარჩუნებს თავის ეთნიკურ იდენტურობას ყველაზე უკეთ. ამ თვალსაზრისით, რელიგია, მართლმადიდებლობა, არის ამერიკანიზების გზაზე აღმართული ერთგვარი წინაღობა. ისტორიულადაც ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლობა ქართველობის გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალება იყო.

თუ თვალს გადავავლებთ ქართველების ამერიკაში ცხოვრების ისტორიას, დავინახავთ, რომ მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში იმიგრანტთა ნაწილი ცდილობდა მართლმადიდებლობის შენარჩუნებას. ისინი აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს, იწვევდნენ ცნობილ სასულიერო პირებს ამა თუ იმ რელიგიური რიტუალის შესასრულებლად. იმავეს აკეთებენ დღევანდელი იმიგრანტებიც. უფრო მეტიც, მათი მოთხოვნით, საქართველოს საპატრიარქომ შტატებში ორი ახალი მართლმადიდებლური ეკლესია დააფუძნა.

ამგვარად, ქართველი იმიგრანტების ეროვნული თვითმყოფადობის, მათი იდენტობის შენარჩუნებისა და იმიგრაციის კონსოლიდაციის თვალსაზრისით ყველაზე დიდ როლს მართლმადიდებლობა ასრულებს. დღეს ამის ახსნა, უპირველესად, იმით შეიძლება, რომ ეკლესია საქართველოშიც კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური საშუალებაა.

თუ ადამიანმა ვერ მოახერხა ამერიკანიზება, ანუ ამერიკულ საზოგადოებში პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ინტეგრირება, ვერ ისწავლა ინგლისური სათანადო დონეზე, ის ვერასოდეს გახდება ამ საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელი და ვერც პოლიტიკასი შეაბიჯებს, მით უმეტეს, თუ ის ქალია.

მართალია, საზღვრები იხსნება, სხვა ქვეყნებში ემიგრაციის შესაძლებლობებიც იზრდება, მაგრამ ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ქართველები არიან, თავისი მოქალაქეების დაკარგვა არასასურველია. თუ საქართველოში აღარ იქნება ისეთი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები, ემიგრანტთა ტალღა ისეთ სასურველ ქვეყანაშიც კი შემცირდება, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ქალებიც თავიანთ სამშობლოში დარჩებიან და საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთვებიან.

ამგვარად, ამერიკელმა ქალებმა თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის გრძელი და რთული გზა გაიარეს. განსაკუთრებით წარმატებული მათთვის XX საუკუნის მეორე ნახევარი იყო, როდესაც ყველა იმ შედეგს მიაღწიეს, რომლითაც დღეს სარგებლობენ. თუმცა, საბოლოო გამარჯვებამდე, რეალურ თანასწორუფლებიანობამდე ამერიკელმა ქალებმა ბრძოლა მაინც უნდა გააგრძელონ. ისინი ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ წარმოდგენილი ხელისუფლების საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ორგანოებში. ქვეყნის სათავეშიც ქალი პრეზიდენტი ვერ მოვიდა. ამერიკელმა ამომრჩევლებმა ხმა ისევ კაცს მისცეს. მაგრამ, მიუხედავად ნელი პროგრესისა, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ, ვინაიდან პირველად შეერთებული შტატების ისტორიაში ქალი – ჰილარი კლინტონი ქვეყნის მთავარმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა.

2016 წლის არჩევნებმა აჩვენა ისიც, რომ შტატებისა და ფედერალურ კანონმდებლებს შორის ბევრად მეტი ქალი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე იყო. მაგრამ აქაც პრორეპრეზენტაცია მნიშვნელოვნად დარღვეულია და მთავარ პოლიტიკურ თანამდებობებზე ქალების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ისინი კონგრესის შემადგენლობის მხოლოდ 19%-ია, ხოლო შტატების საკანონმდებლო ორგანოებში – 25%. გუბერნატორებს შორის მათი რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლებია: 50-დან ექვსია, ანუ სულ რაღაც 12 პროცენტი.

მიუხედავად ამ სტატისტიკისა, ზრდის ტენდენცია მაინც შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით გუბერნატორებს. ამასთან ერთად, ამომრჩეველთა შორის ქალების რაოდენობა სჭარბობს, თუმცა, მათი პოლიტიკური შეხედულებები იმდენად განსხვავებულია, რომ ქალების ერთიანი ფრონტით გამოსვლა ქალი კანდიდატების მხარდასაჭერად შეუძლებელია. ამასთან ერთად, გაერთიანება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე მათ შეშინებას ან დამცირებას ეცდება, რაც ტრამპის სექსისტურ გამონათქვამებზე ქალების რეაქციამ დაადასტურა.

დღეს შეერთებული შტატების პოლიტიკურ ასპარეზზე არაერთი გავლენიანი ქალია. რომელ მათგანს აქვს მომავალში გაპრეზიდენტების შანსი, რთული გასარკვევია. ასახელებენ სენატორებს ელიზაბეტ უორენს (მასაჩუსეტსიდან), შელი მურ კაპიტოს (ვესტ ვირჯინიიდან) და სხვ. მაგრამ დღემდე ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ქალი ამერიკულ პოლიტიკაში მაინც ჰილარი კლინტონია, რომელსაც 2016 წლის არჩევნებში ქალი ამომრჩევლების 54%-მა მისცა ხმა მაშინ, როდესაც ტრამპს – 42%-მა, თანაც, ძირითადად, თეთრკანიანებმა. რით შეიძლება ამის ხსნა? იმით, რომ, ტრადიციულად, დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერებს შორის უმრავლესობა ყოველთვის ქალი იყო, თუ იმით, რომ მათთვის კანდიდატის სქესს მნიშვნელობა ჰქონდა? ამ შემთხვევაში, განათლების დონეა გასათვალისწინებელი. აღმოჩნდა, რომ ტრამპის მომხრე ქალებს შორის კოლეჯ დაუმთავრებელი ქალები სჭარბობდნენ.

ვფიქრობ, პოლიტიკურ ასპარეზზე ამერიკელი ქალების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი მათი განათლების დონის მასობრივად ამაღლება იქნება, ცხადია, სხვა სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც წინამდებარე ნაშრომშია ხაზგასმული.

მიმაჩნია, რომ ამერიკელ და ქართველ ქალებს შორის ნაშრომში გავლებული ყველა პარალელი მომავალშიც აქტუალური იქნება და ამერიკელი ქალების წარმატება სრული, რეალური თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლაში ქართველი ქალებისთვისაც კარგი სტიმული გახდება. ჩვენთვის მთავარია ორივე ქვეყნის (განსაკუთრებით, საქართველოს) საზოგადოებაში ყველა, დღემდე არსებული, სტერეოტიპის დაძლევა, რაც ბევრად უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის მიღება ან სპეციალური პროგრამების ამოქმედება.

თუმცა, შეერთებული შტატების პოლიტიკურ ასპარეზზე ამერიკელი ქალების მიღწევები XXI საუკუნის მეორე ათწლეულში მაინც შთამბეჭდავია, მით უმეტეს, XX საუკუნის დასაწყისთან შედარებით, რაც მომავალში მეტი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

შესავალი

1. ანთელავა ლიანა, კულტურა და გენდერი. „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002.
2. გაფრინდაშვილი ლელა. არიერგარდში თუ ავანგარდში – ქალების არჩევანი. კრებულში „გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში“. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, თბილისიმ 2009, გვ. 27-30.
3. ლელა ქაფრინდაშვილი. ქართული განმანათლებლობა: ევროპის კვალდაკვალ და იმპერიის მარწუხებში. კრებულში „დემოკრატიულ ღირებულებათა ნაკვალევზე“. ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის. თბილისი, 2011, გვ. 48-113.
4. დაუშვილი რუსუდანი. ქართული ემიგრაცია ამერიკაში, გამომცემლობა „რაეო“, თბილისი, 2014.
5. დონ-იაგო (იგივე, იაკობ მანსვეტაშვილი), ფელეტონი, უცხოთა შორის. ივერია. N101. 23.05.1887. თბილისი, გვ.1-3.
6. ზანგებისა და ქალების უფლებები ამერიკაში. დროება. N13. 02.04. 1870, გვ.3.
7. კავკაველი შ. უცხოთა შორის. ამერიკელი ქალების მონაწილეობა ყოველგვარ საქმეში. ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლება. ქალები პროფესორებად და რექტორებად. ივერია. N118. გვ. 1-2. 06.06.1898. თბილისი.
8. კაჭარავა ვ., ამერიკა 1920-იან წლებში: ამერიკული ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური აყვავება, ჯაზის ეპოქა, მშრალი კანონი, დეპრესია. თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008.
9. კაჭარავა ვასილ, ამერიკა 1950-იან წლებში: ეიზენჰაუერივით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“, 2011, გვ. 162-171.
10. კიკნაძე თ., დონაძე ნ.. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006.
11. კიკნაძე თ. ქალი და პოლიტიკა (სახელმძღვანელო), თბილისი, 2003.
12. მაისურაძე გ. საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობის პრობლემა წინასაარჩევნო რაკურსით. „გენდერული განვითარება“. საინფორმაციო ბიულეტენი/ №3, 1999.

13. მესხი ს. ამერიკის შკოლები. დროება. N16. 17.04.1869. თბილისი, გვ.1-2;
14. მეძმარიაშვილი ელენე. ისტორიული კატაკლიზმების გავლენა ქალის სტატუსზე. სამეცნიერო სტატიების კრებული, გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2007, გვ. 69-77.
15. მეძმარიაშვილი ელენე. ქალი და რელიგია: აშშ-ის მაგალითი. „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი. საქართველო: რელიგია და თანამედროვეობა" (Research for Religious Studies), № 1-2, თბილისი, ს-ს ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, 2009, გვ.185-189.
16. მეძმარიაშვილი ელენე. რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში. კრებულში „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ.119-125.
17. მეძმარიაშვილი ელენე. ქალების პოლიტიკური აქტიურობის ზოგიერთი ასპექტი 1980-იანი წლების აშშ-ში. თსუ სამეცნიერო სტატიების კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 82-92.
18. მეძმარიაშვილი ელენე. ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო სტატიების კრებული, მიძღვნილი არჩილ ჩხეიძის ხსოვნისადმი, თბილისი, 2003, გვ.180-188.
19. მეძმარიაშვილი ელენე. ქალის როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებული: „ამერიკის შესწავლის საკითხები", №1, თსუ, თბილისი, 2002, გვ.192-199, თანაავტორი ტ. დენისოვა.
20. მეძმარიაშვილი ელენე. ამერიკელი ქალი და არჩევნები. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 266-273.
21. მეძმარიაშვილი ელენე. ქალის პოლიტიკური აქტიურობის ზოგიერთი საკითხი აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში. ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, II, 2012, გვ. 96-110, http://evergreen.tsu.ge/eg/opac/record/12145?locg=1;expand=cnbrowse;
22. მეძმარიაშვილი ელენე. ქალის როლი შეერთებული შტატებისა და საქართველოს პოლიტიკაში (შედარებითი ანალიზი), ამერიკის შესწავლის ჟურნალი, მე-5 გამოცემა, 2012, გვ. 129-137.
23. მეძმარიაშვილი ელენე. ქალი-სახელმწიფო მდივნების როლი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში, ამერიკის შესწავლის საკითხები, VI, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, გვ.101-109.
24. მეძმარიაშვილი ელენე. ქალი – პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი? კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", IV, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006, გვ.206-210.

25. მეძმარიაშვილი ელენე. პირველი ქალბატონის ინსტიტუტი აშშ-სა და საქართველოში: შედარებითი ანალიზი. კრებულში: მე-5 საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში, V, 2011, გვ.172-186.
26. მეძმარიაშვილი ელენე. მესამე ტალღის ქართველი იმიგრანტი ქალები აშშ-ში: ამერიკანიზაციის პრობლემა ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი",1, 2010. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/text/index/2.
27. მეძმარიაშვილი ელენე. ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემები აშშ-ში ამერიკის შესწავლის საკითხები, მე-5, გამომცემლობა „კლიო", 2008, გვ.198-203.
28. ნადარაია ლ. ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში, კრებულში „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა", რედ. ლ.გაფრინდაშვილი, თბილისი, 2005.
29. ნადარაია ლიკა, ქალის როლი საზოგადოების განვითარებაში (რუსთავში გამართული სემინარის ჩანაწერი) „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში", ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002.
30. „პატრიოტთა ისტორიის მასალები", ლერი შვაიკარტი, დეივ დოკერტი, მაიკლ ალენი, რედ., ინგლისურიდან თარგმანი, ქართული გამოცემის სამეცნიერო რედაქტორები ვასილ კაჭარავა, ელენე მეძმარიაშვილი, ანასტასია ზაქარიაძე, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014, გვ.222-228.
31. საბედაშვილი თამარ. ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები. სალექციო კურსი, სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / თამარ საბედაშვილი; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა], თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2002.
32. სელი ქრისტინ მარი. ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები და ქალების მოძრაობა თავისუფლებისათვის: მათი წინაპირობები, განვითარება და ქალების მნიშვნელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.180-186.
33. ქალების შესახებ ამბები: დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში დაარსებული ქალთა ასოციაციები და გამოცემული ჟურნალები. დროება. N25. 19.06.1869. თბილისი, გვ.4.
34. ჩინოვნიკი-დედაკაცები ამერიკის შეერთებულ შტატებში. დროება. N25. 19.06.1869. თბილისი, გვ.4.
35. ხატიაშვილი მარიამი, ქართული საზოგადოებრივი აზრი მე-19 და მე-20 საუკუნის ამერიკელი ქალის სტატუსის შესახებ ამავე პერიოდის ქართული პრესა-პერიოდიკის მიხედვით. რეფერატი, ხელნაწერი, 2017.
36. ხატიაშვილი მარიამი, „ნაცნობი" და „უცნობი" ამერიკელი ქალები 1860-1880-იანი წლების ქართული პრესა-პერიოდიკის მიხედვით. სტუდენტური

წელიწდეული, ჰუმანიტარული კვლევები, ნომერი 1. მისამართზე: http://asj.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=12&title=

37. ჯავახიშვილი ნინო, 2002. ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა. „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში", ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002.
38. A History of Women in the West. V. Toward a Cultural Identity in the Twentieth Century. Edited by Francoise Thebaud. Cambridge: Harvard University Press, 1994.
39. Albright Madeleine. Madam Secretary. A Memoir. New York: The Easton Press, 2003.
40. Andersen Christopher. American Evita. Hillary Clinton's Path to Power. New York: Avon Books, 2004.
41. Arneil Barbara. Politics & Feminism. Blackwell Publishers, Malden, Massachusetts, 1999.
42. Banner Lois W.. Women in Modern America: A Brief History. 4th Edition. Belmont: Thomson/Wadsworth, 2005.
43. Banner Lois W.. Women in Modern America: A Brief History. Fort Worth: Harcourt Brace College Publishers, 1995.
44. Baxter Sandra, Lansing Marjorie. Women and Politics. The Visible Majority. Revised Edition. Ann Arbor. The University of Michigan Press, 1983.
45. Bernstein Carl. A Woman in Charge: The Life of Hillary Rodham Clinton. New York: Knopf Publishing Group, 2007.
46. Booth Alice Lynn. Careers in Politics for the New Woman. Choosing Careers and Life-Styles, Franklin Watts/New York/London, 1978.
47. Burrell Barbara. Campaign Financing: Women's Experience in the Modern Era. In: Women and Elective Office, pp.26-40.
48. Burrell Barbara. Money and Women's Candidacies for Public Office, In: Women and Elective Office, pp.72-88.
49. Burrell Barbara. Women and Political Participation. A Reference Handbook. ABC CLIO, Santa Barbara, California, 2004.
50. Carroll Susan J., Sue Tolleson-Rinehart Far from Ideal': The Gender Politics of Political Science, *American Political Science Review* 100:4, 2006, pp. 507-513.
51. Carroll Susan J.. "Reflections on Gender and Hillary Clinton's Presidential Campaign: The Good, the Bad, and the Misogynic," *Politics & Gender* 5:1, 2009, pp.1-20.
52. Carroll Susan J.. Security Moms and Presidential Politics: Women Voters in the 2004 Election, in *The Gender Gap: Voting and the Sexes*, edited by Lois Duke Whitaker, Champaign, IL: University of Illinois Press, 2008.
53. Carroll Susan J. Women as Candidates in American Politics. Second Edition. Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, 1994.
54. Chafe William H., Women and American society. In: Making America. The Society and Culture of the United States. Ed. by Luther S. Luedtke. USIA, Washington D.C., 1988.
55. Chafe William H.. Bill and Hillary: The Politics of the Personal. Duke University Press, 2016.

56. Chafe William H.. The American Woman: Her Changing Social, Economic and Political Role, 1920-1970. New York: Oxford University Press, 1972.
57. Chafe William H.. The Paradox of Change: American Women in the 20th Century. New York: Oxford University Press, 1991.
58. Chafe William H.. The Road to Equality: American Women since 1962. New York: Oxford University Press, 1998.
59. Chafe William H.. Women and Equality. Changing Patterns in American Culture. New York: Oxford University Press, 1977.
60. Clinton Hillary. In Her Own Words. Edites by Liza Rogak. Berkeley: Seal Press, 2014.
61. Conway M. Margaret, Gertrude A. Steuernagel, David W. Ahern. Women & Political Participation. Cultural Change in the Political Arena. CO Press, Washington D.C., 1997.
62. Cook Blanche Weisen. Eleanor Roosevelt. Volum 1: 1884-1933. New York: Penguin Books, 1993.
63. Cook Blanche Weisen. Eleanor Roosevelt. Volum 2: The Defining Years 1933-1938, New York: Penguin Books, 2000.
64. Cook Blanche Weisen. Eleanor Roosevelt. Volum 3: The War Years and After, 1939-1962, New York: Penguin Books, 2016.
65. Corrin Chris. Feminist Perspectives on Politics. LONGMAN, London and New York, 1999.
66. Dolan Katheleen. How the Public Views Women Candidate. Women and Elective Office, pp.41-59.
67. Duverger Maurice. The Political Role of Women. UNESCO, 1955.
68. DuBois Ellen C and Ruiz Vicki L., Lerner Gerda, Women in History. Mainstream or Minority? In: «Interpretations of American History. Patterns and Perspectives», Edited by Gerard N.Grob and George Athan Billias, vol.II: Since 1877, Sixth Edition, New York: The Free Press, 1992.
69. Evans Sara M.. Born for Liberty. A History of Women in America. Free Press Paperbacks, Simon&Schuster, New York, 1997.
70. Evans Sara M.. Personal Politics: The Roots of Women's Liberation in the Civil Rights Movements & the New Left. Knopf Doubleday Publishing Group, 2010.
71. Evans Sara. Tidal Wave: How Women Changed America at Century's End. Simon and Schuster, 2010.
72. Felix Antonia. Condi. The Condoleezza Rice Story. New York: Newmarket Press, 2002.
73. Felix Antonia. Laura: America's First Lady, First Mother. Avon: Adams media Corporation, 2003.
74. Feminism & Politics, Ed. By Anne Pillips, New York: Oxford University Press, 1998.
75. Ferraro Geraldine A. with Linda Bird Fracke. Foreword by Marie C. Wilson. Ferraro: My Story. Northwestern University Press, Evanston, Illinois, 2004.
76. Freeman Jo. A Room at a Time. How Women Entered Party Politics. New York: Rowman&Littlefield Publishers, INC, Lanham.Boulder, 2000.

77. Freeman Jo. The Politics of Women's Liberation: A Case Study of an Emerging Social Movement and Its Relation to the Policy Process. Lincoln: iUniverse.com, Inc, 2000.
78. Freeman Jo. We Will Be Heard: Women's Struggles for Political Power in the United States. Lanham: Rowman&Littlefield Publishers, Inc., 2008.
79. Friedan Batty Beyond Gender: The New Politics of Work and Family. Washington D.C.: Woodrow Wilson Center Press with Johns Hopkins University Press, 1997.
80. Friedan Batty. Life So Far: A Memoir. New York: Simon&Schuster, 2000.
81. Friedan Batty. It Changed My Life: Writings on the Women's Movement. Cambridge: Harvard University Press, 1976.
82. Friedan Batty. The Second Stage. Cambridge: Harvard University Press, 1981.
83. Friedan Batty. The Feminine Mystique, New York: W.W. Norton & Company, Inc., 1963.
84. Friedan Batty. The Fountain of Age. New York: Simon&Schuster, 1993.
85. Gay Kathlyn. The New Power of Women in Politics. Hillside, NJ: Enslow Publishers, Inc., 1994.
86. Gender and Elections: Shaping the Future of American Politics. Ed by Susan Carroll and Richard L.Fox. Third Edition, New York: Cambridge University Press, 2014.
87. Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia. Edited by Sarah Ashwin. York: Routledge, 2000.
88. Harpaz Beth G.. The Girls in the Van. Covering Hillary. Thomas Dunne Books, St. Martin's Press, New York, 2001.
89. Harrison Synthia. A New Women's Movement: The Emergence of the National Organization for Women, pp.227-239.
90. Hutchinson Kay Bailey. American heroines. The Spirited Women Who Shaped Our Country. Harper Collins Publishers Inc. New Yo, 2004.
91. Jones Constance. 1001 Things Everyone Should Know About Women's History. New York: Doubleday, 1998.
92. Kahn Kim Fridkin. Assessing the Media's Impact on the Political Fortunes of Women, pp.173-189.
93. Kartur Marcy. Women of Congress. A Twetieth-Century Odyssey. Congressional Quarterly Inc. Washington D.C., 1996.
94. Kerber Linda K., De Hart Jane Sherron. Ed. Women's America. Forth Edition. Refocusing the Past. New York: Oxford University Press, 1995.
95. Klein Edward. The Truth About Hillary. *What She Knew, When She Knew It*, And How Far She'll Go To Become President. SENTINEL, Penguin Group (USA) Inc, New York, 2005.
96. Kleinberg S.J. Women in the United States 1830-1945. New Brunswick, New Jersey: Rutgers University Press, 1999.
97. Lawless Jennifer L., Fox Richard L.. It Takes a Candidate. Why Women Don't Run for Office. New York: Cambridge University Press, 2005.

98. Levy Dena B., Krassas Nicole R. Hillary Clinton: A Biography (Greenwood Biographies. Westport: Greenwood Press, 2008.
99. Look at the World Through Women's Eyes. Plenary Speeches from the NGO Forum on Women, Beijing '95. Edited by Eva Friedlander. Foreword by Irene M. Santiago. New York, 1996.
100. Lovenduski Joni. Women and European Politics Contemporary Feminism and Public Policy. The University of Massachusetts Press, Amherst, 1986.
101. Lunardini Christine, What Every Amrican Should Know about Women's History. 200 Events that Shaped Our Destiny. Holbrook: Bob Adams, Inc., 1994.
102. Mayhead Molly A. Women's Political Discourse: a 21st Century Perspective. Lanham& Littlefield, 2005.
103. McReynolds Ginny. Women in Power. Milwaukee: Raintree Publishers, 1979.
104. Medzmariashvili Elene. Condoleezza Rice and Her Strategy against Terrorism, American Studies Periodical, 8th Edition, IBSU, Tbilisi, 2015, pp.55-59.
105. Elene Medzmariashvili, JFK and American Women Issues. Journal "Americanist", Warsaw, 2014.
Medzmariashvili Elene, Kennedy Administration Policy in Women Issues. American Studies Periodical, 6th Edition, IBSU, 2013, pp.143-150.
106. Medzmariashvili Elene. Role of Women in the US and Georgian Politics (Comparative Analyses), American Studies Periodical, 4th Edition, IBSU, Tbilisi, 2012, pp.129-137.
107. Medzmariashvili Elene. Some Problems of Women's Political Activity in the United States, European Countries and Georgia (Comparative Analysis), American Studies Periodical, 4th Edition, IBSU, Tbilisi, 2011, pp.120-127.
108. Medzmariashvili Elene. Problems of Social and Cultural Adaptation of Georgian Immigrant Women in the U.S.A. American Studies Periodical, 3rd edition, 2010, pp.117-121.
109. Medzmariashvili Elene. Causes of the "Second Wave" of Women's Movement in the US / *American Studies Periodical*, International Black See University, Tbilisi, 2008, pp117-124.
110. Norris Pippa. The Gender Gap: Old Challenges, New Approaches, pp.146-172.
111. Norton M.. Major Problem in American Women's History. Documents and Essays. – Lexington: Heath & Company, 1989.
112. O'Connor Karen. Ed. Women and Congress. Running, Winning, and Ruling. Haworth Press, Inc. New York, London, Oxford, 2001.
113. Outstanding Women in Public Administration. Leaders, Mentors, and Pioneers. Edited by Claire L. Felbinger and Wendy A. Haynes. M.E.Sharpe, New York: Armonk, 2004.
114. Power / Gender. Social Relations in Theory and Practice. Edited by H. Lorraine Radtke and Henderikus J. Stam. SAGE Publications London, Thousand Oaks, New Delhi, 1994.
115. Rajoppi Joanne. Women in Office. Getting There and Staying There. Foreword by Ruth Mandel. Bergin&Garvey, Westport, Connecticut, London, 1993.

116. Randall Vicky. Women and Politics. An International Perspective. Second Edition. Macmilan Education, Houndmills,... and London, 1987.
117. Renzetti Claire M., Daniel J. Curran. Women, Men, and Society. Boston, London, Toronto, Sydney, Tokyo, Singapore. Allyn and Bacon, 1999.
118. Rice Condoleezza. No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington. New York: Crown Publishers, 2011.
119. Rodaham Clinton Hillary. Living History. New York: Simon&Schuster, 2003.
120. Roosevelt Eleanor. The Autobiography of Eleanor Roosevelt. New York: Harper&Brothers, 1961.
121. Rymph Catherine E.. Republican Women. Feminism and Conservatism from Suffrage through the Rise of the New Right. A history of women's activism in the GOP. North Carolina, The University of North Carolina Press, 2005.
122. Sapiro Virginia. A Vindication of Political Virtue: The Political Theory of Mary Wollstonecraft. Chicago: University of Chicago Press, 1992.
123. Sapiro Virginia. The Political Integration of Women: Roles, Socialization, and Politics. University of Illinois Press, 1983.
124. Sharing Power. Women, Parliament, Democracy. Edited by Yvonne Galligan, Manon Tremblay. ASHGATE, Aldershot, England. Burlington, USA, 2005.
125. Sherman Jenann. No Place for a Woman. A Life of Senator Margaret Chase Smith. New Brunswick: Rutgers University Press, 1999.
126. Sullivan Patricia A. and Turner Lynn H.. From the Margins to the Center. Contemporary Women and Political Communication. PRAEGER, Westpost, Connecticut, London, 1996.
127. The Impact of Women in Public Office. Edited by Susan J. Carroll. Indiana University Press, and Indianapolis, 2001.
128. Thimmesh Catherine. Madam President. The Extraordinary, True (and Evolving) Story of Women in Politics. Houghton Mifflin Company, Boston, 2004.
129. Thomas Sue and Wilcox Clyde, Editors. Women and Elective Office. New York: Oxford University Press, 2005.
130. Thomas Sue. The Impact of women in Political Leadership Positions, pp. 89-110.
131. Tyrrell R. Emmett, JR with Mark W. Davis. Madame Hillary. The Dark Road to the White House. Regnery Publishing, Ink, Washington DC, 2004.
132. Vallance Elizabeth. Women in the House. A Study of Women Members of Parliament. London: The Athlone Press, 1979.
133. When Are Interests Interesting? The Problem of Political Representation of Women. In "Feminism and Politics", ed. by Anne Phillips. Oxford University Press, 2009, pp.161-192.
134. Wiesner-Hanks Merry E.. Gender in History. Oxford: Blackwell Publishers Inc., 2001.
135. Witt Linda, Paget Karen M., Matthews Glenna. Running as a Woman. New York: The Free Press, 1994.

136. Women and American Politics: New Questions, New Directions. Ed. by Susan J. Carroll. New York: Oxford University Press, 2010.
137. Women and Elective Office: Past, Present, and Future. Ed. By Sue Tomas and Clyde Wilcox. Oxford, NY: Oxford University Press, 2005.
138. Women and Politics in Western Europe. Edited by Sylvia Bashevkin. Frank Cass, London, 1985.
139. Women and Politics of Place. Edited by Wendy Harcourt and Arturo Escobar. Kumarian Press, 2005.
140. Women and Politics Worldwide. Edited by Barbara J. Nelson & NajmaChowdhury. Yale University Press, New Haven & London, 1994.
141. Women and Politics Worldwide. Editid by Barbara J. Nelson & Najma Chowdhury. Ann Arbor, Michigan, Edwards Brothers, 1994.
142. Women and Power in American History. Volume Two. From 1870. Second Edition. Edited by Katryn Kish sklar and Thomas Dublin. Upper Saddle River, New Jersey: Prentice Hill, 2002.
143. Women in American Society: An Introduction to Women's Studies. McGraw-Hill Education, 2002.
144. Women in Politics. Outsiders or Insiders? Ed. By Lois Lovelage Duke. Prentice-Hall, Inc. New Jersey, 1996
145. Women, Politics, and Change. Edited by Karen Ross. Oxford University Press, New York, 2002.
146. Women: A Feminist Perspective —Fifth Edition. Houston: Mayfield Publishing Company, 1995.
147. Women's Lives. Multicultural Perspectives. Boston: Mc Graw Hill, Higher Education, 2003.
148. Women's Realities, Women's Choices. An Introduction to Women's Studies. Third edition, Hunter Colleage Women's Studies Collective. New York: Oxford University Press, 2005.
149. Women's Routes to Elective Office. A Comparison with men's. Report written by Susan J. Carroll and Wendy S. Strimling. Center for the Women and Politics. Eagleton Institute of Politics, Rutgers - The State University of New Jerse y, 1983. No
150. Woods Harriett. Stepping Up to Power. The Political Journey of American Women. Oxford: Westview Press, 2000.
151. Zepatos Thalia & Kaufman Elizabeth. Women for a Change. A Crassroots Guide to Activism and Politics. Facts on File, Inc. New York NY, 1995. No
152. Попкова Л. Социально-правовой статус жентщин США: История XX века. Портал «Женьщина и общество», http://www.owl.ru/library/036t.htm
153. Шведова Н. Институт Первой Леди как компонент американской политической культуры. Гендерные аспекты политических процессов. CYBERLENINKA, 2013, CC.51-58. http://cyberleninka.ru/article/n/institut-pervoy-ledi-kak-komponent-amerikanskoy-politicheskoy-kultury

154. Шведова Н. Статус женщин и механизмы гендерного равенства в США. В журнале «Женщина в российском обществе», сс.491-512. https://womaninrussiansociety.ru/article/shvedova-n-a-zhenshhiny-v-ssha-mexanizm-gendernogo-ravenstva-str-22-53/

თავი 1

1. კაჭარავა ვასილ 1920-იანი წლების ამერიკა, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", 2008.
2. პატრიოტთა ისტორიის მასალები: ყველა ამერიკელისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, თარგმანი ინგლისურიდან, ქართული გამოცემის რედაქტორები ვ.კაჭარავა, ე.მეძმარიაშვილი, ა.ზაქარიაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
3. ჩიხლაძე ეკა, ამერიკელი ქალები დიდი დეპრესიის დროს. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", III, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
4. "America in the Great War," at www.eyewitnesstohistory.com (2000).
5. Amott Teresa L. and. Matthaei Julie A. Race, gender, and Work: A multicultural Economic History of Women in the United States. Boston, Mass., South End Press, 1991.
6. Anderson Karen, *Wartime Women: Sex Roles, Family Relations, and the Status of Women during World War II.* Westport, Conn.: Greenwood Press, 1981.
7. Anderson Mary, Women at Work. Minneapolis, 1951.
8. Anthony Susan B. and Stanton Elizabeth Cady, in *History of Woman Suffrage. From* Margaret Fuller Biography. In Biography Online. http://www.biographyonline.net/women/margaret-fuller.html
9. Archibald Katherine, "Women in the Shipyard," *Radical America 9,* July-August 1975.
10. Banner Luis W. Women in Modern America: A Brief History. New York, 1984.
11. Baxter Sandra, Lansing Marjorie. Women and Politics. The Visible Majority. Revised Edition. Ann Arbor. The University of Michigan Press, 1983.
12. Calvin Coolidge Papers, Reel 121 Manuscript Division, Library of Congress, Washington D.C., 2009, Revised 2015 February.
13. Chafe William H., The American Women: Her Changing Social, Economic and Political Roles, 1920-1970. New York: Oxford University Press, 1972.
14. Chamberlin Hope, A Minority of Members: Women in the U.S. Congress. New York: New American Library, 1974.
15. Commander Lydia, The American Idea (1907; reprint ed., New York: Arno Press, 1972.

16. Cousins Norman, Will Women Lose Their Jobs? Current Historyana Forum, 41, September, 1939. p. 14.
17. Elizabeth Cady Stanton, Ann Dexter Gordon. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanton and Susan B. Anthony: When clowns make laws for queens, 1880-1887. Rutgers University Press, 2006.
18. Engelbarts Rudolf, Women in the United States Congress, 1917-1972. Littleton, Colo.: Libraries Unlimited, Inc., 1974.
19. Evans Sara M., American Women at War. From Born for Liberty: A History of Women in America. The Free Press, 1989.
20. Evans Sara M. American Women in the Twentieth Century. In Perspectives on Modern America – Making Sense of the Twentieth Century. Oxford University Press, 2001.
21. Frederickson Lynda. The war Manpower Commission'sCampaign to Recruit Women Workers During World War II. The Margin Now is Woman power, *Fortune 27.* February 1943.
22. George W.L., The Intelligence of Women. New York, 1916.
23. Hartmann Susan M. The Home Front & Beyond: American Women in 1940s. Boston: Twayne, 1982.
24. Hartmann Susan M., "Women's Organizations during World War II: The Interaction of Class, Race and Feminism," in Mary Kelley, ed., *Woman's Being, Woman's Place: Female Identity and Vocation in American History.* Boston: G.K. Hall, 1980.
25. Hartmann Susan M., American Women in the 1940s. The Home Front and Beyond. Boston: Twayne Publishers, A Division of G.K. Hall & Co., 1982. https://archives.columbusstate.edu/gah/1992/26-40.pdf
26. Jones Jacqueline, Labor of Love, Labor of Sorrow, New York: Basic Books, 1985, chap. 7.
27. Kalisch Phillip A. and Kalisch Beatrice J., "Nurses under Fire: The World War Experience of Nurses on Bataan and Corregidor," *Nursing Research* 25, November-December 1976, p.409-429.
28. Kessler-Harris Alice, Out to Work. New York: Oxford University Press, 1982.
29. Kincaid Diane D., "Over His Dead Body: A Positive Perspective on Widows in the U.S. Congress," *Western Political Quarterly 31,* March 1978, pp.96-104.
30. Lee Percy Maxim, "Why Not More Women in Public Office?" *National Municipal Review 43.* June 1954, pp. 307-330.
31. Letter III: The Pastoral Letter of the General Association of Congregational Ministers of Massachusetts Haverhill, 7th Mo. 1837. In: Sarah Grimké, 1837. Letters on the Equality of the Sexes. Addressed to Mary S. Parker, President of the Boston Female Anti-Slavery Society, p.5. http://www.worldculture.org/articles/12-Grimke%20Letters,%201-3.pdf
32. Lois W. Banner, Women in America, New York: Harcourt Brace Jovanovich College Publishers, 1984.

33. Marlow H.Carleton and Davis Harrison M.. The American Search for Woman. Santa Barbara, CA: Clio Press, Inc., 1976.
34. Michel Sonya, "American Women and the Discourse of the Democratic Family in the World War II", in *Behind the Lines:Gender and the Two World Wars, ed. M.R. Higonnet, etal.* New Haven, Conn.: Yale University Press, 1987, pp.154-167.
35. Milkman Ruth, Gender at Work . Urbana: University of Illinois Press, 1987.
36. O'Neill William L., Everyone Was Brave. Chicago, 1969.
37. Regis Margaret. When Our Mothers Went to War: An Illustrated History of Women in World War II. Seattle: NavPublishing, 2008.
38. Roberts Mary M., American Nursing: History and Interpretation. New York: Macmillan, 1954.
39. "Rosie The Riveter". 1941-1945. The Pop History Dig. http://www.pophistorydig.com/topics/rosie-the-riveter-1941-1945/
40. Scott Anne Firor, The Southern Lady: From Pedestal to Politics, 1830-1930. Chicago: University of Chicago Press, 1970.
41. Smith Margaret Chase, "A Challenge to Women," *Independent Woman* 28 (April 1949).
42. Stanton Elizabeth Cady and Anthony Susan Brownell, Gordon Ann Dexter. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanton and Susan B. Anthony: In the school of anti-slavery, 1840-1866. Rutgers University Press, 1997.
43. Stanton Elizabeth Cady, Ann Dexter Gordon. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanton and Susan B. Anthony: Against an aristocracy of sex, 1866-1973. Rutgers University Press, 2000.
44. Stanton Elizabeth Cady. The Selected Papers of Elizabeth Cady Stanton and Susan B. Anthony: National protection for national citizens, 1873-1880. Rutgers University Press, 2003.
45. Ware Susan, Beyond Suffrage: Women in the New Deal. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1981.
46. Werner Emmy F., "Women in Congress: 1917-1964," *Western Political Quarterly* 19, March 1966, pp.16-30.
47. Werner Emmy F., "Women in the State Legislatures," *Western Political Quarterly 21*, March 1968, p.40-50.
48. Young Louise M., Understanding Politics: A Practical Guide for Women. New York: Pellegrini and Cudahy, 1950.

თავი 2

1. ბაქრაძე თამარ, ამერიკელი ქალები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები" №3., თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
2. კაჭარავა ვასილ, ამერიკა 1950-იან წლებში: ეიზენჰაუერივით კონსერვატიული და მონროსავით მომხიბლავი. თბილისი: გამომცემლობა „კლიო", 2011, გვ. 162-171.

3. Amidon Beulab. Rosie on the Home Front. In: A Twentieth Century. American Reader. Vol. 1, 1900-1945, Ed. by Jack O'Sullivan Lane and Maurice, USIA, Washington, 1999.
4. Carroll Bea, "How to Get Along with Women, "Ladies Home Journal", January 1950.
5. Cynthia Harrison, On Account of Sex: The Politics of Women's Issues 1945-1968. Berkeley: University of California Press, 1988.
6. .Davis Flora, Moving the Mountain: The Women's Movement in America Since 1960. Urbana: University of Illinois Press, 1999.
7. Echols Alice, Daring to Be Bad: Radical Feminism in America (Minneapolis: University of Minnesota Press, 1989.
8. Evans Sara, Born for Liberty: A History of Women in America. New York: The Free Press, 1989.
9. Friedan Betty, "Battling for Women While Being Beaten at Home," George, May 2000.
10. Friedan Betty, "Beyond Women's Liberation," McCalls, August 1972.
11. Friedan Betty, "Feminine Fulfillment: 'Is This All?'" Mademoiselle, May 1962.
12. Friedan Betty, "The E.R.A. – Does It Play in Peoria?" The New York Times Magazine, 19 November 1978.
13. Friedan Betty, Beond the Femine Mystique, Washington D.C., 1973.
14. Friedan Betty, It Changed My Life: Writings on the Women's Movement. Cambridge: Harvard University Press, 1976.
15. Friedan Betty, The Feminine Mystique, New York: W.W. Norton & Company, Inc., 1963.
16. Friedan Betty, The Feminine Mystique. New York: W.W. Norton & Company, Inc., 1963.
17. Friedan Betty, Woman's Destiny: Choice or Chance? 1965.
18. Friedan Betty. It Changed My Life: Writings on the Women's Movement. Cambridge: Harvard University Press, 1976.
19. Hartmann S. M., The Home Front and Beyond American Women in the 1940s. Boston: Twayne Publishers, 1982.
20. Hayden Casey and King Mary, A Kind of Memo, in Miriam Schneir, ed., Feminism in Our Time. New York: Vintage Books, 1994.
21. Hennessee Judith, Betty Friedan: Her Life. New York: Random House, 1999.
22. Horowitz Daniel. "Rethinking Betty Friedan and The Feminine Mystique: Labor Union Radicalism and Feminism in Cold War America" American Quarterly, vol 48, no.1, 1996.
23. Jones Will, Women Workers Spurn Peace Jobs, *Minneapolis Tribune,* 15 September 1947, p. 7; Mary Smith in Ruth Young and Catherine Filene Shouse, "The Woman Worker Speaks," *Independent Woman.* 24 October 1945.
24. Elene Medzmariashvili, JFK and American Women Issues. Journal "Americanist", Warsaw, 2014.
25. Medzmariashvili Elene, Kennedy Administration Policy in Women Issues. American Studies Periodical, 6th Edition, IBSU, 2013, pp.143-150.
26. Patterson James T., Grand Expectations. The United States 1945-1974, The Oxford History of the United States, V. 10. New York: Oxford University Press, 1996, p.77.

27. Pickel Margaret Barnard, "How Come No Jobs for Women?" *New York Times Magazine*, 27 January 1946.
28. Rosen Ruth. The World Split Open: How the Modern Women's Movement Changed America. New York: Penguin, Putnam Inc., 2000.
29. Schneir Miriam, ed., Feminism in Our Time. New York: Vintage Books, 1994.
30. Schultheiss Katherin. Women's Rights, Oxford University Press, 1973.
31. Sherman Janann, No Place for a Woman: A Life of Senator Margaret Chase Smith. New Brunswick: Rutgers University Press, 2000.
32. Stevenson Adlai, "A Purpose for Modern Woman," Women's Home Companion, September 1955.
33. Tobias Sheila. Faces of Feminism: An Activist's Reflection on the Women's Movement. Boulder, CO: Westview Press, 1997.
34. Tornabene Lyn, "The Liberation of Betty Friedan," McCalls, May 1971.
35. Wilkes Paul, "Mother Superior to Women's Lib," The New York Times Magazine, 29 November 1970.

თავი 3

1. მეძმარიაშვილი ელენე, დენისოვა ტატიანა. ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებულში: "ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002.
2. მჭედლიშვილი ნონა. გენდერული სტატისტიკა 2016 წლის არჩევნებზე. ოქტომბერი 08, 2016. რადიო თავისუფლება. მოძიებულია 2017 წლის 20 მაისს, მისამართზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-statistika/28039722.html
3. საქართველოს პარლამენტი. მოძიებულია 2017 წლის 25 ივნისს მისამართზე: http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi
4. შერმანი ჟანან. სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.187-191.
5. ქალი და არჩევნები, რედ. ციცინო ჯულუხაძე. თბილისი, 2004.
6. ქალები. სიტუაციის პროფილირება საქართველოში. შემდგენელი და რედაქტორი ნინო ციხისთავი, თბილისი, 2002.
7. Age and Sex Composition: 2010. 2010 Census Briefs. Table 1. Population by Sex and Selected Age Groups: 2000 and 2010. Census Bureau. https://www.census.gov/prod/cen2010/briefs/c2010br-03.pdf
8. Allwood Gill, Wadia Khursheed, Women and Politics in France 1958-2000, New York: Routledge, 2000.
9. Bailly Beth. The Women's Movement: Liberation for Whom? In: The Columbia Guide to America in the 1960s., Columbia University Press, New York, 2001.

10. Baker Paula, The Domestication of Politics: Women and American Political Society, 1780-1920, In: «Unequal Sisters. A Multicultural Reader in U.S. Women's History», Edited.by Ellen Card DuBois and Vicki L.Ruiz. Routledge. New York and London, 1990.
11. Bates Ulku U., Denmark Florence L., Held Virginia ..., *Women's Realities, Women's Choices, An Inttroduction to Women's Studies*, Third Edition. Hunter College Women's Studies Collective. New York, Oxford, 2000.
12. Booth Alice Lynn. Careers in Politics for the New Woman. Choosing Careers and Life-Styles. Franklin Watts/New York/London, 1978.
13. Cracknell Richard, Groat Richard and Marshall John. Women in Parliament and Government, *Social&General Statistics Section, House of Commons*, Library, 30 June 2009. http://www.parliament.uk/commons/lib/research/briefings/snsg-01250.pdf
14. Darcy R., Hadley Ch., Black Women in Politics: The Pussle of Success, *Social Science Quartarly*ю Austin, 1988, Vol.69, N3.
15. Evans Sara M., American Women in the Twentieth Century, In: "Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century", Edited by Harvard Sitkoff, New York-Oxford, Oxford University Press, 2001
16. Katzenstein M.F., Feminism and the Meaning of the Vote, *Signs, Vol.10*, Chicago, 1984.
17. Lebsock Suzanne. Woman Suffrage and White Supremacy: A Virginia Case Study, *Women's America. Refocusing the Past*, Fourth Edition, Ed. Linda K.Kerber, Jane Sherron De Hart. New York, Oxford, 1995.
18. Lowenduski Joni. Women in Great Britain, *Women and Politics Worldwide*. Ed. Barbara J. Nelson, NajmaChowdhury. New Haven, London, 1994.
19. Merdez Maria Tereza Gallego, Spain, *Women and Politics Worldwide*. Ed. Barbara J. Nelson, NajmaChowdhury. New Haven, London, 1994.
20. Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century". Edited by Harvard Sitkoff, New York-Oxford, Oxford University Press, 2001.
21. Sineau Mariette, Law and Democracy, *A History of Women in the West, Toward a Cultural Identity in the Twentieth Century*, Ed. Francoise Thebaut. Cambridge, 1994.
22. Statistical Abstract of the United States: 2000", The National Data Book, 120th Editor, Washington, D.C., 2000.
23. The Changing Role of Women in Politics.
24. Thebaud Francoise, Ed, A History of Women in the West. Y, Towards a Cultural Identity in the Twentieth Century, Cambridge: Harvard University Press, 1994.
25. Tolird Skard and Elina Haavio-Mavmila, Women in Parliament, *Women in Nordic Politics*. New York, 1985
26. Willsher Kim, French elections: record number of female MPs not enough, say feminists. The Gardian. 18 June, 2012. https://www.theguardian.com/world/2012/jun/18/french-elections-record-female-mps

27. Women in Parliament and Government. House of Commons Library. Published February 27, 2017. http://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN01250
28. Women in Parliament and Government. House of Commons Library. Published February 27, 2017. http://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN01250
29. Women in Parliaments: World Classification. Inter-Parliamentary Union. Retrieved 2007-04-06. http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm.
30. Women in the U.S. Congress 2017. http://www.cawp.rutgers.edu/women-us-congress-2017.
31. Zipp J., Plutzer E.. Gender Differences in Voting for Female Candidates: Evidence from the 1984 Election. *Public Opinion Quarterly.* Vol.49. N2, New York, 1985.
32. Изменения социально-политической роли женщины в США. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997 г.
33. Кеннеди Пол. Вступая в двадцать первый век. «Весь мир», Москва, 1997.
34. Консервативная точка зрения. Мнение Форума независимых женщин. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997 г. Доступ: 17 Март, 2010. http//www.iwf.org
35. Фолтер-Барнс Сюзанн. Баланс между работой, семьёй и требованиями закона. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997.
36. Харисон Синтия. От домашнего очага к государственному управлению: роль женщины в американском обществе. В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2., июнь 1997 г.

თავი 4

1. დენისოვა ტატიანა, მეძმარიაშვილი ელენე. ქალის როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", თბ., თსუ გამომცემლობა, 2002.
2. მეფარიშვილი მიშა. მადლენ ოლბრაიტი საქართველოს სტუმრობს. 12.06.2017. netgazeti.ge. მოძიებულია 2017 წლის 15 ივნისს, მისამართზე http://netgazeti.ge/news/200949/
3. მეძმარიაშვილი ელენე. ამერიკელი ქალი და არჩევნები. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები". თბ.,თსუ გამომცემლობა, 2003, გვ.269
4. მეძმარიაშვილი ელენე. ამერიკელი ქალების ბრძოლა ოფისისათვის. კრებული მიძღვნილი ა.ჩხეიძის 80 წლისთავისადმი, თბ., 2002, გვ.180-188.
5. Avery P.A., Thronton J.. It's Back to Activism for Feminists//*US News and World Report*, N.Y., 1985, Vol.99, N6, Aug.5, p.64.

6. Beckwith K.. American Women and Political Participation: The Impacts of Work, Generation and Feminism. N.Y., etc., 1986, XIV, p.111.
7. Citelli A.. Showdown for Reagan at Gender Gap//*Forum.* N.Y., 1984, July 9, Vol.110, N1.
8. Conover P.J.. Feminists and the Gender Gap//*Journal of Politics*, Gainsville, 1988, Vol.50, N4, p.985-1010.
9. Darcy R., Hadley Ch.. Black Women in Politics: The Pussle of Success//Social Science Quart., Austin, 1988, Vol.69, N3.
10. Davis N., Robinson R.. Class Identification of Men and Women in the 1970s and 1980s//*Amer.Sociol.Rev.* – Wash., 1988, Vol.53, N1, p.103.
11. Gilens M.. Gender and Support for Reagan: A Comprehensive Model of Presidential Approval//*American Journal of Political Science*, N.Y., 1988, V.32, N1, p.21.
12. Gurin P.. Women's Gender Consciousness//*Public Opinion Quart.*, N.Y., 1985, Vol.49, N2, p.148.
13. Katzenstein M.F.. Feminism and the Meaning of the Vote//Signs. Chicago, 1984, Vol.10, N1.
14. Kuttner R.. The Life of the Party: Democratic Prospects in 1988 and Beyond. N.Y., 1987, XII.
15. Lamar J. Color It Republican//*Time*, N.Y., 1988, Vol.132, N21.
16. Mansbridge J.. Myth and Reality: The ERA and the Gender Gap in the 1980 Election// *Public Opinion Quart.*, N.Y., 1985, vol.49, N2, p.165.
17. Platform for Action. The United Nations Fourth World Conference on Women. Beijing, China, September 1995. In UN Women. http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/plat1.htm
18. Richard S.Lee & Lee Mary Price. Careers for Women in Politics. The Rosen Publishing Group, Inc, N.Y., 1989
19. Shapiro V.. The Women's Movement, Politics and Policy in the Reagan Era//The New Women's Movement: Feminism and Political Power in Europe and the USA/ ed. by Duhlerup D.-L. ets., 1986.
20. Vice-president Role: An Insider's View// *US News and World Report*, Wash., 1984, March 5, Vol.96, N24.
21. White Th.H.. New Powers, New Politics//*New York Times Magazine,* 1984, Febr.5, p.25.
22. White Th.H.. New Powers, New Politics//*New York Times Magazine*, 1984, Febr.5.
23. Winthrop D.. Tocqueville's American Women and "The True Conception of Democratic Progress"//Political Theory. Beverly Hills, 1986, Vol.14, N2. .
24. Zipp J,.Plutzer E. Gender Differences in Voting for Female Candidates: Evidence from the 1984 Election//*Public Opinion Quart.*, N.Y.,1985, Vol.49, N2.
25. Обязательства Америки: Всемирный женский конгресс ООН -- год спустя.. Изменение социально-политической роли женщины в США. США: Общество и Ценности, Электронный журнал ЮСИА, том 2, No. 2, июнь 1997 г. http://www.infousa.ru/society/admin.htm

თავი 5

1. გიორგობიანი ანა, ჰილარი ქლინთონი შეერთებული შტატების სენატორი, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", III, გამომცემლობა „კლიო", თბილისი, 2005, გვ 475-479.
2. დენისოვა ტატიანა, მედელინ ოლბრაიტის ფენომენი, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 235-242.
3. მაისაშვილი თამარ. კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 259-262.
4. მეძმარიაშვილი ელენე. ამერიკელი ქალი და არჩევნები, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003,
5. მეძმარიაშვილი ელენე. ქალი-პრეზიდენტი: რეალობა თუ მითი?, კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები, IV, გამომცემლობა „კლიო", თბილისი, 2006.
6. შერმანი ჟენან. სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი. კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები". I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.187-191.
7. Banner Luis W.. Women in Modern America: A Brief History. New York, 1984.
8. Blackman Ann, Seasons of Her Life: A Biography of Madeleine Korbel Albright, New York: Scribner, 1998.
9. Colman Penny, A Woman Unafraid, The Achievements of Frances Perkins, New York: Macmillan Publishing Company, First Edition, Atheneum, 1993.
10. Downey Kirstin. The Women Behind the New Deal: The Lije and Legacy of Frances Perkins – Social Security, Unemployment Insurance, and the Minimum Wage. New York: Anchor Books, 2009.
11. Dudley Bruce, Frances Perkins: Secretary of Labor Under FDR, www.newyorkhistoryblog.org, March 27, 2014, http://newyorkhistoryblog.org/2014/03/27/frances-perkins-secretary-of-labor-under-fdr/
12. Felix Antonia, Condi. The Condoleezza Rice Story, New York: Newmarket Press, 2002.
13. Greenhouse Steven, 1.5 Million Dollar State Grant to Pay for Triangle Fire Memorial, www.nytimes.com, Dec.21, 2015.
14. Halberstam M., Defeis E.. Women's Legal Rights: International Covenants an Alternative to ERA? Dobbs Ferry, New York: Transnat. Publ., 1987, XII.
15. Keneally Meghan. Hillary Clinton's Progress Trying to 'Shatter That Highest, Hardest Glass Ceiling'. abcNEWS, November 9, 2016. http://abcnews.go.com/Politics/hillary-clintons-progress-shatter-highest-hardest-glass-ceiling/story?id=43420815
16. Kornblut Anne E. 2010; Six Easy Way to Madam President, "Washington Post", 12.27.2009. PressReader file :///C:/Users/User/Desktop/PressReader.com%20-%20Connecting%20People%20Through%20News.html

17. Kornblut Anne E.. Notes from the Cracked Ceiling: Hillary Clinton, Sarah Palin, And What It Will Take For A Woman To Win. Crown Publishing Group, New York, 2011.
18. Los Angeles Times Staff. The 'highest, hardest glass ceiling': Women reflect on Hillary Clinton's historic moment. Los Angeles Times, July 28, 2016. http://www.latimes.com/politics/la-na-pol-clinton-women-20160727-snap-story.html
19. Madeleine Albright. Madam Secretary A Memoir, With Bill, New York: The Easton Press, 2003; Clinton Hillary Rodham, Living History, New York: Simon&Schuster, 2003.
20. Mohr Lillian Holmen, Frances Perkins: "That Woman in FDR's Cabinet!" Croton-on-Hudson, N.Y.: North River Press, 1979.
21. Perkins Frances (Author). Adam Cohen (Introduction). The Roosevelt I knew. New York: Penguin Classic, 2011.
22. Perkins Frances, Quotes. Az Quotes. http://www.azquotes.com/author/11527-Frances_Perkins.
23. Perkins Frances, Quotes. Brainy Quote. https://www.brainyquote.com/quotes/authors/f/frances_perkins.html
24. Perkins Francis, Quotes. Az Quotes. http://www.azquotes.com/author/11527-Frances_Perkins
25. Pirro Jeanine Francis, Fordham Urban Law Journal, Reforming the Urban Workplace: The Legacy of France Perkins, Berkley Electronic Press (Bepress), Volume 26, Number 5, Article 7, 1998, p. 1428. moZiebulia 2017 wlis 1 ivniss, misamarTze: www.fordham.edu, http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1765&context=ulj
26. Roosevelt Eleanor. It's Up the the Women. Introduction by Jill Lepore. NY: Nation Books, 1933.
27. Roosevelt Eleanor. Woman's Place After the War. In Chck, August, 1944. The Social Welfare. History Project. VCU Libraries. http://socialwelfare.library.vcu.edu/woman-suffrage/womans-place-war/
28. Scharf Lois. "ER and Feminism" in *Without Precedent: The Life and Career of Eleanor Roosevelt*. Edited by Marjorie Lightman and Joan Hoff-Wilson. Indianapolis: University of Indiana Press, 1984.
29. Schlesinger Arthur M., Jn, The Coming of the New Deal, 1933-1935 (The Age of Roosevelt, Vol.2) N-Y: Mariner Books Edition, 2003.
30. Sears John F. Eleanor Roosevelt and The U.D.H.R. http://www.fdrlibrary.marist.edu/library/pdfs/sears.pdf
31. The Universal Declaration of Human Rights, Article 23.1 http://www.un.org/Overview/rights.html
32. Wallis Lucy. 'Shattering the 'highest, hardest Glass Ceiling'. BBC News, March 25 2015. http://www.bbc.com/news/world-us-canada-31967516.
33. William J., Youngs T.,Ed. Eleanor Roosevelt : A Personal and Public Life. Library of American Biography. New York: Longman Publishing Group, 1999.
34. «Изменения социально-политической роли женщины в США». В электронном журнале ЮСИА: «США: Общество и ценности», том 2б, №2, июнь 1997 г.

თავი 6

1. Carter Jimmy & Rosalynn. Everything to Gain: Making the Most of the Rest of Your Life. Fayetteville: University of Arkansas Press, 1995.
2. Clinton Hilary Rodham. Living History. New York: Simon & Schuster, 2003.
3. Diller Daniel C. and Robertson, Stephen L. The Presidents, First Ladies, and Vice Presidents. White House Biographies, 1789-2005. Washington D. C.: CQ Press, 2005.
4. Evans Sara M. Born For Liberty: A History of Women in America. New York: The Free Press, 1989.
5. Lunardini Christine A. What Every American Should Know About Women's History: 200 Events that Shaped Our History. Avon, MA: Adams Media Corporation, 1994.
6. Roberts Cokie. Founding Mothers. The Women Who Raised Our Nation, New York: HarperCollins, 2005.
7. Skarmeas Nancy J. First Ladies of the White House. Nashville, Tennessee: Ideals Publications, 2004.
8. Thimmesh Catherine. Madam President, The Extraordinary, True (and Evolving) Story of Women in Politics. Boston: Houghton Mifflin Company, 2004.
9. Wagner-Martin Linda. Telling Women's Lives. The New Biography. New Brunswick, New Jersey: Rutgers University Press, 1994.
10. Woloch Nancy. Women and the American Experience. A Concise History. New York: McGraw- Hill Company, 2002.
11. Roberts, Cokie. Founding Mothers. The Women Who Raised Our Nation, New York: HarperCollins, 2005.
12. Youngs, J. William T., Handlin, Oskar. Eleanor Roosevelt. A Personal and Public Life. New York: Longman, 1999.
13. Banner, Lois W. Women in Modern America: A Brief History. San Diego: Harcourt Brace Jovanovich, 1984.
14. Шишкин Генадий. "Хозяйки Белого дома", Эхо планеты. №22, Май, Москва, 1996.

თავი 7

1. მეძმარიაშვილი ელენე. მესამე ტალღის ქართველი იმიგრანტი ქალები აშშ-ში: ამერიკანიზაციის პრობლემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი", №.1, 2010. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/text/index/2
2. მეძმარიაშვილი ელენე. ქართული დიასპორა კალიფორნიაში. კრებული: „ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები". ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2006, გვ. 293-299.

3. მეძმარიაშვილი ელენე. ქართველი იმიგრანტი ქალების პრობლემები აშშ-ში. *ამერიკის შესწავლის საკითხები*. V. თბილისი. 2008, გვ.198-203.
4. მეძმარიაშვილი ელენე. ქალი და რელიგია: აშშ-ის მაგალითი. „რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი. საქართველო: რელიგია და მეძმარიაშვილი ელენე. თანამედროვეობა" (Research for Religious Studies), № 1-2, თბილისი, ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, 2009, გვ.185-189.
5. მეძმარიაშვილი ელენე, გელაშვილი მაია. ამერიკული იდენტობის თავისებურებები, *მე-6 საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში*. VI. ქუთაისი, 2012, გვ.172-186.
6. *American Religious Identification Survey*. URL: მოძიებულია 14.01.2014, მისამართზე: http://www.americanreligionsurvey-aris.org).
7. BBC News, Center for Immigration Studies, 2007, November 29.
8. BBC News, March 5, 2007.
9. Brown Wendy. Regulating Aversion: Tolerance in the Age of Identity and Empire. Princeton, N.J., 2006.
10. Camarota Steven A. How Many Americans? September 2008, http://www.cis.org/node/765.
11. Camarota Steven A. Immigrants in the United States, 2007: A profile of America's Foreign-Born Population, November 2007, http://www.cis.org/immigrants_profile_2007.
12. Eck D.A. „New Religious America", *Washington Profile*, 2008.26.02.
13. *Economist*. 24 June 2000.
14. Gary Gerstle. Immigration and Ethnicity in the American Century. In: Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century. Edited by Harvard Sitkoff, Oxford University Press, New York, Oxford, 2001.
15. Gerstle Gary. Immigration and Ethnicity in the American Century. *Perspectives on Modern America. Making Sense of the Twentieth Century*. Edited by Harvard Sitkoff, New York, Oxford, 2001.
16. Grieboski J.K. „The Religious Renaissance". *Washington ProFile*, 22.12. 2005.
17. Herberg W. *Protestant, Catholic, Jew*. N.Y., Anchor Books, 1960.
18. Hirschman Ch. "The Role of Religion in the Origins and Adaptation of Immigrant Groups in the United States". *International Migration Review*, 2004, vol. 38, issue 3, pp. 1206-1233.
19. http://uscis.gov/graphics/shared/aboutus/statistics/yearbook2000.pdf
20. http://www.cis.org/articles/2008/latdebate.html
21. Huntington Samuel P. Who Are We? America's Great Debate. Free Press, Simon & Schuster UK Ltd, London, 2005.
22. Immigration '08, Online Debate Sponsored by *the Los Angeles Times*, http://www.cis.org/articles/2008/latdebate.html

23. Levitt Laura. Impossible Assimilations, American Liberalism, and Jewish Difference: Revisiting Jewish Secularism// *American Quarterly,* Religion and Politics in the Contemporary United States, Edited by R. Marie Griffith and Melani McAlister, September 2007, Volume 59, Number 3, pp. 807-832.
24. Mann Arthur. From Immigration to Acculturation. *Making America. The Society and Culture of the United States.* Edited by Luther S. Luedtke. Washington, 1987.
25. McGowan William. The 1965 Immigration Reforms and The New York Times: Context, Coverage, and Long-Term Consequences, August 2008.
26. Medzmariashvili Elene. Problems of Social and Cultural Adaptation of Georgian Immigrant Women in the U.S.A., American Studies Periodical, 3rd edition, Tbilisi, 2010, pp.117-121.
27. Parzen Herbert. The Passing of Jewish Secularism in the United States. *Judaism* 8.3. Summer 1959.
28. Pew Research Center for the People & the Press Survey Reports. URL: მოძიებულია 21.01.2014 მისამართზე http://www.pewresearch.org.
29. Population Profile of the United States: *Dynamic Version. U.S. Department of Commerce Economics and Statistics Administration, US Census Bureau* https://www.census.gov/population/pop-profile/dynamic/profiledynamic.pdf
30. Problems of Social and Cultural Adaptation of Georgian Immigrant Women in the U.S.A., American Studies Periodical, 3rd edition, Tbilisi, 2010, pp.117-121.
31. Reisler Mark. By the Sweat of Their Brow: Mexican Immigrant Labor in the United States, 1900-1940. Westport. Conn. 1976, pp.151-169.
32. Reisler Mark. By the Sweat of Their Brow: Mexican Immigrant Labor in the United States, 1900-1940. Westport. Conn. 1976.
33. Renshon Stanley. Becoming American. The Hidden Core of the Immigration Debate, January 2007. http://www.cis.org/articles/2007/back107.html
34. Sanchez George J. "Go After the Women": Americanization and the Mexican Immigrant Woman, 1915-1929. *Unequal Sisters. A Multicultural Reader in U.S. Women's History.* Edited by Ellen Card DuBois and Vicki L.Ruiz. New York, London,1990.
35. Smith Tony. Ethnicity, Immigration, and the American National Community. February 2001, 807-808. http://www.cis.org/articles/2001/back201.html
36. Statistical Abstract of the United States. The National Data Book. 120th Edition, Washington D.C. 2000.
37. Steinlight Stephen. Ignoring Problems of Illegal Immigration Leads to Exploitation, August 2008. http://www.cis.org/node/759
38. U.S. Immigration and Naturalization Service, *2000 Statistical Yearbook of the Immigration and Naturalization Service.* http://uscis.gov/graphics/shared/aboutus/statistics/yearbook2000.pdf
39. U.S. Immigration and Naturalization Service. Statistical Yearbook of the Immigration and Naturalization Service.

40. White Alfred. The A Perceptive Mass of Foreigners as Applied to Americanization, the Mexican Group. University of California, master's thesis, 1923, p.34-35. *Unequal Sisters. A Multicultural Reader in U.S. Women's History.* Edited by Ellen Carol DuBouis and Vicki L. Ruiz. New York, 1990.
41. Williams P.W. *America's Religions: From the Origins to the 21st Century.* Urbana, University of Illinois Press, 2008, 660 p.
42. В США быстрыми темпами убывает белое население. 15.03.2009 http://top.rbc.ru/ society/15/05/2009/303925.shtml
43. Паин Э.А. „Волновая природа подъема традиционализма на рубеже XX–XXI вв.“ Общест- венные науки и современность. 2011, № 2.

საკუთარი სახელები

ა

აბოლიციონისტი 45
აბოლიციონიზმი 96
აბზუგი ბელა 108
ადამსი აბიგეილ 193
აფროამერიკელ ქალთა ეროვნული საბჭო 64, 72, 73
ახალგაზრდა ქალთა ქრისტიანული ასოციაცია 78
„ახალი ქალი“ 50

ბ

ბეიბი ბუმი 11, 58, 78
ბეთიუნი მერი მაკლოიდ 64,72
ბერგერი სემუელ 181
ბლერი ანიტა 117
ბუში ჯორჯ 136, 151, 189
ბუში ლაურა 22

გ

გაეროს ქალთა მეოთხე კონგრესი 155
გენდერი, გენდერული სტატისტიკა 14
გენდერული სტერეოტიპები 31
„გიბსონის ქალიშვილი“ 50
გრასო ელა 109
გრიმკე სარა 42
გრძნობების დეკლარაცია 36

დ

დამოუკიდებელ ქალთა ფორუმი 114, 120
დამოუკიდებლობის დეკლარაცია 45, 187, 207
„დაღლილი კლასი“ 117
დიდი დეპრესია 160, 165
დივერი მ. 151
დუგლასი ფრედერიკ 45

ე

ენტონი სიუზან 43, 46, 48
ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტი 73
ეროვნული ორგანიზაცია ქალებისთვის (NOW) 32, 82, 93, 96, 98-100, 103-105
„ეროვნული უშიშროების სტრატეგია“ 181
ევანსი სარა 28, 29

ვ

ვილსონი ვუდრო 163, 193
ვოლსტოუნკრეფტი მერი 42, 43
ვუდვორდი ელენ სალივან 61-62

თ

თანასწორუფლებიანი საგადასახადო კანონი 81

ი

ინატისტები 40-42

კ

კანონი შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ
კარტერი როზალინ 192, 198
კაქრელი ლილრეი დიქსი ლიჯერალდ ფორდი 110
კენედის ადმინისტრაცია 81, 94
კერი ფლორენს 62
კისინჯერი ჰენრი 181
კლინტონი ბილ 153, 155, 179, 197
კლინტონი ჰილარი 17, 51, 22, 27, 29, 31, 112, 126, 153, 172, 176, 178, 181-192, 197, 198, 212
კლინტონის ადმინისტრაცია 36, 113, 126, 136, 153, 157-159, 178, 181
კრაპსეკი მერი ენ 109
კულიჯი 52, 53

ლ

ლიბერალი ფემინისტები 97, 101-103

მ

მარგარეტ ანდერსონი 56
მეი ვანესა 123
მემოქლონე როუზი 67,68
მეორე ტალღა ქალთა მოძრაობის
მესამე ტალღა ქალთა მოძრაობის 29, 153, 206
მეთხუტმეტე შესწორება 47
მეცხრამეტე შესწორება 27, 46, 48, 50, 108, 132, 188
მეცხრე რეზოლუცია 45
„მოქმედებათა პლატფორმა“ 154
მოტი ლუკრეცია 41, 45, 48
მსოფლიო საქმეების ქალთა კომიტეტი (CWWA) 73

ო

ობამა ბარაქ 181-183, 195
ოლბრაიტი მედელინ 21, 113, 126, 155, 157, 158, 176-183

პ

პეილინი სარა 184
პირველი ლედი 61, 63, 155, 167, 172, 174, 191, 192, 195, 197-199
პირველი ტალღა ქალთა მოძრაობის 39, 48

რ

რადიკალი ფემინისტები 101-103
რაისი კონდოლიზა 21, 22, 126, 176, 180, 181, 183, 189, 190
რატგერსი 7,8, 20, 24, 31, 109
რეიგანის ადმინისტრაცია 139-148, 151-153
როჯერსი ედიტ ნორს 68, 74
როსი გილემ 53
რუზველტი ელეანორ 21, 56, 61, 63-65, 94, 167-175, 191-198
რუზველტი ფრანკლინ დელანო 56, 61-64, 97, 161, 169, 195

ს

საგანგებო დახმარების ფედერალური სამმართველო (FERA) 61-62
სამი „ეიჩი“ (three H's) 184
სამოქალაქო ომი 46-47
სამხრეთელი ქალების ასოციაცია 55
საპირო ვირჯინია 26, 144
საპრეზიდენტო კომისია ქალთა საკითხებში 81, 94, 175
საქმიანი და პროფესიონალი ქალების კლუბების ეროვნული ფედერაცია (BPW) 72
საზოგადოებრივ სამუშაოთა სამმართველო (WPA) 60-62
სენეკა ფოლსი 36, 44-46
„სიღარიბის ფემინიზაციის“ პერიოდი 143
სმიტ კოლეჯი 83, 87
სმიტი ალ 164
სმიტი მარგარეტ ჩეიზ 31, 74, 97, 113, 186
სმიტი მერი ლუის 110
სოციალური დაცვის საბჭო 62
სოციალური ფემინისტები 18, 56
სტენტონი ელიზაბეთ 41, 43-48
სტივენსონი ადლაი 84, 85
სტოუნი ლიუსი 43, 47
სუფრაჟისტი 50, 51, 65, 116, 123
სუფრაჟისტული მოძრაობა 50, 51, 52, 65, 116, 120, 162, 168
სუფრაჟიზმი 74, 162
„სქესებს შორის გარღვევა“ 122, 146-148, 152

ტ

ტაფტი ნელი 193
ტეთჩერი მარგარეტ 123
ტიმეში კეტრინ 30
ტობიას შეილა 80
ტრამპი რონალდ 212-213
ტრუმანი ბეს 167, 172, 195

უ

უიდნოლი შეილა ი. 126
უნივერსიტეტელ ქალთა ამერიკის ასოციაცია (AAUW) 72

ფ

ფემინიზმი, ფემინისტური მოძრაობა18, 23-65, 50-55, 67, 82, 96-100, 106-107, 119, 132, 152, 162, 168, 175
ფერადკანიან ქალთა ეროვნული ასოციაციაცია 64
ფლაპერი ქალები 53
ფრანსის პერკინსი 56, 61, 64, 160-167, 170
ფრიდანი ბეტი 81-108, 168
ფრიმანი ჯო 23, 25, 26
ფულერი მარგარეტ 43

ქ

ქალ ამომრჩეველთა ლიგა (LWV) 71
ქალები მოხალისეთა სასწრაფო სამსახურში 69
ქალებზე ძალადობის საწინააღმდეგო უწყება 156
„ქალის საიდუმლო“ 23, 81, 86, 89, 91, 95, 168
ქალთა ერონული ამერიკული სუფრაჟისტული ორგანიზაცია (NAWSA) 51
ქალთა ეროვნული დიდების დარბაზი 197
ქალთა ეროვნული ორგანიზაცია 90, 143
ქალთა ეროვნული პარტია 174
ქალთა ეროვნული პოლიტიკური კრება 143
ქალთა განათლების თანასწორუფლებიანობის აქტი 116
ქალთა საგარეო პოლიტიკური ჯგუფი (WFPG) 179
ქალთა საკითხებში პრეზიდენტის უწყებათაშორისი საბჭო 155
ქალთა სუფრაჟისტული ეროვნული ასოციაცია 47
„ქალური საკითხები“ 130, 149
„ქალურობის ერთობლიობა“ 84
ქეროლი სიუზან 24, 25

შ

შალეილა დონა 155, 156
შელესინგერი არტურ უმცროსი 160
შერმანი ჟენან 31
შესწორება თანაბარ უფლებათა შესახებ
შუშის (უხილავი) ჭერი 5, 26, 81, 114, 118, 123, 176, 184, 185,186

ჩ

ჩეიფი უილიამ 12, 27, 28, 77

ძ

ძალადობის მოწინააღმდეგე სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტი (SNCC) 99, 100

ჯ

ჯეინ ადამსი 56

ჰ

ჰალტი ედიტ ბოლინგ 193
ჰეიესი ჯენეტ გრეი 110